

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

შოთა ძიძიგუაი

ქართული ენის

ლექსიკა, ფონეტიკა, გორფოლოგია

სახელმძღვანელო კვლეობიურ სასწავლებელთათვის

რედაქტორი პროფ. გ. ახვლედიანი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

§ 1. ენის ძირითადი ნიშნები. მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ ენა ადამიანია ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალება და ბრძოლისა და განკითვარების უძლეველი იარაღი. ი. სტალინი ამბობს: „ენა არის საშუალება, იარაღი. რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთობას. რაკი უშუალოდ დაკავშირებულმა აზროვნებასთან. ეხა სიტყვებით და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირებით აღნუსხავს და აღბეჭდავს აზროვნების მუშაობის შედეგს. ადამიანის შექმენებითი მუშაობის წარმატებებს და, ამრიგად, შესაძლებელს ხდის აზრთა გაცვლას ადამიანთა საზოგადოებაში“.

ენას ორი მხარე აქვს: ლექსიკური შედგენილობა და გრამატიკა. ლექსიკური შედგენილობა. თავისთავად აღებული, არ არის ენა. ენის საშენი მასალაა. ლექსიკას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როცა იგი გადადის ენის გრაფიკის განკარგულებაში

§ 2. ქართული ენა და მისი დალექტები. ქართული ენა ქართველი ხალხის ნაციონალური ენაა. იგი მსოფლიოს ენათა შორის ერთ-ერთ უძველეს ენად ითვლება. საერთოეროვნული ქართული ენა შეიცავს როგორც სალიტერატურო ენას, ისე დიალექტებს ანუ კილოებს.

ქართულ სალიტერატურო ენას 1500 წლის ისტორია აქვს. ამ ენაზე დაიწერა მხატვრული ლიტერატურის უბრწყინვალესი ძეგლები, სადაც წარმოდგენილია ქართული ენის სიძლიერე და მრავალფეროვნება.

განსაკუთრებით გაიზარდა და გაიფურჩქნა ქართული ენა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, დაიხვეწა გრამატიკული წყობა. გამდიდრდა ლექსიკური შედგენილობა.

ქართული ენა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში გამოჰყოფენ სამ პერიოდს. ესენია: ძველი ქართული სალიტერატურო ენა (5—11 საუკუნეები). საშუალო ქართული სალიტერატურო ენა (11—18 საუკუნეები). ახალი ქართული სალიტერატურო ენა (მე-19 საუკუნიდან დღემდე).

ქართული ენის განვითარებას შეიძლება თვალი გავადევნოთ მე-5 საუკუნიდან: წერილობითი ძეგლები ამ საუკუნიდან მოგვეპოვება. ამაზე ძველი ძეგლები ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ქართული ენა იყოფა დიალექტებად ანუ კილოებად. გამოპყოფენ ქართული დიალექტების ორ მთავარ ჯგუფს: აღმოსავლურ დიალექტებს და დასავლურ დიალექტებს. აღმოსავლური დიალექტებია: ქართლური, კახური, ქიზიყური, ინგილოური, ფერეიდნული, მესხურ-ჯავეახური და ე. წ. „მთის კილოები“: ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური და მთიულური. დასავლური დიალექტებია: იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, გურული, აჭარული და იმერხეული. ამ დიალექტებს გარკვეული თავისებურებანი აქვთ.

ქართული ენის სხვადასხვა მხარეს გვაცნობენ ენათმეცნიერების შემდეგი დარგები:

1. ფონეტიკა (ბერძნ. *phōnetikē* სიტყვისაგან: *phōnē*—ხმა)— მოძღვრება ენის ბგერითი მხარის შესახებ. ფონეტიკას მკიდროდ უკავშირდება ორთოეპია (ბერძნ. *orthos*—სწორი და *epos*—სიტყვა). ფონეტიკასავე უკავშირდება გრაფიკა—მოძღვრება ბგერათა ასოებით გამოხატულების შესახებ (ბერძნ. სიტყვისაგან: *graphō*—ვწერ).

2. გრამატიკა (ბერძნ. *grammatikē*)—მოძღვრება ენის წყობის შესახებ. იყოფა დარგებად:

ა) მორფოლოგია (ბერძნ. *morphō*—ფორმა, *logos*—მოძღვრება)— მეცნიერება სიტყვაწარმოების, სიტყვათცვლისა და მეტყველების ნაწილების შესახებ.

ბ) სინტაქსი (ბერძნ. *syntaxis*—შეთხზვა)—მოძღვრება წინადადებისა და წინადადებაში სიტყვათა შეხამების შესახებ.

3. გრამატიკის საფუძველზე დამუშავებულია ქართული ორთოგრაფია და პუნქტუაცია.

ა) ორთოგრაფია (ბერძნ. *orthos*—სწორი და *graphō*—ვწერ)— მართლწერის წესების ერთობლიობა.

ბ) პუნქტუაცია (ლათ. *punctum*—წერტილი)— სასვენ ნიშანთა წესების ერთობლიობა.

4. ლექსიკოლოგია (ბერძნ. *lexis*—სიტყვა და *logos*—მოძღვრება)—მეცნიერება ენის ლექსიკური შედგენილობის შესახებ.

5. ლექსიკოლოგიასა და გრამატიკაზე დაფუძნებულია სტილისტიკა (ფრანგ. *stilistique* ბერძნული სიტყვისაგან: *stilos*—წაწვეტილებული ჯოხი დასაწერად)—მეცნიერება, რომელაც სწავლობს მეტყველების ემოციურ-გამომხატველობითს მხარეს.

ქართული ენის კურსის მოცულობაში შედის შემოხსენებული დარგები.

§ 3. სიტყვა. სიტყვა ენის ერთეულია, რომელიც გამოხატავს საგნებს და მოვლენებს, ამასთანავე ცნებებს. ცნება შეიძლება სიტყვის ძირმაც გამოხატოს, მაგრამ ძირებით გამოხატული ცნება გაცილებით უფრო ფართოა და აბსტრაქტული, ვიდრე სიტყვებით, ე. ი. აფიქსებით გაფორმებული ძირებით, გამოხატული ცნება.

ცოცხალ მეტყველებაში სიტყვა იხმარება ან პირდაპირი მნიშვნელობით ანდა გადატანითი მნიშვნელობით.

პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება სიტყვა, როდესაც იგი გამოხატავს იმ ცნებას, რომელიც მასშია ნაგულისხმევი ანდა ისეთ საგნებს, რომლებიც თავსდებიან ამ ცნების ფარგლებში.

გადატანითი მნიშვნელობით იხმარება სიტყვა, როდესაც იგი აღნიშნავს არა იმ ცნებას ან საგანს, რომელიც მასშია ნაგულისხმევი, არამედ გამოყენებულია სხვა ცნების თუ საგნის აღსანიშნავად. მაგალ. როცა ვამბობთ, „ნიკო ვეფხვიო“, აქ სიტყვა „ვეფხვი“ ნახმარია გადატანითი მნიშვნელობით: ვეფხვის თვისებები მივაწეროთ ნიკოს. უეჭველია, ამ შემთხვევაში სახელწოდება გადატანილია ერთი საგნიდან მეორეზე მსგავსების საფუძველზე. სიტყვის შინაარსი გაფართოვდა: მან ახალი მნიშვნელობა შეიძინა, არ დაუკარგავს რა ძველი მნიშვნელობა. გადატანითი მნიშვნელობით სიტყვა უფრო პოეტურ მეტყველებას ახასიათებს.

§ 4. სიტყვის მნიშვნელობის ისტორიული ცვლა. სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება ისტორიულად შეიცვალოს. მაგალითად, ძველ ქართულში სიტყვა „მეცნიერი“ ნიშნავდა „მცოდნეს“. ზოგჯერ „ნაცნობსაც“. ამ წინადადებაში — „წუთ-წუთ მოვიდიან მისა მეცნიერნი მისნი და ჰკონებედ, ვითარმედ პონ იგი მკუდარნი“ სიტყვა „მეცნიერი“ „ნაცნობს“ ნიშნავს. „კუბო“-სიტყვას ძველად ტახტრევახის მნიშვნელობა ჰქონდა (გაუიხსენოთ „ვეფხისტყაოსნიდან“: „იგი მზე უჯდა კუბოსა და აგრე აკონინებდეს“). თანამედროვე ქართულში ეს სიტყვა მიცვალებულის ჩასასვენებელი ყუთის გამოხატელობაა. ჩანს, სიტყვის მნიშვნელობა არსებითად შეცვლილა.

§ 5. სიტყვის მრავალმნიშვნელობა. სიტყვები ხშირად იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით. ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება ჰქონდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე მნიშვნელობა. მაგალითად, სიტყვა „თავი“ ენაში გამოყენებულია სხვადასხვა მნიშვნელობით: „აღამიანის თავი“, „ერთი თავი ხახვი“, „ქალაქის თავი“, „ეს კაცი დიდი თავია“. და სხვ. ასეთივე სხვადასხვა მნიშვნელობით ვხვარობთ სიტყვას „ხელი“. დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ მოცემულია სიტყვა „ხელის“ რამდენიმე მნიშვნელობა: 1. ხელმწიფება; უფლება; 2. წერის გვარი: ნუსხა ხელი. მრგვალი ხელი; 3. აააკის, სიდიდის: ჩემ-ხელა; 4. მარტო-ხელი; 5. რა ხელი მაქვს ამ საქმეში; 6. ხელის შეწყობა; 7. ხელიდან გამოსვლა. საქმისა; 8. ხელის დაფარება; 9. ხელის აღება; 10. ხელის დადება; 11. ხელის მომართვა; 12. ხელის მოწერა; 13. ხელობა, და სხვ.

ყველა ეს მნიშვნელობა ერთმანეთთან დაკავშირებულია, რადგან ისინი მომდინარეობენ ერთი საგნიდან. მაგრამ სხვადასხვა კონტექსტში ამ საგნის სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ.

§ 6. სიტყვის მნიშვნელობა გაფართოება და დავიწროება. სიტყვის შინაარსობლივი ცვლა იტორიულად არსებითად ორი გზით მიემართება: შესაძლოა მოხდეს სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება ანდა მივიღოთ საწინააღმდეგო პროცესი: სიტყვას დაუვიწროვდეს მნიშვნელობა.

სიტყვა ქუეყანა ძველ სალიტერატურო ქართულში ნიშნავდა მიწას, დედამიწას. იშლება ასე: ქუე-ყანა. „ყანა“ მიწის აღმნიშვნელია (შეაღაზე დღევანდელი „ყანა“). ხანძთელის „ცხოვრებაში“ სწერია: „ქუეყანასა ზედა წოლა“. აქ „ქუეყანა“ მიწის მნიშვნელობით იხმარება. დღეს ე, სიტყვა მთელ მსოკლიოს აღნიშნავს.

დაბა თავდაპირველად აღნიშნავდა მიწას, ნახნავს. ძველ ქართულ წერილობითს ძეგლებში იგი უკვე შინაა-სობლივად გაფართოებულია, აღნიშნავს დასახლებულ პუნქტს, სოფელს. შუშანიკის მარტვილობაში ვკითხულობთ: მონა „მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰქვან ცურტავ“. აქასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ შინაარსობლივი ცვლილება განუტღია აგრეოვე ტერმინს მდაბიური, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა სოფელს. ევსტატე მცხეთელის მარტვილობაში ვკითხულობთ: „ჩუენი მდაბიური არსო“, ე. ი. ჩუენი სოფელი არისო. ახალ ქართულში მდაბიურ—სიტყვას გაუფართოებია შინაარსი და საერთოდ უარყოფითი გაგება მიუღია.

ახლა გავეცნოთ სიტყვის მნიშვნელობის დავიწროებას.

სახლი ძველ ქართულში, ერთი მხრით, გამოხატავდა მოსახლეობის ერთეულს. იგი მიწა-წყლის ერთეულსაც აღნიშნავდა. მაგალ., კონტექსტში — „მისცა სახლად სპარსეთი“ სახლი სამფლობელოს. საბრძანებელს ნიშნავდა. მაშასადამე, სახლი გამოხატავდა როგორც ოჯა-

ხის საცხოვრებელ ადგილს, ისე მიწა-წყლის და ადმინისტრაციული ერთეულის გამომხატველი ტერმინიც იყო. ამჟამად კი სახლი იხმარება თავისი. დავიწროებული მნიშვნელობით: იგი მხოლოდ საცხოვრებელ ერთეულს გამოხატავს.

სოფელი წინათ უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა, გამოხატავდა ქვეყანას, მხარეს. შუშანიკის მარტივობაში სწერია: „აზნაურნი სოფლისა ქართლისანი მოვიდესო“. თანამედროვე ქართულში სოფელი გარკვეული დასახლებული ადმინისტრაციული პუნქტის სახელწოდებაა. ზოგიერთ გამოთქმას შემოუნახავს ძველი გაგება: „სოფლის ამოება“, „წუთისოფელი“, და სხვ.

§ 7. სინონიმები. სინონიმი ბერძნული სიტყვაა და ეწოდება ისეთ ორ ან მეტ სიტყვას, რომელნიც სხვადასხვანი არიან, მაგრამ ერთგვარი ან მსგავსი მნიშვნელობა აქვთ. სინონიმებია, მაგალითად, ცხენი—ჰუნე—მერანი—რაში—ბედაური—ტაიჭი—ულაყი—ფაშატი—ლაფშა—და სხვ. ანდა: ხანჯალი—სატევარი, თათარა—ფელამუში, ომიჩხუბი—ბრძოლა და სხვ.

სინონიმები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: აბსოლუტურ სინონიმებად (ე. ი. ისეთ სინონიმებად, რომელთაც სულ ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ: ხანჯალი—სატევარი, ფელამუში—თათარა) და რელატიურ სინონიმებად (ე. ი. ისეთ სინონიმებად, რომელთაც მსგავსი, მონათესავე მნიშვნელობა აქვთ: სიმღერა—გალობა, ძლიერი—ლონიერი).

რელატიური სინონიმები ერთმანეთს ემიჯნებიან განმასხვავებელი იერის მიხედვით. აბსოლუტურ სინონიმებს, რასაკვირველია, განმასხვავებელი იერი თუ ელფერი არ ახასიათებთ; რელატიური სინონიმებისთვის იგი ნიშანდობლივია.

განმასხვავებელი იერის მიხედვით ვლემულობთ რელატიური სინონიმების ჯგუფებს: 1) აზრობლივი სხვაობის რელატიურ სინონიმებს, 2) სტილისტიკური სხვაობის რელატიურ სინონიმებს და 3) ფრაზეოლოგიური სხვაობის რელატიურ სინონიმებს.

პირველის მაგალითია ლეჩაქი ჯალაშა. ორივე მანდილია, ე. ი. ქალთა ჩაცმულობა-ტუალეტის ნაწილი იყო და ეს ნიშანი აერთიანებდა მათ. მაგრამ მათ განმასხვავებელი ნიშნებიც ჰქონდათ: ლეჩაქი მზადდება აბრეშუმის, საერთოდ ნაზი ნაქსოვებისაგან, ჯალაშა კი სქელი, მარლის მსგავსი ქსოვილია. ამასთანავე, ლეჩაქი ჩვეულებრივი სამკაული იყო, ჯალაშა კი იხმარებოდა შავებში გამოწყობისა და გლოვის დროს. ამრიგად, ლეჩაქი—ჯალაშა. მართალია, სინონიმებია, მაგრამ ერთგვარი აზრობლივი სხვაობა მათ შორის უთუოდ არის. სტილისტიკურად განმასხვავებელი იერის მქონე რელატიური სინონიმებია: 1. სიმართლეს არ შეეფერება (მისი ნათქვამი), 2. ცდება, 3. ტყუის, 4. ცრუობს, 5. მიჰქარავს.

პირველი სინონიმი (სი მ ა რ თ ლ ე ს ა რ შ ე ე ფ ე რ ე ბ ა მისი ნათ-
ქვამი) ზრდილობიანი ფორმაა; უფრო მკვეთრია მეორე სიტყვა (ც დ ე-
ზ ა), მაგრამ ყურს მაინც არ ეჩოთირება; მესამე სინონიმი (ტყუის) მკვახე კილოა; კიდევ უფრო მკვახეა მეოთხე სიტყვა (ც რ უ ო ბ ს). ხო-
ლო მეხუთე (მი ძ ქ ა რ ა ვ ს) საყვებით უხეში და ზოურიდებელია.

ფრაზეოლოგიურად განმსახვავებელი იერის მქონე რელატიური სი-
ნონიმები ეწოდება ისეთ სინონიმებს, რომლებიც ემიჯნებიან ერთ-
მანეთს იმის მიხედვით, თუ გარკვეული ფრაზის რომელი სინონიმი
შეეფერება. მაგალ., სინონიმებია მწიფე—მომწიფებულ—შე-
ქოსული—მოწეული—შეთვალებული. მათ შორის ასეთი გან-
სხვავებაა: კიტრის შესახებ ვერ ვიტყვით „შეთვალებულია“. უნდა
ეთქვას „შემოსული“, ანდა „მოწეული“, პერეულ მცენარეთა მიმართ
ვაგბობთ „შემოსულია“, არ ითქმის „შეთვალებული“ და ა. შ.

სინონიმებს ენაში სხვადასხვა წარმოშობა აქვთ. უმთავრესად სი-
ნონიმები ენაში ჩნდება სიტყვათსესხების გზით. მაგალ., ქართულში
აჩსებობდა „სატევარი“, არაბულიდან შემოვიდა „ხანჯალი“ და მივი-
ღეთ ერთი საგნის ორი სახელი. მეორე მხრით, სინონიმები სხვადა-
სხვა დიალექტური წარმომავლობისაა. მაგალ., „ნაცარი“ და „ტუტა“
სხვადასხვა კილოს კუთვნილება იყო, დროთა ვითარებაში მათ თავი
მოიყარეს სალიტერატურო, საერთოეპოქურულ ენაში და ამ გზით მივი-
ღეთ სინონიმები.

სინონიმთა სტილისტური დანიშნულება ენაში დიდია: მათი სა-
შუალებით აზრს უფრო ზუსტად გამოეთქვამთ და, ამავე დროს, თავი-
დან ავიცილენთ ერთი და იმავე სიტყვის განმეორებას.

ს ა ე რ ჯ ი შ ო 1. გადაწერეთ წინადადებები. ამოარჩიეთ სიტყვები მოცე-
მულ სინონიმთაგან და ჩასეთ მრავალწესილის ადგილას.

კატა... უახლოვდება თავის მსხვერპლს	}	ჩუმად
		მიპარვით
მოსწავლე ყველა კითხვაზე იძლევა... პასუხს.	}	მოძრავ
		სწრაფ
მანუქალუბელი.. მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს	}	აღმჯობესებს
		აწვრთნებს
დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მან მიიღო ...გადაწყვეტილება	}	მაგარი
		მტკაც
ჩვენთან მოვიდა ბალის... დარაჯი	}	ძველებური
		ძველი
მდინარას პირას ექსკურსანტებმა დაი- ნ:ხეს.. კოშკი	}	უძველესი
		დაძველებული

ს ა ე რ ჯ ი შ ო 2. მოუნახეთ სინონიმები სიტყვებს: კარგი, ვერაგი, ხარმაცი,
ცელქი, მოხუცი, მტერი, სწრაფად.

§ 8: ომონიმები. ომონიმები ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომელთაც ერთმანეთისაგან განსხვავებული რაპდენიმე მნიშვნელობა აქვთ. მაგალ., „ხერხი“ ორგვარი მნიშვნელობით იხმარება, აღნიშნავს: ა) გარკვეულ სამუშაო იარაღს (აქედან: „ხერხვა“) და ბ) ცოდნას, ოსტატობას, უნარს (აქედან: „მოხერხება“). გაეიხსენოთ: „ხერხი სჯობია ღონესა. თუ კაცი მოიგონებსა“. ასევე „ბარი“ სამუშაო იარაღია და, ამვე დროს, აღნიშნავს, ვაკე, დაბლობ ადგილს. გაეიხსენოთ ჩვეულებრივი გამოთქმა: „მთა და ბარი“. ამგვარად, „ხერხი“, „ბარი“ ომონიმური სიტყვებია.

არის ორი ჯგუფი ომონიმებისა. ერთი მხრით, გვაქვს ისეთი ომონიმი, რომელიც გამობატავს სახელებს. მაგალ., ხერხი (სამუშაო იარაღი) და ხერხი (უნარი, ოსტატობა); შეკეთება (რემონტი) და შეკეთება (ცეცხლის შენთება, გაღვივება); ბანი (გარკვეული ხმა) და ბანი (სახლის გარკვეული ნაწილი). მაგრამ თუ დაეაკვირდებით ისეთ ომონიმებს, როგორცაა ველი (მინდორი) და ველი (პირველი პირის ფორმა: „მე ველი“), ვარდები (მრავლობითი რიცხვი სახელისა „ვარდი“), ვარდები (პირის ფორმა ზმნისა „ვარდნა“: შენ ვარდები), დავრწმუნდებით, რომ ომონიმურ წყვილში გაერთიანებულია სახელი და ზმნის პირიელი ფორმა.

ომონიმები ენაში სხვადასხვა გზით წარმოიშობა.

შეიძლება ორი სიტყვა ისე შეიცვალოს ისტორიულად, რომ ერთმანეთს დაემსგავსონ გარეგნულად და მნიშვნელობა კი ძველი. განსხვავებული დაურჩეთ. მაგალ., ძველ ქართულში არსებობდა ფორმით და შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი სიტყვა: კელი და ხელი. პირველი აღნიშნავდა სხეულის გარკვეულ ნაწილს. მეორე — გიეს, სულელს. ისტორიული განვითარების შედეგად კელი გარეგნულად დაემსგავსა მეორე სიტყვას (ე გადაშენდა ქართულში და მისი ადგილი დაიკავა ხ მ) და ამჟამად ხელი როგორც ადამიანის ორგანოს სახელია, ასევე გიეს აღმნიშვნელიცაა (შეადარე: „გახელება“), მივიღეთ ომონიმი. ასევე ხალი აღმოსაუღეთ საქართველოში ფარდაგსაც აღნიშნავს და ბუნებრივ შავ წინწყლებსაც სხეულზე. მაგრამ ხალი მომდინარეობს ხალიჩა — სიტყვის განვითარების გზით (შეიკვეცა უკანასკნელი მარცვალი).

არსებობს ომონიმების წარმოშობის მეორე გზაც ეს ხდება სიტყვის შინაარსობრივი დიფერენციაციის წყალობით. სხვადასხვა კონტექსტში სიტყვას სხვადასხვა ნიუანსი ეძლევა. სიტყვა გადატანით მნიშვნელობას ღებულობს. მაგალ., მარცვალ — სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა შინაარსით იხმარება: „ხორბლეულის მარცვალი“, „მლოგვის მარცვალი“ „სიტყვის მარცვალი“ და მისთანანი. ხელი, როგორც ვიცით (§ 5), მნიშვნელობის გადატანის გზით მრავალ მნიშვნელობას ღებულობს: მაგრამ არსებობს „ღვინის ხელი“ („ღვინოს ხელი აქვსო“, იტყ-

ვიან), რომელიც ხელი-ს სხვადასხვა მნიშვნელობის ზემოხსენებულ მწკრივში ვერ მოექცევა: ღვინის ხელის კავშირი ადამიანის ხელთან ამკამად გაუგებარია. ასევე სხვაა „ხელი ტანისამოსი“ („ერთი ხელი ტანისამოსი მაქვს-1. ასაკის გამოსახატავად გამოყენებული სიტყვა („ჩემ-ხელა“) და მ. სთანანი. ამგვარად, ხელი, ერთი მხრით, აღნიშნავს სხეულის ნაწილს, მეორე მხრით, ღვინის გარკვეულ გემოს, მესამე მხრით, ცალ ტანისამოსს, მეოთხე მხრით, თანაასაკობრიობას. ესენი ომონიმებია, რადგან მათ შორის თანამედროვე ადამიანი კავშირს ვერ ხედავს. წარმოშობით შესაძლოა ისინი გადატანითი მნიშვნელობის გზით შემუშავებული სიტყვები იყვნენ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 3. შეადგინეთ წინადადებები ომონიმების გამოყენებით: კარი (შენობის), კარი (წაგნის); წელი (წელიწადი), წელი (ადამიანის სხეულის ნაწილი).

§ 9. ანტონიმები. სიტყვებს, რომელთაც საპირისპირო მნიშვნელობა აქვთ, ანტონიმები ეწოდება. ქართულ ენაში ანტონიმები შეიძლება გამოიხატოს ყველა მეტყველების ნაწილით. მაგალ., ზედსართავებში: კეთილი—ბოროტი, თეთრი—შავი, კვიანი—სულელი; არსებითი სახელებით. დასაწყისი—დასასრული, სიხარული—მწუხარება, სიცივე—სიცხე; ზმნებით: ვანგრევ—ვაშენებ, ვაქებ—ვაძაგებ; ზმნი-ზედით: ჩუმად—ხმაშაშა, წინ—უკან, და სხვ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 4. მოუახეთ ანტონიმები სიტყვებს: ჩქარი, ახალგაზრდა, იაფი, მალაღი, გრძელი, მეგობარი, ჯანმრთელობა, სილარიბე, დეიწყება, ასულა, დაკარგვა.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 5. დაამთავრეთ წინადადებები ისე, რომ დაუმართო ანტონიმები.
1. ჩემი ძმა კითხულობდა წიგნს დღე და ...
2. დაღამდა და ხმაური შესცვალა ...

თანავედროვე ქართული ლექსიკის შედგენილობა

§ 10. ქართული ენის ლექსიკა. ი. სტალინი გვასწავლის. რომ ენაში არსებული ყველა სიტყვა წარმოადგენს ენის ლექსიკურ შედგენილობას. ლექსიკურ შედგენილობაში მთავარაა ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელშიც შედის ყველა ძირეული სიტყვა, როგორც მისი ბირთვი. იგი ნაკლებად ვრცელია. ვიდრე ენის ლექსიკური შედგენილობა. მაგრამ გამძლეა და ცოცხლობს დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში და ათის ბაზა ენაში ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად. საერთოსახალხო, საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვებია ქართულ ენაში, მაგალითად, მიწა, ქვეყანა, სახლი. თევზი, დედა, მამა, მთა, ტყე, კაცი, ცხოვრება, კარგი, კეთა და მრავალი სხვა.

ენის ლექსიკა იცვლება ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით. ქართულ ენაში ამჟამად აღარ იხმარება მთელი რიგი სიტყვები, რომლებიც წინათ იხმარებოდა. ასეთებია, მაგალითად, ხაშლი (ფესისაყმელი), ურვა (მწუხარება), ერგასისი (ორმოცდაათი) და სხვა. წარმოების, შეურწმობის, სოციალური წყობილების, კულტურის, შეურწმობის განვითარებასთან დაკავშირებით ენაში შემოვიდა ახალ-ახალი სიტყვები: სიმინდი, მანდარინი, რკინიგზა. კალოში, თვითმფრინავი, დამკვირვებელი, ბოლშევიკი, მიმართულება და სხვ.

ენის „ლექსიკური შემადგენლობა ასახავს ენის მდგომარეობის სურათს: რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა. მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა“ (სტალინი).

ქართული ენა მიეკუთვნება მსოფლიოში ისეთ განვითარებულ ერებს, რომლებსაც მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკა აქვთ

§ 11. არქაიზმები. ენის ლექსიკური შედგენილობა განუწყვეტლივ იცვლება. ცხოვრების განვითარებასთან ერთად ბევრი სიტყვა გამოდის ხმარებიდან, ბევრიც ახალი და ახალი იქმნება. ასეთი გადაშენებული სიტყვები ისტორიზმებია. რომელთა საკრებოა უკვე აღარ არის. სე მაგალითად, გადაშენდა ენაში ძველი ყოფისა და მოვლენების ამსახველი სიტყვები, როგორიცაა, მაგალითად, გზირი, დიაბევი საკურთხეველი და სხვა. ისტორიზმებს სხვანაირად არქაიზმები ეწოდება.

მხატვრულ ლიტერატურაში არაიშვიათია არქაიზმების გამოყენე-

ბა, როდესაც მწერალი ძველ ცხოვრებას აღწერს. ზოგჯერ არქაიზმები საწიროა საზეიმო, მაღალფარდოვანი სტილისათვის.

ხშირად იხმარება არქაიზმები ისტორიულ რომანებში. მაგალ. ვასილ ბარნოვის ენისათვის დამახასიათებელია არქაიზმების ჭარბი გამოყენება. თანამედროვე ლიტერატურაში არქაიზმები გვხვდება შალვა დადიანის რომანში „გიორგი რუსი“, კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში. და სხვ.

საზეიმო სტილიზაციისათვის არქაიზმებს ხშირად მიმართავენ იმ მაჩაბელი თავის თარგმანებში.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 6. ამოიწერეთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ (1 ტომი) არქაიზმები ასო ზ-ზე.

§ 12. ნეოლოგიზმება. ახალმა სოციალისტურმა ცხოვრებამ შექმნა ახალი ყოფის შესაფერისი სიტყვები. ახალ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ ახალი ცხოვრების ცნებებს, ნეოლოგიზმები ეწოდება. ნეოლოგიზმები იქმნებოდა ენის განვითარების მთელ მანძილზე. ყოველი ახალი მოვლენა საზოგადოებრივ, სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ბადებს ახალ-ახალ ცნებებსა და ტერმინებს. ასე, ტექნიკის განვითარების შედეგად შეიქმნა ისეთი ახალი სიტყვები, როგორცაა ტელეფონი, ტელეგრაფი, რადიო, ტრაქტორი და სხვ. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და კოლექტივიზაციამ წარმოშვა სიტყვები დამკვერელი, სტახანოველი, ბრიგადირი, კომბაინი და სხვ.

ნეოლოგიზმები შეიძლება დავყოთ ჯგუფებად. ნეოლოგიზმებია:

1. ძირეულად ქართული სიტყვები, რომლებმაც ახალ პირობებში ახალი მნიშვნელობა მიიღეს (დამკვერელი, ფრიადოსანი, მოწინავე);
2. სიტყვები, რომლებიც შემოსულია სხვა ენებიდან და მტკიცედ დამკვიდრებული ქართულ ენაში (ტელეგრაფი, ტრაქტორი);
3. რთული შემოკლებული სიტყვები: პარტბილეთი, კომკავშირი, პოლიტხელი, მტს-ი, და სხვ.

ნეოლოგიზმები შეიძლება დაამკვიდრონ ენაში გამოჩენილმა მწერლებმა. მაგალითად, ილია ჭავჭავაძემ შექმნა და დაამკვიდრა ახალი სიტყვები: შინაარსი, მიმართულება, საქონელი, აგებულება, და სხვ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 7. ამოიწერეთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ (1 ტომი) ნეოლოგიზმები ა-ბ ასოებზე

§ 13. ტერიტორიული დიალექტიზმები. პროფესიონალიზმები. ჟარგონიზმები. ლიტერატურული ენის სიტყვობრივ ფონდში გამოიყოფა ტერიტორიული დიალექტიზმები, ე. ი. სიტყვები, რომლებიც ახასიათებს კილოებს; პროფესიონალიზმები, ე. ი. სიტყვები, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ პროფესიასთან; ჟარგონიზმები

და ა რ გ ო ტ ი ზ მ ე ბ ი, ე. ი. სიტყვები, რომლებიც გასაგებია მხოლოდ მოლაპარაკეთა განსაზღვრული ჯგუფისათვის და წარმოადგენენ საგნებისა და მოვლენების მეორე სახელწოდებებს.

§ 14. დიალექტური ლექსიკა. ირსებობს ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც უცხოა სალიტერატურო ენისათვის და იხმარება მხოლოდ ერთ დიალექტში ან დიალექტების განსაზღვრულ ჯგუფში.

მხატვრულ ლიტერატურაში არაიშვიათად გვხვდება დიალექტური სიტყვები და გამოთქმები. განსაკუთრებით იყენებენ დიალექტიზმებს ნაწარმოების პერსონაჟთა ენაში. დიალექტური ლექსიკის მაგალითებს უხვად ვხვდებით ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ე. ნინოშვილის, ს. მაგლობლიშვილისა და სხვათა თხზულებებში. მაგალითად, ყაზბეგის ნაწერებში გვხვდება ასეთი დიალექტური სიტყვები: დაჯალღვა (მორევა. დამორჩილება), დახაფერა (დაქარგვა, გადაქარგვა), ვალდახი (ბალახის თოკია, თივის შესაკრავი), თეო (ცხვრის ბინის განაპირა ადგილი). კირკალი (საქონლის კისერზე მოსახვევი წყნელის რგოლი, რომელზედაც გამობმულია თოკი), საპოხი (ერბო), სენა (საკუქნაო) და სხვ. ვაჟა-ფშაველას ლექსებსა და პოემებში გვხვდება, მაგალითად: წბილა (ბალახის წვრილი ღერო), ნაჩხატი (ჩანჩქერი), ონარი (ხრიკი), ტორუა (ტოროლა), ქოსმანი (ხელზე გასუქებული ცხვარი, ღორი...), ქარჩი (ბოსტნის დასამუშავებელი იარაღია), ჩერანი (წვივი), ჩაღუნა (გვიმრა), შუნი (ფურ-ჯიხვი), და სხვ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 8. 1. ამოიწერეთ ვაჟა-ფშაველას „ტყელის მკამელიდან“ უცნობი სიტყვები და მათი განმარტება ნახეთ ლექსიკონში, რომელიც ერთვის ვაჟა-ფშაველას თხზულებათა IV ტომს (1932 წ.). 2. ამოიწერეთ ა. ყაზბეგის „ციკოდან“ უცნობი სიტყვები და მათი განმარტება ნახეთ ლექსიკონში, რომელიც ერთვის ა. ყაზბეგის თხზულებათა II ტომს (1955 წ.).

§ 15. პროფესიული ლექსიკა. პროფესიონალიზმებია სიტყვები, რომლებიც შესულია სალიტერატურო ენაში ამა თუ იმ პროფესიული ჯგუფის ლექსიკიდან. პროფესიული ლექსიკა უმთავრესად იმით განსხვავდება სალიტერატურო ენის საერთო ლექსიკისაგან, რომ იგი შეიცავს დიფერენცირებულ ლექსიკურ ტიპებს; ეს ლექსიკა ასახავს სპეციალიზაციის ენას. თუ სალიტერატურო ენამ იცის ერთი ზოგადი ტერმინი, გამომხატველი რომელიმე საგნისა და მოვლენისა, პროფესიულ ლექსიკას ახასიათებს ათეული სახელები. ასე მაგალითად, მონადირეებმა იციან სპეციალური სახელები, რომლებიც არამონადირისათვის უცნობია.

პროფესიული ლექსიკიდან თანდათანობით ბევრი სიტყვა შედის სალიტერატურო ენაში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საერთოსალაპარაკო ენაში შევიდა ბევრი სიტყვა, რომლებიც დაკავშირებულია მრეწველობასთან და სოფლის მეურნეობასთან. ასეთებია, მაგალითად,

ინდუსტრიალიზაცია, კომბაინი, ბრიგადა, სამანქანო-სატრაქტორო სადგური, სექანზაცია, რადიოფიკაცია და მრავალი სხვა. ასევე, სამედიცინო პროფესიონალიზმებიდან ჩვენს ყოველდღიურ სასაუბრო ლექსიკაში შეიჭრა სიტყვები: ინფექცია, ამბულატორია, ბიულეტენი, მიქს უოა, პენიკლინი, აკროხინი. და სხვ.

§ 16. **ჯარგონული ლექსიკა.** ჯარგონულ ლექსიკაში ჩვეულებრივი სიტყვები შეცვლილია სხვა სიტყვით და გამოთქმით, რომელიც გადატახითი მნიშვნელობით იხმარება, ან უცხოური სიტყვით ანდა რომელიმე ხელოვნურად შექმნილი სიტყვა-გამოთქმით.

ჯარგონიზაციები დამახასიათებელია თავადაზნაურული არისტოკრატიისათვის და ბუჯუბახის მაღალი ფენებისათვის, რომლებიც მოწყვეტილი არიან ხალხს.

ძველ დროს ჯარგონული ლექსიკა იქმნებოდა კარჩაკეტილ სოციალურ ჯგუფებში, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით მოწყვეტილი იყვნენ საზოგადოებას, მაგალითად, სალდათებში და მატროსებში, მოსწავლეებში, და სხვ.

ჯარგონული ლექსიკა შეადგენს მეტად მცირე პროცენტს საერთო-სახალაო ენის ლექსიკაში და გადაშენების გზაზე დგას.

ჯარგონის სახეობა არგო. არგო საიდუმლო ენაა მათხოვრების, ქურდებისა და ზოგიერთი სხვა ჯგუფისა (ვაკოებისა და ხელოსნებისა). ზოგი არგოტიზმი საერთო ლექსიკონშიც შევიდა. ასეთია, მაგალ., ეულიკი (თავდაპირველად უწოდებდნენ ქურდ-ბაცაცას).

§ 17. **ლექსიკის, სტილისტური დიფერენციაცია.** სალიტერატურო ენის იხრიოდ ლექსიკურ ფონდში შედის საყოველთაოდ ხმარებული, სყოველთაოდ გასაგები სიტყვები, რომლებიც ახასიათებს როგორც ზეპირ, ისე წერიტის მეტყველებას. ასეთებია: მიწა, ცა, მაგიდა, კარგი, წითელი, ხუტი, ცხრა, არავინ, წერა, მუშაობა, გუშინ, ყველგან და მრავალი სხვა.

არას ისეთი სიტყვები, რომლებიც უკრო ახასიათებს ზეპირ მეტყველებას, განსხვავებულია წერიტის მეტყველების ლექსიკაც.

ზეპირი მეტყველების ლექსიკა თავის მხრივ იყოფა სასაუბრო და ხალხურ მეტყველებად.

სასაუბრო ლექსიკაში შედის ისეთი სიტყვები, რომლებიც უპირატესად ახასიათებს ყოფითს მეტყველებას. ეს ლექსიკა არ არღვევს ლიტერატურული ენის ნორებს, მაგრამ იგი მწიგნობრული ენისათვის, მაგალ., სამეცნიერო მოხსენებისათვის. შეუფერებელია. სასაუბრო ლექსიკის სიტყვებს ზოგჯერ აქვთ დამატებითი მნიშვნელობა; რამდენადმე უხეი, დაცინვითი, იონიული ხასიათისა (მაგალ., მიქარვა, მუტრუკი, ძამაქალი, პირძალი).

წერიტის მეტყველების ლექსიკა იყოფა დარგებად. მისი სახეებია: მწიგნობრული ლექსიკა, სქეციალური ლექსიკა, ოფიციალური ლექსიკა, მაღალფარდოვანი ლექსიკა.

წერთი მეტყველების ლექსიკაში, გარდა საყოველთაოდ ცნობილი სიტყვებისა, გვხვდება მწიგნობრული ენისათვის ნიშანდობლივი სიტყვები და გამოთქმები. მწიგნობრულ ლექსიკაში მრავლად გვხვდება ნასესხები სიტყვები: აბსოლუტური, ანტითეზა, პროპორციული და სხვ. ამგვარი ხასიათის ლექსიკა დამახასიათებელია სამეცნიერო და სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურისათვის.

სპეციალური ლექსიკა მკიდროდ უკავშირდება მწიგნობრულ ლექსიკას. ესაა მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალური ტერმინოლოგია, რომელიც არასპეციალისტისათვის გასაგები არაა. ტერმინი არის სიტყვა, რომელიც გამოხატავს მეცნიერებისა თუ წარმოების ამა თუ იმ დარგის ცნებას და რომელსაც ზუსტად დადგენილი შინაარსი აქვს. ასეთებია, მაგალ., განტოლება, გაყოფა. სამკუთხედი (მათემატიკური ტერმინოლოგია); სისხლის მიმოქცევა. ნივთიერებათა ცვლა, საკმლის მონელება (ფიზიოლოგიური ტერმინოლოგია); უღლება, მართვა, ქვეწყობა (გრამატიკული ტერმინოლოგია), და სხვ.

წერთი მეტყველების ლექსიკის ცალკე დარგია ოფიციალური ლექსიკა, რომელიც ახასიათებს ოფიციალურ დოკუმენტებს (კანონებს, დიპლომატიურ ნოტებს, ოქმებს და საქმის ქალაღების სხვა სახეებს). იგი უაილოვდება სპეციალურ ლექსიკას. ასეთებია, მაგალ., ხელშეკრულება, რატიფიკაცია. ნდობით აღკურვილი პიროვნება, ოქმი, და სხვ. აქვე შემოდის კანცლარული ლექსიკა (კანცელარიზმები). ჩვენს ენაში არამცირედი ადგილი უკავია ისე უ გაქვავებულ კანცლარულ სიტყვებსა და გამოთქმებს, როგორცაა „ქვემოთ ხელისმომწერნი“, „შიცა ესე მოწმობა“, და სხვ.

§ 18. ნასესხები სიტყვები. არ არსებობს ენა. რომელშიც არ იყოს შემოსული სიტყვები სხვა ენათაგან. ქართულ ენაშიც დროთა ვითარებაში შემოსულია და დამკვიდრებული უკხოური სიტყვები. სიტყვათსესხების ფაქტორია ხალხთა შორის ურთიერთობა.

ქართულ ენაში სხვადასხვა ეპოქაში შემოსულა ბერძნული, ლათინური, აზაბული, სპარსული, თურქული, სომხური, რუსული და სხვა ენების სიტყვები არაბულია, მაგალითად. ანდამატი, ბუხარი. საამო, ამანათი, ლაჯახი, ყალიბი, სპარსულია—ანდერძი, ბალი, ბულბული. ფანჯარა, დაუდი; თურქულია—ელჩი, იარაღი, ბაირაღი; სომხურია—აგარაკი, ბანაკი, გიშერი, ვეშაპი, და სხვა.

ზოგჯერ ნასესხებ სიტყვას განუდგენია მისი შესაბამისი სიტყვა მსესაეაელ ენაში. მაგალ., არაბულმა სიტყვამ „ხანჯალმა“ გადაშენების გზაზე დააყენა „სატევარი“. არის შემთხვევები, როდესაც ორევე სიტყვა რჩება ენაში და სინონიმურად არსებობენ. მაგალ., ერთსა და იმავე დროს იხმარება სპარსულ-სომხური „ეამი“ და ქართ. „დრო“, არაბული „მულარა“ და ქართ. „ხეწნა“, სომხური „არაკი“ და ქართული „იგავი“, და სხვ. ნასესხები სიტყვები ამდიდრებენ ენას.

§ 19. საერთაშორისო სიტყვები ყოველ კულტურულ ენაში არსებობს საერთაშორისო სიტყვები, რომლებიც უმთავრესად წარმოადგენენ სამეცნიერო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტერმინოლოგიას.

საერთაშორისო სიტყვები უმთავრესად ბერძნულ-ლათინური წარმოშობისაა. მაგალ., დემოკრატია, პოემა, ფილოსოფია, და სხვ. (ბერძნ.), რესპუბლიკა, პრივილეგია, პროლეტარი, და სხვ. (ლათინ.). არის აგრეთვე ფრანგული (ბურჟუაზია), ინგლისური (მიტინგი, ლიდერი), რუსული (ბოლშევიკი, მენშევიკი, ლენინიზმი) საერთაშორისო სიტყვებიც.

ქართული ენის ფრაზეოლოგია

§ 20. ლექსიკა, ცალკეული სიტყვების გარდა, მოიცავს სიტყვათა მყარ შეხამებებს, რომლებიც აღიქმება როგორც მთლიანობა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი შეიცავს ორ, სამ ან მეტ ერთეულს — სიტყვას. სიტყვათა ასეთ მყარ შეხამებებს ფრაზეოლოგია ეწოდება. მაშასადამე, ფრაზეოლოგია არის მოძღვრება სიტყვათა მყარი შეხამებების შესახებ, რომლებიც აზრობლივად წარმოადგენენ ერთ მთლიანობას.

ფრაზეოლოგიური შეხამებებია: ა) იდიომები, ბ) ფრაზეოლოგიური გამოთქმები, გ) ფართოსანი სიტყვები და გამოთქმები, დ) ანდაზები და გამოცანები.

§ 21. იდიომები. იდიომი ეწოდება ისეთ სიტყვათშეხამებას, რომლის დაშლა შემადგენელ ელემენტებად არ შეიძლება და რომლის საერთო აზრი განსხვავდება მასში შემავალი ცალკეული სიტყვების მნიშვნელობისაგან; ზოგჯერ იდიომში შემავალი სიტყვის შინაარსი გაუგებარიცაა. ძველად იდიომს ანუ იდიომატურ გამოთქმას კონკრეტული შინაარსი ჰქონდა, შემდეგ და შემდეგ მან ზოგადი მნიშვნელობა მიიღო.

იდიომში შემავალი სიტყვების გადაადგილება ჩვეულებრივ არ შეიძლება, ისე შეკრულია ასეთი სიტყვათშეხამება.

იდიომებია, მაგ., „ქვა ქვაზე არ დატოვა“, „ნიანგის ცრემლებს ღერის“, „მღერიე წყალში თევზს იკერს“, „ფეხები გაქიმა“, „ამერიკის აღმოჩენა“, „კვერის დაკრა“, „კოვზის ნაცარში ჩავარდნა“, და სხვა.

§ 22. ფრაზეოლოგიური შეხამებანი. არის სიტყვათა ისეთი მყარი შენაერთებიც, სადაც ცალკეულ სიტყვებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ დაკარგული და ამიტომ მთელ შეხამებას ვერ გაუტოლებთ ერთ სიტყვას. მკვეთრი განსხვავება იდიომებსა და ფრაზეოლოგიურ შეხამებებს შორის არ არის. ფრაზეოლოგიური შეხამება — ესაა სიტყვობრივი შაბლონი, რომელიც მექანიკურად მეორდება ერთმანეთის მსგავს შემთხვევებში.

ფრაზეოლოგიური შეხამებებია, მაგალ., „მაქვს პატივი მოგესალმოდ“, „რით შემიძლია გემსახუროთ“, „დათვური სამსახური“, „ლორი. მუხის

ქვეშ, „გახერხებული შაური“, „თვალებით ვეძებდი“, „მუდმივი კალამი“. „ომის გამჩალებლები“; „სამუშაო დღე“, „დროს დაკარგვა“, „მოთმინებიდან გამოსვლა“, „სახალხო დემოკრატიის ბანაკი“ და სხვა.

§ 23. ფრთოსანი სიტყვები და გამოთქმები. ქართულ ლიტერატურულ ენაში გავრცელებულია ე. წ. ფრთოსანი სიტყვები, რომლებიც მიეწერება გამოჩენილ ადამიანებს, მწერლებს, მეცნიერებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს, და სხვ. ასეთი გამოთქმები სატოვანობას ანიჭებს ჩვენს მეტყველებას და ეკონომიურად, შეკუმშულად გამოთქვამს დიდ აზრს: დიდი ლენინი ამბობდა: „არის ისეთი ფრთოსანი სიტყვები, რომლებიც გასაოცარი მოსწრებულობით გამოხატავენ საქმაოდ რთული მოვლენების არსს“.

რაკი ფრთოსანი სიტყვები დაკავშირებულია გამოჩენილ პირთა ან ნაწარმოებთა სახელებთან. ამიტომ შესაძლებელი ხდება მათი აღნოცენების დათარიღება. ასე, მაგალითად, გამოთქმა „მაინც ბრუნავს“, რომელმაც ენაში მიიღო რომელიმე დებულების მტკიცედ დასაბუთების მნიშვნელობა, ეკუთვნის უდიდეს ასტრონომსა და ფიზიკოსს გალილეის (1564—1642); მან უყოყმანოდ და შეურყეველად გაიმეორა სიკვდილით დასჯის წინა წუთებში თავისი გენიალური აზრი, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო.

ენაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ფრთოსანმა გამოთქმებმა, რომლებიც ეკუთვნის მარკსიზმის კლასიკოსებს. ასეთებია, მაგალითად, „რევოლუცია—ისტორიის ლოკომოტივია“ (მარკსი), „ვინ ვის?“ (ლენინი), „ფაქტები—ჯიუტი რამეა“ (ლენინი), „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ (სტალინი), „თავბრუდახვევა მიღწევებისაგან“ (სტალინი) და მრავალი სხვა.

შექსპირს მიეწერება ფრთოსანი გამოთქმა: „ყოფნა—არყოფნა“, „მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრს შეუძლია წავიდეს“, არქიმედეს— „ვერიკა—ვიპოვე“, ი. კეისარს— „veni, vidi, vici (მოველ, ვნახე, ვძლიე)“, და სხვ.

§ 24. ანდაზები და გამოცანები. ანდაზა—მოკლე ხატოვანი გამონათქვამია, რომელშიც გარკვეული სიბრძნეა ჩაქსოვილი, ქუთის სწავლებაა. გამოცანა—ხატოვანი შეფარვითი გამოთქმაა, რომელიც არ წარმოადგენს მთლიან ფრაზას, წინადადებას, და ამით განსხვავდება ანდაზი. საგან. ამავე დროს იგი არც დარიგება და ქუთის სწავლებაა. როგორც ეს ახასიათებს ანდაზას. მაგალ., „სწავლა სიბერემდის კაცს არ მოსკარბდება“, „ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის“, „რეგენი საემეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსა“, „წყალი რომ დაგუბდება, აყროლდება“, და სხვ.

ქართული ენის ლექსიკონები

§ 25. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, „სიტყვის კონა“ შედგენილია მე-17 საუკუნის 90-იან წლებში და შევსებულ-შესწორებულია შემდეგ. ლექსიკონი სისრულით, განმარტებათა სიზუსტით და მნიშვნელობით სანიმუშოა, ქართულ ლექსიკოგრაფიაში მას პადალი არ უჩანს. ავტორს მისი შედეგისათვის შეუსწავლია და გამოუყენებია 140-ზე მეტი ქართული წყარო. იგი განმარტების დროს მიუთითებს, სად გვხვდება ესა თუ ის სიტყვა. გამოუყენებია როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლიტერატურა. ზოგიერთი წყაროდან მას 200-300 სიტყვა ამოუკრებიდა, ზოგიერთიდან თითო-ოროლა. ნაჩვენებია სიტყვების წარმომავლობაც, მითითებულია, რომელი ენიდანაა შემოსული გასამარტავი სიტყვა. საბამ, ეტყობა, იცოდა სპარსული, თურქული, სომხური, იტალიური ენები, შემდეგ რუსულიც უნდა შეესწავლოს. ავტორი ამბობს: „რომელიცა ვიცოდი, დავწერე და რომელიცა ძნელნი სიტყუანი არ ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვიძიე და რომელიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელიცა ეპოე, ადვილად თანა მოვაწერე. რომელიცა ვერა ვპოე, საცილობელი არ დავწერო“. ლექსიკონში განმარტებულია ცოცხალი მეტყველებიდან აღებული სიტყვებიც.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი გამოცემულია სამჯერ: პირველი გამოცემა ეკუთვნის რაფიელ ერისთავს (.884 წ.), მეორე — პროფ. იოსებ ყიფშიძესა და პროფ. ა. შანიძეს (1927 წ.), მესამე — დოც. სოლომონ იორდანიშვილს (1949 წ.).

§ 26. დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“. პროფ. დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ დაიბეჭდა 1887 წელს პეტერბურგში. ესაა პირველი ვრცელი წიგნი (შეიცავს 1779 გვერდს), სადაც ფართოდაა წარმოდგენილი ქართული ლექსიკა რუსული თარგმანით. „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ ძირითადად ეყრდნობა ს. ორბელიანის ლექსიკონს, ოღონდ უფრო ვრცელია. ავტორს გამოუყენებია დიდძალი მასალა თავისი ლექსიკონის შესადგენად: ქართული ბიბლიის ტექსტები, „ქართლის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“, „აბდულ-მესია“, „თამარბანი“, „არჩილიანი“, „გურამბანი“, „ამირან-დარეჯინი“, „ვისრამბანი“, ი. გოგებაშვილის „დღედა-ენა“ და სხვ. ჩუბინაშვილის ლექსიკონს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

§ 27. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. ესაა ლექსიკონი ახალი ქართული სალიტერატურო ენისა. იგი აღნუსხავს და განმარტავს ყველა სიტყვას, რაც კი არის დამკვიდრებული ამჟამად სიტყვაკაზმულ მწერლობაში, სამეცნიეროსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში და, საერთოდ, წიგნის მეტყველებაში. ლექსიკონი გვიჩვენებს, რა ლექსიკური მარაგი მოეპოვება ჩვენს ენას, ხელშესახებს ხდის, როგორ გამ-

დიდრდა ქართული ენის ლექსიკა საბჭოთა პერიოდში და რა წყაროები აქვს მას შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“ აქვეყნებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. მისი მთავარი რედაქტორია პროფ. არნ. ჩიქობავა. სულ გამოვა 8 ტომი. ჯერჯერობით გამოსულია სამი ტომი. (I ტ. 1950 წ., ტომის რედაქტორი—პროფ. არნ. ჩიქობავა; II ტ. 1951 წ., ტომის რედაქტორი—პროფ. გ. წერეთელი; III ტ. 1953 წ., ტომის რედაქტორი—პროფ. ვ. თოფურია).

§ 28. „ქართული ხატოვანი სიტყვა თქმანი“ (თედო სახოკიასი). ლექსიკონში თავმოყრილია ხატოვანი სიტყვები, ქართული ფრაზეოლოგიისა და ილიომური გამოთქმების ნიმუშები. ამრიგად, ლექსიკონი ასახავს ისეთ სიტყვა-გამოთქმებს, რომელთაც დაკარგული აქვთ თავდაპირველი მნიშვნელობა და ჩვენი ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე განზოგადებული მნიშვნელობა მიუღიათ. ავტორს დროდადრო უგროვებია და წიგნში შეუტანია ხალხში ამა თუ იმ სიტყვა-თქმასთან დაკავშირებული გადმოცემები, გააზრებანი და დაკვირვებები. მაგალითები ამოკრებილია შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის, ს. მგალობლიშვილის, ე. გაბაშვილის, გ. ლეონიძის და სხვათა ნაწარმოებებიდან.

„ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ გამოსულია სამ ტომად პროფ. გ. ჩიტაიასა და შ. ძიძიგურის რედაქციით (I ტ.: 1950 წ.—შოთა ძიძიგურის რედაქციით, II-III ტ.: 1954-1955 წ.—გიორგი ჩიტაიას რედაქციით).

§ 29. „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ (ალ. ნეიმანისა). ლექსიკონში შესულია როგორც ძველი, ამეამად უკვე გადაშენებული, ისე დღევანდელ ენაში არსებული სინონიმური სიტყვა-გამოთქმები. ამ მიზნით ავტორს შეუსწავლია როგორც ლიტერატურული ძეგლები, ისე ხალხური მეტყველება და ამოუკრებია დიდძალი მასალა. ალაგ-ალაგ მოცემულია ფრაზეოლოგია „ვეფხისტყაოსნიდან“, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ალ. ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის, შ. არაგვისპირელის, ნ. ლომოურის და სხვათა ნაწარმოებებიდან.

„ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“ გამოქვეყნდა 1951 წელს პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით.

§ 30. „ორთოგრაფიული ლექსიკონი“. ქართული სასკოლო „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (ე. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი) მოწოდებულია ერთგვარობა დაამყაროს ამა თუ იმ სიტყვისა თუ მისგან ნაწარმოებ ფორმათა მართლწერაში. შეტანილია ის სიტყვები (თუ ფორმები), რომელთა დაწერისას შეცდომები მოსდის მოსწავლეებს. მასალები ამოღებულია მხატვრული, პოლიტიკური, საბეცნიერო და სასწავლო ლიტერატურიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან და განსაკუთრებით მოსწავლეთა ნაწერებიდან. წიგნში წარმოდგენილია 19.000-მდე სიტყვა. ლექსიკონი ემყარება იმ ნორმებს, რომლებიც მიღებულია და დამტკიცებული.

ფონეტიკა და გრაფიკა

§ 31. ჩენი მეტყველება შედგება სიტყვებისაგან. ავიღოთ წინადადება: „ტყემ მოისხა ფოთოლი“. სიტყვების ამ შეწყობით გარკვეული აზრია გამოთქმული; მოცემული წინადადება სამი სიტყვისაგან („ტყემ“, „მოისხა“, „ფოთოლი“) შედგება. თითოეული ამ სიტყვათაგანი დაიშლება უმარტივეს ელემენტებად — ბგერებად. სიტყვაში — „ტყემ“ ოთხი ბგერაა: ტ, ყ, ე, მ, სიტყვაში — „მოისხა“ — ექვსი: მ, ო, ი, ს, ხ, ა. სიტყვაში — „ფოთოლი“ აგრეთვე ექვსი: ფ, ო, თ, ო, ლ, ი.

ადამიანის მეტყველება ნაწვევრდება ბგერებად; იმ ბგერას, რომლის საშუალებით ვასხვავებთ სიტყვათა მნიშვნელობას (თ ა რ ო — ტ ა რ ო. ქ ა რ ი — კ ა რ ი, გ ვ ა რ ი — ლ ვ ა რ ი), ეწოდება „ფონემა“.

ბგერა შეიძლება დაიწეროს ან დაიბეჭდოს, ეს იქნება ბგერის წერილობითი გამოსახულება. ბგერის წერილობით გამოსახულებას ასო ეწოდება. ამრიგად, ბგერა წარმოთქმულია, ასო — დაწერილი. ასოები სამეტყველო ბგერების პირობითი ნიშნებია.

§ 32. ბგერის წარმოთქმა. ბგერის წარმოთქმა ხდება ადამიანის საწარმოთქმო ორგანოების, საწარმოთქმო აპარატის საშუალებით. საწარმოთქმო ორგანოები სამ ძირითად ნაწილად იყოფა. ესენია: სასუნთქი აპარატი, ხორხი, ხახა-ცხვირ-პირის ღრუები. თითოეული ამთაგანი კიდევ იყოფა თავ-თავის ნაწილებად.

სასუნთქი აპარატის ნაწილებია: სასუნთქი მილი, ფილტვები და ღიაფრაგმა. სასუნთქი მილი შედგენილია ხრტილოვანი რგოლებისაგან და დაფარულია ლორწოვანი გარსით; იგი ხორხის ქვეშ იწყება და წარმოადგენს ჰაერნაკადის სამოძრაო გზას ფილტვებიდან გარეთ (ამოსუნთქვა) და გარედან ფილტვებისაკენ (შესუნთქვა). ფილტვები მოთავსებულია გულ-მკერდის ღრუში. ღიაფრაგმა ფართო კუნთია, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფს გულ მკერდისა და მუცლის ღრუებს. მისი შეკეპშვა იწვევს შესუნთქვა-ამოსუნთქვას.

ხორხი სასუნთქი მილის ზედა გაფართოებული ნაწილია. ხორხის შიგნით მოთავსებულია ორი სახმო სიმი.

ხახა-ცხვირ-პირის ღრუები, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, სამი ღრუს გაერთიანებაა. პირის ღრუს ქმნის ქვედა ყბა და ზედა ყბა კბილ-

ბითა და ლოყების კედლებითურთ. პირის ღრუს ზევიდან ხურავს სასა—
მაგარი და რბილი. პირის ღრუშივე მოთავსებულია ენა. ბგერის წარ-
მოთქმისათვის გარკვეულ როლს ასრულებენ აგრეთვე ტუჩები.

ამრიგად, მეტყველების პროცესში მონაწილეობას იღებენ: სასუნთქი
მილი, ფილტვები, დიაფრაგმა, ხორხი, სახმო სიმები, ხახის ღრუ, ცხვი-
რის ღრუ, პირის ღრუ, ყბა, კბილები, ლოყების კედლები, სასა, ნუნები,
ენა, ბაგეები.

ბგერის წარმოსათქმელად საჭიროა ჰაერი, რომელსაც გვაწვდის
ფილტვები სასუნთქი მილით.

ჩამოთვლილი სამეტყველო ორგანოებიდან ზოგი აქტიურია, ზოგიც
პასიურია.

აქტიური საწარმოთქმო ორგანოებია: სახმო სიმები, ქვედა ყბა, ენა,
რბილი სასა ნაქითურთ, ხახის კედელი და ბაგეები. ისინი ბგერათწარ-
მოთქმაში აქტიურ როლს ასრულებენ: მოძრავნი არიან და მოქმედებენ
ურთიერთ მიმართ.

პასიური საწარმოთქმო ორგანოებია: კბილები, ნუნები და მაგარი
სასა. ისინი ბგერათწარმოთქმაში დამხმარე როლს ასრულებენ—მათ მი-
მართ მოქმედებენ აქტიური ორგანოები.


ხახის, პირისა და ცხვირის ღრუებს აქვთ სარეზონანსო დანიშნულება.

§ 33. ბგერის წარმოთქმის სამი მომენტი. ბგერის წარმოთქმის პირ-
ველი მომენტი, როდესაც სამეტყველო ორგანოები გამოდიან თავის
ჩვეულებრივი, უმოქმედო მდგომარეობიდან და მოგმზადებიან ბგერის
წარმოსათქმელად. ეს ხდება ისე სწრაფად, რომ წამის მეასედია საჭირო.
ამ პირველ მომენტს ეწოდება ბგერის შემართვა ანუ ექსკურსია.
მეორე მომენტი, როდესაც სამეტყველო ორგანოები შეასრულებენ
წარმოსათქმელი ბგერისთვის საჭირო მოძრაობას (ე. ი. ბგერა უკვე ის-
მის). ესეც სწრაფად ხდება, ოღონდ ეს მომენტი უფრო ხანგრძლივია,
ვიდრე პირველი მომენტი. ამ მეორე მომენტს ვეძახით ბგერის და-
ყოვნებას ანუ მწვერვალს. მესამე მომენტი, როდესაც ბგერა
უკვე წარმოთქმულია და ახლა სამეტყველო ორგანოები უბრუნდებიან
თავის ძველ მდგომარეობას, იმ მდგომარეობას, რომელიც ბგერის წარ-
მოთქმამდის იყო. ესეც ხდება სწრაფად, უფრო სწრაფად, ვიდრე მეორე
მომენტი. ამ მესამე მომენტს ეწოდება ბგერის დამართვა ანუ რე-
კურსია (როგორც ვხედავთ, ამ სამ მომენტთაგან ყველაზე ხანგრძლი-
ვია მეორე მომენტი, ე. ი. დაყოვნება).

ბგერის წარმოთქმის ეს სამი მომენტი სრულად და გამოკვეთილად
ჩანს ცალკე წარმოთქმულ ბგერაში. მაგრამ ბგერებს ჩვეულებრივ
წარმოვითქვამთ სიტყვაში და არა განცალკევებულად.

შემართვა შეიძლება ჰქონდეს ბგერას, რომლითაც იწყება სიტყვა,
დამართვა — ბგერას, რომლითაც თავდება სიტყვა, მაგრამ ბგერასა და
ბგერას შუა ასეთი მდგომარეობაა: რაკი ბგერებს ზედმიყოლებით წარ-

მოვთქვამთ (სიტყვაში) და არა განცალკევებულად, ამიტომ ჯერ არ იქნება დამართვა (ორგანოების უკმ მდგომარეობაში დაბრუნება) წინა ბგერისა, როდესაც სწრაფადღე უნდა მოხდეს მომდევნო ბგერის შემართვა (ორგანოების შემზადება ბგერის წარმოსათქმელად). ეს ორი მომენტი ერთმანეთთან გადახლართული იქნება. ავიღოთ სამი ბგერისაგან შემდგარი სიტყვა „ღრო“. აქ ღ-ს შემართვა ნორმალურია (როგორც აღინიშნა ბგერების განცალკევებულად წარმოთქმის დახასიათებისას), ო-ს დამართვა — ნორმალურია, მაგრამ იცვლება მდგომარეობა ღ-სა და რ-ს, ერთი მხრით, და რ-სა და ო-ს შორის, მეორე მხრით. რ ბგერის შემართვა იწყება არა ორგანოების უკმ მდგომარეობიდან. არამედ ღ ბგერის ჯერ დაუმთავრებელი მდგომარეობიდან: მომდევნო რ-ს შემართვამ არ დააცალა ღ-ს, რომ დამართვა დაესრულებინა. მაგრამ არც რ-ს შემართვაა სრული; არაა არც მისი დამართვა, რადგან მომდევნო ო-ს შემართვამ არ დააცალა მას, რომ დამართვა დაესრულებინა. სქემა ასეთია:



§ 34. ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები. სამეტყველო ბგერები იყოფა ხმოვნებად და თანხმოვნებად.

ხმოვნის წარმოთქმის დროს ჰაერი ხორხიდან პირის ღრუში თავისუფლად შემოდის. სამეტყველო ორგანოებში დაბრკოლებები არ ხვდება. პირის ღრუ მოცულობას და ფორმას იცვლის იმისდამხედვით, თუ რომელი ხმოვანი წარმოითქმის. ჰაერი ხმის სიმებს შეარხვეს და წარმოშობს ტონს. ხმოვანი ქართულში ხუთია: ა, ე, ი, ო, უ.

თანხმოვნის წარმოთქმის დროს ჰაერნაკადს დაბრკოლებები ხვდება სამეტყველო ორგანოების ან დახშვა-დაეკტილობის ან შევიწროების გამო. ამისდამხედვით, თანხმოვნები სხვადასხვაგვარია: ვთქვათ, თუ ჰაერნაკადს სრულიად დახშული არე გადაეღობა და ეს არე უნდა გამოაპოს, ხშულ თანხმოვნებს მივიღებთ (ქ, თ, ფ...), თუ შევიწროებული ნაპრალი უნდა გამოატანოს, ნაპრალოვან თანხმოვნებს ანუ სპირანტებს (ხ, შ...) მივიღებთ. ქართულში 28 თანხმოვანია: ბ, გ, დ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ, ნ, პ, რ, ხ, ტ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, ჯ, ჰ.

ასოებში

§ 35. ანბანი. ქართულ წერაში 33 ასოა. ისინი დალაგებულია გარკვეული წესით. ყველა ერთად აღებულ ამ ნიშნებს ეწოდება ანბანი ან უ ალფაბეტი. „ანბანი“ ა და ბ ასოების (პირველი ორი ასოს) სახელების შეერთებაა: ან + ბანი, „ალფაბეტი“ ბერძნული სიტყვაა და ისიც

ბერძნული ანბანის პირველი ორი ასოს სახელების შეერთებაა: ა ლ ფ ა - ქ ბ ე ტ ა .

ქართული ანბანია:

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ რ ს ტ უ ფ ქ ლ უ შ ჩ ც ძ წ ჳ ხ ჯ ჰ .

ასეთია ქართული ასოების დაბეჭდილი სახე. მაგრამ ხელნაწერში როდია სავალდებულო თითოეული მათგანი ასე იყოს გამოყვანილი, ნიშნების მოყვანილობა რამდენადმე სხვადასხვაგვარია სხვადასხვა პირის წერაში.

ყველაზე მეტი სხვაობა წერაში აქვთ შემდეგ ასოებს: დ-ლ-ო-რ-ჯ; დანარჩენები ასე თუ იქ ერთმანეთის მსგავსია.

ასოებს თავისი სახელწოდებები აქვთ. ეს სახელწოდებებია:

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ
ან ბან გან დონ ენ ვინ ზენ თან ინ კან ლას მან
ნ ო პ რ ს ტ უ ფ ქ ლ უ
ნარ ონ პარ ეან რაე სან ტარ უნ ფარ ქან ლან ყარ
შ ჩ ც ძ წ ჳ ხ ჯ ჰ
შინ ჩინ ცან ძილ კარ ხან ჯან ჰაე

ხმოვნები

§ 36. ხმოვანთა განსხვავებულობის საფუძველი. ხმოვნები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა მოყვანილობა აქვს პირის ღრუს, ე. ი. რამდენადაა პირი გაღებული, რა მდებარეობა აქვს ენას და როგორი ფორმა აქვს მიღებული ბაგეებს.

ა რომ წარმოითქვას, პირი ყველაზე უფრო ფართოდ უნდა იყოს გაღებული, ხოლო ენის უკანა ნაწილი — ოდნავ აწეული.

ბ-ს წარმოთქმისათვის აუცილებელია: 1. პირის ვიწროდ, ოდნავ გაღება, 2. ენის წინა ნაწილი აწეული უნდა იყოს და მიახლოებული მაგარ (წინა) სასასთან.

გ-ს წარმოთქმისათვის დამახასიათებელია პირის გაღება უფრო ვიწროდ, ვიდრე ა-ს წარმოთქმის დროს და უფრო ფართოდ, ვიდრე ბ-ს წარმოთქმის დროს; ასევე საშუალო ადგილით ხასიათდება ენის მდგომარეობა.

დ-ს წარმოთქმა მოითხოვს, რომ ქვედა და ზედა კბილები ახლოს მივიტანოთ (არც ისე, როგორც ბ-ს წარმოთქმისას) და ბაგეები მოკუმული გვეკონდეს, პატარა წრისებურად; ენის უკანა ნაწილი აწეულია და უკანა სასასთან მიახლოებული.

ე-ს წარმოთქმის დროს ბაგეებს და ენას საშუალო მდებარეობა აქვს ა-სა და უ-ს წარმოთქმისთან შედარებით.

§ 37. ხმოვანთა ხაში რიგი. იმის მიხედვით, თუ ენის ზურგის რომელი ნაწილი აიწევა სასის მიმართულებით, არჩევენ ხაში რიგის ხმოვანს:

წინა, შუა და უკანა რიგის ხმოვნებს. ქართულში წინა რიგის ხმოვნებია ე და ი, შუა რიგისა — ა, უკანა რიგისა კი — ო და უ.

წინა რიგის ხმოვნების წარმოთქმის დროს ენის წვერი დაშვებულია და მოთავსებულია ქვედა კბილებთან, ენის ზურგის წინა ნაწილი კი აიწევა მაგარი სასის მიმართულებით. თუ გამოსავლად მივიჩნევთ ა-ს მდგომარეობას, ენის ზურგის მიმართულებაა წინ და ზევით.

შუა რიგის ხმოვნის (ე. ი. ა-ს) წარმოთქმის დროს ენის ზურგი ნეიტრალურ მდგომარეობაშია, უკან ოდნავ აწეული.

უკანა რიგის ხმოვნების წარმოთქმის დროს ენის ზურგის უკანა ნაწილი აიწევა რბილი სასის მიმართ; ენის წვერი დაშვებულია და დაწორებულია ქვედა კბილებს.


§ 34. ხმოვანთა აწეულობის საში საფეხური. იმის მიხედვით, თუ რამდენად აიწევა ენის ესა თუ ის ნაწილი სასისაკენ, გვექნება აწეულობის საში საფეხური: მაღალი, საშუალო და დაბალი.

მაღალი აწეულობის ხმოვნებია ქართულში ე და უ. მათი წარმოთქმის დროს ენა აწეულ მდგომარეობაშია (ე-სთვის ზურგის წინა ნაწილით, უ-სთვის — უკანა ნაწილით).

საშუალო აწეულობის ხმოვნებია ე და ო. მათი წარმოთქმის დროს (ე-სთვის ენის ზურგის წინა ნაწილით, ო-სთვის — უკანათი) საშუალო ადგილი უკავია მაღალი აწეულობის ხმოვნებთან და დაბალი აწეულობის ხმოვნებთან შედარებით.

დაბალი აწეულობის ხმოვანია ა. მისი წარმოთქმის დროს ენა ყველა ხმოვნისაზე დაბლაა.

§ 35. ხმოვანთა სამკუთხედი. დასკვნა იმისა, რაც ითქვა § 37, 38-ში. შეიძლება სქემატურად წარმოვადგინოთ სამკუთხედის სახით:



გამოსავალი წერტილია ა (მოთავსებული სამკუთხედის მწვერვალზე) ენის აწევის ორი მიმართულებისათვის: წინ და ზევით; უკან და ზევით: ა-ე-ბ, ა-ო-უ. აწეულობის ყველაზე მაღალი საფეხურია ე-უ, საშუალო

საფეხურია ე-ო, ყველაზე დაბალი აწეულობის საფეხურზეა ა. აქედან ისიც ჩანს, რომ ხუთ ხმოვანში ყველაზე წინა. რიგისაა ი, ყველაზე უკანაა უ, ყველაზე ვიწროებია ი-უ, ყველაზე ფართოა ა.

თანხმოვნები

§ 40. თანხმოვნები წარმოების ადგილის მიხედვით. იმის მიხედვით. თუ რა ადგილას იწარმოება ანუ რომელი სამეტყველო ორგანოს საშუალებით ხორციელდება ესა თუ ის თანხმოვანი, ვლებულობთ თანხმოვანთა სხვადასხვა ჯგუფს. თანხმოვანი შეიძლება იწარმოებოდეს ბაგეებთან. კბილებთან ან სხვაგან. ამის მიხედვით გვაქვს ბაგისმიერი კბილისმიერი და სხვ. თანხმოვნები.

ბ ა გ ი ს მ ი ე რ ი თანხმოვნებია: ბ, ფ, პ, მ. ბაგეები (ქვედა და ზედა) ერთმანეთს ეკვრის. ჰაერის ტალღა მათ გამოაპობს, რისი შედეგიცაა ამ ბგერების წარმოქმნა.

კ ბ ი ლ ი ს მ ი ე რ ი თანხმოვნებია: დ, თ, ტ. მათ წარმოსათქმელად ენის წვერი ზედა კბილებს ებჯინება. ისინი ხშულებია.

კ ბ ი ლ - ბ ა გ ი ს მ ი ე რ ი თანხმოვანია სპირანტი ვ. იგი წარმოითქმება ქვედა ბაგის მიახლოებით ზედა კბილებთან.

ნ უ ნ ი ს მ ი ე რ ი თანხმოვნები იყოფიან: 1. საკუთრივ ნუნისმიერებად: ნ, ლ, რ. 2. წინა ნუნისმიერებად: ძ, ც, წ, ზ, ხ. 3. უკანა ნუნისმიერებად: ჯ, ჩ, ჭ, თ, შ.

ნუნისმიერი ნ-ს წარმოსათქმელად საჭიროა, რომ ენის წვერი მიებჯინოს ნუნისა და კბილის საზღვარს; ჰაერნაკადი ცხვირის ღრუში გადის, ლ-ს წარმოსათქმელად ენის წვერი ებჯინება ნუნებს, ენის გვერდებზე კი ჩნდება ნაპრალი, სადაც ჰაერი გამოდის. იგი ხშულიცაა (რაკი ენა მიბჯენილია ნუნებზე) და ნაპრალოვანიც (რაკი ენის გვერდებზე ნაპრალებია). რ-ს წარმოსათქმელად ენის წვერი ებჯინება ნუნებს და თრთის. ამიტომ იგი მთრთოლარე ბგერაა. ნ, ლ, რ-ს ნ ა რ ნ ა რ ა ბგერებსაც უწოდებენ.

წინა ენისმიერი ძ, ც, წ მიიღება ენის წვერის მიბჯენით ნუნებზე. ისინი ხშულებია. ზ, ხ ბგერების წარმოსათქმელად წინა ენა მიახლოებულია ნუნებთან და აჩენს ნაპრალს. ამიტომ ისინი ნაპრალოვანი (სპირანტი) თანხმოვნებია.

უკანა ნუნისმიერები—ჯ, ჩ, ჭ მიიღება წინა ენის ზურგის მიბჯენით ნუნის უკანა მხარესთან. ისინი ხშულებია. წინა ენის ზურგი აწეულია და მიახლოებული ნუნების უკანა ნაწილთან ნაპრალის გაჩენით, მივიღებთ თ, შ თანხმოვნებს. ისინი ნაპრალოვნებია.

ზოგიერთი ნუნისმიერი ბგერის (ძ, ც, წ, ზ, ხ) წარმოქმნაში ერთგვარი სისინი ისმის და ამიტომ მათ ს ი ს ი ნ ა ბგერები ეწოდება, ზოგიერთს (ჯ, ჩ, ჭ, თ, შ) კი შიშინი ახლავს და ამიტომ მათ შ ი შ ი ნ ა ბგერებს ეუწოდებთ.

უკანა სასისმიერი თანხმონებია: გ, კ, ქ, ლ, ხ. პირველი სამის (გ, კ, ქ) წარმოთქმა ხორციელდება უკანა ენის ზურგის მიბჯენით რბილ სასახე. ისინი ხშულებია. თუ უკანა ენის ზურგი ახლოს მივიდა რბილ სასასთან და ნაპრალი გააჩინა, მივიღებთ ლ, ხ თანხმონებს. ისინი ნაპრალოვნებია.

ხახისმიერი თანხმონებია ყ. მის წარმოსათქმელად საჭიროა უკანა ენის ძირი მიებჯინოს ხახის უკანა კედელს. იგი ხშულია.

ხორხისმიერი თანხმონებია ჰ. ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადი ეხეხება შევიწროებულ ხორხის კედლებს, სადაც ნაპრალია გაჩენილი, ხმის სიმები კი არ ირხევიან. ვლებულობთ ჰ-ს. იგი ნაპრალოვანია.

ცხვირისმიერი თანხმონებია: მ, ნ. საერთოდ, თანხმონები (და ხმონებიც) ისე წარმოითქმიან, რომ ჰაერნაკადი პირის ღრუსაკენ მოედინება, ცხვირის ღრუ დახშულია. მ, ნ ბგერების წარმოსათქმელად კი ჰაერის ტალღისათვის გზა გახსნილია ცხვირის ღრუშიც. ამიტომ მათ ცხვირისმიერი თანხმონები ეწოდება.

§ 41. თანხმონებო წარმოების რაგვარობის მიხედვით. არის ბგერები, რომელთა წარმოთქმის დროს ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადი სახმო სიმებში გამოვლისას არხეგს სიმებს და ამის შედეგად გამოსცემს გარკვეულ ხმას. ეს ხმა წარმოადგენს ბგერის ტონს. არის ისეთი ბგერებიც, რომელთა წარმოსათქმელად ჰაერნაკადი არ არხეგს, არ აელერებს სახმო სიმებს, ისინი ჩქამს გამოსცემენ, ყრუდ მოისმიან. ე. ი. არსებულია ტონიანი და უტონო (ჩქამიერი) ბგერები. ტონიანობა-უტონობის მიხედვით თანხმონების დაყოფა მათი წარმოების რაგვარობის მიხედვით დაყოფა იქნება.

§ 42. მჟღერი თანხმონები. ტონის გამომცემ თანხმონებს მჟღერი თანხმონები ეწოდება (მჟღერია ყველა ხმონებიც).

მჟღერი თანხმონებია ბ, გ, დ, ვ, ზ, ლ, მ, ნ, თ, რ, ლ, ძ, ჯ.

§ 43. ყრუ თანხმონები. თანხმონებს, რომელთა წარმოთქმისას ტონი არ მონაწილეობს, ყრუ თანხმონები ეწოდება. ასეთებია: თ, კ, პ, ხ, ტ, ფ, ქ, ყ, შ, ჩ, ც, წ, ჭ, ხ, ჰ.

ყრუ თანხმონები იყოფა ორ ჯგუფად — მკვეთრებად და ფშვინვიერებად.

მკვეთრია ის ბგერა, რომლის წარმოსათქმელად ხორხის ნაპრალი დაკეტილია და საკმარისია ჰაერის ის მარაგი, რომელიც პირის ღრუშია. მის წარმოთქმას სწრაფად მოჰყვება დახშული ყელის სკდომაც (სახმო სიმები იღება). ასეთი ბგერა ყელ-ხშულია.

მკვეთრებია: ტ, წ, ჭ, კ, ყ, ჰ.

ფშვინვიერია ის ბგერა, რომლის წარმოთქმისას ხორხის ნაპრალი ღიაა და მასში მოედინება ჰაერნაკადი: ამ დროს ისმის ფშვინვა (ასპირაცია).

ფშვინვიერებია: თ, ფ, ქ, ჩ, ც.

§ 44. სამეულები, წყვილეულები, ცალეულები. ზოგი თანხმოვანი სამეულის წევრია, ზოგი წყვილეულისა და ზოგიც არც ერთისა და არც მეორისა—ცალად არსებობს. ასე მაგალითად. ბაგისმიერებია როგორც ბ, ისე პ და ფ, ე. ი. ისინი ერთიანდებიან წარმოების ადგილის მიხედვით, მაგრამ მათგან წარმოების გვარობის მიხედვით ერთი მელერია (ბ), მეორე მკვეთრი (პ), მესამე ფშვინიერი (ფ). აქედან ჩანს, რომ ზოგიერთ მელერს წარმოების ადგილის მიხედვით შეეფერება ერთი მკვეთრი და ერთი ფშვინიერი. ასეთი სამეული ქართულში ხუთია:

	ბაგისმიერი	კბილისმიერი	წინა ნუნისმიერი	შუა ნუნისმიერი	შუა სასისმიერი
მელერი	ბ	ქ	ძ	ჯ	გ
ყრუ	მკვეთრი	პ	ჭ	კ	კ
	ფშვინიერი	ფ	ც	ჩ	ქ

არის ისეთი მელერებიც (სულ სამი), რომელთაც შეეფერება თითო ყრუ. ისინი წყვილეულებია: ზ—ს, ე—შ, ლ—ხ.

	წინა ნუნისმიერი	შუა ნუნისმიერი	შუა სასისმიერი
მელერი	ზ	შ	ლ
ყრუ	ს	შ	ხ

ისეთი მელერები, რომლებსაც არ შეეფერება ყრუ და განმარტობით დგანან, ცალეულებია. ესენია: ვ, მ, ნ, რ, ლ. ცალეულია ზოგიერთი ყრუც. ესენია პ, ყ.

ცალეულთა სქემა:

მელერი	ვ მ ნ რ ლ
ყრუ	პ ყ

საქართველო 9. ამოიწერეთ ა. წერეთლის ლექსიდან „მოცი“ მელერი, ფშვინიერი და მკვეთრი თანხმოვნები.

§ 45. რთული თანხმოვნები. ზოგიერთი თანხმოვანი დაიშლება მარტივ თანხმოვნებად. ასეთ თანხმოვნებს რთული თანხმოვანი ანუ

აფრიკატი ეწოდება. ასეთებია ქართულში: ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ფ. ეს აფრიკატები ასე დაიწმინდა: ძ = დ + ჯ, ც = თ + ხ, წ = ტ + ხ, ჯ = დ + ჟ, ჩ = თ + შ, ჰ = ტ + შ. თითოეული აფრიკატის შემადგენლობაში, როგორც ჩანს, პირველია ხშული, მეორე — ნაპრალოვანი. სწორედ მათი შერწყმულობა ჰქმნის მთლიან განუყოფელ თანხმოვანს: ძ არის დ ჯ კომპლექსის შერწყმა, ც თს კომპლექსისა, წ ტს კომპლექსის და ა. შ. გარდა ამისა, აფრიკატის შემადგენელი თანხმოვნები მკვდრობა-სიყრუით ერთნაირია: ან ორივე მკვდრია (დ + ჯ = ძ), ან ორივე ყრუ (თ + ხ = ც).

§ 46. თანხმოვანთა ჰარმონიული ჯგუფები. როგორც ვიცით, ყოველ ბგერას თავისი შემართვა აქვს. მაგრამ არის ისეთი თანხმოვნების ჯგუფიც, ე. ი. ერთმანეთზე მიჯრილი ორი თანხმოვანი, რომელთაც ერთი შემართვა აქვთ. ამგვარ ჯგუფს ჰარმონიული ჯგუფი ეწოდება. ჰარმონიული ჯგუფებია: თხ, ცხ, ჩხ, ზღ, ღღ, ძღ, ჯღ, ბჟ, ტჟ, წჟ, ჰჟ, ფჟ.

საგვარჯიშო 10. მოძებნეთ ამ ჯგუფების შემცველი სიტყვები.

§ 47. ძველი ასოები. ქართულ ანბანში მოიპოვება კიდევ რამდენიმე ასო, რომლებიც ახალ სალიტერატურო ენაში აღარ იხმარება; ისინი ძველ ქართულში იხმარებოდა და მოაღწია მე-19 საუკუნის შუა წლებამდე. მათი უწყუღდება დაასაბუთა ილია ჭავჭავაძემ: ამ ასოების შესაბამისი ბგერები ახალ ქართულ ენაში აღარ არიან და რა საჭიროა მათი ხმარებამო. ეს ასოებია: ა, ო, უ, ჯ, ჳ, ჴ, ჵ, ჶ.

ა (ეწოდება: იე, იოტა) ი-ს დასუსტებული სახეა. უმარცვლო ო. ზოგჯერ ნახევარხმოვანს უწოდებენ. წარმოითქმება ენის შუა წელის მიახლოებით მაგარ სასასთან. ძველ ქართულში ა იხმარება ხმოვნის შემდეგ და შეადგენს ერთ მარცვალს (აა, ეა, ოა, უა). მაგალითები: დედაა, ძეა, წყაროა, ძუძუა.

ო ხმოვანია (ეწოდება ეი), რომელიც მაშინ გვხვდება, როცა მოსალოდნელია ეა. ჩვეულებრივ ე-ზე გათავებული ფუძეების სახელობითში იწერებოდა: დღე, ხე, სიძე. გვხვდებოდა ე-ბოლოკიდურნიანი საკუთარი სახელების ნათესაობით ბრუნვაში: ელენეს, პავლეს. ფუძეში მხოლოდ „შენება“ სიტყვაში იჩენდა თავს: შშენება.

უ. ძველ ქართულში იყო ორნაირი უ: მარცვლიანი და უმარცვლო. მაგალ., სიტყვებში: ყრუა, საუკუნოა და მისთ. უ მარცვალს ჰქმნიდა, მაგრამ სიტყვებში: ვარსკულავი, ჯუარი, მარჯუე, ჩუენ და მისთ. უ უმარცვლო იყო. წარმოთქმაში ეს ორი უ ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, მაგრამ წერაში ერთნაირად აღინიშნებოდა. მე-18 საუკუნეში ეს ორი უ წერაშიც განასხვავეს: უმარცვლო უ-ს თავზე დაახურეს ეს ნიშანი: Ⴀ, რომელსაც დაერქვა ბრჯგუ და მივიღეთ უ ბრჯგუ: უ: ვარსკულავი, ჯუარი, მარჯუე... ამიტომ ამ ასოს დაერქვა „უბრჯგუ“.

ჳ (ეწოდება ვიე) ორი ასოს შეერთებაა: უ + ი: მიკვრს (= მიკუირს), ჩემთჳს (= ჩემთუის), თაგჳ (= თაგუი).

3 (ეწოდება კარი) ხახისმიერი ყრუ ფშვინევიერი ბგერაა და გარკვეულ ძირებში იხმარებოდა. მაგალითები: ვენავი, მუცი, მუკლი, კაუა, თოკი. კშირი. ახალ ქართულში კ-ს ადგილას ზ იხმარება: ვენახი, მხეცი... ძველ ქართულში ის იმდენად განსხვავებული იყო ზ ბგერისაგან, რომ სხვა სიტყვა იყო „კელი“ და სხვა—„ხელი“: პირველი გამოხატავდა ადამიანის სხეულის ორგანოს (ადამიანის ხელი) და მეორე—გიჟს, სულელს (აქედანვე დღევანდელი „გახელებული“). 3 ამჟამად კილოებში იხმარება (ხევსურულში, ფშაურში, თუშურში, ქიზიყურში და სხვაგან).

ჟ (უწოდებდნენ ოჰ-ს, ამჟამად ჰქვია ჰოე). იგივე ო ხმოვანია, ოღონდ უ-საყენ გადახრილი, დაახლოებით ასე გამოითქმოდა: ოჟ, ოფ. ეს ასო ბერძნულ ასოს—ომეგას გადმოსცემდა: კლემჰა. ქართულ ძირებში კი არ გვხვდებოდა. ზოგჯერ წინ მიუძღოდა წოდებითში დასმულ სიტყვას: ჟ ბეთლემო, ჟ უხრწნელო.

ჭ კბილბაგისმიერი ყრუ სპირანტია, დაახლოებით უდრის რუსულ ჟ-ს. იხმარებოდა მხოლოდ იმ სიტყვებში, რომლებიც უცხოურია და სხვა ენებში ჭ-თი იწერება. ეს ის ბგერაა, რომელიც ქართულში ფ-თი გამოიხატება (მაგ., ფაქტი, ფედერაცია, ფრონტი). შემოსულია ჩვენს ენაში ბერძნულის, სპარსულის და რუსულის გავლენით. ამ სახით—ჭ—ეს ასო მე-18 საუკუნეში შემოიღეს რუსულის გავლენით.

§ 48. ქართული დაწერილობის განვითარება. იმ ქართულმა ანბანმა, რომელიც ამჟამად იხმარება, განვითარების დიდი გზა განვლო. ქართული დაწერილობის პირველი საფეხურია მრგლოვანი დაწერილობა, რომელზედაც შესრულებულია უძველესი ქართული წარწერები და ხელნაწერები. მრგლოვანი გამოყენებული იყო მე-5 საუკუნიდან მე-9 საუკუნემდე. „მრგლოვანი“ იმიტომ ეწოდებოდა, რომ ასოებს მრგვალი მოყვანილობა ჰქონდა. შემდეგი საფეხურია ნუსხური დაწერილობა, რომელიც გაბატონებული იყო მე-11 საუკუნემდე. ასოები კუთხურია და არა მრგლოვანი. მე-11 საუკუნიდან გაბატონებულია ნუსხურის განვითარება—მხედრული დამწერლობა. კუთხოვანმა ასოებმა ისევ მრგვალი მოყვანილობა მიიღო. მხედრული თანდათან დაიხვეწა და მიიღო ის სახე, რომელიც ხმარებაშია ამჟამად.

მრგლოვანს და ნუსხურს ზოგჯერ „ხუცური“ უწოდებენ. ეს იმიტომ. რომ, მართალია, მე-11 საუკუნიდან გაბატონებულია ჩვენი ანბანის მხედრული სახეობა, მაგრამ პარალელურად არსებობდა მრგლოვანი და ნუსხური, რომლებიც უმთავრესად საეკლესიო მიზნებისათვის იყო გამოყენებული; ამიტომ ეწოდა მას „ხუცური“.

§ 49. რიცხვების გამოხატვა ასოების საშუალებით. მე-18 საუკუნემდის ჩვენში რიცხვების გამოსახატავად უმთავრესად გამოყენებული იყო ასოები. თუმცა ციფრებიც არსებობდა. წესი ასეთია: ანბანის 36 ასოთაგან პირველი ცხრეული ერთეულებს აღნიშნავს, მეორე ცხრეული—ათეულებს, მესამე—ასეულებს, მეოთხე კი ათასეულებს. სახელდობრ:

ა იყო ერთი, ბ ორი, გ სამი და ა. შ.; ე ათი, კ ოცი, ლ ოცდაათი. მ ორმოცი, ნ ორმოცდაათი და ა. შ.; რ ასი, ხ ორასი, ც სამასი და ა. შ.; ჩ ათასი, ც ორი ათასი, შ სამი ათასი, და ა. შ. ჭ კი ათი ათასს აღნიშნავდა (ძველად მას „ბევრს“ უწოდებდნენ). მაგალითები: ია-11, იბ-12, ია-21, იგ-23, მა-41. ეა-91, ცტზ-2357, ხრიე-6116.

ც ბ რ ი ლ ი:

	1	2	3	4	5	6	7	8	9
ვრთეულები	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	თ
ათეულები	ი	კ	ლ	მ	ნ	ა	ო	პ	ჟ
ასეულები	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ
ათასეულები	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჯ	ჰ
ბევრეული	გ								

ს ა ვ ა რ ჯ ი შ თ 11. რამდენია: ჩნგ, რა, ყი, ქქო, რია, სკ, ფჰე, ლბ: 2. გამოზატეთ ასოებით: 666, 3468. 4083, 7202, 8524, 9999, 10756, 13850.

§ 50. ქართული წელთაღრიცხვა. 780 წლიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის დასაწყისამდე საქართველოში თითქმის საყოველთაოდ გაბატონებული იყო ე. წ. ქართული წელთაღრიცხვა. იგი ნაანგარიშეა 532-წლიანი მოქცევის ანუ ციკლის მიხედვით. დასრულდებოდა ერთი ასეთი მოქცევა ანუ ციკლი და დაიწყებოდა მეორე, მერმე მესამე და ა. შ. 780 წელს დასრულდებულა, როგორც მაშინ ფიქრობდნენ, 12 ციკლი ქვეყნის გაჩენიდან და შემდეგ დაწყებულა. მე-13. მე-13 კი დასრულდა 1312 წელს ($780+532=1312$), შემდეგ დაიწყო მე-14 ციკლი. რომელიც დასრულდა 1844 წელს, და ა. შ. ხუთას ოცდათორმეტიანი ციკლის ანგარიშის დროს არ იყო სავალდებულო დაესახელებინათ. რომელი მოქცევა იყო, ასახელებდნენ მიმდინარე წლის რაოდენობას. მაგალ., ასე: ქორონიკონსა პირველსა, ორსა, სამსა... ხუთას ოცდათორმეტსა. ამ უკანასკნელს არ გადაშორდებოდა მოქცევის წელი, შემდეგ ისევ მოჰყვებოდა: ქორონიკონსა პირველსა, მეორესა და ა. შ. თუ გვინდო გადმოვიყვანოთ ასეთი სათვალავი დღევანდელზე, მოცემული რაოდენობა წლებისა უნდა მიეუმატოთ ან 780-ს (თუ ვარაუდით იგი მე-13 მოქცევას ეკუთვნის), ან 1312-ს (თუ იგულისხმება მე-14). მაგალ., ატენის

წარწერაში ვკითხულობთ: „თთუესა აგუსტოსსა ე-სა, დღესა შაბათსა. ქრონიკონსა ოგ-სა ი (სმაიტელთა) წელსა ხლთ-სა ქალაქი ტფილისი დაწუა ბულა და შეიპყრა ამირაჲ საჰაკ და მოკლა. და მასვე თთუესა აგუსტოსსა კვ-სა, დღესა შაბათსავე, ზირაქ შეიპყრა კახაჲ და ძმ მისი თარკუჯი“. აქ ოგ (73) თანამედროვე ანგარიშით იქნება 853 წ. (780+73), ასევე, მაგალითად, ქორონიკონი 81 უდრის 861 წელს (780+81). ქორონიკონი 223 უდრის 1003 წელს (780+223).

მარცვალნი

§ 51. ყოველი სიტყვა იყოფა ნაწილებად იმის მიხედვითაც, თუ რამდენჯერ მოაწვება ჰაერნაკადი. მაგალ., სიტყვა დედა ამ თვალსაზრისით ორ ნაწილად დაიშლება: დე-და, ასევე: სალამი: სა-ლა-მი, საქართველო: სა-ქარ-თვე-ლო, დაიწყო: და-ი-წყო.

მარცვალნი უთუოდ შეიცავენ ხმოვანს, უხმოვნოდ მარცვალნი არ არსებობს. მარტოდენ თანხმოვნები მარცვალს ვერ შექმნიან. რამდენი ხმოვანიცაა სიტყვაში, იმდენი მარცვალია; რაგინდ შრავალი თანხმოვანი ერთვოდეს ხმოვანს, სულ ერთია, მარცვალი მაინც არ შედგება. მაგალ., სიტყვებში გვფრცქენის, გვბრღენის, გვწოთენის რვა-რვა თანხმოვანია ერთად მიჯრილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ერთ-მარცვლიანი სიტყვებია. სულაც რომ არ ახლდეს ხმოვანს თანხმოვანი, მარცვალი მაინც იქნება. მხოლოდ ხმოვნის მიერ შექმნილი მარცვალნი ისევე ნორმალურია, როგორც ხმოვნითა და თანხმოვნით შექმნილი მარცვალნი. მაშასადამე, მარცვლის შედგენაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ხმოვანს ჰქონია.

იმის მიხედვით, თუ რამდენი მარცვალია სიტყვაში. გვაქვს სიტყვები—ერთმარცვლიანი, ორმარცვლიანი, სამმარცვლიანი და ა. შ.

ერთმარცვლიანია: მე, და, თუ, ცა, რკო, ფხა, რვა, ბუ, რომ, კლდე, ფშენა და სხვ.

ორმარცვლიანია: კა-ლო, კე-რა, სა-მი, თო-ფი, ხა-რი, მო-ლი, ლო-რი, ათ-რევს, ვა-მე, იჯ-და და სხვ.

სამმარცვლიანია: ლი-მო-ნი, ლი-თო-ნი, სო-ფე-ლი, რვე-უ-ლი, თორ-მე-ტი, შო-რე-ვი და სხვ.

ოთხმარცვლიანია: მგა-ლო-ბე-ლი, მე-ძე-ბა-რი. მე-ლი-თო-ნე, მო-ვი-ტა-ნე, შე-უჟ-ვე-თე და სხვ.

ხუთმარცვლიანია: მა-ტა-რე-ბე-ლი, შე-უ-პო-ვა-რი, და-უ-დე-გა-რი, ვა-და-სა-ხა-დი, მა-სწავ-ლე-ბე-ლი და სხვ.

§ 52. ღია და დახურული მარცვალი. თუ მარცვალი ხმოვნით თავდება, იგი ღია იქნება, თუ თანხმოვნით, დახურული. სიტყვაში: მა-ტა-რე-ბე-ლი ხუთი მარცვალია და ხუთივე ღია; სიტყვაში: აღ-ნა-გო-ბა ოთხი მარცვალია: პირველი-დახურული, დანარჩენი სამი—ღია: სიტყვაში: ვარ-დებს ორმარცვლიანი სიტყვა და ორივე დახურული.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 12. 1. დაყავით მარცვლებად სიტყვები: ათი, რუსთაველი, ავტორი, რე-
ვოლუცია. ლალი, კალამი, ოქტომბერი, წიგნი, ფირუზი, რუსეთი, ავთანდილი.
კუკური, თეიმურაზი, თამარი, ქვეფანი, კაკა, ლაშა, კახა, ნისკარტი, მოხი-
ბლული, ტრაქტორი, ბულბული, ფარშავანი, ქამანჩა, დააწერიწე, დაარსა.
ბარბაროსი, ბამბა. ჩურჩული, ჯორჯიაშვილი. 2. ამოიწერეთ ი. ჭავჭავაძის ლექ-
სიდან „პოეტი“ ერთმარცვლიანი და სამმარცვლიანი სიტყვები და ჩამოწერეთ
სვეტად. 3. ამოიწერეთ ა. წერეთლის ლექსიდან „პოეტი“ ღია და დახურული
მარცვლები.

§ 53. სიტყვის გადატანა სტრიქონიდან სტრიქონში. ერთი სტრიქო-
ნიდან მეორე სტრიქონში სიტყვის გადატანა გარკვეული წესების მი-
ხედვით ხდება. ეს წესები შემდეგში მდგომარეობს:

1. არ შეიძლება ერთმარცვლიანი სიტყვის გადატანა, თუნდაც ეს
სიტყვა დიდი იყოს, მაგალ., გებრდღენის. ის ან პირველ სტრიქონზე
უნდა დარჩეს მთლიანად. ანდა მთლიანად დაიწეროს მომდევნო სტრი-
ქონზე.

2. ერთი ხმოვნისაგან შემდგარი მარცვალი არ გადაიტანება. მაგალ.,
აიწია არ შეიძლება გადავიტანოთ ასე: ა-იწია, ანდა: აიწი-ა, არამედ
შემდეგნაირად: აი-წია.

3. გადატანის დროს სიტყვა უნდა განიკვეთოს ღია მარცვალზე.
მაგალ., ჩაიტანა ასე გადაიტანება: ჩა-იტანა; ჩაი-ტანა, ჩაიტა-ნა.

4. თუ სიტყვაში ჰარმონიული ჯგუფები ურევია, მათი გათიშვა არ
შეიძლება. მაგალ., სი-ტყვა, სიკო-ცხლე, და-წყნარებული, და სხვ.

5. თუ სიტყვაში ორი ან მეტი თანხმოვანი მოექცა ერთად (გარდა
ჰარმონიული ჯგუფებისა), პირველი წინა მარცვალს მიეკუთვნება და
მეორე ან სხვები—მომდევნოს. მაგალ., მალ-ლა, ხელ-მძღვანელობა.

მ ა ხ ვ ი ლ ი

§ 54. დინამიკური მახვილი და მუსიკალური მახვილი. სიტყვაში
შემავალი მარცვლები ერთნაირი ტონით არ წარმოითქმის: ჩვეულებრივ
გამოირჩევა ერთი მარცვალი, რომლის მატარებელი ხმოვანი სხვა ხმოვ-
ნებთან შედარებით უფრო მკაფიოდ მოისმის. ასეთი ხმოვანი მახვილი-
ანი ხმოვანია, მახვილის მატარებელია.

მახვილის ორი სახეობა არსებობს: დინამიკური და მუსიკალური.
დინამიკური მახვილის მატარებელი ხმოვნის წარმოითქმისას სახმო სი-
მები დაძაბული არიან და ინტენსიობით ეღერენ. ასეთი ხმოვანი სი-
ტყვაში ს ი ძ ლ ი ე რ ი თ ისმის. მუსიკალური მახვილის მატარებელი ხმო-
ვანი კი ტონის ს ი მ ა ლ ლ ი თ გამოირჩევა; მას ხმის აწევა ახასიათებს.
მაგრამ წმინდა დინამიკური მახვილი და წმინდა მუსიკალური მახვილი
არ არსებობს: ისინი ერთმანეთთან გადაჯაჭვული არიან, ოღონდ ერთ-
ერთი მათგანი სძლევს, დომინანტია. ზოგ ენაში დინამიკურობაა მთავა-
რი და ზოგში—მუსიკალურობა.

ქართულ სალიტერატურო ენას დინამიკური მახვილი ახასიათებს. მუსიკალური მახვილი კი ნიშანდობლივია ზოგიერთი ქართული დიალექტისათვის (მთიულური, რაჭული, ქართლური, და სხვ.).

ქართულში მახვილი სუსტია, ე. ი. მახვილის მატარებელი ხმოვანი ისე მკაფიოდ არ გამოიყოფა უმახვლო ხმოვნებისაგან, როგორც, მაგალითად, რუსულში (რუსულში ძლიერი მახვილია).

§ 55. მახვილის ადგილი სიტყვაში. ქართულ ენაში მახვილის ადგილი განსაზღვრულია: ორმარცვლიან სიტყვაში მეორე მარცვალზეა, სამ და მეტმარცვლიან სიტყვაში—მესამეზე ბოლოდან. მაგალ., დღდა ვჭკაცი, მარგპლიტი. ოთხსა და მეტმარცვლიან სიტყვაში ძალიან სუსტად მეორე მახვილიც მოისმის: აღმაშენებელი. ამ მეორე მახვილს თანამახვილი ეწოდება.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 13. გამოარკვეთ, რომელ მარცვალზე ესმება მახვილი შემდეგ სიტყვებში: ფასკუნჯი, განკარგულება, ხმალი, დიდებული, საფრანგეთი, გულისხმიერება, გადაატანინა, შემოქმედება, სტახანოვერი, გახეთი, ბუდაპეტი, საჩაიონო, ლენინგრაძელი.

§ 56. ლოგიკური მახვილი. გარდა ცალკე სიტყვის მახვილისა (სიტყვათმახვილისა), არსებობს ლოგიკური მახვილიც. თუ ყურადღება გავამახვილეთ სიტყვაზე, მაშინ ეს სიტყვა მთლიანად ფრაზაში გამოყოფილად წარმოითქმის, მახვილი მთელ სიტყვას დაესმის. ასეთი მახვილი ლოგიკური მახვილია, რადგან აზრობლივად გამოყოფილია ერთი რომელიმე სიტყვა წინადადებაში. მაგალ., წინადადებაში „ამ საღამოს მე წავალ თეატრში“ სხვადასხვა სიტყვას შეიძლება მოუღიოდეს ლოგიკური მახვილი: „ამ საღამოს (და არა ხვალ საღამოს) მე წავალ თეატრში“; „ამ საღამოს მე (და არა სხვა ვინმე) წავალ თეატრში“; „ამ საღამოს მე წავალ თეატრში (და არა სხვაგან)“.

§ 57. მახვილი კითხვით წინადადებაში. კითხვით წინადადებაში მახვილი მოუდის ბოლო სიტყვის ბოლო მარცვალს: „მამა ჩამოვიდნა?“ ინტონაციურად გამოყოფილია ბოლო სიტყვა მთლიანად, მაგრამ ხმის ამალღება განსაკუთრებით ბოლო მარცვალზეა. რაკი ბოლოსკენ იწეეს ხმის ამალღება, ინტონაცია აღმავალია. კითხვით სიტყვაში ინტონაცია აღმავალი არ იქნება, თუ წინადადებაში მონაწილეობს კითხვითი სიტყვა: მახვილი ამ შემთხვევაში თვით კითხვით სიტყვას დაესმის, ბოლო სიტყვის ტონი არ მალღდება. ეს იქნება დამავალი ინტონაცია. მაგალ., „როდის ჩამოვიდა მამა?“ აქ მთლიანად კითხვითი სიტყვაა („როდის“) ინტონაციურად გამოყოფილი. სხვა მაგალითები: „რომელი საათია?“, „სად მიდიხარ?“, „რა ამბავია?“ ცოცხალ მეტყველებაში ზოგჯერ ხმის ამალღება გვხვდება ბოლო სიტყვაზეც: „რა ამბავია?“ „რომელი საათია?“. ლიტერატურული მეტყველების თვალსაზრისით ეს უმართებულოა.

ფონეტიკური მოვლენები

სიტყვათხმარებაში გარკვეული ცვლილებები ხდება: შეიძლება სიტყვაში რომელიმე ბგერა ამოვარდეს, დაიკარგოს ან ჩაემატოს, ადგილი იცვალოს, ბგერები ერთმანეთს დაემსგავსონ და სხვ. ამგვარ მოვლენებს ფონეტიკურ მოვლენებს ვეძახით.

§ 58. ბგერათდაკარგვა. დღევანდელი ქართული ენის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ თუ ორი ერთნაირი თანხმოვანი ერთად მოხვდა სიტყვაში, ერთი მათგანი დაიკარგება, გამარტივდება. მაგალ. დღეს ვხმარობთ სიტყვებს „თვე“, „ცისარტყელა“, „ტანისამოსი“. „ჩვილი“ და სხვ., მაგრამ წინათ იყო: „თთვე“, „ცისარტყელა“, „ტანისსამოსი“, „ჩჩვილი“. ორი თ, ორი ხ და ორი ჩ ამ სიტყვებში გამარტივდა. ეს წესი, რასაკვირველია. გავრცელდება უცხოურ სიტყვებზედაც: „გრამმატიკა“, „პროფესორი“ ასე იხმარება: „გრამატიკა“, „პროფესორი“... ეგვევ კანონი ვრცელდება უცხოურ გვარებზედაც: შილლერი—შილერი, რუსსო—რუსო, შელი—შელი და სხვ. ლიტერატურულ ენაში იკარგება ვ ბგერა ზოგჯერ ო-სთან მეზობლობაში: „პატივი“—აქედან უნდა ყოფილიყო „საპატივო“, მაგრამ იხმარება „საპატიო“; ასეთივეა: ნათესავი—ნათესაობა, თავი—თაობა და სხვ. ქართულში ვერ ძღენს ზ ბგერაც: ძველად იყო ჰაზრი, ჰომი, ჰურია,—ახლა ვამბობთ: აზრი, ომი, ურია... ზოგიერთ ქართულ გვარში (ძე-ზე და შვილ-ზე დაბოლოებულში) უნდა ყოფილიყო ხ (ასეც იყო ძველად), მაგრამ შემდეგ დაიკარგა. მაგალ., ლეონისძე—ლეონიძე, მეგრელისშვილი—მეგრელიშვილი...

§ 59. ბგერათჩართვა. ბგერათდაკარგვის საწინააღმდეგო მოვლენაა. ხშირია ვ თანხმოვნის ჩართვა ხმოვნებსშუა, მაშინ როდესაც მის ორსებობას სიტყვაში გამართლება არა აქვს: აჯადო-ვებს, ატყვე-ვებს და სხვ. აქ ვ კანონით არ უნდა ყოფილიყო, მას არავითარი მორფოლოგიური დანიშნულება არა აქვს.

§ 60. ბგერათგადასმა (მეტათეზისი). შესაძლოა სიტყვაში ბგერამ ადგილი გამოიცვალოს: ან წინ გადავიდეს, ან უკან, რომელიმე ბგერას მიეკედლოს. მაგალ., ხშირია ქართულში ვ-ს გადასმა ნარნარა ბგერებთან. ვამბობთ—კვლა, ხვნა, შენიშვნა, მაგრამ წესით უნდა იყოს: კლვა, ხნვა, შენიშნვა. ეს იმიტომ, რომ გვაქვს კერ-ავ-ს. აქედან: კერვა, გვაქვს ბარ-ავ-ს, აქედან: ბარვა და სხვ. ამის მიხედვით: კლ-ავ-ს—კლ-ვა, ხნ-ავ-ს—ხნ-ვა, შენიშნ-ავ-ს—შენიშნ-ვა. ჩანს, ვ ბგერას ადგილი გამოუცვლია სიტყვაში. ბგერათგადასმის მაგალითია აგრეთვე თვრამეტი: უნდა ყოფილიყო თ-რვა მეტი. ამეამად ვამბობთ ნახშირი, მაგრამ მისი ძველი ფორმაა (ამეამად დიალექტებში შემორჩენილი) ნაშხირი. ეს იქიდან მტკიცდება, რომ მეგრულში გვაქვს ნოშქერი, სვანურად შიხ (წვას ნიშნავს): შ წინაა ხ (ქ) ზე, ე. ი. თავდაპირველად იყო: ნა-ში-ხ-ირი: ე ამოვარდა და მივიღეთ ნა-შ-ხ-ირი.

§ 61. ბგერათჩანაცვლება (სუბსტიტუცია). ლიტერატურულ ენაში იხმარება სიტყვა საბძელი. ესაა შენობა, სადაც ბზეს ინახავენ. მაშასადამე, უნდა ყოფილიყო საბზელი. ჩანს, ზ-ს ძ შენაცვლება. დიალექტებში გვხვდება უღმაში, ნაცვლად სიტყვისა უღვაში. აქ გ-ს ძ შენაცვლება.

§ 62. ბგერათდამსგავსება (ასიმილაცია). სიტყვაში მეზობელი ბგერები შესაძლოა ერთმანეთს დაემსგავსონ. გვაქვს სიტყვა ტეხა, რომლის ძირია ტეხ. აქედან: უნდა ყოფილიყო გა-ტეხ-და, მაგრამ გვაქვს გა-ტყ-და. ჯერ ამოვარდა ე, მივიღეთ გა-ტხ-და, შემდგომი პროცესია ხ-ს შეცვლა ყ ბგერით. ეს იმიტომ, რომ ტხ ძნელი გამოსათქმელია ტ-მ დაიშვავსა ხ, არამკვეთრი სპირანტი ხშულ მკვეთრად იქცა. ქვით-ქირი — ქვიტკირი. თ ფშინვიერია, კ მკვეთრი. ამ უკანასკნელს დაუმსგავსებია თ: მკვეთრად უქცევია. ძველად იყო სი-მშილი, 'სი-ში, სე-ცხლი, ამჟამად ვამბობთ: შიმშილი, შიში, ცეცხლი: პირველ ორ სიტყვაში შ-ს დაუმსგავსებია წინა ხ, მესამე სიტყვაში ხ ც-ს გავლენით ც-დვე ქცეულა. სიტყვა ქიშკარი მიღებულია ასე: ბქისკარი: ჯერ ბ დაიკარგა, შემდეგ კ-ს გავლენით ხ იქცა შ-დ.

შევადაროთ ერთმანეთს შიში და ქიშკარი: პირველ შემთხვევაში შ-მ ხ სრულად დაიშვავსა, მეორე სიტყვაში კ-მ მომდევნო ხ ჰ-დვე კი არ აქცია, არამედ შ-დ; ეს არ იქნება სრული დამსგავსება პირველი შემთხვევისებურად. მაშ, გვქონია სრული ასიმილაცია და ნაწილობრივი ასიმილაცია: სრულია, როცა მაასიმილირებელი ბგერა იმავე ბგერადვე აქცევს მეზობელ ბგერას, როგორც თვითონაა, — ნაწილობრივია, როცა რაიმე ნიშნის მიხედვით ხდება დამსგავსება (ქიშკარში შიშინა კ-მ სისინა ხ შიშინადვე აქცია, ქვიტკირ-ში მკვეთრმა კ-მ გაამკვეთრა წინამავალი ფშინვიერი თ, ე. ი. ნაწილობრივ დაიშვავსა).

§ 63. ბგერათგანმსგავსება (დისიმილაცია). ასიმილაციის საპირისპირო მოვლენაა: სიტყვაში ორი ერთნაირი ბგერა ვერ ძლებს და ერთ-ერთი სხვა ბგერად იქცევა. ქართულში გვაქვს-ურ დაბოლოება: ინგლისურ-ი, ზესტაფონ-ურ-ი, კახ-ურ-ი. ასეთივე დაბოლოება უნდა გვექონოდა სიტყვებში: რუს-ურ-ი, ფრანგ-ურ-ი, იმერ-ურ-ი, ბორჯომ-ურ-ი. გორ-ურ-ი და სხვ., მაგრამ ვამბობთ: რუს-ულ-ი, ფრანგ-ულ-ი, ბორჯომ-ულ-ი, გორ-ულ-ი. ეს იმით აიხსნება, რომ ამ სიტყვებში რ გვხვდება (რუს, ფრანგ, იმერ, გორ...). ორმა რ-მ ვერ გაძლო ერთ სიტყვაში და ამიტომ ურ დაბოლოება ულ-ად იქცა რ-ს შემცველ სიტყვებში. ესაა განმსგავსება, დისიმილაცია. თუ რ-ნარევე სიტყვაში ლ-ც არის, მაშინ ეს წესი არაა მოქმედი: ქართლური და არა ქართლული.

უცხოურ (ევროპულ) სიტყვებში, რომლებშიც შემოსულია ქართულ ლიტერატურულ ენაში, ორი რ-ს დისიმილაცია არ ხდება. გვაქვს: პარტერი, რევისორი, ტრაქტორი და სხვ.

§ 64. ბგერათრედუქცია. რედუქცია იგივე ბგერათდაკარგვაა, ამ ფონეტიკური მოვლენის ერთ-ერთი სახეობაა. გარკვეულ პირობებში ბგერას წარმოთქმაში შესაძლოა დააკლდეს მკაფიობა, რის გამოც შეიძლება მას დაეკარგოს ზოგიერთი ნიშანდობლივი თვისება. ჩვეულებრივია ხმოვანთა რედუქცია. მაგალ., უნდა იყოს კედელ-ის, მეზობელ-ის, კალამ-ის, მაგრამ ვამბობთ: კედლ-ის, მეზობლ-ის, კალმ ის. აქ მოხდა ე-ა ხმოვნების რედუქცია. ვამბობთ: მაწვნის და არა მაწონის, ნიგჯის და არა ნიგჯის: აქ ო დასუსტდა და ვ-დ იქცა, ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია მოხდა.

§ 65. ანალოგია. სიტყვაში გარკვეული ცვლილება ხდება — გარკვეული ფორმა ჩნდება სხვა სიტყვის მიმსგავსებითაც. სხვა სიტყვის ანალოგიით. სიტყვებში და ღმართი, უკუღმართი, წაღმართი და გაჩენილია აღმართი-ს ანალოგიით, თორემ აქ ღ არაფერ შუაშია. ნურავინ-ში რ ჩართულია არავინ-ის ანალოგიით (უნდა ყოფილიყო: ნუვინ. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნიდან“: „ნუვინ გარეთ ერთმანეთსა, გესმეს ჩემი ნაუბარი“). შეადარე: არა-ვინ, ნუ-ვინ.

ფონეტიკური მოვლენები დიალექტებში

დიალექტებში ვა კომპლექსი იცვლება ო-დ: თოლი (თვალი), ცხორი (ცხვარი), საყორელი (საყვარელი). ხშირია ამგვარი ფორმებე უაზბეგისა და ვაეა-ფშაველას ნაწერებში. შესაძლოა ო-მ მოგვცეს ვა. ილია ქაე-ქავადის „მგზავრის წერილებში“ გამოყვანილი მოხვევის მეტყველებაში გვხვდება ასეთი მაგალითები: სივანი (სიონი), სვამეხი (სომეხი), გივარგი (გიორგი).

ოვი კომპლექსი გვაძლევს ოი-ს. მაგალ., „ფშავით მოიდეს ლაშქარი... სიტურფით ქსოილი“ (ვაეა).

ოა იცვლება უა-დ: გიგუა (გიგოა), სანდრუა (სანდროა), ძალუა (ძალოა). გვხვდება ს. მაგალობლიშვილის, შ. არაგვისპირელის და სხვათა ნაწერებში.

გავრცელებულია ოე-ს გადაქცევა ეე-დ ზმნაში: „ფრანგული ამეეწუ-რა, გვიქადის გამარჯვებასა... შამეეშველოს ლაშქარსა“ (ვაეა).

დასავლურ კილოებში აუ, აი კომპლექსები ზმნაში შეცვლილია ოუ უუ და ეი კომპლექსებად (მომდევნო ხმოვნები უ, ი იმსგავსებენ, ავიწროებენ წინამავალ ფართო ხმოვანს): გოუგზავნა-გუუგზავნა, დეი-წერა. ამგვარი ნიმუშები ბევრია ნინოშვილის, კლდიაშვილის და სხვათა ნაწერებში.

მ რ რ უ მ ლ მ ბ ი ა

სიტყვა და მისი შედგენილობა

§ 66. ერთმანეთის მონათესავე სიტყვები. ენაში ბევრი სიტყვა ნაწარმოებია სხვა სიტყვებისაგან. მაგალ. სიტყვა კაც აწარმოებს მთელ რიგ სიტყვებს, როგორცაა: საკაცე, კაცობრიობა, უკაცური, უკაცრიელი, კაცობა, დაკაცება, და სხვ. ესენი ერთმანეთის მონათესავე სიტყვებია.

§ 67. ერთი და იმავე სიტყვის გრამატიკული ფორმები. თუ მონათესავე სიტყვები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ლექსიკური მნიშვნელობით (კაცი-საკაცე-უკაცრიელი), არის სიტყვის მეორეგვარი ცვალება, რაც გამოიხატება გრამატიკულ სხვადასხვაობაში: სიტყვები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობით: კაცი-კაცმა-კაცს-კაცის, და სხვ. აქ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ერთი და იგივეა, გრამატიკული კი სხვადასხვა.

§ 68. სიტყვის ძირი. მონათესავე სიტყვებში გამოიყოფა დაუშლელი, უმარტივესი, საერთო ნაწილი, რომელიც ატარებს ამ სიტყვების ძირითად მნიშვნელობას. სიტყვის ამ ნაწილს ეწოდება ძირი.

კაც-ი

კაცობრიობა

უ-კაცური

უ-კაცრიელი

ნა-კაც-არი

კაცობა

კაც-ური

სა-კაცე

და-კაც-ება

კაც-უნა

ამ მონათესავე სიტყვების ძირია კაც. ძირი შეიძლება ერთ ბგერაზეც დავიდეს:

კ-ება

ვა-ჭ-ე

ნა-ქ-ები
სა-ქ-ები
უ-ქ-ია
შესა-ქ-ებელი,

და სხვ.

აქ ძირია ქ.

ძირი სიტყვის საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი ნაწილია.

§ 69. აფიქსები. სიტყვის ძირს თავში და ბოლოში, ზოგჯერ შუაში. დაერთვის ბგერა ან ბგერათა კომპლექსები, რომლებსაც აფიქსები ეწოდება („აფიქსი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მიმაგრებულს). § 68-ში დასახელებულ ნიმუშებში კაც და ქ ძირებს ერთვის აფიქსები: სა-კაც-ე, შე-სა-ქ-ებ-ელ-ი-ო...

§ 70. აფიქსები ადგილმდებარეობის მიხედვით. თუ აფიქსი ძირს წინ მოუდის, თავში ერთვის—პრეფიქსი (წინსართი) იქნება, თუ ბოლოში—სუფიქსი (ბოლოსართი), თუ შუაში—ინფიქსი (შუასართი). სა-კაც-ე სიტყვაში სა-პრეფიქსია, -ე სუფიქსი. ინფიქსის შემთხვევები ქართულში ბევრი არაა: კ-ვ-ლა, ხ-ვ-ნა, შენიშ-ვ-ნა და სხვ. როგორც § 60-დან ვიცით. ამ სიტყვების თავდაპირველი სახეა: ხნ-ვა, კლ-ვა, შენიშნ ვა..., სადაც ვა-სუფიქსი იყო; შემდეგ, ფონეტიკური ცვლილების შედეგად, სუფიქსისეული ვ გაინფიქსებულა, ძირი გაუკვეთია და შიგ მოთავსებულა.

სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე პრეფიქს-სუფიქსი. სიტყვაში ვ-წერ-ე ერთი პრეფიქსია და ერთი სუფიქსი, სიტყვაში და-ხა-ხა-თა-ურ-ებ-ელ-ი—სამი პრეფიქსი და ოთხი სუფიქსი.

§ 71. აფიქსების ფუნქციები. აფიქსები ფუნქციის მიხედვით ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: ზოგიერთი აფიქსი სიტყვათა დამოკიდებულების აღმნიშვნელია, ზოგიერთი—მნიშვნელობის მცვლელი.

ავილოთ ასეთი წინადადებები: 1. „ქუდ-ი მზურავს“, 2. „ქუდ-ს ვყიდულობ“, 3. „ქუდ-ით კმაყოფილი ვარ“, 4. „ქუდ-ის პატრონია“ და სხვ. აქ სიტყვის ძირი ქუდ დაბოლოებებს იცვლის: ქუდ-ი, ქუდ-ს. ქუდ-ით, ქუდ-ის... ეს დაბოლოებები—სუფიქსები (ი, ს, ით, ის...) სხვა სიტყვებთან ურთიერთობით არის გამოწვეული: მზურავს ქუდი (და არა: ქუდმა, ქუდის...), ვყიდულობ ქუდს (და არა: ქუდმა, ქუდის...). პატრონია ქუდის (და არა: ქუდმა, ქუდს...) ასეთ აფიქსებს (ამ შემთხვევაში—ბრუნვის ნიშნებს) „დასაკავშირებელი აფიქსები“ (ანუ „დამოკიდებულების“ აღმნიშვნელი აფიქსები“) ეწოდება.

ახლა დავაკვირდეთ ამვე ძირისაგან ნაწარმოებ სიტყვებს: ქუდიანი, უქუდო, საქუდე, აქაც გამოიყოფა ძირი და აფიქსები: ქუდ-იან-ი, უ-ქუდ-ო, სა-ქუდ-ე. რა დანიშნულებისაა აქ აფიქსები: იან, უ, ო, სა, ე? ისინი მნიშვნელობას უცვლიან სიტყვას. მართლაც: იან სუფიქსის დართვით ქუდ ძირი უკვე აღნიშნავს ადამიანს, რომელსაც ქუდი ხურავს; სა-ქუდ ვ სიტყვაში სა და ე აფიქსები გამოხატავენ მასალას, რომლისაგანაც

ამზადებენ ქუდს. თუ ერთ შემთხვევაში ქუდ ძირი აფიქსების დარღვევით არ იცვლიდა მნიშვნელობას (ქუდ-ი, ქუდ-ის, ქუდ-ით...), მეორე შემთხვევაში იგივე ძირი აფიქსების დართვით გამოუცვლელია სხვა სიტყვების საწარმოებლად. ასეთ აფიქსებს „ნაწარმოებელი აფიქსები“ (ანუ „მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები“) ეწოდება.

ს ა ე რ ჯ ი შ ო 14. მოუძებნეთ მონათესავე სიტყვები სიტყვებს: ხმა, გული

§ 72. სიტყვის ფუძე. ზეწოთ (§ 68) ითქვას, რომ მონათესავე სიტყვები აგებულია ძირზე, ძირი კი სიტყვის დაუშლელი და უმარტივესი ნაწილია. მაგალ., სიტყვის—ქუდი ფუძეა ქუდ (მას გამოეყოფა საკავშირებელი აფიქსი ე). მაგრამ სიტყვის—ქუდიანი ფუძეა არა ქუდ, არანედ ქუდიანი. მართლაც, ქუდი და ქუდიანი ხომ სხვადასხვა სიტყვაა, ამიტომ გასაგებია, რომ პირველ შემთხვევაში (ქუდი) ფუძეა ქუდ, რომელიც ერთ გარკვეულ საგანს აღნიშნავს, ხოლო მეორე შემთხვევაში (ქუდიანი) ფუძეა ქუდიანი, რომელიც თავის მხრივ ერთ გარკვეულ საგანს აღნიშნავს. შევადაროთ ეს ორი ფუძე ერთმანეთს: ქუდ და ქუდიანი. პირველი დაუშლელია (ე. ი. მონათესავე სიტყვები რომ შევეუბირისპიროთ, ყველგან განმეორდება, როგორც უმარტივესი ელემენტი), მეორე კი იშლება: ქუდ-იანი. ამიტომ ერთი იქნება მარტივი ფუძე (იგივე ძირი) და მეორე—ნაწარმოები ფუძე.

არის ისეთი სიტყვაც, რომლის ფუძე ერთზე მეტ ფუძეს შეიცავს. მაგალ., სიტყვაში თავაშვებულო ორი ფუძეა გაერთიანებული: თავაშვებულ, სიტყვაში შავთვალწარბა სამი ფუძეა: შავ-თვალ-წარბა. როცა რამდენიმე დამოუკიდებელი მარტივი ფუძეა ერთ ფუძედ წარმოდგენილი, ასეთ ფუძეს რთულ ფუძეს უწოდებენ.

ამრიგად, არსებობს სამნაირი ფუძე: მარტივი ფუძე, ნაწარმოები ფუძე და რთული ფუძე.

ფუძე რომ ვიპოვოთ, სიტყვას უნდა ჩამოვაცილოთ საკავშირებელი სუფიქსი. გამოყოფილი ფუძისეული მასალა იქნება ან მარტივი ან ნაწარმოები ან რთული: თუ იგი არ იშლება, მარტივი ფუძე (ანუ ძირი) იქნება, თუ იშლება მარტივ ფუძედ და მნიშვნელობის მცვლელ აფიქსად, ნაწარმოები ფუძე იქნება, ხოლო თუ იგი ერთზე მეტად მარტივ ფუძეს შეიცავს, რთული ფუძე იქნება.

ს ა ე რ ჯ ი შ ო 15. გამოყავით ფუძე (მარტივი, ნაწარმოები, რთული) სიტყვებში: უგულო, იმოსანი, უსაქმური, საწინგე, დაბერებული, ნადარბაზევი, გუგამიანი, უდედ-მამო, დამპური.

მეტყველების ნაწილები

§ 73. ქართულ ენაში სიტყვები ძირითადი მნიშვნელობისა და გრამატიკული ფორმების მიხედვით იყოფა ჯგუფებად, რომელთაც მეტყველების ნაწილებს ვუწოდებთ.

მეტყველების ნაწილებია:

1. არსებითი სახელი.
2. ზედსართავი სახელი.
3. რიცხვითი სახელი.
4. ნაცვალსახელი.
5. ზნა.
6. ზმნიზე და.
7. თანდებული.
8. კავშირი.
9. ნაწილაკი.
10. შორისდებული.

მეტყველების ნაწილები თავის მხრივ იყოფა დამოუკიდებელ სიტყვებად, დამხმარე სიტყვებად და შორისდებულებად.

1. დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილები წინადადების წევრებია. ისინი გამოხატავენ საგნებს, მათ თვისებებს, რაოდენობას, მოქმედებას და მდგომარეობას, აგრეთვე ამ მოქმედებისა და მდგომარეობის ნიშნულობებს.


ესენია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი ზმნა და ზმნიზედა; აქვე შემოდის ნაცვალსახელი.

2. დამხმარე მეტყველების ნაწილები არ წარმოადგენენ წინადადების წევრებს. ისინი მიმართებათა გამოხატველია ან სიტყვებს შორის (თანდებულები), ანდა სიტყვებსა და წინადადებებს შორის (კავშირები), ან კიდევ სიტყვებსა და წინადადებებს სხვადასხვა ელფერს ანიჭებენ (ნაწილაკები).

3. შორისდებულები არც დამოუკიდებელ სიტყვებს ეკუთვნიან და არც დამხმარე სიტყვებს. ისინი გამოხატავენ გრძნობას, განცდებს.

§ 74. ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები. მეტყველების ნაწილები რომ დავალაგოთ ფორმის ცვლის თვალსაზრისით, ორ მთავარ ჯგუფს მივიღებთ: ერთი მხრით დგას ისეთი სიტყვები, რომლებიც ფორმას იცვლიან, ფორმის ცვალების უნარი აქვთ, ამათ ეწოდება ფორმაცვალებადი სიტყვები. მეორე მხრით დგას ისეთი სიტყვები, რომლებსაც არ შესწევთ უნარი იცვალონ ფორმა, მუდამ ერთნაირი ფორმით გვევლინებიან; ამათ ეწოდება ფორმაუცვლელი სიტყვები.

1. ფორმაცვალებადი სიტყვებია:



2. ზმნები.

II. ფორმაუცვლელი სიტყვებია:

1. ზმნიზედა.
2. თანდებული.
3. კაეშირი.
4. ნაწილაკი.
5. შორისდებული.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 16. გამოყავით ფორმაუცვლელადი და ფორმაუცვლელი სიტყვები ქვემო-
მოყვანილ ტექსტში.

ირიერაეა... გამოელეიძა... იქ, სადა მძინებია და როგორ? ჩემთვის არც ქვეშაგე-
ბი ყოფილა, არც სახურავი და არც სასთუმალი! მაგრამ, ჰოი, საკვირველებზე
არც კისერი მტკენია და არც გვერდები დაძეგვია! სჩანს, რომ გარეულს ლხინზე
შინაური კირი ეუფრო მარგი ყოფილაო“, სთქვა და გადასწყვიტა სიკვდილამდე
იქ დარჩენა (აკაკი).

ს ა ხ ე ლ ე ბ ი

I. არსებითი სახელი

§ 75. არსებითი სახელის მნიშვნელობა. არსებითი სახელი მეტყვე-
ლების ნაწილია, რომელიც აღნიშნავს საგანს. გრამატიკაში საგანი
ეწოდება ყველაფერს, რაზედაც კი შეიძლება ვიკითხოთ: ვინ? ვის?
მაგალითად:

ვინ არის ეს?—მამა, მასწავლებელი, კოლმეურნე, ბრიგადირი...

რა არის ეს?—სახლი, სკოლა, კოლმეურნეობა, წიგნი, ხე, რევო-
ლუცია, სიმამაცე.

არსებითი სახელი აღნიშნავს სახელწოდებას: ადამიანებისას (ძმა.
დეიდა, კომკავშირელი, ექიმი, დურგალი), ცხოველებისა, ფრინველებისა.
თევზებისა და მწერებისას (ძროხა, ვეფხვი, ძაღლი, ტოროლა, არწივი, ქა-
თამი, იხვი, ორაგული, კალმახი, კალია, ბუზი), საგნებისას (მერხი, რევე-
ული, ტრაქტორი, ქული), მცენარეებისა, ლითონებისა, მინერალებისას
(მუხა, ტირიფი, ხორბალი, ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ნახშირი), ნიე-
თიერებისას (წყალი, ნავთი, რძე), ბუნების მოვლენებისას (წივიზა, ზაფ-
ხული, საღამო, გრგვინვა), საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისას
(არჩევნები, ომი, რევოლუცია), საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვ-
რებისას (მარქსიზმი, ლენინიზმი), სულიერი განწყობილებისას (სიხარუ-
ლი, მწუხარება, აღტაცება, რისხვა), და სხვ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 17. ა. მოძებნეთ სამი-ოთხი მაგალითი ზემოდასახლებული დარგების
მიხედვით. ბ. ამოიწერეთ არსებითი სახელები ტექსტიდან და დააჯგუფეთ დარგების
მიხედვით:

საწერეთლოში, ზემო იმერეთში. ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია
საგანეც. ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მე ვიზრდებოდი, როგორც

სათვალთვალოდ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუკეთესო რამ არის და ამიტომაც დაურკმევიათ „საჟანგ“, ე. ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერეზე შორს არ არის ჩვენი საბლიდან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც, თვალწინ მიდგია ისლით დახურული ზის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრ-უსარკმლო, მხოლოდ ორი საკამლურით ანუ საფიფრით, საიდანაც კვაპლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შეიოდებოდა (აკაკი).

არსებით სახელებში გამოიყოფა: სულიერთა და უსულოთა სახელები, ადამიანისა და არაადამიანისა, კონკრეტული და აბსტრაქტული, საკუთარი და საზოგადო, კრებითი სახელები.

§ 76. სულიერთა და უსულოთა სახელები. ზოგიერთი არსებითი სახელი სულიერი საგნების სახელია (დედა, მოსწავლე, ლომი, ჩიტი, ხელიკი), ზოგიც — უსულოსი (სკამი, წიგნი, სიმღერა).

სულიერთა არსებით სახელებს განეკუთვნება ცოცხალ არსებათა სახელწოდებები: ადამიანებისა, ცხოველებისა, ფრინველებისა, თევზებისა, მწერებისა. ყველა დანარჩენი — საგნების სახელებია (მცენარეებისა, ლითონებისა, მინერალებისა, ნივთებისა და სხვ.).

§ 77. ადამიანთა და არაადამიანთა სახელები. ადამიანთა (კაცი, ბავშვი, ღურგალი, პიონერი) და არაადამიანთა (მერხი, ქული, ლომი, კატა, ნიბლია) სახელები ქართულ ენაში კითხვის დასმით გაირჩევიან: ადამიანთა სახელების კითხვაა ვინ? არაადამიანთა სახელებისა კი რა?

§ 78. კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები. ისეთი საგნის სახელი, რომელსაც ვხეებით ან ვხედავთ, საერთოდ, აღვიქვამთ გრძობათა ორგანოების მეშვეობით, კონკრეტული სახელია, ხოლო ისეთი საგნის სახელი, რომელსაც სხეულებრივი გამოხატულება არა აქვს, აბსტრაქტული (განყენებული) სახელები იქნება. პირველის მაგალითებია: ქალაქი, შეშა, ბულბული, ცა, ბგერა, სუნი და სხვ., მეორისა: სიყვარული, სიძულვილი, ბედნიერება, უბედურება, და სხვ.

§ 79. საზოგადო და საკუთარი სახელები. საზოგადოა ისეთი არსებითი სახელი, რომელიც ჰქვია ერთგვაროვანი საგნების მთელ წყებას. მაგალ., ბავშვი, ფრინველი, სპილო, სოფელი, მდინარე, ქუჩა და სხვ. საკუთარია არსებითი სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს, რათა იგი გამოვარჩიოთ სხვა ერთგვაროვანი საგნებისაგან.

საკუთარ სახელებს განეკუთვნებიან:

1. ადამიანთა სახელი, მამის სახელები და გვარები: ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვი, აკაკი როსტომის-ძე წერეთელი;

2. ადამიანთა ფსევდონიმები ან შერქმეული სახელები: მაქსიმ გორკი (ფსევდ.); ლევარსი როზროხაძე (შერქ.);

3. ცხოველთა შერქმეული სახელები: მურა, ჯეკა (ძაღლისა), ნიკორა, წიქარა (ხარისა), ირემა, ჯონდა (ძროხისა), და სხვ.;

4. გეოგრაფიული სახელწოდებები, ე. ი. სახელები ქვეყნებისა, სახელმწიფოებისა, ქალაქებისა, მდინარეებისა, მთებისა, ზღეებისა, ტბებისა:

აზია, პოლონეთი, ქუთაისი, ყვარელი, რიონი, უშბა, შავი ზღვა, ტაბა-წყური.

5. წიგნების, ნაწარმოებების, გაზეთების, ჟურნალების სახელწოდებები: „ვეფხისტყაოსანი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „ინდუსტრიული ქუთაისი“, „მნათობი“.

6. ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობების, გემების სახელწოდებები: „წითელი ყვავილი“, კოლმეურნეობა „წითელი სხივი“, გემი „საქართველო“.

7. ორგანიზაციების, დაწესებულებების, რევოლუციური დღესასწაულების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების სახელები: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, პირველი მაისი, დიდი სამამულო ომი.

8. წიგნების სახელწოდებები, გაზეთების, ჟურნალების, აგრეთვე კოლმეურნეობების, ფაბრიკა-ქარხნების, გემების სახელები წერაში ჩაისმის ბრკეალებში: რომანი „არსენა მარაბდელი“, გაზეთი „კომუნისტი“, ჟურნალი „მნათობი“, კოლმეურნეობა „წითელი სხივი“, ფაბრიკა „წითელი ყვავილი“, გემი „ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი“.

შენიშვნა: საზოგადო სახელი შეიძლება გადაიქცეს საკუთარ სახელად. მაგალ., ოქტომბერი: თვის სახელწოდება — ოქტომბერი: ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემოკლებული სახელწოდება; დასავლეთი: სამყაროს ერთი მხარე — დასავლეთი: დასავლეთ ევროპის ქვეყნები; მიწა: მხარე ან ნიადაგი — მიწა: ჩვენი პლანეტის სახელწოდება. შეიძლება მოხდეს პირიქითაც: საკუთარი სახელი იქცეს საზოგადო სახელად. მაგალ., ამპერი ფრანგი ფიზიკოსის გვარი — ამპერი: ელექტროდენის ძალის ერთეული (დაერკვა ამპერის გვარის მიხედვით).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 18. ამოიწერეთ ტექსტიდან და დააჯგუფეთ: 1. კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები, 2. საკუთარი და საზოგადო სახელები.

1. ერეკლეს წმინდა არაბული ჯიშის ცხენი ჰყავდა, იგი ძღვნად იყო გამოგზავნილი სპარსეთის მბრძანებლის, გამოჩენილი ნადირ-შაჰისაგან. ნიაუსავით მოქროდა, როცა იგი ტარებით მიდიოდა, ზოლო ჰენება მისი ჰყავდა შავარდნის ფრენასა (ლომოური); 2. მყინვარი ცივია, როგორც უყვდავება, და ჩუმია, როგორც განცბრომა. მისი სიცივე სუსხავს და სიათრე აბერებს! მაღალია! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ შეეწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება (ილია).

§ 80. კრებითი სახელები. საზოგადო სახელთაგან გამოიყოფა კრებითი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ მთელ კრებულს, კრებადობას საგნებისა ან მოვლენებისას; კრებითი სახელი მრავალ ერთგვარ საგანთა კრების სახელია. მაგალ., ხალხი, საზოგადოება, მასწავლებლობა, ჯოგი. გუნდი, ხროვა, ფარა, ჯარი, ქარავენი, და სხვ.

ბრამატიკული რიცხვი

§ 81. ზოგი საგანი დითვლება, ზოგიც არა. საგანს, რომელიც დითვლება, გრამატიკული რიცხვის გაგება აქვს, — ის შეიძლება ერთი იყოს ან ერთზე მეტი, ამის შესაბამისად ქართულ ენაში ორი რიცხვია: მხო-

ლობითი და მრავლობითი. მხოლოდითი რიცხვი ერთი საგნის გაგებას იძლევა, მრავლობითი — ერთზე მეტი საგნისას. მრავლობით რიცხვს ქართულში თავისი აფიქსები აქვს, რითაც იგი განირჩევა მხოლოდითი რიცხვისაგან.

§ 82. სახელები, რომლებსაც აქვთ მარტოოდენ მხოლოდითი რიცხვის ფორმა. არის ისეთი არსებითი სახელები, რომლებსაც მრავლობითი რიცხვი არა აქვთ, მარტოოდენ მხოლოდითი რიცხვის ფორმით გვხვდებიან. ეს ისეთი საგნების აღმნიშვნელი სიტყვებია, რომლებიც არ დაითვლებიან.

ესენია:

1. განწყენებული (აბსტრაქტული) სახელები, ე. ი. თვისების, ხარისხის, მოქმედების, მდგომარეობის გამომხატველი სახელები: საფართოვე, სიბნელე, სიცოცხლე, სიყვარული, წოლა, რბენა, და სხვ. ურიცხოა აგრეთვე ისეთი არსებითი სახელები, როგორცაა ჰაერი, სუნი, ტვინი, თოვლი...

ზოგიერთი აბსტრაქტული სახელი გარკვეულ შემთხვევებში კონკრეტულ მნიშვნელობას იძენს და ასეთები მრავლობითშიც იხმარებიან. მაგალ., სიმალღებები (ვთქვათ, „მეცნიერების სიმალღებები“), მშვენიერებანი (ვთქვათ, „ბუნების მშვენიერებანი“); ასეთივეა: სიმაგრეები, სწეულებანი და სხვ. აბსტრაქტული სახელების მრავლობითი რიცხვი უფრო პოეზიას ახასიათებს (რბენანი, კბენანი, სიშმავენი...).

არის ისეთი არსებითი სახელებიც, რომლებსაც მხოლოდითში ერთი მნიშვნელობა აქვთ და მრავლობითში — სხვა. მაგალ., ურიცხოა „წყალი“, რამდენადაც არ ითქმის „წყლებს ვსვამ“, მაგრამ თუ მინერალური წყალია ნაგულისხმევი, მაშინ მას მრავლობითის ფორმა აქვს („მინერალური წყლები“). მრავლობითშივე იხმარება ეს სიტყვა. თუ მდინარეს ვგულისხმობთ („საქართველოს წყლები“). ასეთივეა „მარილი“: თუ სიტყვა საკმელ მარილს გამოხატავს, მრავლობითში არ დაისმის („მარილებს ვჭამ“, „მარილები მიყარს“, „მარილებიანი საკმელი“ — არ ითქმის). სამაგიეროდ, არსებობს „ქიმიური მარილები“;

2. საკუთარი სახელები: თბილისი, რუსეთი, აფრიკა, კასპიის ზღვა, აკაკი როსტომის-ძე წერეთელი, და სხვ.

ზოგიერთი საკუთარი სახელი შეიძლება შეგვხვდეს მრავლობით რიცხვში. ეს ხდება, თუ:

ა. გამოხატულია ერთი და იმავე გვარის წევრები: ძმები კარამაზოვები, წერეთლების ოჯახი, ჭიჭინაძეების უბანი და სხვ.

ბ. გამოხატულია ყველა ისინი, ვინც ატარებს ამა თუ იმ ლიტერატურული გმირის თუ ტიპის თვისებებს: თათქარიძეები, მკლავაძეები, უიშვილები, ავთანდილები და სხვ.

გ. განზოგადებულია რომელიმე ცნობილი ისტორიული პიროვნება: სააკაძეები, ჯორჯიაშვილები, ბურომეცები, და სხვ.

3. კრებითი სახელები, ე. ი. ისეთი სახელები, რომლებიც მხოლოდითი რიცხვის ფორმით გამოხატავენ საგანთა ერთობლიობას, როგორც მთლიანობას, როგორც ერთ საგანს: პროფესურა, გლეხობა. ახალგაზრდობა, ნათესაობა, და სხვ.

შენიშვნა: არის ისეთი არსებითი სახელები (ხალხი, ჯარი, პოლიცი, გუნდი და სხვ.), რომლებიც, მართალია, ერთგვარი საგნების ერთობლიობას გამოხატავენ, მაგრამ მრავლობით რიცხვში იხმარებიან: ხალხები, ჯარები, პოლიციები... ასეთ სახელებზე ხემოსხენებული წესი არ ვრცელდება.

4. ნივთიერებათა სახელების გარკვეული ჯგუფი: ვერცხლი, სპილენძი, ფქვილი, რძე, და სხვ.

სავარჯიშო 19. ამოიწერეთ ტექსტიდან: 1. არსებითი სახელები, რომლებსაც აქვთ როგორც მხოლოდითი, ისე მრავლობითი რიცხვი ძირითადი მნიშვნელობის შეცვლელად, 2. არსებითი სახელები, რომლებიც იხმარებიან მართლმოდენ მხოლოდით რიცხვში.

ხანდახან რომ ჯანლი დამებურება, თვალთ დამინენლდება... ვერც მალა ცას, დღე მხიანს, ღაჟე ვარსკვლავებით მოქედილს; ვერც დაბლა დედამიწას, ხან თოვლით და ხან მწვანით დაფარულს; ველარც ჩემ თვალწინ მყვირალ მდინარეს მხოლოდ იმის ბეივილი შესმის ბუნდად (ჯაჟა).

არსებითი სახელის ბრუნება

§ 88. ბრუნვები. არსებითი სახელი წინადადებაში შესაძლოა სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს, ხოლო ლექსიკური მნიშვნელობა ერთი და იგივე ჰქონდეს. სიტყვის გრამატიკული ცვალება კი აუცილებელია, რომ სიტყვები ერთმანეთს შეეწყოს წინადადებაში და აზრი გამოიხატოს. გრამატიკულ ფორმას, რომელიც წინადადებაში გამოხატავენ სახელის სხვადასხვაგვარ მიმართებას სხვა სიტყვებთან, ეწოდება ბრუნვა.

გავეცნოთ პატარა მოთხრობას:

ჩიტის ბის ტოტზე იჯდა და საამურად უსტვენდა. ჩიტმა ახლოს გიგლა დანახა და მეორე ხეზე გადაჯდა. გიგლამ იფიქრა: ამ ჩიტს დაეიკერ, გალიაში ჩავსვამ და ყოველდღე მიგალობებდსო. ჩიტის დასაქერად მან საჩქაროდ მახე მოაწყო და, მართლაც, მალე დაიჭირა. გახარებულმა გიგლამ მახეს ხელი დასტაცა და შიგ გაბმული ჩიტით შინისკენ მოაუტყებლა. მამას არ მოეწონა გიგლას საქციელი და საყვედურით უთხრა: ასეთი დანაშაულის ჩადენა ერთ პაწია ჩიტად არც კი ღირდაო. გიგლას შურცხვა, ჩიტი გაათავისუფლა და გაუშვა. გაფრინლ ჩიტს მიაძახა: ინავარდე. ჩიტო, ხან აღმა, ხან დღეაო.

ამ მოთხრობაში ხაზგასმული სიტყვა (ჩიტი) შვიდი განსხვავებული ფორმით გვხვდება. ამავე დროს, ამ სიტყვას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს შვიდსავე შემთხვევაში. ესენი ბრუნვის ფორმებია, ე. ი. ქართულ ენაში გვქონია შვიდი სხვადასხვა ბრუნვა.

ბრუნვის მიხედვით სიტყვათა ცვლას ბრუნება ეწოდება; ბრუნვები ბრუნების ფორმებია.

§ 84. ბრუნვების სახელები და დაბოლოებები. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში შეიღი ბრუნვაა. მათი სახელებია:

1. სახელობითი,
2. მოთხრობითი,
3. მიცემითი,
4. ნათესაობითი,
5. მოქმედებითი,
6. ვითარებითი,
7. წოდებითი.

თითოეულ ბრუნვას თავისი ნიშანდობლივი დაბოლოება აქვს. ეს დაბოლოებები ანუ ნიშნებია:

ს ა ხ.	ი
მ ო თ ხ.	მა, მ
მ ი ც.	ხ
ნ ა თ.	ებ, ხ
მ ო ქ.	ით, თი
ვ ი თ.	ად, დ
წ ო დ.	ო, გ

შენიშვნა: ბრუნვათა სახელწოდებანი ტრადიციით დაკანონებულია. მათი პირდაპირი მნიშვნელობით გაცება უახრობას ბადებს. ვთქვათ, „მიცემითი“ გასაგებია ამ შემთხვევაში: „ჟანოს წიგნს ვაძლევ“, მაგრამ იგივე ფორმა საწინააღმდეგო შინაარსის წინადადებაშიც მონაწილეობს: „ჟანოს წიგნს ვართმევ“. ასევე არაფრის მთქმელია ტერმინი „მოთხრობითი“. ვთქვათ, ეს ფორმა „მოგვითხრობს“ ამჯერ კონტექსტში: „ვანომ წიგნი მომცა“, მაგრამ განა იგივე „მოთხრობა“ არ არის ამ წინადადებაში: „ვანო წიგნს მაძლევს“? ასევე შეუფერებელია „მოქმედებითი“ და სხვ. ამრიგად, ტრადიციულ გრამატიკულ ტერმინოლოგიას ამჟამად ჩვენთვის პირობითი მნიშვნელობა აქვს.

§ 85. ბრუნვათა რიგი. ბრუნვათა თანმიმდევრობა სხვა ენებში სხვადასხვაა. ძველ ქართულ გრამატიკებშიც განსხვავებული იყო. ამჟამინდელ რიგს ასეთი გამართლება აქვს: პირველად მოცემულია—გარკვეული თანმიმდევრობით—ბრუნვები: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი. ეს იმიტომ, რომ ისინი სუბიექტის (ქვემდებარის) ბრუნვებია. ამ სინტაქსური ნიშნის გარდა, მათ აერთიანებს მორფოლოგიური ნიშანიც: ამ სამ ბრუნვაში ფუძეში არაერთადი ცვლილება არ ხდება (კუმშვადობა-კვეცადობა). რაკი მეორე მრავლობითში წოდებითი ბრუნვის ფორმა სახელობით ბრუნვას უკავშირდება (კაც-ნი, კაც-ნო), ამიტომ იგი (წოდ.) მეორე ადგილას, სახელობითის შემდეგ, უნდა მოგვეთავსებინა. მაგრამ ამას ხელს შეუშლიდა ის გარემოება, რომ წოდებითი არაა სუბიექტის ბრუნვა, ამიტომ წოდებითი ბოლოსაა მოქცეული. დანარჩენი ბრუნვები კი ერთად ექცევიან ბრუნვების დროს ფუძეში ცვლილების (კუმშვადობა-კვეცადობის) გამო.

§ 86. ბრუნების ტიპები. ქართულ ენაში ბრუნება დაყოფილია ტიპებად; ვლენულობთ სულ სამ ტიპს. ეს ტიპები ფონეტიკურ საფუძველზეა მიღებული.

I ტიპს წარმოადგენს ისეთი სახელები, რომელთა ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება. ესაა თანხმოვანფუძიანი სახელები.

II ტიპს წარმოადგენს ისეთი სახელები, რომელთა ფუძე ხმოვნებზე ბოლოვდება და ეს ხმოვნები გარკვეულ ბრუნვებში იკვეცება. ესაა ფუძეკვეცადი სახელები.

III ტიპს წარმოადგენს ისეთი სახელები, რომლებიც ისეთ ხმოვნებზე ბოლოვდებიან, რომლებიც არ იკვეცებიან. ესაა ფუძეუკვეცადი სახელები.

თანხმოვანფუძიან არსებით სახელთა ბრუნება

§ 87. თანხმოვანფუძიანი სახელები ორ ჯგუფად იყოფა: 1. ფუძეუკვეცად სახელებად, რომელთაც ფუძე არ ეკუმშებათ ბრუნების დროს, 2. ფუძეკუმშვად სახელებად, რომლებსაც გარკვეულ ბრუნვებში ფუძე ეკუმშებათ, ე. ი. ფუძის ხმოვანი ეკარგებათ.

ფუძეუკვეცადი არსებითი სახელები საზოგადო სახელები

§ 88. მხოლობითი რიცხვი. ვაბრუნოთ სიტყვა „სახლი“.

ს ა ხ.	სახლ-ი
მ ო თ.	სახლ-მა
მ ი ც.	სახლ-ს(ა)
ნ ა თ.	სახლ-ის(ა)
მ ო ქ.	სახლ-ით(ა)
ვ ი თ.	სახლ-ად(ა)
წ ო დ.	სახლ-ო

§ 89. მრავლობითი რიცხვი. მრავლობითი რიცხვის წარმოება ორგვარიანია: ებ-იანი და ნარ-თანიანი. ამის მიხედვით გვაქვს I მრავლობითი და II მრავლობითი.

I მრავლობითი:

ს ა ხ.	სახლ-ებ-ი
მ ო თ.	სახლ-ებ-მა
მ ი ც.	სახლ-ებ ს(ა)
ნ ა თ.	სახლ-ებ-ის(ა)
მ ო ქ.	სახლ-ებ-ით(ა)
ვ ი თ.	სახლ-ებ-იდ(ა)
წ ო დ.	სახლ-ებ-ო

როგორც ვხედავთ, მრავლობითის -ებ ნიშანი მოთავსებულია ფუძისა და ბრუნვის ნიშნის შორის; 2. -ებ ყველა ბრუნვას გასდევს, 3. ებ-იანი მრავლობითი პირველ ბრუნებას განეკუთვნება, რაკი ფუძე თანხმოვანზეა გათავებული (ფუძეა სხილებ).

II მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი :

ს ა ხ.	სახლ-ნი
მ ო თ.	სასლ-თ (ა)
მ ი ც.	სახლ-თ (ა)
ნ ა თ.	სახლ-თ (ა)
მ ო ქ.	—
ვ ი თ.	—
წ ო დ.	სახლ-ნ-ო

როგორც ვხედავთ, 1. II მრავლობითის ორი ნიშანი აწარმოებს: ნ და თ (ა), 2. ნ აწარმოებს ორ ბრუნვას: სახელობითს და წოდებითს, 3. თ(ა) ერთნაირად აწარმოებს სამ ბრუნვას: მოთხრობითს, მიცემითს და ნათესაობითს, 4. II მრავლობითი არ აწარმოებს ორ ბრუნვას: მოქმედებითსა და ვითარებითს (მათ მაგივრად ენა გამოიყენებს ისევ I მრავლობითს).

§ 90. I—II მრავლობითის გამოყენების არე. I მრავლობითს ზოგჯერ ახალ მრავლობითს ეძახიან, ხოლო II მრავლობითს — ძველ მრავლობითს. ეს იმიტომ, რომ I მრავლობითი (ე. ი. ებ-იანი) უპირატესად ახალ ქართულში იხმარება (გვხვდება ძველ ქართულშიც), II მრავლობითი (ნარ-თანაიანი) კი — უპირატესად ძველ ქართულში (გვხვდება ახალ ქართულშიც).

ახალ ქართულში რიცხვის მქონე ყოველი სიტყვა შეიძლება მოგვევლინოს როგორც I მრავლობითში, ისე II მრავლობითში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი გამოყენება ყოველი სიტყვის მიმართ თანაბარი იყოს. მაგალ., დღევანდელ მეტყველებას უფრო შეეფერება, თუ ვიტყვით: „დავინახე მთები“ (და არა: „დავინახე მთანი“), „ვიყიდე წიგნები“ (და არა: „ვიყიდე წიგნნი“), „კაცებმა მითხრეს“ (და არა: „კაცთა მითხრეს“) და სხვ. II მრავლობითი დღეს უფრო პოეტური მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი, ვიდრე ჩვეულებრივი სასაუბრო ენისათვის. იგულისხმება ასეთი მაგალითები: „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივი ვერ შეჰხებიან...“

მიუხედავად ზემოთქმულისა, ნარ-თანაიანი (II) მრავლობითი თანამედროვე ქართულ ენაში აუცილებელი და ერთადერთი ფორმაა გარკვეულ შემთხვევებში. იგი იხმარება: 1. მეცნიერებათა სახელწოდებებში: ენათმეცნიერება, საზოგადოებათმეცნიერება, ბუნებათმეცნიერება, ლიტერატურათმეტყველება, ვარსკვლავთმრიცხველობა, და სხვ., 2. მთელ რიგ გაქვევებულს გამო-

თქმებში: საბჭოთა კავშირი (და არა: საბჭოების კავშირი, ა.უ. შათა კლასი, მიწათმოქმედება, მწერალთა კავშირი, ძმთა სასაფლაო, დედათა და ბავშვთა ოთახი, გლეხთა სასახლე, და სხვ., 3. ზოგიერთი ნაცვალსახელის წარმოებაში: ქსენი, ისინი, ეგენი, იგინი, ყველანი.

§ 91. ბრუნვის საგრცობი ა. ოთხ ბრუნვას (მიც., ნათ., მოქ., ვიი.) ემატება ა ხმოვანი (სახლსა, სახლისა და ა. შ.), რომელიც ბრუნვის ნიშნისეული არ არის და რომელსაც ბრუნვის საგრცობი ანუ ემფატიკური ა ეწოდება. თავიდან უნდა ყოფილიყო: სახლს ამას, სახლს ა.მ.ის და ა. შ. ხშირი ხმარების გამო ნაცვალსახელი ამას — ამის... გაცედა და წინა ა მიეკრა, ნაშთის სახით, ბრუნვის ნიშანს.

საგრცობი ა უმთავრესად ძველ ქართულ ლიტერატურულ ენაში გვხვდება, ახალ ქართულში ისე გავრცელებული არ არის. ამგვარი ფორმები უფრო პოეზიაში იჩენს თავს. გავიხსენოთ: „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა...“ მაგრამ არის შემთხვევები, როცა ა-ნიანი ფორმა აუცილებელია. ეს შეეხება ნათესაობით ბრუნვას: თუ მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, საგრცობიანი ნიშანი საჭიროა. მაგალ., „წიგნის ყდა“, მაგრამ „ყდა წიგნისა“, „სამამულო ომის მონაწილე“, მაგრამ „მონაწილე სამამულო ომისა“, და სხვ. განსაკუთრებით იხმარება იმ შემთხვევაში, როცა უნდათ აღნიშნონ, ვისია თარგმანი ან ვინაა სპექტაკლის აქტორები: „თარგმანი ივ. მაჩაბლისა“, „თარგმანი გერონტი ქიქოძისა“; „დადგმა კოტე მარჯანიშვილისა“, „მუსიკა რ. ვაბიჩვაძისა“, და სხვ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 20. ა. ამოწერეთ ტექსტიდან ფუძეუწმწველი საზოგადო სახელები და გამოარკვიეთ მათი ბრუნვები; გამოყავით ბრუნვის ნიშნები დეფისით.

ტანით სწორედ მუხის ჯირკვსა ჰგავდა, ჩასხმული. ჩაქრული. წვივები ისეთი სქელი ჰქონდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანისა თითოში სამი გამოიჭრებოდა — სიორულის დროს ისე მაგრა ადგამდა ფეხებს, რომ ხმელს დედამიწას იმისი კვალი, როგორც ბევრი ქალაქის, ისე ხედ აჩნდებოდა (ვაკა); ბ. ამოკრიფეთ რომელიმე მოთხრობიდან 20 ფუძეუწმწველი საზოგადო არსებითი სახელი და გამოყავით ბრუნვის ნიშნები.

საკუთარი სახელები

§ 92. გეოგრაფიული სახელები. ქვეყნების, მხარეების, ქალაქების, სოფლების, უბნების, მთების, ხეობების, ტყეების, მინდორ-ველების, მდინარეების, ტბების და სხვ. სახელები ისევე იბრუნვიან, როგორც საზოგადო სახელები. განსხვავება მხოლოდ ერთშია: მათ მრავლობითი რიცხვი არა აქვთ.

ს ა ხ.	ქუთაის-ი	რუსეთ-ი	რიონ-ი	ნადიკვარ-ი
მ ო თ.	ქუთაის-მა	რუსეთ-მა	რიონ-მა	ნადიკვარ-მა
მ ი ც.	ქუთაის-ს(ა)	რუსეთ-ს(ა)	რიონ-ს(ა)	ნადიკვარ-ს(ა)
მ ო ქ.	ქუთაის-ით(ა)	რუსეთ-ით(ა)	რიონ-ით(ა)	ნადიკვარ-ით(ა)
ვ ი თ.	ქუთაის-ად(ა)	რუსეთ-ად(ა)	რიონ-ად(ა)	ნადიკვარ-ად(ა)
წ ო დ.	ქუთაის-ო	რუსეთ-ო	რიონ-ო	ნადიკვარ-ო

ჭ. ვიზ. ადამიანის სახელი და გვარი. თანხმოვანფუძიანი ადამიანის სახელი (ე. ი. პირის სახელები) ისე იბრუნვის, როგორც საზოგადო სახელები. განსხვავება ორ რამეში იჩენს თავს: ასეთი სახელი 1. წოდებითი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს, 2. მრავლობითი რიცხვის ფორმა არა აქვს.

ს ა ხ.	ზაალ-ი	ეთერ-ი	ქეთევან-ი
მ ო თ.	ზაალ-მა	ეთერ-მა	ქეთევან-მა
მ ი ც.	ზაალ-ს(ა)	ეთერ ს(ა)	ქეთევან-ს(ა)
ნ ა თ.	ზაალ-ის(ა)	ეთერ-ის(ა)	ქეთევან-ის(ა)
მ ო კ.	ზაალ-ით(ა)	ეთერ-ით(ა)	ქეთევან-ით(ა)
ვ ი თ.	ზაალ-ად(ა)	ეთერ-ად(ა)	ქეთევან-ად(ა)
წ ო დ.	ზაალ	ეთერ	ქეთევან

შენიშვნა: ზოგერთი საკუთარი სახელი წინათ თანხმოვანფუძიანი იყო და მერე ხმოვანფუძიანი გახდა. მაგალ., გივი-ი დღის ხმოვანფუძიანია—გივი, რომელიც გვირდში ამოუდგა ი—ბოლოზოქიანებს (გიორგი, აკაკი...), თანამედროვე სასაღებრო ენაში შიდაეკილება, ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი თანხმოვანფუძიანი გახდეს (ი—ბოლოზოქიანთა მიმსგავსებით): ანზორი-ს (მიც.), ახზორი-მ (მოთ.), ანზორი (წოდ.). ასევე ემართება სახელებს: ნოდარ, თამაზ, გურამ, ვახტანგ, რამიზ და სხვ. იშორად გაიგონებთ მიმართვის დროს (წოდებითში): ნოდარი! რამიზი! ვახტანგი! და სხვ. ლიტერატურულ მეტყველებაში უფრო ზეტად გაიკაფა ვხა „ეთერი“ ფუძემ: ეთერი (სახ.), ეთერი-მ (მოთ.), ეთერი (წოდ.). სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, თანხმოვანფუძიანთა გახმოვანფუძიანების ეს ტენდენცია გაუმართლებელია.

პირველ ბრუნებასავე განეკუთვნება თანხმოვანფუძიანი გვაროვნული სახელები:

ს ა ხ.	ფალიაშვილ-ი	ლომოურ-ი
მ ო თ.	ფალიაშვილ-მა	ლომოურ-მა
მ ი ც.	ფალიაშვილ-ს(ა)	ლომოურ-ს(ა)
ნ ა თ.	ფალიაშვილ-ის(ა)	ლომოურ ის(ა)
მ ო კ.	ფალიაშვილ-ით(ა)	ლომოურ-ით(ა)
ვ ი თ.	ფალიაშვილ-ად(ა)	ლომოურ-ად(ა)
წ ო დ.	ფალიაშვილ-ი	ლომოურ-ი

ყაზბეგ-ი	პუშკინ-ი
ყაზბეგ-მა	პუშკინ მა
ყაზბეგს ს(ა)	პუშკინ-ს(ა)
ყაზბეგ ის(ა)	პუშკინ-ის(ა)
ყაზბეგ-ით(ა)	პუშკინ-ით(ა)
ყაზბეგ-ად(ა)	პუშკინ ად(ა)
ყაზბეგ-ი	პუშკინ-ი

გვაროვნულ სახელებს მრავლობითი რიცხვი აქვთ:

I მრავლობითი:

II მრავლობითი:

სახ. ორბელიან-ებ-ი

სახ. ორბელიან-ნი

მოთ. ორბელიან-ებ-მა

მოთ. ორბელიან-თ(ა)

მიც. ორბელიან-ებ-ს(ა)

მიც. ორბელიან-თ(ა)

ნათ. ორბელიან-ებ-ის(ა)

ნათ. ორბელიან-თ(ა)

მოკ. ორბელიან-ებ-ით(ა)

მოკ. —

ვით. ორბელიან-ებ-ად(ა)

ვით. —

წოდ. ორბელიან-ებ-თ

წოდ. ორბელიან-ნ-თ

ფუძემდებელი არსებითი სახელები

§ 94. ფუძემდებლობა. ზოგიერთი არსებითი სახელის ბრუნების დროს ფუძეში გარკვეული ცვლილება ხდება: ფუძისეული ხმოვანი ამოვარდება (ე. ი. ერთი მარცვლით შემოკლდება ფუძე) ანდა დასუსტდება. ამ მოვლენას ფუძემდებლობა ჰქვია.

ფუძემდებლობას ადგილი აქვს მხოლოდითი რიცხვის სამ ბრუნვაში—ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში და I მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში.

ამოვარდება ა, ე ხმოვნები, თ ხმოვანი დასუსტდება და ვ-დ იქცევა ანდა ისიც სულ დაიკარგება.

ფუძე ეკუმშება მეტწილად ისეთ სახელებს. რომლებიც ბოლოვდებიან ალ (მაყვალი, წყალი, ჩარგალი...), ელ (კედელი, სანთელი, ყვარელი...), ან (ბოსტანი, უბანი, ქსანი...), ენ (ყურძენი, ბერძენი, ყავარჯენი...), არ (ზღაპარი, ისარი, მტკვარი...), ამ (კალამი, ქათამი, ვახშამი...), ემ (ირემი, ურემი), ოლ (ობოლი, ფოთოლი...), ორ (ნიორი, ქიჩორი, კოჯორი...) მარცვლებზე.

შენიშვნა: ზოგიერთი სახელი რყევას იჩენს: ხან იკუმშება, ხან არა. მაგალ., მდინარის სახელი „იორი“ წვიმდება ორნაირად შეგვხვდეს: იორის—იერის. ასეთივეა: ყვარელის—ყვალის, პამიდორის—პამიდერის, წერეთელის—წერთლის, მანაბელის—მანაბლის, და სხვ.

I

საზოგადო სახელები

§ 95. საზოგადო სახელების ბრუნების ნიმუშებია:
(იკარგება ა)

მხოლოდითი რიცხვი:

I სახ. ხანჯალ-ი

ატამ-ი

უბან-ი

II მოთ. ხანჯალ-მა

ატამ-მა

უბან-მა

III მიც. ხანჯალ-ს(ა)

ატამ-ს(ა)

უბან-ს(ა)

ნათ. ხანჯალ-ის(ა)

ატამ-ის(ა)

უბან-ის(ა)

მოქ. ხანჯლ-ით (ა)	ატმ-ით(ა)	უბნ-ით(ა)
ვით. ხანჯლ-ად (ა)	ატმ-ად(ა)	უბნ-ად(ა)
წოდ. ხანჯალ-ო	ატამ-ო	უბან-ო

მრავლობითი რიცხვი:

სახ. ხანჯლ-ები	ატმ-ები	უბნ-ები
მოთ. ხანჯლ-ებ-მა	ატმ-ებ-მა	უბნ-ებ-მა
მიც. ხანჯლ-ებ-ს(ა)	ატმ-ებ-ს(ა)	უბნ-ებ-ს(ა)
ნათ. ხანჯლ-ებ-ის(ა)	ატმ-ებ-ის(ა)	უბნ-ებ-ის(ა)
მოქ. ხანჯლ-ებ-ით(ა)	ატმ-ებ-ით(ა)	უბნ-ებ-ით(ა)
ვით. ხანჯლ-ებ-ად(ა)	ატმ-ებ-ად(ა)	უბნ-ებ-ად(ა)
წოდ. ხანჯლ-ებ-ო	ატმ-ებ-ო	უბნ-ებ-ო

II მრავლობითში ფუძეში ცვლილება არ ხდება:

სახ. უბან-ნი
მოთ. უბან-თ(ა)
მიც. უბან-თ(ა)
ნათ. უბან-თ(ა)
მოქ. —
ვით. —
წოდ. უბან-ნ-ო.

(იკარგება ე)

მხოლოდითი რიცხვი:

სახ. ირემ-ი	სოფელ-ი	კურდღელ-ი
მოთ. ირემ-მა	სოფელ-მა	კურდღელ-მა
მიც. ირემ-ს(ა)	სოფელ-ს(ა)	კურდღელ-ს(ა)
ნათ. ირმ-ის(ა)	ხოფლ-ის(ა)	კურდღლ-ის(ა)
მოქ. ირმ-ით(ა)	ხოფლ-ით(ა)	კურდღლ-ით(ა)
ვით. ირმ-ად(ა)	ხოფლ-ად(ა)	კურდღლ-ად(ა)
წოდ. ირემ-ო	სოფელ-ო	კურდღელ-ო

მრავლობითი რიცხვი:

სახ. ირმ-ები	ხოფლ-ები	კურდღლ-ები
მოთ. ირმ-ებ-მა	ხოფლ-ებ-მა	კურდღლ-ებ-მა
მიც. ირმ-ებ-ს(ა)	ხოფლ-ებ-ს(ა)	კურდღლ-ებ-ს(ა)
ნათ. ირმ-ებ-ის(ა)	ხოფლ-ებ-ის(ა)	კურდღლ-ებ-ის(ა)
მოქ. ირმ-ებ-ით(ა)	ხოფლ-ებ-ით(ა)	კურდღლ-ებ-ით(ა)
ვით. ირმ-ებ-ად(ა)	ხოფლ-ებ-ად(ა)	კურდღლ-ებ-ად(ა)
წოდ. ირმ-ებ-ო	ხოფლ-ებ-ო	კურდღლ-ებ-ო

(იკარგება ო)

მხოლოდითი რიცხვი:

ს ა ხ.	საპონ-ი.	ფოთოლ-ი	ობოლ-ი
მ ო თ.	საპონ-მა	ფოთოლ-მა	ობოლ-მა
მ ი ც.	საპონ-ს(ა)	ფოთოლ-ს(ა)	ობოლ-ს(ა)
ნ ა თ.	საპონ-ის(ა)	ფოთლ-ით(ა)	ობლ-ის(ა)
მ ო ქ.	საპონ-ით(ა)	ფოთლ-ით(ა)	ობლ-ით(ა)
ვ ი თ.	საპონ-ად(ა)	ფოთლ-ად(ა)	ობლ-ად(ა)
წ ო ლ.	საპონ-ო	ფოთოლ-ო	ობოლ-ო

მრავლობითი რიცხვი:

ს ა ხ.	საპნ-ებ-ი	ფოთლ-ებ-ი	ობლ-ებ-ი
მ ო თ.	საპნ-ებ-მა	ფოთლ-ებ-მა	ობლ-ებ-მა
მ ი ც.	საპნ-ებ-ს(ა)	ფოთლ-ებ-ს(ა)	ობლ-ებ-ს(ა)
ნ ა თ.	საპნ-ებ-ის(ა)	ფოთლ-ებ-ის(ა)	ობლ-ებ-ის(ა)
მ ო ქ.	საპნ-ებ-ით(ა)	ფოთლ-ებ-ით(ა)	ობლ-ებ-ით(ა)
ვ ი თ.	საპნ-ებ-ად(ა)	ფოთლ-ებ-ად(ა)	ობლ-ებ-ად(ა)
წ ო ლ.	საპნ-ებ-ო	ფოთლ-ებ-ო	ობლ-ებ-ო

(ო იქცევა ვ-დ)

მხოლოდითი რიცხვი:

ს ა ხ.	ნიგოზ-ი	მინდორ-ი
მ ო თ.	ნიგოზ-მა	მინდორ-მა
მ ი ც.	ნიგოზ-ს(ა)	მინდორ-ს(ა)
ნ ა თ.	ნიგვზ-ის(ა)	მინდვრ-ის(ა)
მ ო ქ.	ნიგვზ-ით(ა)	მინდვრ-ით(ა)
ვ ი თ.	ნიგვზ-ად(ა)	მინდვრ-ად(ა)
წ ო ლ.	ნიგოზ-ო	მინდორ-ო

მრავლობითი რიცხვი:

ს ა ხ.	ნიგვზ-ებ-ი	მინდვრ-ებ-ი
მ ო თ.	ნიგვზ-ებ-მა	მინდვრ-ებ-მა
მ ი ც.	ნიგვზ-ებ-ს(ა)	მინდვრ-ებ-ს(ა)
ნ ა თ.	ნიგვზ-ებ-ის(ა)	მინდვრ-ებ-ის(ა)
მ ო ქ.	ნიგვზ-ებ-ით(ა)	მინდვრ-ებ-ით(ა)
ვ ი თ.	ნიგვზ-ებ-ად(ა)	მინდვრ-ებ-ად(ა)
წ ო ლ.	ნიგვზ-ებ-ო	მინდვრ-ებ-ო

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 23. შეარჩიეთ ფუძეკუმწვადი არსებითი საბელები, რომლებ-საც ეკარგებათ ა, ე (ხუთ-ხუთი მაგალითი) და აბრუნეთ.

II

საკუთარი სახელები

§ 96. საკუთარი სახელებიდან კუმშვადობა მოუდის ზოგიერთ გვაროვნულ სახელს, რომლებიც ელ-ზეა დაბოლოებული. უმთავრესად კი იკუმშება გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ბოლოვდებიან § 94-ში დასახელებულ მარცვლებზე.

გვაროვნული სახელები:

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
სახ. წერეთელ-ი	წერეთლ-ებ-ი
მოთ. წერეთელ-მა	წერეთლ-ებ-მა
მიც. წერეთელ-ს(ა)	წერეთლ-ებ-ს(ა)
ნათ. წერეთლ-ის(ა)	წერეთლ-ებ-ის(ა)
მოქ. წერეთლ-ით(ა)	წერეთლ-ებ-ით(ა)
ვით. წერეთლ-ად(ა)	წერეთლ-ებ-ად(ა)
წოდ. წერეთელ-ო	წერეთლ-ებ-ო

გეოგრაფიული სახელები:

სახ. ქსან-ი	წინანდალ-ი	კოჯორ-ი
მოთ. ქსან-მა	წინანდალ-მა	კოჯორ-მა
მიც. ქსან-ს(ა)	წინანდალ-ს(ა)	კოჯორ-ს(ა)
ნათ. ქსნ-ის(ა)	წინანდლ-ის(ა)	კოჯრ-ის(ა)
მოქ. ქსნ-ით(ა)	წინანდლ-ით(ა)	კოჯრ-ით(ა)
ვით. ქსნ-ად(ა)	წინანდლ-ად(ა)	კოჯრ-ად(ა)
წოდ. ქსან-ო	წინანდალ-ო	კოჯორ-ო

სავარჯიშო 21. მონახეთ ფუძეკუმშვადი გვაროვნული და გეოგრაფიული სახელები (ხუთ-ხუთი მაგალითი) და აბრუხეთ.

ხმოვანფუძიან არსებით სახელთა ბრუნება

§ 97. ხმოვანფუძიანი არსებითი სახელები ორ ჯგუფად იყოფა: ერთი მხრით ექვევა ისეთი სახელები, რომლებიც გარკვეულ ბრუნვებში ბოლოხმოვანს იკვეცენ, ხოლო მეორე ჯგუფს ჰქმნიან ისეთები, რომლებიც ბოლოხმოვანს ინარჩუნებენ ყველა ბრუნვაში. ამის მიხედვით გვიქვს: ბოლოკვეცილი სახელები და ბოლოუკვეცილი სახელები.

ბოლოკვეცილი არსებითი სახელები

I

საზოგადო სახელები

§ 98. თითქმის ყველა საზოგადო სახელს (გამონაკლისები იხ. § 103-ში), რომლებიც თავდებიან ა და ე ხმოვნებზე, ეს ბოლოხმოვანი

ეკარგებათ მხოლოდითი რიცხვის ორ ბრუნვაში: ნათესაობითსა და მოკმედებითში, ა-ზე გათავებულებში კი I მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში. ამრიგად, ფუძეში გარკვეული ცვლილება ხდება.

მეორე განმასხვავებელი თვისება ბოლოთანხმოვნთან არსებით სახელებთან შედარებით თავს იჩენს ბრუნვის ნიშნებში: 1. სახელობით ბრუნვაში—ბოლოხმოვნის ზეგავლენით—o იკარგება; 2. მოთხრობითს აწარმოებს -მ ნიშანი, ნაცვლად -მა ნიშნისა; 3. ვითარებით ბრუნვაში—ბოლოხმოვნის ზეგავლენით—გვაქვს დ ნიშანი, ნაცვლად -ად ნიშნისა; 4. წოდებით ბრუნვაში არის o. ვ (რომელიც მიღებულია o-ს დასუსტებით ბოლოხმოვნის ზეგავლენით) ანდა ნული.

(იკვეცება ე).

მხოლოდითი რიცხვი:

სახ. კლდე	მეჩეკმე	სამელნე
მოთ. კლდე-მ	მეჩეკმე-მ	სამელნე-მ
მიც. კლდე-ს(ა)	მეჩეკმე ს(ა)	სამელნე-ს(ა)
ნათ. კლდე-ის(ა)	მეჩეკმ ის(ა)	ხამელნ-ის(ა)
მოქ. კლდე-ით(ა)	მეჩეკმ-ით(ა)	ხამელნ-ით(ა)
ვით. კლდე-დ(ა)	მეჩეკმე-დ(ა)	სამელნე-დ(ა)
წოდ. კლდე-ო	მეჩეკმე-ო	სამელნე-ო

I მრავლობითი:

II მრავლობითი:

სახ. კლდე-ები	კლდე-ნი
მოთ. კლდე-ებ-მა	კლდე-თ(ა)
მიც. კლდე-ებ-ს(ა)	კლდე-თ(ა)
ნათ. კლდე-ებ-ის(ა)	—
მოქ. კლდე-ებ-ით(ა)	—
ვით. კლდე-ებ-ად(ა)	—
წოდ. კლდე-ებ-ო	კლდე-ნო

როგორც ვხედავთ, ბოლოკიდური ე შენარჩუნებულია I მრავლობითშიც.

(იკვეცება ა)

მხოლოდითი რიცხვი:

სახ. ტბა	მუხა
მოთ. ტბა-მ	მუხა-მ
მიც. ტბა-ხ(ა)	მუხა-ხ(ა)
ნათ. ტბ-ის(ა)	მუხ-ის(ა)

მოქ. ტბ-ით(ა)	მუხ-ით(ა)
ვით. ტბა-ლ	მუხა-ლ
წოდ. ტბა-ვ	მუხა-ო (მუხა-ვ)

I მრავლობითი რიცხვი:

სახ. ტბ-ებ-ი	მუხ-ებ-ი
მოთ. ტბ-ებ-მა	მუხ-ებ-მა
მიც. ტბ-ებ-ს(ა)	მუხ-ებ-ს(ა)
ნათ. ტბ-ებ-ის(ა)	მუხ-ებ-ის(ა)
მოქ. ტბ-ებ-ით(ა)	მუხ-ებ-ით(ა)
ვით. ტბ-ებ-ად(ა)	მუხ-ებ-ად(ა)
წოდ. ტბ-ებ-ო	მუხ-ებ-ო

II მრავლობითში კვეცადობა არ ხდება:

სახ. ტბა-ნ-ი
მოთ. ტბა-თ (ა)
მიც. ტბა-თ (ა)
ნათ. ტბა-თ(ა)
მოქ. —
ვით. —
წოდ. ტბა-ნ-ო

საქართველო 22. მონახეთ ლიტერატურის კრესტომათიაში ფუძვეყვიადი ახზავადო არსებითი სახელები (სულ 20) და აბრუნეთ.

II

აბსტრაქტული სახელები

§ 99. ა ეკვეცება ისეთ აბსტრაქტულ (განყენებულ) სახელებს, რომლებიც ბოლოვდებიან ობა და ება სუფიქსებზე; ე ეკვეცება ისეთებს, რომლებსაც პრეფიქსად სი მოუდით და სუფიქსად ე, ე. ი. სი—ე.

სახ. მეგობრობა	ბედნიერება	სითეთრე
მოთ. მეგობრობა-მ	ბედნიერება-მ	სითეთრე-მ
მიც. მეგობრობა-ს(ა)	ბედნიერება-ს(ა)	სითეთრე-ს(ა)
ნათ. მეგობრობა-ის(ა)	ბედნიერება-ის(ა)	სითეთრე-ის(ა)
მოქ. მეგობრობა-ით(ა)	ბედნიერება-ით(ა)	სითეთრე-ით(ა)
ვით. მეგობრობა-ად(ა)	ბედნიერება-ად(ა)	სითეთრე-ად(ა)
წოდ. მეგობრობა-ვ	ბედნიერება-ვ	სითეთრე-ვ

საქართველო 23. მონახეთ კრესტომათიაში ფუძვეყვიადი აბსტრაქტული სახელები (სულ 10) და აბრუნეთ.

III

საკუთარი სახელები

გეოგრაფიული სახელები (იკვეცება ა)

ს ა ხ.	კიათურა	ყვირილა
მ ო თ.	კიათურა-მ	ყვირილა-მ
მ ი ც.	კიათურა-ხ(ა)	ყვირილა-ხ(ა)
ნ ა თ.	კიათურ-ის(ა)	ყვირილ-ის(ა)
მ ო ქ.	კიათურ-ით(ა)	ყვირილ-ით(ა)
ვ ი თ.	კიათურა-დ(ა)	ყვირილა-დ(ა)
წ ო დ.	კიათურა-ვ (კიათურა)	ყვირილა-ვ (ყვირალა)

(იკვეცება ე)

ს ა ხ.	ახალციხე	საირმე
მ ო თ.	ახალციხე-მ	საირმე-მ
მ ი ც.	ახალციხე-ხ(ა)	საირმე-ხ(ა)
ნ ა თ.	ახალციხ-ის(ა)	საირმ-ის(ა)
მ ო ქ.	ახალციხ-ით(ა)	საირმ-ით(ა)
ვ ი თ.	ახალციხე-დ(ა)	საირმე-დ(ა)
წ ო დ.	ახალციხე ვ (ახალციხე)	საირმე-ვ (საირმე)

საქართველოს 24. მონახეთ ქრესტომათიაში ა-სა და ე-ზე დაბოლოებული ფუძევეცადი გეოგრაფიული სახელები (სულ 6) და აბრუწეთ.

§ 100. გვაროვნული სახელები. ბოლოზმოვანი ეკვეცება მხოლოდ ისეთ გვაროვნულ სახელებს, რომლებიც: 1. -ჭე-ზე ბოლოვდებიან (სააკაძე, კონქაძე...); 2. ჰომ თავის მხრივ საზოგადო სახელია (უდრის შვილს) და ამიტომ გასაგებია, რომ ამ სიტყვით ნაწარმოები გვარები ე-ს მოიკვეცენ; 3. წარმოშობით საზოგადო სახელებია (მენაბდე—ნაბდის მკეთებელი, მებუკე—ბუკე დამკერელი...).

მხოლოდითი რიცხვი:

ს ა ხ.	სააკაძე	მენაბდე
მ ო თ.	სააკაძე-მ	მენაბდე-მ
მ ი ც.	სააკაძე-ხ (ა)	მენაბდე-ხ (ა)
ნ ა თ.	სააკაძ-ის (ა)	მენაბდ-ის (ა)
მ ო ქ.	სააკაძ-ით (ა)	მენაბდ-ით (ა)
ვ ი თ.	სააკაძე-დ (ა)	მენაბდე-დ (ა)
წ ო დ.	სააკაძე-ვ (სააკაძე)	მენაბდე-ვ (მენაბდე)

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი :

ს ა ხ. სააკაძე-ებ-ი	შენაბდე-ებ-ი
მ ო თ. სააკაძე-ებ-შა	შენაბდე-ებ-შა
მ ი ც. სააკაძე-ებ-ს(ა)	შენაბდე-ებ-ს(ა)
ნ ა თ. სააკაძე-ებ-ის(ა)	შენაბდე-ებ-ის(ა)
მ ო ქ. სააკაძე-ებ-ით(ა)	შენაბდე-ებ-ით(ა)
ვ ი თ. სააკაძე-ებ-ად(ა)	შენაბდე-ებ-ად(ა)
წ ო დ. სააკაძე-ებ-ო	შენაბდე-ებ-ო

კ უ მ უ მ ა დ - კ ვ ე ც ა დ ი ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

§ 101. არის რამდენიმე სიტყვა, რომლებსაც ერთსა და იმავე დროს ფუძე კიდეც ეკუთმებათ და კიდეც ეკვეცებათ. ასეთებია, მაგალ., ქვეყანა, ფანჯარა, ქარხანა.

მ ხ ო ლ. რ ი ც ხ ვ ი : მ რ ა ვ ლ. რ ი ც ხ ვ ი :

ს ა ხ. ქვეყანა	ქვეუნ-ებ-ი
მ ო თ. ქვეყანა-შ	ქვეუნ-ებ-შა
მ ი ც. ქვეყანა-ს(ა)	ქვეუნ-ებ-ს(ა)
ნ ა თ. ქვეუნ-ის(ა)	ქვეუნ-ებ-ის(ა)
მ ო ქ. ქვეუნ-ით(ა)	ქვეუნ-ებ-ით(ა)
ვ ი თ. ქვეუნ-ად(ა)	ქვეუნ-ებ-ად(ა)
წ ო დ. ქვეყანა-ვ (ქვეყანა)	ქვეუნ-ებ-ო

ბ ო ლ ო უ კ ვ ე ც ე ლ ი ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

I

ს ა ზ ო გ ა დ ო ს ა ხ ე ლ ე ბ ი

§ 102. ბოლო არ ეკვეცება ისეთ საზოგადო არსებით სახელებს, რომლებიც თავდებიან ო, უ, ი ხმოვნებზე; აქვე შემოდის რამდენიმე საზოგადო სახელი, რომლებიც ა-ზე ბოლოვდებიან და არ ემორჩილებიან ისეთი ტიპის სახელებისათვის დამახასიათებელ კვეცალობის საზოგადო წესს.

ბოლოუკვეცლები ბოლოკვეცილთაგან განსხვავდებიან ბრუნვის ნიშნებშიც (ნათესაობითსა და მოქმედებითში).

§ 103. ბოლოუკვეციელი არსებითი სახელების ბრუნების ნიმუშებია:

მ

მხოლ. რ.	I მრავლ. რ.	II მრავლ. რ.
სახ. ეზო	ეზო-ებ-ი	ეზო-ნ-ი
მოთ. ეზო-მ	ეზო-ებ-მა	ეზო-თ(ა)
მიც. ეზო-ს(ა)	ეზო-ებ-ს(ა)	ეზო-თ(ა)
ნათ. ეზო-ს(ა)	ეზო-ებ-ის(ა)	ეზო-თ(ა)
მოქ. ეზო-თი	ეზო-ებ-ით(ა)	—
ვით. ეზო-დ(ა)	ეზო-ებ-ად(ა)	—
წოდ. ეზო-ვ (ეზო)	ეზო-ებ-ო	ეზო-ნ-ო

უ

მხოლ. რ.	I მრავლ. რ.	II მრავლ. რ.
სახ. ძუძუ	ძუძუ-ებ-ი	ძუძუნ-ი
მოთ. ძუძუ-მ	ძუძუ-ებ-მა	ძუძუ-თ(ა)
მიც. ძუძუ-ს(ა)	ძუძუ-ებ-ს(ა)	ძუძუ-თ(ა)
ნათ. ძუძუ-ს(ა)	ძუძუ-ებ-ის(ა)	ძუძუ-თ(ა)
მოქ. ძუძუ-თი	ძუძუ-ებ-ით(ა)	—
ვით. ძუძუ-დ(ა)	ძუძუ-ებ-ად(ა)	—
წოდ. ძუძუ-ვ	ძუძუ-ებ-ო	ძუძუ-ნ-ო

ი

საზოგადოდ, ქართულ ენაში ამჟამად არ მოიპოვება ისეთი ქართული არსებითი სახელები, რომელთა ძირი ი-ზე თავდებოდეს. გვაქვს რამდენიმე სიტყვა, ი-ზე დაბოლოებულნი, რომლებიც უცხოური წარმოშობისაა: ჩაი, პაი, ტრამვაი, ტაქსი. განსხვავებულია მოქმედებითი ბრუნვა: თი-ს ნაცვლად თ(ა) იხმარება. მათ მრავლობითი რიცხვი ჩვეულებრივ არა აქვთ.

სახ. ჩაი	პაი	ტრამვაი
მოთ. ჩაი-მ	პაი-მ	ტრამვაი-ი
მიც. ჩაი-ს(ა)	პაი-ს(ა)	ტრამვაი-ს(ა)
ნათ. ჩაი-ს(ა)	პაი-ს(ა)	ტრამვაი-ს(ა)
მოქ. ჩაი-თ(ა)	პაი-თ(ა)	ტრამვაი-თ(ა)
ვით. ჩაი-დ(ა)	პაი-დ(ა)	ტრამვაი-დ(ა)
წოდ. ჩაი	პაი	ტრამვაი

ა-ზე დაბოლოებულ საზოგადო არსებით სახელთაგან კვეცა არ ახასიათებს ისეთ სიტყვებს, რომელთა ა მაწარმოებელია, სუფიქსისეულია და არა ნამდვილი ძირის კუთვნილება. ასეთებია: დედოფალა, ცისარტყელა, თავშავა, ძირტკბილა, მრავალძარღვა, და სხვ. ამავე სახელებს ეკედლება ზოგიერთი ფრინველისა და თევზის სახელი: ტოროლა, სკვინჩა, ნაფოტა. წვერა, ნიბლია, და სხვ. აუკვეცელი სახელები I მრავლობით რიცხვში ა-ს იკვეცენ.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი :

ს ა ხ. ცისარტყელა	ძირტკბილა	ტოროლა
მ ო თ. ცისარტყელა-მ	ძირტკბილა-მ	ტოროლა-მ
მ ი ც. ცისარტყელა-ს(ა)	ძირტკბილა-ს(ა)	ტოროლა-ს(ა)
ნ ა თ. ცისარტყელა-ს(ა)	ძირტკბილა-ს(ა)	ტოროლა-ს(ა)
მ ო ქ. ცისარტყელა-თი	ძირტკბილა-თი	ტოროლა-თი
ვ ი თ. ცისარტყელა-დ(ა)	ძირტკბილა-დ(ა)	ტოროლა-დ(ა)
წ ო დ. ცისარტყელა-ფ (ცისარტყელა)	ძირტკბილა-ფ (ძირტკბილა)	ტოროლა-ფ (ტოროლა)

I მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი :

ს ა ხ. ტოროლ-ებ-ი
მ ო თ. ტოროლ-ებ-მა
მ ი ც. ტოროლ-ებ-ს(ა)
ნ ა თ. ტოროლ-ებ-ს(ა)
მ ო ქ. ტოროლ-ებ-თი(ა)
ვ ი თ. ტოროლ-ებ-ად(ა)
წ ო დ. ტოროლ-ებ-თ

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 25. მონახეთ ქრესტომათიაში ო, უ ხმოვნებზე დაბოლოებული არსებითი სახელები (ხუთ-ხუთი) და აბრუნეთ.

II

ს ა კ უ შ ი ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

§ 104. კვეცადობა არ ახასიათებს უმთავრესად ო და უ ხმოვნებზე გათავებულ გ ე ო გ რ ა თ ი უ ლ სახელებს.

ს ა ხ. ბახმარო	ჩხოროწყუ
მ ო თ. ბახმარო-მ	ჩხოროწყუ-მ
მ ი ც. ბახმარო-ს(ა)	ჩხოროწყუ-ს(ა)
ნ ა თ. ბახმარო-ს(ა)	ჩხოროწყუ-ს(ა)
მ ო ქ. ბახმარო-თი	ჩხოროწყუ-თი
ვ ი თ. ბახმარო-დ(ა)	ჩხოროწყუ-დ(ა)
წ ო დ. ბახმარო-ფ (ბახმარო)	ჩხოროწყუ-ფ (ჩხოროწყუ)

§ 105. ადამიანის სახელები ბოლოუკვეცელებია, რომელ ხმოვანზე-
დაც არ იყვნენ ისინი დაბოლოებულნი: ა-ზე, ე-ზე, ო-ზე, ი-ზე, თუ უ-ზე.

	ა	ე	ი
ს ა ხ.	კახა	ელენე	დალი
მ ო თ.	კახა-მ	ელენე-მ	დალი-მ
მ ი ც.	კახა-ხ(ა)	ელენე-ხ(ა)	დალი-ხ(ა)
ნ ა თ.	კახა-ს(ა)	ელენე-ს(ა)	დალი-ს(ა)
მ ო ქ.	კახა-თი	ელენე-თი	დალი-თ
ვ ი თ.	კახა-დ(ა)	ელენე-დ(ა)	დალი-დ(ა)
წ ო დ.	კახა	ელენე	დალი

	ო	უ
ს ა ხ.	სანდრო	დუტუ
მ ო თ.	სანრო-მ	დუტუ-მ
მ ი ც.	სანდრო-ს(ა)	დუტუ-ს(ა)
ნ ა თ.	სანდრო-ს(ა)	დუტუ-ს(ა)
მ ო ქ.	სანდრო-თი	დუტუ-თი
ვ ი თ.	სანდრო-დ(ა)	დუტუ-დ(ა)
წ ო დ.	სანდრო	დუტუ

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 26. აბრუნეთ საკეთარი სახელები: ელგუჯა, ლაშა, სალომე
აკაკი, გიგო, ძუჯუ.

გვაროვნული სახელების ბრუნების ნიმუშებია:

	ა	ე	ი
ს ა ხ.	ინგოროყვა	ბროსე	გორკი
მ ო თ.	ინგოროყვა-მ	ბროსე-მ	გორკი-მ
მ ი ც.	ინგოროყვა-ს(ა)	ბროსე-ს(ა)	გორკი-ს(ა)
ნ ა თ.	ინგოროყვა-ს(ა)	ბროსე-ს(ა)	გორკი-ს(ა)
მ ო ქ.	ინგოროყვა-თი	ბროსე-თი	გორკი-თ
ვ ი თ.	ინგოროყვა-დ(ა)	ბროსე-დ(ა)	გორკი-დ(ა)
წ ო დ.	ინგოროყვა	ბროსე	გორკი

	ო	უ
ს ა ხ.	შევერეკო	შოუ
მ ო თ.	შევერეკო-მ	შოუ-მ
მ ი ც.	შევერეკო-ს(ა)	შოუ-ს(ა)
ნ ა თ.	შევერეკო-ს(ა)	შოუ-ს(ა)
მ ო ქ.	შევერეკო-თი	შოუ-თი
ვ ი თ.	შევერეკო-დ(ა)	შოუ-დ(ა)
წ ო დ.	შევერეკო	შოუ

როგორც ვხედავთ, ადამიანთა სახელებს წოდებით ბრუნვაში ვ ჩვეულებრივ არ ემატება; მოქმედებითი ბრუნვის ნიშნად *o-ზე* დაბოლოებულ ადამიანთა სახელებს მოუდის *თ* და არა *თი*. ისევე როგორც ეს ახასიათებს *o*—ფუძიან საზოგადო სახელებს. *o-ზე* დაბოლოებული ადამიანთა სახელები უმთავრესად უცხოური წარმოშობისაა (ლავრენტი. აკაკი, გიორგი, ტერენტი, გივი და სხვ.). გვაროვნულ სახელთაგან *ე-ო-უ-ზე* გათავებული სახელები უცხოური, არაქართული გვარებია.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 27. აბრუნეთ გვარები: ჩაიკოვსკი, ჰაინე, გოეთე, ზოლა.

§ 106. არის ისეთი საზოგადო სახელები, რომლებიც საკუთარი სახელების როლშიც გამოდიან და, მაშასადამე, ემორჩილებიან საკუთარი სახელების ბრუნების წესს. ესენია ნათესაური ტერმინები: დედა, მამა, დეიდა, მამიდა, ბიძია, ბიძოლა, ბებია, ბაბუა, პაპა... ამ სიტყვებისადმი ჩვენ ორგვარი მიდგომა გვაქვს: ერთია. როდესაც ვლაპარაკობთ საერთოდ დედაზე, მამაზე და სხვ., და მეორე, როდესაც საკუთარ დედას, მამას და სხვ. ვგულისხმობთ. რაკი საკუთარ დედას, მამას და სხვ. ჩვენ სახელს არ ვეძახით ჩვეულებრივ, ამიტომ ეს სიტყვები ჩვენთვის (ე. ი. ვინც მიმართავს) საკუთარი სახელებია; ბოლო ა არ იკვეცება. შევედაროთ ერთმანეთს ორი წინადადება: 1. დედის გული მგრძნობიარეა, 2. დედას გული მგრძნობიარეა. პირველ შემთხვევაში იგულისხმება საერთოდ დედა (და არა ჩემი), მეორე შემთხვევაში კი ვგულისხმობთ საკუთარ დედას (და არა საერთოდ დედას). გამოთქმებში: „ბაბუას ჩიბუხი“, „ბებიას სათვალე“, „მამიდას სახლი“, და სხვ. ბაბუა“, „ბებია“, „მამიდა“, საკუთარი სახელებია.

ისტორიული ცნობა

ძველ ქართულში ადამიანთა სახელებს სახელობითსა და მოთხრობითში ბრუნვის ნიშანი სულ არა ჰქონდათ; ემფატიკური (სავრცობი) ა არ ემატებოდა მიცემით-ნათესაობით-მოქმედებით-ვითარებით ბრუნვებს; ხმოვანფუძიან სახელებს ნათესაობითსა და მოქმედებითში დავრთვოდა -*ას* (აბო-*ას*, საბა-*ას*...).

თავისებურად ბრუნებადი არსებებითი სახელები

§ 107. ზოგიერთი არსებითი სახელი არ ემორჩილება ბრუნების ნორმალურ წესს და გარკვეულ ბრუნვებში თავისებურებას იჩენს. ასეთი სახელებია: ღვინო, ამბავი, ღმერთი, ხუცესი, ხბო.

1. ღვინო. ამის თავისებურება ისაა, რომ ბოლო ხმოვანს იკვეცს (ნათესაობითსა და მოქმედებითში), მაშინ როდესაც *o-ზე* დაბოლოებული არსებითი სახელები საერთოდ *ო-ს* ინარჩუნებენ ამ ბრუნვებში, ე. ი.

გვაქვს ღვინ-ის, ღვინ-ით (და არა ღვინო-ს, ღვინო-თი); მრავლობითში კი ო შენარჩუნებულია: ღვინო-ებ-ი.

2. ამბავი. კუმშვაღია, ე. ი. ა გარკვეულ ბრუნვებში ამოვარდება. უნდა ყოფილიყო: ამბავ-ის, ამბავ-ით, ამბავ-ად, მაგრამ რაკი ერთად მოიყარა მბვ თანხმოვნებმა, ვ-ც დაიკარგა და, ამრიგად, მივიღეთ: ამბ-ის, ამბ-ით, ამბ-ად, მრავლობითში: ამბ-ებ-ი.

3. ღმერთი. კუმშვაღია, ე. ი. ე გარკვეულ ბრუნვებში ამოვარდება. უნდა ყოფილიყო: ღმერთ-ის, ღმერთ-ით, ღმერთ-ად, მაგრამ რაკი ერთად მოიყარა ღმრთ თანხმოვნებმა, ჯერ რ დაიკარგა, მივიღეთ ღმთ ფუძე, შემდეგ მ გადაიქცა ვ-დ და მივიღეთ ღვთ ფუძე. მრავლობითში ფუძე არ იკუმშება. ამრიგად, ვლებულობთ:

მხოლ. რიცხვი:	მრავლ. რიცხვი:
სახ. ღმერთ-ი	ღმერთ-ებ-ი
მოთ. ღმერთ-მა	ღმერთ-ებ-მა
ნათ. ღვთ-ის(ა)	ღმერთ-ებ-ის(ა)
მოქ. ღვთ-ით(ა)	ღმერთ-ებ-ით(ა)
ვით. ღვთ-ად(ა)	ღმერთ-ებ-ად(ა)
წოდ. ღმერთ-ო	ღმერთ-ებ-ო

მიუხედავად ამისა, ახალ ქართულში შეიძლება შეგვხვდეს ეს სიტყვა უკუმშველად: ღმერთ-ის, ღმერთ-ით. ღმერთ-ად.

4. ხუცესი. კუმშვაღია, ე. ი. ე გარკვეულ ბრუნვებში ამოვარდება. უნდა ყოფილიყო: ხუცეს-ის, ხუცეს-ით, ხუცეს-ად, მაგრამ ცს კომპლექსის გამოთქმა ძნელი გამხდარა და ს-ც დაიკარგულა: ხუც-ის, ხუც-ით, ხუც-ად, მრავლ.: ხუც-ებ-ი.

5. ხბო. ამ სიტყვის მრავლობითია ხბო-ებ-ი, მაგრამ პარალელურად იხმარება ხბორ-ებ-ი, ე. ი. ხბორ ფუძეა ამოსავალი. ძველად იყო ხბოვარ ფუძე, რომლის სახენაცვალია ხბორ: ხბოვარ-ებ-ი— ხბოვრ-ებ-ი— ხბორ-ებ-ი.

ისტორიული ცნობა

ძველ ქართულში იყო მერვე ბრუნვა: წრფელობითი. რომელიც ფუძის სახით გვხვდებოდა (რაიმე ნიშანს არ დაირთავდა). ბოლოხმოვნთან სახელებს სახელობითში ი-ს ნაცვლად მისი დასუსტებული სახე აქონდა. თუ ბოლო ხმოვანი უკვეცელი იყო, ნათესაობითსა და მოკმედებითში მოუდიოდა მსა, მთა. ვითარებითში სავრცობი ა არ ემატებოდა. ამრიგად, ბრუნების სურათი ასეთი იყო:

წ რ ფ. კაც	ორმო
ს ა ხ. კაც-ი	ორმო-ჲ
მ ო თ. კაც-მან	ორმო-მან
მ ი ც. კაც-ხა	ორმო-ხა
ნ ა თ. კაც-ისა	ორმო-ჲხა
მ ო ქ. კაც-ითა	ორმო-ჲთა
ვ ი თ. კაც-ად	ორმო-დ
წ ო დ. კაც-ო	ორმო-ო

ბ რ უ ნ ე ბ ა დ ი ა ლ მ ე ქ ტ ა ბ უ მ ი

დიალექტებში ბრუნვათა ფორმები სახეცვლილია; ისინი გამოხატულებას პოულობენ ლიტერატურაშიც.

სახელობითის ი თანხმოდანფუძიანებს ჩამოცლილი აქვთ: ქ ა ლ, ც ხ ე ნ. ასეა მთის კილოებში. შესულია ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის ნაწერებში. მაგალ., „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ყ ო მ ა შ ი ნ ა“ (ვაჟა). შეიძლება ი დაიკარგოს ნ-არინ მრავლობითშიც: „ყ მ ა წ ვ ი ლ ნ, უ ხ ო რ ც ო დ დ ა ზ - დ ი ლ ნ ი, რ ა ვ ა ე კ ა ც ო ბ ა ს ი ზ ა მ ე ნ?“ (ვაჟა). ხმოდანფუძიანებს კი ი ზ ო გ ჯ ე რ შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ უ ლ ი ა ქ ვ თ: დ ე დ ა ი, მ უ შ ა ო ბ ა ი. გვხვდება ყაზბეგის, ვა- ე ა ს, ს. მგალობლიშვილის, ნ. ლომოურის, ნინოშვილის და სხვათა ნა- წერებში.

მოთხრობითში შ ა ნ ი შ ნ ის ნ ა ც ვ ლ ა დ გ ვ ხ ე დ ე ბ ა მ (მთის კილოებში). მაგალ., „ნ ი ს ლ ე ბ მ დ ა წ ი რ ე ს ხ ე ვ ე ბ ი“ (ვაჟა).

ნათესაობითსა და მოქმედებითში ხმოდანზე გათავებულ ბოლოუკვე- ცელ სახელებთან შემონახულია სრული დაბოლოება ის, ით: მ თ ა- ის, ხ ე ის,—მ თ ა ი თ, ხ ე ი თ. გვხვდება იმერულში (აქედან შესულია დ. კლდიაშვილის, გ. წერეთლის და სხვ. ნაწერებში) და მთის კილოებში (აქედან: ვაეასა და ყაზბეგის ნაწერებში). მაგალ., „ჩ ე ვ ი ნ კ ვ ა ლ ი ხ ა რ დ ლ ე ს შ ე ნ ა, ლ უ რ ჯ ა ი ს დ ა ნ ა ბ ი ჯ ე ბ ო!“ (ვაჟა).

წოდებითი ბრუნვის ნიშნად ხმოდანის შემდეგ მთის კილოებში (აქე- დან: ვაეასა და ყაზბეგის ნაწერებში) გვევლინება უ: „ა რ ა, პ ა პ ა უ, მ ე თ ე მ ის ხ ა ლ ხ ი ა რ მ ი ნ დ ა“ (ყაზბეგი); „რ ა ი მ ო გ ს ე ლ ი ა, ქ ა ლ ა უ“ (ყაზ- ბეგი).

მთის კილოებში მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი -ით გარკვეულ შემთხვევებში გამოხატავს მოძრაობას იქიდან აქეთ; ამას გამოსვლითი (დაწყებითი) ბრუნვა ჰქვია და ლიტერატურულ ენაში გადმოიცემა და ნ-ით: „ხ ე ვ ს უ რ ე თ ი თ წ ა მ ო ვ ე ლ“—ხ ე ვ ს უ რ ე თ ი დ ა ნ წ ა მ ო ვ ე ლ. ეს მოვ- ლენა ძველ ქართულს ახასიათებდა. ახალ ქართულშიც არის მისი კვა- ლი: „მ თ ი თ მ ო ნ ა ბ ე რ ი ჰ ა ე რ ი“ (მთიდან მონაბერი ჰაერი); „მ ა ლ ლ ი თ

წვიმა მოდიოდა" (აკაკი. უღრის: „მალლიდან წვიმა მოდიოდა); „თავით ფეხებამდის დამასველა" (თავიდან ფეხებამდის დამასველა).

მთის კილოები -თ სუფიქსს ურთავს -ში და -ზე თანდებულობის სახელდებაც: „ომშით გამოქცეულსა მეხი დაცეს მედგარი" (ვება), ე. ი. ომიდან გამოქცეულსა. „ბანზეთ" უღრის: ბანზე იყო და იქიდან: „ცხენზეთ", და მისთანანი.

არსებითი სახელების მართლწერა

1. თუ არსებითი სახელი გათავებულია მ-ზე, მოთხრობით ბრუნვაში თავს მოიყრის ორი მ (ერთი ფუძისეული, მეორე ბრუნვისეული): კალამ-მა, ქათამ-მა, გურამ-მა.

2. ორი ხ მოიყრის თავს, როცა ს-ზე გათავებული არსებითი სახელი მიცემითშია დასმული (ერთია ფუძისეული, ერთი ბრუნვისეული): აღმას-ს, თბილის-ს, ვილის-ს.

3. თუ სიტყვის ფუძე ია-ზე ბოლოვდება და ეს სიტყვა კვეცადია. ნათესაობითსა და მოქმედებითში, ბოლო ა-ს ნოკვეცის გამო, თავს მოიყრის ორი ე (ერთი ფუძისეული, მეორე ბრუნვისეული): ასტრონომი-ის, გეოგრაფი-ის, გალი-ის.

4. თუ სიტყვის ფუძე ი-ზე თავდება, ეს ე შენარჩუნებული უნდა იყოს ბრუნვებში. უნდა იყოს: ჩაი-მ, ჩაი-ს, ჩაი-დ და არა: ჩა-მ, ჩა-ს, ჩა-დ; უნდა იყოს: გიორგი-მ, გიორგი-ს, გიორგი-დ და არა: გიორგ-მა, გიორგ-ს, გიორგ-ად.

5. ვითარებით ბრუნვაში უნდა იწერებოდეს -ად, -დ და არა -ათ, -თ. ე. ი. უნდა იყოს: კაც-ად, დირექტორ-ად, ხე-დ და არა: კაც-ათ, დირექტორ-ათ, ხე-თ.

6. ადამიანთა საკუთარი სახელები წოდებით ბრუნვაში უნდა გვხვდებოდეს ფუძის სახით და არა ბრუნვის ნიშნის დართვით, ე. ი. უნდა იყოს: დავით! თამარ! პავლე! ელგუჯა! და არა: დავით-ო! თამარ-ო! პავლე-ვ! ელგუჯა-ვ!

7. თუ გვაროვნული სახელი -ძე-ზეა დაბოლოებული, ნათესაობითსა და მოქმედებითში ბოლო ე უნდა შეეცვეცოს. უნდა იყოს: „ქავეკვაძის ლექსი" და არა: „ქავეკვაძე-ს ლექსი" („ლექსი ქავეკვაძისა" და არა: „ლექსი ქავეკვაძე-სი"); „ქავეკვაძით მოხიზლული ვარ" და არა: „ქავეკვაძე-თი მოხიზლული ვარ".

8. თუ გვაროვნული სახელი თანხმოვანზეა დაბოლოებული, წოდებითში უნდა დაერთოს ო, ე. ი. უნდა იყოს: კლდიაშვილო! ლომოური! და არა: კლდიაშვილი! ლომოური!

9. ე-ზე გათავებულ სახელს მრავლობითში ორი ე ექნება (ერთი ფუძისეული, მეორე ბრუნვისეული): მებაღე-ებ-ი, ხე-ებ-ი, სარკე-ებ-ი და არა: მებაღეები, ხეები, სარკეები.

10. ნ-ზე გათავებულ არსებით სახელში II მრავლობითის წარმოებისას ორი ნ იყრის თავს (სახელობითსა და წოდებითში): ბრძენ-ნ-ი. ბრძენ-ნ-ო.

11. თ-ზე გათავებულ არსებით სახელში II მრავლობითის წარმოებისას (მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში) თავს იყრის ორი თ (ერთი ფუძისეული, მეორე ბრუნვისეული): ბურთ-თა, ბარათ-თა.

თანდებულიანი და ნაწილაკიანი ბრუნვები

§ 10ხ. ზოგიერთ ბრუნვას დაერთვის თანდებული (თანდებულის შესახებ იხ. § 205). ეს ბრუნვებია: სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი.

თანდებულებია: ვით, თან, ში, ზე, თვის, გან, კენ, ებრ, თანავედში, ურთ.

სახელობითს მოითხოვს ვით: კაცი-ვით, ქარი-ვით, შვილი-ვით. ვით ერთვის თანხმოდანფუძიანებს; პარალელურად ნიცემითსაც მოითხოვს.

მიცემითს მოითხოვენ: 1. ში: სახლ-ში, სოფელ-ში, ტყე-ში. უნდა ყოფილიყო: სახლს-ში, ტყეს-ში... მაგრამ ს დაკარგულია. 2. ზე: გულზე, ღობეზე, მაგიდაზე. უნდა ყოფილიყო: გულს-ზე, ღობეს-ზე, მაგიდას-ზე, მაგრამ ს დაკარგულია. 3. ვით: ერთვის როგორც ხმოდანფუძიან სახელებს, ისე თანხმოდანფუძიანებს: მამა-სა-ვით, კლდე-სა-ვით, პავლე-სა-ვით, ვაშლ-სა-ვით. 4. თან: ღობე-ს-თან, გერონტი-ს-თან, სოფელ-თან, თბილის-თან. როგორც ჩანს, მიცემითის ნიშანი შენარჩუნებულია ხმოდანფუძიან სახელებთან, ხოლო თანხმოდანფუძიანებთან დაკარგულია (უნდა ყოფილიყო: სოფელ-ს-თან, თბილის-ს-თან).

ნათესაობითს მოითხოვენ (გავრცობილს თუ გაუვრცობელს): 1. ავის: შვილ-ის-თვის, ქვეყნ-ის-თვის, სამშობლო-ს-თვის, რუს-თვის, პავლე-სთვის, გულ-ისა-თვის, ძმ-ისა-თვის. 2. კენ: სოფლ-ის-კენ, ტყ-ის-კენ, დედაბუ-სა-კენ, ქუთაის-ისა-კენ. 3. გან: ანბანაგ-ის-გან, ბრიგადირ-ის-გან, ხ-ისა-გან, რკინ-ისა-გან. 4. ებრ: ფენიქს-ის-ებრ, ვეფხვ-ის-ებრ, ჭაქვაძე-ის-ებრ, შოთა-ს-ებრ. 5. თანავე: ერთვის მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს: წასვლ-ის თანავე, დანგრევის-თანავე, დაწყების-თანავე. 6. დში: ამბანაგ-ისა-დში, ბელად-ისა-დში, სამშობლო-სა-დში.

მოქმედებითს მოითხოვენ: 1. ურთ: ბავშვ-ით-ურთ, შვილ-ით-ურთ, მეგობრებ-ით-ურთ. 2. გან: ძველ ქართულში ერთვოდა მოქმედებითის ფორმას: სოფ-ლ-ით-გან, ტყ-ით-გან და სხვ. შემდეგ შეღერმა გ-მ გაამჟღერა წინამავალი ყრუ თ და გადააქცია დ დ: სოფლ-იდ-გან, ტყ-იდ-გან (ახლა ასე ამბობენ დიალექტებში). შემდეგი საფეხურია თანდებულისეული გ-ს დაკარგვა. მივიღეთ: სოფლიდან. ტყიდან.

ვითარებითს მოითხოვს მდის (მდე): სოფლ-ა-მდის (სოფლამდე), მოსკოვ-ა-მდის (მოსკოვამდე) ტყე-მდის (ტყემდე), ნახვ-ა-მდის. ვითა-

რები თი ბრუნვის დაკარგულია: თანხმომავანფუძიანებთან შემორჩენილია ბრუნვისეული ა.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 28. ა. ხე მოგანხილულ თანდებულებს შეუდგინეთ თითო-თითო წინადადება ბ. ამოიწერეთ ქრესტომათიის 5 გვერდიდან თანდებულები ბრუნვები. გ. მონახეთ ზ, შ. თ თანხმომავებზე დაბოლოებული სამ-ს.მი სიტყვა და დაურთეთ ზე, ში და თან თანდებულები.

§ 109. სიტყვას დაერთვის აგრეთვე ნაწილაკები, რომლებიც სიტყვის გარეთ მდებარეობენ. თუ თანდებულები გარკვეულ ბრუნვას შოიბხოვენ. ნაწილაკები შეიძლება დაერთონ ყოველ ბრუნვას, ისინი თანდებულებიან ბრუნვასაც დაერთვიან.

ბრუნვის ფორმას შეიძლება დართული ჰქონდეს შემდეგი ნაწილაკები: ცა, ლა. ვე.

ც(ა)-ნაწილაკიანი ბრუნვები:

	მხოლ. რ.	I მრავლ. რ.	II მრავლ. რ.
ს ა ხ.	ქალი-ც(ა)	ქალები-ც(ა)	ქალნი-ც(ა)
მ ო თ.	ქალმა ც(ა)	ქალებმა-ც(ა)	ქალთა-ც(ა)
მ ი ც.	ქალსა-ც(ა)	ქალებსა-ც(ა)	ქალთა-ც(ა)
ნ ა თ.	ქალისა-ც(ა)	ქალებისა-ც(ა)	ქალთა-ც(ა)
მ ო ქ.	ქალითა-ც(ა)	ქალებითა-ც(ა)	—
ვ ი თ.	ქალად-ც(ა)	ქალებად-ც(ა)	—
წ ო დ.	—	—	—

ღა-ნაწილაკიანი ბრუნვები:

	მხოლ. რ.	I მრავლ. რ.	II მრავლ. რ.
ს ა ხ.	ქალი-ღა	ქალები-ღა	ქალნი-ღა
მ ო თ.	ქალმა-ღა	ქალებმა-ღა	ქალთა-ღა
მ ი ც.	ქალს(ა)-ღა	ქალებს(ა)-ღა	ქალთა-ღა
ნ ა თ.	ქალის(ა)-ღა	ქალები(ა)-ღა	ქალთა-ღა
მ ო ქ.	ქალით(ა)-ღა	ქალებით(ა)-ღა	—
ვ ი თ.	ქალად(ა)-ღა	ქალებად(ა)-ღა	—
წ ო დ.	—	—	—

ვე-ნაწილაკიანი ბრუნვები:

	მხოლ. რ.	I მრავლ. რ.	II მრავლ. რ.
ს ა ხ.	ქალი-ვე	ქალები-ვე	ქალნი-ვე
მ ო თ.	ქალმა-ვე	ქალებმა-ვე	ქალთა-ვე
მ ი ც.	ქალ(ა)-ვე	ქალებს(ა)-ვე	ქალთა-ვე
ნ ა თ.	ქალის(ა)-ვე	ქალების(ა)-ვე	ქალთა-ვე
მ ო ქ.	ქალით(ა)-ვე	ქალებით(ა)-ვე	—
ვ ი თ.	ქალად-ვე	ქალებად-ვე	—
წ ო დ.	—	—	—

ც(ა) ნაწილაკი მოითხოვს გავრცობილ ბრუნვებს; ღა ნაწილაკი დაერთვის გაუვრცობელ ბრუნვებსაც; ხმოვანფუძიახებთან ც(ა) მოთხრობითში შა-ს გამოავლენს (ძმა-შა-ც). თანდებულიან სახელს ნაწილაკი ბოლოში მოუდის: ამხანაგის-თვის-ვე, სახლ-თანა-ც. ც(ა) ნაწილაკის დართვისას ზოგჯერ თანდებულთან ა განვითარდება: სოფლისკენა-ც, ძმისგანა-ც, სახლთანა-ც.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 29. შეადგინეთ 10 წინადადება და იხმარეთ შიგ ნაწილაკები: ცა—ც, ღა, შა —ვ.

თანდებულიანი ბრუნვების მართლწერა

1. ზ-ზე გათავებულ არსებით სახელებს ზე თანდებულის დართვისას ორი ზ ექნება (ერთი ფუძისეული, მეორე თანდებულისა): ხაზ-ზე, კოვზ-ზე.

2. თუ ფუძე შ-ზე თავდება, ში თანდებულის დართვისას თავს მოიყრის ორი შ (ერთი ფუძისეული, მეორე თანდებულისეული): ქარქაშ-ში, კულაშ-ში.

3. ორი თ იწერება ერთად, თუ თ-ზე გათავებულ არსებით სახელს ერთვის თან თანდებული (ერთი იქნება ფუძისეული, მეორე თანდებულისეული): კალათ-თან, რუსეთ-თან.

4. როცა ხ-ზე გათავებულ არსებით სახელს ერთვიან ში და ზე თანდებულები, ბოლოკიდური ს უნდა იქნეს შენარჩუნებული: თბილისში (და არა: თბილიში), ქუთაისში (და არა: ქუთაიში).

5. გან- თანდებულიანი ნათესაობითის ფორმის კითხვაა ვისგან? რისგან? (ძმისგან, ხისგან), გან- თანდებულიანი მოქმედებითისა კი ხაიდან? (სოფლიდან, თელავიდან). აქედან გასაგებია, რომ „ბარი ხ ის აგან კეთდება“ (რისგან?) და არა: „ბარი ხ ი დან კეთდება“. მაგრამ, თუ ვიტყვით, „ლელვის ხ ი დან კიშკრამდის ოცი ნაბიჯიაო“, ეს კანონიერი ფორმა იქნება, რადგან უპასუხებს კითხვაზე: ხაიდან? ასევე მართებულია: ვ ე რ ც ხ ლ ის ა გ ა ნ (გაკეთებული კოვზი) და არა: ვ ე რ ც ხ ლ ი დ ა ნ... უნდა იყოს: „ მ ა მ ის გ ა ნ მივიღე წერილი“ და არა: „ მ ა მ ი დ ა ნ მივიღე წერილი“.

II. ზედსართავი სახელი

§ 110. ზედსართავის მნიშვნელობა და ჯგუფები. ზედსართავი გამოხატავს ნიშან-თვისებას, რომელიც ახასიათებს საგანს ან მოვლენას. მართალია, არსებითი სახელიც გამოხატავს ნიშან-თვისებას, მაგრამ, ზედსართავისაგან განსხვავებით, მიუთითებს ამ ნიშანზე განყენებით მისი მატარებლისაგან. არსებითი სახელები, რომლებიც ასახელებენ ნიშნებს

მათი მატარებლებისაგან განყენებით; განეკუთვნებიან განყენებულ, აბსტრაქტულ სახელებს. მაგალ. ავილოთ სიტყვები: მამაცი და მამაცობა. პირველი (მამაცი) მიუთითებს კონკრეტულად იმ პირზე, რომელსაც ეკუთვნის ეს ნიშანი, რომ ის მამაცია. მეორე (მამაცობა) კი აღნიშნავს ამ გარკვეულ თვისებას ზოგადად და არა რომელიმე პიროვნებასთან დაკავშირებით. ამრიგად, ზედსართავი სახელი არსებით სახელს ერთვის და ამიტომაც უწოდებენ მას „ზედ-სართავს“.

რაკი ზედსართავი სახელი არსებითი სახელის ნიშან-თვისებაზე მიუთითებს, ამიტომ გასაგებია, რომ მისთვის (ზედსართავისთვის) ჩვეულებრივ დამახასიათებელია იგივე ბრუნვა და რიცხვი, რაც აქვს არსებით სახელს.

ზედსართავი სახელები იძლევა ორ ჯგუფს: ვითარებით და მიმართებით ზედსართავ სახელებს.

ვითარებითი ზედსართავი გამოხატავს ისეთ ნიშან-თვისებას, რომელიც შეიძლება ახასიათებდეს საგანს მეტ-ნაკლები ხარისხით. სახელდობრ, გამოხატავს:

1. თვისებას: კარგი, ცუდი, ბოროტი, კეთილი, კვიანი, სულელი, ამაყი, მამაცი, მკაცრი, და სხვ.

2. აღამიანთა და ცხოველთა ფიზიკურ თვისებებს: ძლიერი, სუსტი, გამხდარი, მსუქანი, ყრუ, ბრმა, კოჭლი, და სხვ.

3. ფერს: წითელი, შავი, თეთრი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი, მუქი, და სხვ.

4. ოდენობას: მაღალი, დაბალი, პატარა, დიდი, ფართო, ვიწრო, უზარმაზარი, და სხვ.

5. თვისებას, რომელიც აღიქმება გრძნობით: სმენით: ხმამაღალი, ხმაურიანი, ჩუმი, მელოდური, და სხვ.; შეხებით: რბილი, მაგარი, და სხვ.; გემოთი: მწარე, ტკბილი, მკავე, და სხვ.

მიმართებითი ზედსართავი გამოხატავს საგნის ნიშან-თვისებას სხვა საგანთან მიმართებით. ჩვეულებრივ იგი არსებითი სახელისგანაა წარმომდგარი (იშვიათად ზმნიზედისაგანაც). მაგალ., ქუდიანი, უქულო. საქუდე, ღლეჯანდელი, და სხვ.

ზედსართავი იხმარება წინადადებაში ან დამოუკიდებლად ანდა არსებითთან ერთად. ამის მიხედვით ისინი განსხვავებული ფორმით გვხვდებიან.

§ 111. დამოუკიდებელი ზედსართავი. დამოუკიდებლად ხმარებული ზედსართავი იბრუნვის ისე, როგორც არსებითი სახელი.

მხოლ. რ.

მრავლ. რ.

სახ. მამაც-ი

მამაც-ებ-ი

მოთ. მამაც-მა

მამაც-ებ-მა

მიც. მამაც-ს(ა)

მამაც-ებ-ს(ა)

ნათ. მამაც-ის(ა)

მამაც-ებ-ის(ა)

მ ო ქ. მამაც-თ(ა)
 ვ ი თ. მამაც-ად(ა)
 წ ო ლ. მამაც-ო

მამაცე ებ-თ (ა)
 მამაც-ებ-ად(ა)
 მამაც-ებ-ო

მ ხ ო ლ. რ.

მ რ ა ვ ლ. რ.

ს ა ხ. უქულო
 მ ო თ. უქულო-მ
 მ ი ც. უქულო-ს(ა)
 ნ ა თ. უქულო-ს(ა)
 მ ო ქ. უქულო-თი
 ვ ი თ. უქულო-დ(ა)
 წ ო ლ. უქულო-ფ

უქულო-ებ-ი
 უქულო-ებ-მა
 უქულო-ებ-ს(ა)
 უქულო-ებ-ის(ა)
 უქულო-ებ-ით(ა)
 უქულო-ებ-ად(ა)
 უქულო-ებ-ო

§ 112. ზედსართავი არსებითთან ერთად. ზედსართავის ბრუნება არსებითთან ერთად განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ ზედსართავი რაზე თავდება: თანხმოდანზე თუ ხმოდანზე.

თანხმოდანზე და ხმოდანზე არსებითთან

თანხმოდანზე და ხმოდანზე ზედსართავი არსებითთან ბრუნების დროს გარკვეულ ცვლილებებს ამჟღავნებს: 1. მიცემით ბრუნვაში ს ჩამოშორებულია; 2 ნათესაობითში ბრუნვის ნიშანია მხოლოდ ი, თანხმოდანითი ნაწილი (ს) დაკარგულია; 3. მოქმედებითში ბრუნვის ნიშანია ი, თანხმოდანითი ნაწილი (თ) ჩამოშორებულია; 4. ვითარებითში ბრუნვის ნიშანი (-ად) მთლიანად ჩამოშორებულია. დანარჩენ ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი სრულადაა წარმოდგენილი.

II მრავლობითში ზედსართავი გვხვდება ფუძის სახით.

მ ხ ო ლ. რ.

I მ რ ა ვ ლ. რ.

ს ა ხ. მამაც-ი ვაჟ-ი
 მ ო თ. მამაც-მა ვაჟ-მა
 მ ი ც. მამაც ვაჟ-ს
 ნ ა თ. მამაც-ი ვაჟ-ის
 მ ო ქ. მამაც-ი ვაჟ-ით
 ვ ი თ. მამაც ვაჟ-ად
 წ ო ლ. მამაც-ო ვაჟ-ო

მამაც-ი ვაჟ-ებ-ი
 მამაც-მა ვაჟ-ებ-მა
 მამაც ვაჟ-ებ-ს
 მამაც-ი ვაჟ-ებ-ის
 მამაც-ი ვაჟ-ებ-ით
 მამაც ვაჟ-ებ-ად
 მამაც-ო ვაჟ-ებ-ო

II მ რ ა ვ ლ. რ.

ს ა ხ. მამაც-ნ-ი ვაჟ-ნ-ი
 მ ო თ. მამაც ვაჟ-თ-ა
 მ ი ც. მამაც ვაჟ-თ-ა

ნ ა თ.	მამაც	ვაჟ თ-ა
მ ო ქ.	—	—
ვ ი თ.	—	—
წ ო დ.	მამაც-ნ-ო	ვაჟ-ნ-ო

ისტორიული ცნობა

ძველ ქართულ ლიტერატურულ ენაში სრული დაბოლოება ჰქონდა მიცემით-ნათესაობით-ბოქმედებით-ვითარებით ბრუნვებსაც. მამაც-სა ვაჟ-სა, მამაც-ისა ვაჟ-ისა, მამაც-ითა ვაჟ ითა. მამაც-ად ვაჟ-ად. ახალ ქართულშიც შეიძლება შეგვეხედეს (განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მწერ-ლებთან) სრული მიცემათისა და ნათესაობითის ფორმა: მამაც-ს(ა) ვაჟ-ს(ა). მამაც-ის(ა) ვაჟ-ის(ა). ამის ანალოგიით შემუშავდა ხ მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებშიც: მამაკ-ის ვაჟ-ით, მამაც-ხ ვაჟ-ად. ეს ფორმებიც გვხვდება მეტადრე მე-19 საუკუნის ლიტერატურულ ენაში.

ხმოვანფუძიანი ზედსართავი სრსებითთან

ხმოვანფუძიანი ზედსართავი არსებითთან უცვლელია ყველა ბრუნ-ვაში (როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში)

მხ. რ.

ს ა ხ.	პატარა ბავშვ-ი
მ ო თ.	პატარა ბავშვ-მა
მ ი ც.	პატარა ბავშვ-ს(ა)
ნ ა თ.	პატარა ბავშვ-ის(ა)
მ ო ქ.	პატარა ბავშვ-ით(ა)
ვ ი თ.	პატარა ბავშვ-ად(ა)
წ ო დ.	პატარა ბავშვ-ო

I მრ. რ.

პატარა ბავშვ-ებ-ი
პატარა ბავშვ-ებ-მა
პატარა ბავშვ-ებ-ს(ა)
პატარა ბავშვ-ებ-ის(ა)
პატარა ბავშვ-ებ-ით(ა)
პატარა ბავშვ-ებ-ად
პატარა ბავშვ-ებ-ო

II მრ. რ.

ს ა ხ.	პატარა ბავშვ-ნ-ი
მ ო თ.	პატარა ბავშვ-თ-ა
მ ი ც.	პატარა ბავშვ-თ-ა
ნ ა თ.	პატარა ბავშვ თ-ა
მ ო ქ.	— —
ვ ი თ.	— —
წ ო დ.	პატარა ბავშვ-ნ-ო

ასევე ხდება სხვა ხმოვანებზე დაბოლოებული ზედსართავების ბრუნვის დროსაც.

ზემომოყვანილ მაგალითებში ზედსართავი წინ უსწრებს არსებითს. ასეთი თანმიმდევრობა ახალი ქართულისათვის ჩვეულებრივია. მაგრამ შეიძლება შეგვევდეს ძველი რიგი: არსებითი წინ უსწრებს ზედსართავს. ზებრუნებული წყობა უფრო პოეზიაში იჩენს თავს. ზედსართავი ისევე აბრუნვის, როგორც არსებითი:

ს ა ხ . ვ ა ე - ი მ ა მ ა ც - ი
 მ ო თ . ვ ე . ე - მ ა მ ა მ ა ც - მ ა
 მ ი ც . ვ ა ე ს მ ა მ ა ც - ს (ა)
 ნ ა თ . ვ ა ე . ი ს მ ა მ ა ც ი ს (ა)
 მ ო ქ . ვ ა ე - ი თ მ ა მ ა ც - ი თ (ა)
 ვ ი თ . ვ ა ე ა ღ მ ა მ ა ც - ა ღ (ა)
 წ ო ლ . ვ ა ე ო მ ა მ ა ც - ო

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 30. ამოიწრეთ ტექტიდან ზედსართავი სახელები (არსებით-თან ერთად) და გაჰოარკვეთ მათი ბრუნვები.

მარცხენა გვერდზე, მხარ-ილივ თასმეზე დაკიდებული ჰქონდა დაშობული ტარიელის მთრახი. წითელა, ლაქლაქა სახეს ცისვერი, მოცინარი თვალები უმ-შეუნებდა: ხეიდან ამ თვ.ლებს, რაგორკ ჩარდ ბი, გადმოჰფარებოდა სქელი, შვი წარბები (ეჭა).

მსაზღვრელი და საზღვრული

§ 113. წინადადებაში სიტყვას შეიძლება დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონდეს ანდა სხვა სიტყვას ერთვოდეს და მას განსაზღვრავდეს, განმარტავდეს. ასეთ სიტყვას მსაზღვრელი ეწოდება, ხოლო იმ სიტყვას, რომელსაც ის დაერთვის — საზღვრული ჰქვია.

მაგალითებში — „წითელი დროშა“, „ჩემი წიგნი“, „ხის სახლი“, „ათი რვეული“, „ექიმის ქალი“, „პროფესორი ცაგარელი“ ხაზგასმული სიტყვები მსაზღვრელებია. მაგრამ მათ შორის განსხვავებაა: ისინი სხვადასხვა ნიშნით საზღვრავენ მათთან მკიდროდ დაკავშირებულ სახელებს: პირველ წყვილმა (წითელი დროშა) გამოხატულია, თუ როგორია, რა ფერისაა დროშა, მეორე წყვილში (ჩემი წიგნი) — ვისი კუთვნილებაა წიგნი, მესამე წყვილში (ხის სახლი) — რა მასალისაა სახლი, მეოთხე წყვილში (ათი რვეული) — რამდენია რვეული, მესუთე წყვილში (ექიმის ქალი) — რა პროფესიონაა, ვინ არის ქალი, მეექვსე წყვილში (პროფესორი ცაგარელი) — რა თანამდებობისაა ცაგარელი. ასეთი ტიპები სხვაც მრავალია. ამის შესაბამისად გვაქვს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: არსებითი სახელი (ექიმის ქალი), ზედსართავი სახელი (წითელი დროშა), კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ჩემი წიგნი), რიცხვითი სახელი (ათი რვეული), და სხვ.

§ 114. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება.

1. ზედსართავის, როგორც მსაზღვრელის, ბრუნება არსებითთან, როგორც საზღვრულთან, მოცემულია ზემოთ.

2. როდესაც არსებითი სახელია გამოყენებული მსაზღვრელად, ბრუნების ფორმები იგივეა, რაც დამახასიათებელია ზედსართავ-არსებათის პრუნებისას.

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი :

ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი :

ს ა ხ . ექიმ-ი ქალ-ი
 მ ო თ . ექიმ-მა ქალ-მა
 მ ი ც . ექიმ ქალ-ს
 ნ ა თ . ექიმ-ი ქალ-ის
 მ ო ქ . ექიმ-ი ქალ-ით
 ვ ი თ . ექიმ ქალ-ად -
 წ ო დ . ექიმ-ო ქალ-ო

ლიტრა რძე
 ლიტრა რძე-მ
 ლიტრა რძე-ს
 ლიტრა რძ-ის
 ლიტრა რძ-ით
 ლიტრა რძე-დ
 ლიტრა რძე-ვ

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 31. აბრუნეთ ერთად: „ტონა რკინა“. „გოდოლი ვაშლი“, „ვაგონი შეშა“.

3. ნათესაობით ბრუნვაში დასმული განსაზღვრება არსებით სახელს განსაზღვრავს კუთვნილების (მ ო ს წ ა ვ ლ ი ს ჩ ა ნ თ ა) ანდა მასალის (ხ ი ს სახლი) მიხედვით.

თუ ასეთი განსაზღვრება წინ უსწრებს არსებითს, იგი ყველა ბრუნვაში ნათესაობითის ფორმით გვხვდება:

მხ. რ.			შრ. რ.	
ს ა ხ .	ხის	სახლ-ი	ხის	სახლ-ებ-ი
მ ო თ .	ხის	სახლ-მა	ხის	სახლ-ებ-მა
მ ი ც .	ხის	სახლ-ს	ხის	სახლ-ებ-ს
ნ ა თ .	ხის	სახლ-ის	ხის	სახლ-ებ-ის
მ ო ქ .	ხის	სახლ-ით	ხის	სახლ-ებ-ით
ვ ი თ .	ხის	სახლ-ად	ხის	სახლ-ებ-ად
წ ო დ .	ხის	სახლ-ო	ხის	სახლ-ებ-ო

თუ ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, ბრუნვის ფორმებს გამოავლენს; ნათესაობითი და მოქმედებითი არა აქვს:

მხ. რ.			შრ. რ.	
ს ა ხ .	სახლ-ი	ხისა	სახლ-ებ-ი	ხისა
მ ო თ .	სახლ-მა	ხისა-მ(ა)	სახლ-ებ-მა	ხისა-მ(ა)
მ ი ც .	სახლ-ს(ა)	ხისა-ს(ა)	სახლ-ებ-ს (ა)	ხისა-ს(ა)
ვ ი თ .	სახლ-ად	ხისა	სახლ-ებ-ად	ხისა
წ ო დ .	სახლ-ო	ხისა-ვ	სახლ-ებ-ო	ხისა-ვ

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 32. აბრუნეთ ერთად: „რკინის მოაჯირი“, „ბამბის ქულა“, „საპნის ბუშტი“.

4. პროფესიისა და თანამდებობის სახელი მსაზღვრელად ბრუნების დროს ასეთ თავისებურებას ავლენს: ბრუნვის ნიშნები აქვს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, დანარჩენ ბრუნვებში ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

ს ა ხ.	მსახიობ-ი	მესხიშვილ-ი
მ ო თ.	მსახიობ-შა	მესხიშვილ-შა
მ ი ც.	მსახიობ	მესხიშვილ-ს
ნ ა თ.	მსახიობ	მესხიშვილ-ის
მ ო ქ.	მსახიობ	მესხიშვილ-ით
ვ ი თ.	მსახიობ	მესხიშვილ-ად
წ ო დ.	მსახიობ-ო	მესხიშვილ-ო

§ 115. სახელი და გვარი ერთად. სახელისა და გვარის ერთად ბრუნებას ის ახასიათებს, რომ სახელი (როგორც თანხმომავნფუძიანი, ისე ხმომავნფუძიანი) ყველა ბრუნვაში უცვლელია, იცვლება მხოლოდ გვაროვნული სახელი.

ს ა ხ.	დანიელ	კონქაძე	შოთა რუსთაველ-ი
მ ო თ.	დანიელ	კონქაძე-მ	შოთა რუსთაველ-შა
მ ი ც.	დანიელ	კონქაძე-ს	შოთა რუსთაველ-ს
ნ ა თ.	დანიელ	კონქაძე-ის	შოთა რუსთაველ-ის
მ ო ქ.	დანიელ	კონქაძე-ით	შოთა რუსთაველ-ით
ვ ი თ.	დანიელ	კონქაძე-დ	შოთა რუსთაველ-ად
წ ო დ.	დანიელ	კონქაძე-ვ	შოთა რუსთაველ-ო

მართლწერა

1. შეცდომა იქნება, თუ თანხმომავნზე გათავებულ მსაზღვრელს (ზედსართავს) საზღვრულთან ბრუნების დროს მიცემითსა და ვითარებითში **ი-ს** დავუმატებთ. უნდა იყოს: „მაღალ სახლს“, „მაღალ სახლად“ და არა: „მაღალი სახლს“, „მაღალი სახლად“.

2. ასევე შეცდომაა, თუ იმავე მსაზღვრელს ნათესაობითსა და მოქმედებითში **ი-ს** არ დავუმატებთ. უნდა იყოს: „მაღალი სახლის“, „მაღალი სახლით“ და არა: „მაღალ სახლის“, „მაღალ სახლით“.

3. როდესაც პროფესიის, თანამდებობისა და ზოგიერთი სხვა სახელი თანხმომავნზეა გათავებული და იბრუნვის გვართან ერთად, ნათესაობითსა და მოქმედებითში **ი** არ უნდა დაერთოს. უნდა იყოს: „დოცენტ ჩაგელიშვილის“, „დოცენტ ჩაგელიშვილით“. „გაზეთ კომუნისტის“, „გაზეთ კომუნისტით“. და არა „დოცენტი ჩაგელიშვილის“, „დოცენტი ჩაგელიშვილით;“ „გაზეთი კომუნისტის“, „გაზეთი კომუნისტით“.

4. როდესაც ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს. მსაზღვრელი წარმოდგენილია სავარცობით. უნდა იყოს: „ლექსი აბაშიძისა“, „თარგმანი ქიქოძისა“, „დადგმა ანთაძისა“ და არა: „ლექსი აბაშიძის“, „თარგმანი ქიქოძის“, „დადგმა ანთაძის“.

III. რიცხვითი სახელი

§ 116. რიცხვითი სახელი და მისი ჯგუფები. რიცხვითი სახელი მეტყველების ნაწილია, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას, მის რიგობითს ნომერს ანდა საგნის ნაწილს მთელთან შეფარდებით.

რიცხვით სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ რაოდენობას, ეწოდება რაოდენობითი სახელები (მიუგებს კითხვაზე: რამდენი? — ერთი, ხუთი, ათასი, მილიონი...); რიცხვით სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ საგნის რიგობითს ნომერს, ეწოდება რიგობითი სახელები (მიუგებს კითხვაზე: რიგით რომელი? მერამდენე? — პირველი, მეორე, მესამე, ორმოცდამეხუთე, შეათასე...); რიცხვით სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ მთელის ნაწილს რიცხობრივი შეფარდებით, ეწოდება წილობითი სახელები (მიუგებს კითხვაზე: მერამდენედი? — მესამედი, მეოთხედი, მეოცედი, ორმოცდამეერთედი...).

რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი სახელები გარკვეულ რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვებია (სამი, მესამე, მესამედი). ამთ გვერდით მოიპოვება ისეთი რიცხვითი სიტყვები, რომლებიც გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვებია. ესენია: ბევრი, მრავალი, ცოტა.

§ 117. რიცხვითი სახელების შედგენილობა. რაოდენობითი სახელი შედგენილობით ორნაირია: მარტივი და რთული. მარტივია ისეთი რიცხვითი სახელი, რომელიც ერთი ფუძისაგან შედგება: ერთი, ხუთი, რვა, ასი. რთულია ისეთი რიცხვითი სახელი, რომელიც ერთზე მეტი ფუძისაგან შედგება: (ა)თ-ერთ-მეტი, ოც-და-რვა, ათ-ასი.

რიგობითი სახელი მიღებულია რაოდენობითი სახელისაგან: თავნი ერთის მე და ბოლოში ე (მე-ე); მე-ოთხ-ე, მე-ათ-ე, მე-სამოც-ე და სხვ. ამ წესს არ იზიარებს პირველი, რომელშიც ახალი ფუძე გამოყენებული (არა გვაქვს: მეერთე, მაგრამ რთულ რიცხვით სახელებში კი გამოყენებულია: ოცდამეერთე, ან: ოცდაპირველი).

წილობითი სახელები ნაწარმოებია რიგობითი სახელებისაგან: მეხუთედი, მერვედი. ახალი ფუძე გამოყენებული სიტყვისათვის: ნახევარი, რომელიც იხმარება „მეორედის“ ნაცვლად. იგი დაერთვის სახელს და კავშირის გარეშე: მეტრნახევარი, ბოთლნახევარი, მანეთნახევარი, თვენახევარი, და სხვ.

§ 118. ქართული თვლის სისტემა. ქართული თვლის სისტემა ათობით-ოცობითია, ე. ი. ათობითიკაა და ოცობითიც. ათობითია ერთიდან ოცამდე და ასს ზევით: ათი (10), (ა)თერთმეტი (10+1), (ა)თორმეტი (10+2), და სხვ., ასი (10×10), ცხრაასი (9×100), და სხვ.

ოცობითია ოციდან ასამდე: ოცდაერთი (20+1), ოცდარვა (20+8), ოცდაათი (20+10), სამოცი (3×20), ოთხმოცი (4×20).

§ 119. რიცხვითი სახელი მსაზღვრელად. რიცხვითი სახელი მსაზღვრელის როლში გვევლინება: ათი წიგნი, ოცი მტრედი, ორი ლექსი, მეხუთე რიგი.

§ 120. რიცხვითი სახელის ბრუნება. რაოდენობითი სახელები თანხმოდანფუძიანებია (და ამიტომ განეკუთვნებიან I ტიპის ბრუნებას), გარდა რვა და ცხრა სიტყვებისა (განეკუთვნებიან II ტიპის ბრუნებას).

მათი ბრუნების თავისებურება ისაა, რომ: 1. წოდებითი არა აქვთ. 2. I მრავლობითი არა აქვთ; II მრავლობითშიც იშვიათად იხმარებიან.

(1. დამოუკიდებელი რიცხვითი სახელი)

მხ. რ.		მრ. რ.		მხ. რ.		მრ. რ.	
ს ა ხ.	სამ-ი	სამ-ნ-ი	ცხრა	ცხრა-ნ-ი			
მ ო თ.	სამ-მა	სამ-თ(ა)	ცხრა-მ	ცხრა-თ(ა)			
მ ი ც.	სამ-ხ	სამ თ(ა)	ცხრა-ხ	ცხრა-თ(ა)			
ნ ა თ.	სამ-ის	სამ-თ(ა)	ცხრა-ის	ცხრა-თ(ა)			
მ ო კ.	სამ-ით	—	ცხრა-ით	—			
ვ ი თ.	სამ-ად	—	ცხრა-ად	—			
წ ო დ.	—	—	—	—			

(2. რიცხვითი სახელი არსებითთან)

მხ. რ.		მრ. რ.	
ს ა ხ.	სამი წიგნი	სამ-ნი	წიგნ-ნი
მ ო თ.	სამ-მა წიგნ-მა	სამ-თა	წიგნ-თა
მ ი ც.	სამ წიგნ-ს	სამ-თა	წიგნ თა
ნ ა თ.	სამ-ი წიგნ-ის	სამ-თა	წიგნ-თა
მ ო კ.	სამ-ი წიგნ-ით	—	—
ვ ი თ.	სამ წიგნ-ად	—	—
წ ო დ.	—	—	—

შენიშვნა: 1. რიცხვით სახელს ერთი მრავლობითი საერთოდ არა აქვს, მაგრამ, თუ ვამბობთ ერთ-ნი, მას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: უდრის იმს, რასაც ხოგნი. ამიტომ, რომ მათ ხშირად ვაერთებთ: ხოგიერთი, ხოგიერთი; 2. რიცხვით სახელებს — ორი, სამი, ოთხი, ხუთი შეიძლება ჰქონდეთ I მრავლობითი, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი სასწავლო საგნებში ცოდნის ნიშნებს გამოხატავენ: ორები (ორიანები), სამები (სამიანები), ოთხები (ოთხიანები); ხუთები (ხუთიანები). „კახას ხუთები ჰყავს. ლაშას კი სამები“; „მეღვა სულ ხუთებზე სწავლობს“.

§ 121. ნაწილაკდართული რიცხვითი სახელები. რიცხვით სახელებს ჩვეულებრივ დაერთვის ნაწილაკები: ც(ა), ლა, ოდე, ვე. ამათგან: 1. ც(ა) და ლა ნაწილაკები მოთავსებულია ბრუნვის ნიშნის ან თანდებუ-

ლის შემდეგ (სამი-ც, სამი-ლა, სამისთვის-ლა, სამისთვისა-ც); 2. ოდე შეხორცებულია სახელობით ბრუნვიან რიცხვით სახელს და ასეთ ფუიეს ერთვის ბრუნვის ნიშნები (სამიოდე-მ, სამიოდე-ს და სხვ.); 3. ვე შეხორცებულიცაა და შეუხორცებელიც, ე. ი. ბრუნვის ნიშანი ან ბოლოსაა ან ნაწილაკის წინ (ოთხმა-ვე, ოთხი-ვე-მ).

(შეუხორც.)	(შეხორც.)	(შეუხორც.)
ს ა ხ. ოთხი-ვე	ოთხივე	ოთხნი-ვე
მ ო თ. ოთხმა-ვე	ოთხივე-მ	ოთხთა-ვე
მ ი ც. ოთხსა-ვე	ოთხივე-ს	ოთხთა-ვე
ნ ა თ. ოთხის-თვის-ვე	ოთხივე-ს-თვის	ოთხთა-ვე

რიცხვითი სახელის მართლწერა

1. როდესაც რიცხვითი სახელი შეწყობილია არსებით სახელთან, საველდებულაა, რომ არსებითი მხოლობითი რიცხვის ფორმით იყოს მოცემული. უნდა იყოს: ათი წიგნი, ხუთასი ცხვარი, ბევრი საქმე, მრავალი ბავშვი და არა: ათი წიგნები, ხუთასი ცხვრები, ბევრი საქმეები; მრავალი ბავშვები.

იშვიათად, მაგრამ მაინც გვევლინება ორივე სიტყვა (რიცხვ., არსებ.) II მრავლობითში: ხუთნი ძმანი, შვილნი გურჯანელნი.

2. თუ რიცხვითი სახელი და კავშირითაა შეერთებული, რიგობითის ფორმები მეორე ნაწილს ექნება (ერთიდან ცხრამეტამდე): მეოცე, ოცდამეექვსე, ოცდამეათე, მეოთხმოცე, ოთხმოცდამეექვსმეტე და არა: მეოცდაექვსე, მეოცდაათე, მეოთხმოცდათექვსმეტე. არის: მეასე, მეასსამასე, მეათასე, მაგრამ: ას მეექვსე, შვიდას ოცდამეხუთე, ათას რეაას სამოცდამეორე.

3. ციფრი ორნაირია: არაბული (1, 2, 7, 10) და რომაული (I, II, VII, X)¹.

არაბული ციფრების გამოყენების დროს რიგობითი სახელები ასე გამოიხატება: ა) თუ მე მაწარმოებელი თავშია, იგი დეფისით უერთდება რიცხვით სიტყვას: მე-3 (მესამე), მე-10 (მეათე), მე-18 (მეთვრამეტე), მე-60 (მესამოცე), მე-100 (მეასე), და სხვ. ბ) თუ მე სიტყვის შიგნითაა, მაშინ ჯერ რიცხვი იწერება, შემდეგ დეფისი და ბოლოს ე:

¹ რომაული ციფრებია: I II III IV V VI VII VIII IX X XI XII XIII XIV XV															
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
XVI	XVII	XVIII	XIX	XX	XXI	XXII	XXIII	XXIV	XL	XLI	L	LII	LVIII	LX	
16	17	18	19	20	21	29	30	33	40	51	50	57	58	60	
LXX	LXXX	XC	C	CC	CCC	CD	(CCCC)	D	DC	DCC	DCCC	DCCC	M		
70	80	90	100	200	300	400		600	600	700	800	900	1000		

26-ე (ოცდამეექვსე), 62-ე (სამოცდამეორე), 145-ე (ას ორმოცდამეხუთე) და სხვ.

რომაულ ციფრებს რიგობითი სახელების გამოსახატავად არაფერი არ ემატება: თავისთავად რომაული ციფრი რიგობითის აღმნიშვნელია: II კლასი (მეორე კლასი), IX თავი (მეცხრე თავი), XX საუკუნე (იეოცე საუკუნე) და სხვ.

ამიტომ შეცდომაა: 3 კლასი, მე-III კლასი, 8 სკოლა, მე-VIII სკოლა, 5 ტომი, მე-V ტომი, და სხვ.

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 33. ა) დაწერეთ სიტყვებით: 15, 98, 120, 382. ბ) გადაწერეთ ქვემოთაწინი რეკსტი და ციფრების ნაცვლად სიტყვები დაწერეთ.

1. ალექსანდრე ქაჯავაძე დაიბადა 1736 წელს და გარდაიცვალა 1846 წლის 6 ნოემბერს. 2. გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1800 წელს და გარდაიცვალა 1883 წლის 21 მარტს. 3. ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა 1817 წლის 15 დეკემბერს და გარდაიცვალა 1845 წლის 9 ოქტომბერს. 4. მაქსიმ გორკი დაიბ და 1868 წლის 23 მარტს და გარდაიცვალა 1936 წლის 18 ივნისს.

გ) მე-ე მაწარმოებლების დართვით დაწერეთ სიტყვები (არაბულით): 3, 22, 105, 212, 1927, 8, 45, 6, 101, 2, 76. დ) გამოხატეთ რომაული ციფრებით: 18, 27, 56, 108, 233, 1001, 8370.

IV. ნაცვალსახელი

§ 122. ნაცვალსახელის განსაზღვრა. ნაცვალსახელი ეწოდება მეტყველების ნაწილს, რომელიც გამოყენებულია არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელების ნაცვლად.

მაგალითები:

1. „მე დაეინახე ლომი. ი გ ი თვალებს აბრიალებდა“. აქ ნაცვალსახელი ი გ ი გამოყენებულია არსებითი სახელის (ლომი) ნაცვლად.

2. „ამოვარდა საშინელი ქარი. ასეთი ქარი მთებში იცის“. აქ ნაცვალსახელი ასეთი გამოყენებულია ზედსართავის (საშინელი) ნაცვლად.

3. „მეორე კლასში ოცი მოსწავლეა. ამდენივე მოსწავლეა მე-სამე კლასში“. აქ ნაცვალსახელი ამდენივე გამოყენებულია რიცხვითი სახელის (ოცი) ნაცვლად.

ნაცვალსახელი განსხვავდება არსებითისა, ზედსართავისა და რიცხვითი სახელებისაგან იმით, რომ იგი მხოლოდ მიუთითებს საგნებზე. ნიშნებზე, ოაოდენობაზე, მაგრამ მათ არ ასახელებს. ნაცვალსახელებს ერთი გარკვეული და მუდმივი მნიშვნელობა არა აქვთ. ასე მაგალ., თუ ი გ ი ნაცვალსახელი ერთ შემთხვევაში იხმარება ლომის აღსანიშნავად, სხვა შემთხვევაში შესაძლოა გამოხატოს სხვა არსებითი სახელები — ამხანაგი — ი გ ი, მაგ დ ა — ი გ ი, ბ ე ლ უ რ ა — ი გ ი, და სხვ. ასევე: ნაცვალსახელი ასეთი, რომელიც ზემოთ მოგვევლინა ზედსართავის — საშინელი ნაცვლად; შესაძლოა მოგვევლინოს აგრეთვე ნაცვლად ზედსართ-

თავებისა: ო ბ ი ლ ი — ა ს ე თ ი, ნ ა თ ე ლ ი — ა ს ე თ ი, ც უ ლ ი — ა ს ე თ ი, და ს ხ ე.

ხშირად ნაცვალსახელი არ ცვლის გარკვეულ სიტყვებს. მაგალ., ვინ ჩამოვიდა? როგორი ამინდია? რამდენი წიგნი გაქვს? აქ ნაცვალსახელები ვინ, როგორი, რამდენი მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, რომ კითხვა ეხება პირს (ვინ?), ნიშანს (როგორია ამინდი?), რაოდენობას (რამდენი?), მაგრამ არ ცვლიან რომელიმე გარკვეულ სიტყვას.

ნაცვალსახელები, რომლებიც იხმარება არსებითისა, ზედსართავისა და რიცხვითი სახელების ადგილას, ხელს გვიწყობენ თავიდან ავიცილნოთ შეტყვევებაში ერთი და იმავე სიტყვის განმეორება (მოწოდებნო წინადადებებში).

ნაცვალსახელებით ყველა, ყველაფერი, არავინ, არაფერი, ყოველი, ყოველგვარი მოლაპარაკე აზოგადებს საგნებს და ნიშნებს მათ დაუსახელებლად. მაგალ.: 1. ტყე, მდინარე, ხე — ყველაფერი გარინდებულიყო; 2. მხეცი იყო ყოველნაირი: ლომები, ვეფხვები, დათვები, მგლები...; 3 არც ერთი ხე, ბუჩქი, ბალახი — არაფერი არ იყო ირგვლივ, იყო მხოლოდ გახურებული ქვიშა.

§ 123. ნაცვალსახელთა კლასიფიკაცია. მნიშვნელობის მიხედვით ნაცვალსახელები იყოფა 9 ჯგუფად:

1. პირისა: 1 პირი — მე, ჩვენ; 2 პირი — შენ, თქვენი; 3. პირი — ის (იგი), ისინი (იგინი).

2. ჩვენებითი: ეს, ეგ, ის (იგი); ასეთი (აგეთი), ეგეთი, ისეთი; ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი; ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა; ამდენი, მაგდენი, იმდენი (ეს, ეგ ის — იგი პირის ნაცვალსახელიცაა).

3. კითხვითი: ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? სადაური? როდინდელი?

4. კუთვნილებითი: ჩემი, შენი, მისი (იმისი), ჩვენი, თქვენი, მათი (იმათი), თავისი (თვისი).

5. კითხვით-კუთვნილებითი: ვისი? რისა (რისი)?

6. მიმართებითი: ვინც, რაც. რომელიც, როგორიც, რანაირაც. ვისიც, რისაც, სადაურიც, როდინდელიც.

7. განსაზღვრებითი: თვით (თვითონ), თითოეული, ყოველი, ყველა, და სხვ.

8. განუსაზღვრელობითი: ვილაც, რალაც, რომელილაც. როგორილაც; ვინმე, რამე, რომელიმე, როგორიმე; ერთი, კაცი, ზოგი (ზოგიერთი).

9. უარყოფითი: არავინ, ვერავინ, ნურავინ (ნუვინ); არაფერი, ნურაფერი; არარა (შემოკლებით: არრა, არა), ვერა (ვერრა), ნურა.

სავარჯიშო 34. ა) შეადგინეთ შემოდასახელებული ნაცვალსახელების მიხედვით თითო წინადადება. ბ) ამოაწერეთ ე-ფ-ჟ-ხ-ღ-ლა-შ-შლის ნჯკრის ნამბობიდან ნაცვალსახელები და დაალგეთ ჯგუფების მიხედვით.

§ 124. ნაცვალსახელთა ბრუნება.

1. პირის ნაცვალსახელი

პირის ნაცვალსახელი 1 და 2 პირისა (მხოლ. და მრავლ.) ბრუნების დროს არ იცვლება, ბრუნვის ნიშნებს არ გამოავლენს; სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი მათ ერთნაირი აქვთ, ოღონდ 1 პირს ნათესაობითში ფუძე შეეცვლება მხოლოდითში; წოდებითი 1 პირს არა აქვს, აქვს 2 პირს.

ს ა ხ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ	
მოთ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ	-
მიც.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ	
ნათ.	ჩემ	შენ	ჩვენ	თქვენ	
წოდ.	—	შენ	—	თქვენ	

შენი შენა: წოდებითში პარალელურად გარკვეულ შემთხვევებში გზა გაიკაფა ნ-ჩამოშორებულმა ფორმამ: შე, თქვე, მაგალ., „შე (თქვე) კაი კაცო“, „შე (თქვე) ოჯახდაქცეულო“.

ნათესაობითში ჩემ-შენ — ჩვენ-თქვენ ჩვეულებრივ გვხვდება თანდებულებთან: ჩემ-თვის, ჩემ-გან, ჩემ მიერ; შენ-თვის, შენ-გან შენ მიერ; ჩვენ-თვის, ჩვენ-გან, ჩვენ მიერ; თქვენ-თვის, თქვენ-გან, თქვენ მიერ.

რაკი შე-შენ-ჩვენ თქვენ უბრუნველი სიტყვებია, ე. ი. ბრუნვის ნიშანს არ ღაირთავენ, მათი ამოცნობა (რა შემთხვევაში რა ბრუნვაა). კონტექსტის მიხედვით შეიძლება: 1. მე მივდივარ თეატრში (ვინ? მე — კაცო: სახელობითი); 2. მე დავწერე წერილი (ვინ? მე — კაცო: მოთხრობითი); 3. მე მომწერეს წერილი (ვის? მე — კაცო: მიცემითი).

ბრუნების პარადიგმიდან ისიც ჩანს, რომ 1 და 2 პირის ნაცვალსახელები მე, შენ მრავლობით რიცხვში ფუძეს იცვლიან (მე-ჩვენ, შენ-თქვენ).

თავისებურია 3 პირის ნაცვალსახელის ბრუნებაც:

	მხ. რ.	მრ. რ.
ს ა ხ.	იგი, ის	იგი-ნი, ისი-ნი
მოთ.	მა-ნ იმა-ნ	მა-თ, იმა-თ
მიც.	მა-ს იმა-ს	მა-თ, იმა-თ
ნათ.	მ-ის იმ-ის	მა-თ, იმა-თ
მოქ.	მ-ით იმ-ით	— —
ვით.	— იმა-დ	— —

როგორც ჩანს, 3 პირის ნაცვალსახელი: 1. ფუძეს იცვლის: იგი — მა; 2. მოთხრობითში ავლენს ნ დაბოლოებას; 3. მას ყველა ბრუნვა არა აქვს.

პირის ნაცვალსახელის ბრუნების სქემა:

ბრუნებები	მხოლოდითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი		
	1 პირი	2 პირი	3 პირი	1 პირი	2 პირი	3 პირი
სახ.	მე	შენ	იგი, ის	ჩვენ	თქვენ	იგი-ნი
მოს.	მე	შენ	მა-ნ, იმა-ნ	ჩვენ	თქვენ	ისი-ნი
მიც.	მე	შენ	მა-ს, იმა-ს	ჩვენ	თქვენ	მა-თ, იმა-თ
ნათ.	ჩემ...	შენ...	მ-ის, იმ-ის	ჩვენ...	თქვენ...	მა-თ, იმა-თ
მოქ.	—	—	მ-ით, იმ-ით	—	—	მა-თ, იმა-თ
ვით.	—	—	იმა-დ	—	—	—
წოდ.	—	შე(ნ)	—	—	თქვე(ნ)	—

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 35. გაარკვეთ, რომელი ბრუნვის ფორმებია წინადადებებში მოცემული ნაცვალსახელები:

1. მე ვიჭერდი კურდღელს. 2. ოთარმა მე მოშმართა. 3. აქი მე და ნენ გავუზარეთ გული. 4. ჩვენ გავამართლეს. 5. ჩვენ გვითმობენ სახლის ნაწილს. 6. თქვენ გვითხებიან. 7. თქვენ თუ გადაუხადეთ.

2. ჩვენებითი ნაცვალსახელი

ეს, ეგ, ის (იგი) ნაცვალსახელები ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ეს გვიჩვენებს ჩემთან, აქ მყოფს, — ეგ გვიჩვენებს შენთან, მანდ მყოფს, — ის და იგი — იქ მყოფს.

მათი ბრუნების თავისებურება ისაა, რომ, როცა დამოუკიდებლად იხმარებიან, ფუძეს იცვლიან: ერთი ფუძეა სახელობითში და მეორე — დანარჩენებში; წოდებითი არა აქვთ; აქეთ ნ დაბოლოება; I მრავლობითი არა აქვთ; II მრავლობითი ახასიათებთ.

ბ რ უ ნ ე ბ ი ს ს ქ ე მ ა :

ბრუნებები	მხოლოდითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი		
	1 პირთან	2 პირთან	3 პირთან	1 პირთან	2 პირთან	3 პირთან
სახ.	ეს (ესე)	ეგ (ეგე)	იგი	ესე-ნი	ეგე-ნი	ისი-ნი
მოს.	ამა-ნ	მაგა-ნ	მა-ნ	ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ
მიც.	ამა-ს	მაგა-ს	მა-ს	ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ
ნათ.	ამ-ის	მაგ-ის	მ-ის	ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ
მოქ.	ამ-ით	მაგ-ით	მ-ით	—	—	—
ვით.	ამა-დ	მაგ-ად	—	—	—	—
წოდ.	—	—	—	—	—	—

როცა ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებითთან იხმარება, იკვეცება და ფორმას არ იცვლის ბრუნებში; ორფუძიანობა ამ შემთხვევაშიც დამახასიათებელია.

მხოლოდითი რიცხვი

ს ა ხ.	ეს წიგნ-ი	ეგ წიგნ-ი	ის წიგნ-ი
მ ო თ.	ამ წიგნ-მა	მაგ წიგნ-მა	იმ წიგნ-მა
მ ი ც.	ამ წიგნ-ს	მაგ წიგნ-ს	იმ წიგნ-ს
ნ ა თ.	ამ წიგნ-ის	მაგ წიგნ-ის	იმ წიგნ-ის
მ ო ქ.	ამ წიგნ-ით	მაგ წიგნ-ით	იმ წიგნ-ით
ვ ი თ.	ამ წიგნ-ად	მაგ წიგნ-ად	იმ წიგნ-ად
წ ო ლ.	—	—	—

მრავლობითი რიცხვი

ს ა ხ.	ეს წიგნ-ებ-ი	ეგ წიგნ-ებ-ი	ის წიგნ-ებ-ი
მ ო თ.	ამ წიგნ-ებ-მა	მაგ წიგნ-ებ-მა	იმ წიგნ-ებ-მა
მ ი ც.	ამ წიგნ-ებ-ს	მაგ წიგნ-ებ-ს	იმ წიგნ-ებ-ს
ნ ა თ.	ამ წიგნ-ებ-ის	მაგ წიგნ-ებ-ის	იმ წიგნ-ებ-ის
მ ო ქ.	ამ წიგნ-ებ-ით	მაგ წიგნ-ებ-ით	იმ წიგნ-ებ-ით
ვ ი თ.	ამ წიგნ-ებ-ად	მაგ წიგნ-ებ-ად	იმ წიგნ-ებ-ად
წ ო ლ.	—	—	—

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 36. აბრუნეთ ერთად: „ეს სახლი“, „ეს კარ-მიდამო“, „მე ხელთათმანი“, „მე ბურთი“, „ის მთა“, „ის პროფესორი“.

3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი

კუთვნილებითი ნაცვალსახელები ისევე იბრუნებიან, როგორც თან-ხმოვანფუძიანი ზედსართავეები, იმ მცირე განსხვავებით, რომ მიცემითში ხ აუცილებელია.

მხ. რ.

მრ. რ.

ს ა ხ.	ჩემ-ი	ამხანაგ-ი	ჩემ-ი	ამხანაგ-ებ-ი
მ ო თ.	ჩემ-მა	ამხანაგ-მა	ჩემ-მა	ამხანაგ-ებ-მა
მ ი ც.	ჩემ-ს	ამხანაგ-ს	ჩემ-ს	ამხანაგ-ებ-ს
ნ ა თ.	ჩემ-ის	ამხანაგ-ის	ჩემ-ის	ამხანაგ-ებ-ის
მ ო ქ.	ჩემ-ით	ამხანაგ-ით	ჩემ-ით	ამხანაგ-ებ-ით
ვ ი თ.	ჩემ-ად	ამხანაგ-ად	ჩემ-ად	ამხანაგ-ებ-ად
წ ო ლ.	ჩემ-ო	ამხანაგ-ო	ჩემ-ო	ამხანაგ-ებ-ო

ამავე წესს იზიარებს ჩვენ ი. დანარჩენი კუთვნილებითი ნაცვალსახე-ლებიც (შენი, თქვენი, მისი, მათი, თავისი, ვისი, სხვისი) ასევე იბრუნებიან, იმ განსხვავებით, რომ არა აქვთ წოდებითი ბრუნვის ფორმა.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 37. აბრუნეთ ერთად: „შენი მოუაღობა“, „თქვენი ძმა“, „მისი წიგნი“, „მათი ბრძოლა“, „თავისი შვილი“, „ვისი პალტო“, „სხვისი ფართობი“.

4. კითხვითი ნაცვალსახელი

კითხვით ნაცვალსახელთაგან თავისებურია ვინ და რა ნაცვალსახელების ბრუნება.

ა) ვინ: 1. სახელობითის ნიშნად მოუღის ნ, გადმოსული მოთხრობითი ბრუნვიდან; 2. მოთხრობითის ნიშნად მოუღის ნ; 3. მრავლობითი არა აქვს.

სახ.	ვი-ნ
მოთ.	ვი-ნ
მიც.	ვი-ს
ნათ.	ვი-ს
მოქ.	—
ვით.	—
წოდ.	—

შენიშვნა: 1. ქართულ ენაში ერთადერთი ძირეულად ქართული სიტყვაა ვინ, რომელიც ი-ფუჩიანია, ე. ი. ი-ზეა გათავებული: ვი-ნ; 2. მასში შემონახულია უძველესი მარეწებელი მოთხრობითი ბრუნვისა—ნ, რომელიც შეეხორცა მანაცვალსახელს და ძველ ქართულში მოგვცა მოთხრობითის გართულებული დაბოლოება -მან (კაც-მან). შემდეგ ეს ნ სახელობითში გადმოსულა და ამიტომ ვინ-ში ნ სახელობითის ნიშნად გვევლინება ამჟამად; 3. ვინ-ს მრავლობითი არა აქვს, მაგრამ სიმრავლის გამოსახატავად ენა მიმართავს მის (ვი-ნ-ის) განმეორებას: ვინ და ვინ.

ბ) რა: ფუძეკვეცადია მხოლოდით რიცხვში და ბოლოუკვეცელი მრავლობით რიცხვში; წოდებითი არა აქვს; II მრავლობითი არა აქვს, გარდა სახელობითისა: რა-ნ-ი.

	მხ. რ.	მხ. რ.
სახ.	რა	რა-ებ-ი
მოთ.	რა-მ	რა-ებ-მა
მიც.	რა-ს	რა-ებ-ს
ნათ.	რა-ის	რა-ებ-ის
მოქ.	რა-ით	რა-ებ-ით
ვით.	რა-დ	რა-ებ-ად
წოდ.	—	—

5. უარყოფითი ნაცვალსახელი

არავინ, ვერავინ, ნურავინ უარყოფითი ნაცვალსახელები შედგენილია არა, ვერა, ნურა ნაწილაკებისა და ვინ ნაცვალსახელის შეერთებით. იბრუნვიან ისევე, როგორც ვინ.

არარა, ვერარა, ნურა ნაცვალსახელებს სამი ბრუნვა აქვთ: სახელობითი, მიცემითი და ვითარებითი. სახელობითში არარა გათიშულია ზმნის მიერ: არა... რა: „არა ვიცი რა“. მიცემითში

შემოკლებულია: არას: „არას გვარგებს“. ვითარებითში: „არად ჩააგდო“, „არად შინდა“.

ეგევე მოუღის ვერარა-ს: „ვერა დააკლო რა“; „ვერას მეტყვი“; „ნურად ჩააგდებ“.

არარა-ვერარა-ნურარა სიტყვებს ცვლის არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი.

§ 125. ნაწილაკდართული ნაცვალსახელების ბრუნება. ნაცვალსახელები დაირთავენ ნაწილაკებს: ვე, მე, ლა, ც(ა).

I. ვე-ნაწილაკდართული ნაცვალსახელები

ვე-ს დაირთავს იგი ნაცვალსახელი. გვაქვს სამგვარი წარმოება: ძველი, ახალი და ნარევი. ძველი იმაში მდგომარეობს, რომ ვე ემატება ბრუნვის ნიშნის შემდეგ; ახალი იმაში მდგომარეობს, რომ ვე შეზრდილია ნაცვალსახელის სახელობითის ფორმას და ბრუნვის ნიშანი ბოლოს დაერთვის; ნარევი მდგომარეობს იმაში, რომ ძველი წარმოება გამოყენებულია ფუძედ, რომელსაც კვლავ ერთვის ბრუნვის ნიშნები.

	I	II	III
სახ.	იგი-ვე	იგივე	—
მოთ.	(ი)მან-ვე	—	იმავე-ს
შიც.	(ი)მას-ვე	იგივე-ს	იმავე-ს
ნათ.	(ი)მის-ვე	იგივე-ს	იმავე-ს
მოქ.	(ი)მით-ვე	იგივე-თი	იმავე-თი
ვით.	(ი)მად-ვე	იგივე-დ	იმავე-დ
წოდ.	—	—	—

II. მე-ნაწილაკდართული ნაცვალსახელები

აქაც გვაქვს ძველი, ახალი და ნარევი წარმოება.

ვინ + მე:

	I	II	III
სახ.	ვინ-მე	ვინმე	—
მოთ.	—	ვინმე-მ	—
შიც.	ვის-მე	ვინმე-ს	ვის-მე-ს
ნათ.	ვის-(...)-მე	ვინმე-ს	—
მოქ.	—	ვინმე-თი	—
ვით.	—	ვინმე-დ	—
წოდ.	—	—	—

ნათესაობითში (ვის-[...] -მე) მრავალწერტილი იმას ნიშნავს, რომ აქ იგულისხმება თვის თანდებული: ვისთვის ვისმე.

რ ა + მ ე (რ ა ი + მ ე):

	I	II	III
ს ა ხ.	რ ა-მ ე (რ ა ი-მ ე)	რ ა მ ე (რ ა ი მ ე)	—
მ ო თ.	—	რ ა მ ე-მ (რ ა ი მ ე-მ)	—
მ ი ც.	რ ა ს-მ ე	რ ა მ ე-ს (რ ა ი მ ე-ს)	რ ა ს-მ ე-ს
ნ ა თ.	რ ი ს-(...)-მ ე	{ რ ა მ ე-ს (რ ა ი მ ე-ს) რ ა მ-ის	—
მ ო ქ.	რ ი თ-მ ე	{ რ ა მ ე-თ ი (რ ა ი მ ე-თ ი) რ ა მ-ით	—
ე ი თ.	რ ა დ-მ ე	რ ა მ ე-დ	—
წ ო დ.	—	—	—

როგორც ჩანს, 1. რ ა მ ე-ს პარალელური ფორმაა რ ა ი მ ე (სახელობითის ო შენარჩუნებულია); 2. რ ა მ ე ნათესაობითსა და მოკმედებითში პარალელურად შეიძლება იყოს კვეცადიც (რამეს-რამის, რამეთი-რამით).

შენიშვნა: ნარვეი ფორმა (ვისმეს, რასმეს) იშვიათად იხმარება. სალიტერატურო ენაში ჩვეულებრივია ახალი წარმოება.

რ ო მ ე ლ ი + მ ე, რ ო გ ო რ ი + მ ე, რ ა მ დ ე ნ ი + მ ე:

სალიტერატურო ენაში გაბატონებულია შეზრდილი (ახალი) წარმოება:

ს ა ხ.	რომელიმე
მ ო თ.	რომელიმე-მ
მ ი ც.	რომელიმე-ს
ნ ა თ.	რომელიმე-ს
მ ო ქ.	რომელიმე-ს(თვის)
ე ი თ.	რომელიმე-თი
წ ო დ.	რომელიმე-დ

ასევე იბრუნვიან რ ო გ ო რ ი მ ე, რ ა მ დ ე ნ ი მ ე.

III. ლ ა-ნ ა წ ი ლ ა კ დ ა რ თ უ ლ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი

ვინ და რ ა ნაცვალსახელებზე ლ-ს დართვა გვადლევს როგორც შებორცებულ, ისე შეუბორცებელ ტიპს.

	I	II	I	II
ს ა ხ.	—	ვილა	რ ა-ლ ა	რ ა ლ ა
მ ო თ.	—	ვილა-მ	რ ა მ-ლ ა	რ ა ლ ა-მ
მ ი ც.	ვის-ლ ა	ვილა-ს	რ ა ს-ლ ა	რ ა ლ ა-ს
ნ ა თ.	ვის (...)-ლ ა	ვილა-(...)	რ ი ს-(...)-ლ ა	რ ა ლ ა-ს(...)
მ ო ქ.	—	ვილა-თ ი	რ ი თ-ლ ა	რ ა ლ ა-თ ი
ე ი თ.	—	—	—	რ ა ლ ა-დ
წ ო დ.	—	—	—	—

IV. ცა და ლაცა-ნაწილაკდართული ნაცვალსახელები

ც (ცა) ნაწილაკი უშუალოდ ერთვის გავრცობილ ფორმას: ვინ-ც (ვინა-ც), ვისა-ც, ვისთვისა-ც; რა-ც, რამა-ც, რასა-ც, რომელსა-ც, და სხვ. თუ ლაცა დაერთო სიტყვას, მოსალოდნელია ბრუნვის ნიშანი ამ ორ ნაწილაკს შორის მოთავსდეს ანდა შეხორცებული წარმოება მივიღოთ.

I	II
ს ა ხ. ვილა-ც	ვილაცა
მ ო თ. ვილამა-ც	ვილაცა-მ
მ ი ც. ვილასა-ც	ვილაცა-ს
ნ ა თ. ვილას-(...)-ც	ვილაცა-ს-(...)
მ ო ქ. —	ვილაცა-თი
ვ ი თ. —	ვილაცა-დ
წ ო დ. —	—

I	II
ს ა ხ. რალა-ც	რალაცა
მ ო თ. რალამა-ც	რალაცა-მ
მ ი ც. რალასა-ც	რალაცა-ს
ნ ა თ. რალას-(...)-ც	რალაცა-ს-(...)
მ ო ქ. —	რალაცა-თი
ვ ი თ. რალადა-ც	რალაცა-დ
წ ო დ. —	—

შენიშვნა: სალიტერატურო ენაში უფრო გავრცელებულია შეხორცებული წარმოება.

§ 126. ნაცვალსახელები: ერთმანეთი, ყველა, თვით. ა) ერთმანეთი რთული სიტყვაა: ერთმან+ერთი. პირველი სიტყვა (ერთი) წარმოდგენილია მოთხრობითის სრული (არქაული) ნიშნით. ამ ნაცვალსახელის თავისებურება ისაა, რომ მთლიანად მოთხრობითის ფორმა არა აქვს და არც მრავლობითში დაისმის; ბ) ყველა, მართალია, ა.ზე ბოლოვდება, მაგრამ ბოლოუკვეცელია: ს ა ხ. ყველა, მ ო თ. ყველა-მ, მ ი ც. ყველა-ს, ნ ა თ. ყველას-თვის. აქვს მხოლოდ II მრავლობითი: ყველანი; გ) თვით (თვითონ, თითონ) უბრუნველი სიტყვაა. იხმარება სახელობითისა და მოთხრობითის ფუნქციით (თვითონ წერს, თვითონ დაწერა).

ნაცვალსახელების მართლწერა

1. სიმრავლის გამომხატველ ნაცვალსახელებს (ყველა, ზოგი-ზოგიერთი, რამდენიმე, სხვადასხვა), რომლებიც ზედსართავის როლში გამოდიან, არსებითი სახელი მხოლოდით რიცხვში შეეწეობა. უნდა იყოს:

„ყველა მოსწავლეს“, „ზოგი (ზოგიერთი) ამხანაგი“, „რამდენიმე კაცი“, „სწავლასხვა აზრი“ და არა: „ყველა მოსწავლეები“, „ზოგი (ზოგიერთი) ამხანაგები“, „რამდენიმე კაცები“, „სწავლასხვა აზრები“.

2. შე-შენ პირის ნაცვალსახელების ნათესაობითია ჩემ, შენ, მრავლობითში — ჩვენ, თქვენ, რომლებიც იხმარებიან კენ, მიერ თანდებულების დართვით. ამიტომ დაუშვებელია მათი დასმა მიცემითში: ჩემ-ს-კენ, ჩემ-ს მიერ, შენ-ს კენ, შენ-ს მიერ, ჩვენ-ს-კენ, ჩვენ-ს მიერ, თქვენ-ს-კენ, თქვენ-ს მიერ. უნდა იყოს: ჩემკენ, შენკენ, ჩვენკენ, თქვენკენ, — ჩემ მიერ, შენ მიერ, ჩვენ მიერ, თქვენ მიერ.

3. „ერთი და იგივე“ ნაცვალსახელი უნდა შეეთანხმოს ბრუნვაში არსებითს (საზღვრულს).

უ ნ და ი ყ ო ს :

ს ა ბ.	ერთ-ი და იგივე ამბავ-ი
მ ო თ.	ერთ-მა და იმავე ამბავ-მა
მ ი ც.	ერთ-სა და იმავე ამბავ-ს
ნ ა თ.	ერთ-ისა და იმავე ამბ-ის
მ ო ქ.	ერთ-ი და იმავე ამბ-ით
ვ ი თ.	ერთ და იმავე ამბ-ად

და ა რ ა :

მ ო თ.	ერთ-ი და იგივე ამბავ-მა
მ ი ც.	ერთ-ი და იგივე ამბავ-ს
ნ ა თ.	ერთ-ი და იგივე ამბ-ის
მ ო ქ.	ერთ-ი და იგივე ამბ-ით
ვ ი თ.	ერთ-ი და იგივე ამბ-ად

4. რომ თავიდან იქნეს აცდენილი პირის ნაცვალსახელთან აღრევა, სავალდებულოა კუთვნილებითი ნაცვალსახელის სრული შეთანხმება მიცემით ბრუნვაში არსებითთან (საზღვრულთან): „ჩვენ-ს ამხანაგ ს“, „შენ-ს ამხანაგ-ს“, „თქვენ-ს ამხანაგ-ს“ (და არა: „ჩვენ ამხანაგს“, „შენ ამხანაგს“, „თქვენ ამხანაგს“).

5. პირველ, მეორე და მესამე პირთან საგნის სიახლოვის გამოსახატავად გამოყენებულია ეს, ეგ, ის (ი გ ი) ჩვენებითი ნაცვალსახელები. საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ მათ სწორ გამოყენებაზე: ეს წიგნი (როცა წიგნი პირველ პირთანაა), ეგ წიგნი (ახლოსაა მეორე პირთან), ის წიგნი (როცა არც პირველ პირთან და არც მეორესთან არის ახლოს).

6. განსხვავებულია თავისი და მისი ნაცვალსახელების გამოყენებაც. უნდა იყოს: „ვანომ თავისი ბავშვი სოფელში წაიყვანა“ (ბავშვი ვანოს,

ე. ი. მოქმედს ეკუთვნის), „ვანომ მისი ბავშვი სოფელში წაიყვანა“ (ბავშვი ეკუთვნის არა ვანოს, მოქმედს, არამედ სხვას).

7. ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთაგან უპირატესობა უნდა მიეცეს ჰეხორცებულ ფორმებს შეუხორცებულ ფორმებთან შედარებით.

ნაცვალსახელები დიალექტებში

დიალექტებში იგი ნაცვალსახელი წარმოდგენილია ი-ს სახით; ეს გამარტივებულია: ი („ი კაცი“). დასავლურ კილოებში ჩვეულებრივია ჩვენებითი ნაცვალსახელები: აგი, მაგი, რომლებიც ზოგჯერ აი, მაი-ს ფორმას იღებენ გ-ს დაკარგვით; მრავლობითში „ამათ“, „მათ“ ნაცვალად იხმარება აგენი, იგენი. გურულში იგი ნაცვალსახელი იხმარება სახელთანაც, ჩვენებითის როლში: „იგი კაცი“.

ზემოხსენებული დიალექტური ფორმები არაიშვიათად გვხვდება ე. ნი-ნოშვილის, დ. კლდიაშვილის, ს. მგალობლიშვილის, ნ. ლომოურის და სხვათა ნაწერებში.

წარმოქმნა

§ 127. როგორც ვიცით, სახელი ბრუნების დროს იცვლება გრამატიკულად, მაგრამ არ იცვლება ლექსიკურად, ე. ი. არ იცვლება შინაარსობლივად. მაწარმოებელი აფიქსების დართვით კი სიტყვა მნიშვნელობას იცვლის.

სახელის ცვლებას მნიშვნელობის მიხედვით ეწოდება წარმოქმნა; წარმოქმნილია სახელი, თუ მიღებულია ძირეული სახელისაგან მნიშვნელობის მცველი აფიქსების დართვით.

ახალი ფუძის წარმოქმნა ხორციელდება ან სუფიქსით ან პრეფიქს-სუფიქსით.

§ 128. სუფიქსური წარმოქმნა. სუფიქსური წარმოქმნის ტიპის არიან: კნინობითი, ქონების, წარმომავლობის, აბსტრაქტული, ზოგი გეოგრაფიული, მცენარეთა კრებადობის სახელი.

ა. კნინობითი სახელები:

კნინობითი ფორმები იწარმოება ა, იკ, ილ, უკ, უნ სუფიქსებით.

ა: სალიტერატურო ენაში იშვიათია: კაც-ა (პატარა კაცი), დედოფალ-ა, ვაჟ-ა. საკუთარ სახელებში: პეტრი-ა, ბეჟან-ა, არსენ-ა. აქედანაა მიღებული: ძირ-ა-ს, პირ-ა-ს (ბუჩქის ძირას, წყლის პირას).

იკო: მამ-იკო, დედა-იკო, სულ-იკო, დათ-იკო, ბიჭ-იკო (თ წარმოშობით წოდებითის ნიშანია, შემდეგ შეზრდილი იკ-თან).

ილ: მამ ილ-ო, დედა-ილ-ო.

უნ-ა: კაც-უნ-ა, ბიჭ-უნ-ა, დათ-უნ-ა, წალღ-უნ-ა.

ბ. ქონების სახელები

გამოყენებულია იან, იერ, ოსან, ოვან, ა სუფიქსები.

იან: აღნიშნავს ქონება-ყოლას. შავალ., ქუდ-იან-ი, ცოლ-იან-ი, წვერ-იან-ი.

იერ (დისიმილაციით იელ): ნიკ-იერ-ი, სახ-იერ-ი, ღონ-იერ-ი, ძლ-იერ-ი, მშვენ-იერ-ი, ცბ-იერ-ი, ხორც-იელ-ი.

ოსან: აღნიშნავს რაიმეს მატარებელს ან მქონებელს: მანდილ-ოსან-ი, ტყა-ოსან-ი, ჩოხ-ოსან-ი, ქუდ-ოსან-ი, ორდენ-ოსან-ი, მედლ-ოსან-ი.

ოვან: ფერ-ოვან-ი, სახელ-ოვან-ი, კლდ-ოვან-ი, ხელ-ოვან-ი.

ა: ცალთვალ-ა, პერანგ-ა, სამფეხ-ა, თორმეტგოჯ-ა, ენაქარტალ-ა.

გ. წარმომავლობის სახელები

ელ: აღნიშნავს ადამიანთა სადაურობას: თელავ-ელ-ი, სამტრედი-ელ-ი, ქალაქ-ელ-ი. დღევანდელ ქართულში ელ-ს მიენიჭა მიმდევრობის აღნიშვნის ფუნქცია: ლენინ-ელ-ი, სტახანოვ-ელ-ი.

ურ (დისიმილაციით ულ): არაადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელია: სოფლ-ურ-ი, კახ-ურ-ი, გომარ-ულ-ი, ამერიკ-ულ-ი.

იურ: წლ-იურ-ი, მზ-იურ-ი. ქვეყნ-იურ-ი, პას-იურ-ი.

ეულ: ქავკავადის-ეულ-ი, წერეთლის-ეულ-ი, პატარძლის-ეულ-ი. ამჟამად ეულ-მა გაითვარტოვა მნიშვნელობა: თევზ-ეულ-ი, ბოსტნ-ეულ-ი. ვერცხლ-ეულ-ი. ეგვეე სუფიქსი აწარმოებს სიტყვებს: ერთ-ეულ-ი, ას-ეულ-ი, გუთნ-ეულ-ი, შორ-ეულ-ი.

დ. აბსტრაქტული სახელები

ზოგიერთი აბსტრაქტული სახელის საწარმოებლად გამოყენებულია ობა, ება.

ობა: მეგობრ-ობა, ამხნავ-ობა, ბავშვ-ობა, მონ-ობა.

ება: ბედნიერ-ება, ზომიერ-ება, კადნიერ-ება.

ე. გეოგრაფიული სახელები

მთელი რიგი გეოგრაფიული სახელები ნაწარმოებია სუფიქსებით: ეთ, ით და სხვ.

ეთ: სვან-ეთ-ი, სომხ-ეთ-ი, რუს-ეთ-ი, არაბ-ეთ-ი.

ით: მოლ-ით-ი, ლვანკ-ით-ი, ხრე-ით-ი.

ვ. მცენარეთა კრებადობის სახელები

გამოყენებულია უმთავრესად ნარ (დისიმილაციით ნალ) სუფიქსი: კოპიტ-ნარ-ი, ნაძვ-ნარ-ი, ფიქვე-ნარ-ი, ყვავილ-ნარ-ი, არყ-ნალ-ი.

§ 129. პრეფიქს-სუფიქსური წარმოქმნა. ზოგიერთი სახელი წარმოქმნილია ერთსა და იმავე დროს პრეფიქსისა და სუფიქსის საშუალებით.

პრეფიქს-სუფიქსური ტიპის არიან: უქონლობის, აბსტრაქტული, დანიშნულების, წინა ვითარების, ხელობის, რიგობითი, წილობითი, გეოგრაფიული, ხარისხის სახელები.

ა. უქონლობის სახელები

უ-ურ (დისიმილაციით უ-ულ): უ-მად-ურ-ი, უ-წეს-ურ-ი, უ-ბედ-ურ-ი უ-ფერ-ულ-ი, უ-ხერხ-ულ-ი.

უ-ო: უ-გულ-ო, უ-თავ-ო, უ-შვილ-ო, უ-ქუდ-ო.

ბ. აბსტრაქტული სახელები

ზოგიერთ აბსტრაქტულ სახელს აწარმოებს ხი-ე, რომელიც ეტოლება ობა სუფიქსს (ობა აწარმოებს საგნის აღმნიშვნელი ფუძეებისაგან, ხი-ფ კი ისეთებისგან, რომლებიც გამოხატავენ საგანთა თვისებას ან ნიშანს): ხი-შავ-ე, ხი-ძნელ-ე, ხი-მალლ-ე.

გ. დანიშნულების სახელები

ხა-ე: ხა-ფულ-ე, ხა-კირ-ე, ხა-თვალ-ე.

ხა-ო: ხა-ქვეყნ-ო, ხა-ინსტიტუტ-ო, ხა-სადილ-ო, ხა-შხარეულ-ო.

ხა-ურ (დისიმილაციით ხა-ულ): ხა-ფეხ-ურ-ი, ხა-განძ-ურ-ი, ხა-მკერდ-ულ-ი.

დ. წინა ვითარების სახელები

ენას შეუძლია გამოხატოს, თუ რას წარმოადგენდა საგანი წინათ ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით.

ნა-არ (დისიმილაციით ნა-ალ): ნა-თავად-არ-ი, ნა-ცოლ-არ-ი, ნა-სახლ-არ-ი, ნა-სოფლ-არ-ი, ნა-ქერ-ალ-ი.

ნა-ევ: ნა-ყმ-ევ-ი, ნა-ვენახ-ევ-ი, ნა-ვახშმ-ევ-ს, ნა-ახალწლ-ევ-ს.

ე. ხელობის სახელები

მე-ე: მე-ბალ-ე, მე-ქოთნ-ე, მე-საათ-ე.

მე-ურ (დისიმილაციით მე-ულ): მე-ბად-ურ-ი, მე-ზღვა-ურ-ი, მე-ბარგ-ულ-ი.

ვ. რიგობითი და წილობითი სახელები

მე-ე: მე-ორ-ე, მე-ათ-ე, მე-ათას-ე; მე-ოთხ-ე-დ-ი, მე-რვა-ე-დ-ი.

ზ. გეოგრაფიული სახელები

ხა-ე: ხა-ირმ-ე, ხა-ვან-ე.

ხა-ო: ხა-ქართველ-ო, ხა-გურამ-ო, ხა-გარეჯ-ო.

ნა-არ (დისიმილაციით ნა-ალ): ნა-ტახტ-არ-ი, ნა-საკირ-ალ-ი.

ნა-ევ: ნა-ქალაქ-ევ-ი, ნა-დარბაზ-ევ-ი.

ხა-ეთ: ხა-ფრანგ-ეთ-ი, ხა-ბერძნ-ეთ-ი, ხა-თათრ-ეთ-ი.

თ. ხარისხის სახელები

რომ შევადაროთ ერთმანეთს სიტყვები: მტავე, მომტავეო და უმტავესი, ვნახავთ, რომ მათ შორის განსხვავება ხარისხშია: უმტავესი მეტია, ვიდრე მტავე, ხოლო მომტავეო ნაკლებია, ვიდრე მტავე.

მომტავეო და უმტავესი წარმოქმნილი სიტყვებია (ზედსართავი სახელებია). მათთვის ამოსავალია მტავე ძირეული სიტყვა, როგორც დადებითი ხარისხი. მასზე მეტი ოდენობის გამომხატველია უფროობითი (უმტავესი) და მასზე ნაკლები — ოდნაობითი (მომტავეო).

უფროობით ხარისხს აწარმოებს უ-ეს: ახალი: უ-ახლ-ეს-ი, ერთგული: უ-ერთგულ-ეს-ი, მოკლე: უ-მოკლ-ეს-ი.

ოდნაობით ხარისხს აწარმოებს შო-ო: დიდი: შო-დიდ-ო, მეავე: შო-მეავე-ო, თეთრი: შო-თეთრ-ო.

ელ და ილ-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ხარისხის ფორმები იწარმოება ამ დაბოლოებათა მოკვეციტთ:

სქელი: უ-სქ-ეს-ი, მო-სქ-ო.

ბრტყელი: უ-ბრტყ-ეს-ი, მო-ბრტყ-ო.

ტკბილი: უ-ტკბ-ეს-ი, მო-ტკბ-ო.

მსხვილი: უ-მსხ-ოს-ი, მო-მსხ-ო.

უ-კეთ-ეს-ი უფროობითია, მისი დადებითი იქნება კარგი.

§ 130. ბრუნვის აფიქსებით წარმოქმნილი სახელები. ახალი ფუძე შეიძლება მივიღოთ ბრუნვის აფიქსების საშუალებით. სახელის წარმოქმნა შეუძლია ორ ბრუნვას: მოქმედებითსა და ვითარებითს.

3

ჩვენ ვიციტ, რომ ეს ბრუნვის (მოქ.) მაწარმოებელია. მაგრამ მას შეუძლია ახალი ფუძეც შექმნას. სიტყვა უარყოფა მოქმედებითში იქნება უარყოფით. ეს ფორმა საფუძვლად ედება ახალ (წარმოქმნილ) სიტყვას: უარყოფით-ი. მისი მოქმედებითი იქნება უარყოფით-ით. უარყოფით არსებითი სახელია (სიტყვისაგან უარყოფა) უარყოფითით — ზედსართავი. მას ყველა ბრუნვა აქვს:

- სახ. უარყოფით-ი
- მოთ. უარყოფით-მა
- მიც. უარყოფით-ს
- ნათ. უარყოფით-ის
- მოქ. უარყოფით-ით
- ვით. უარყოფით-ად
- წოდ. უარყოფით-ო

ასევეა წარმოქმნილი შემთხვევითი, განმეორებითი, ბრუნვათა სახელწოდებები: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი და ა. შ.

ბ

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი (ად, დ) აწარმოებს ახალ ფუძეებს: თვალთ, აქედან: თვალად-ი, ტანი, აქედან: ტანად-ი. ასევეა მიღებული: პურადი, კუმშვადი.

§ 131. უცხოური აფიქსები. წარმოქმნის ერთ-ერთი ხერხია უცხოური წარმოშობის აფიქსების გამოყენება. ასეთი აფიქსებია: დან, ხანა, დარ, იზმ, ისტ, ანტი.

დან — სპარსულიდანაა შემოსული; უდრის ქართ. ხა-ე, ხა-ო აფიქსებს. მაგალ., ყავა-დან-ი (სა-ყავე), ჩაი-დან-ი (სა-ჩაი-ე).

ხანა — აგრეთვე სპარსულია; უდრის ქართ. ხა-ე აფიქსებს: ყავა-ხანა (სა-ყავე-ე); ლუდ-ხანა, აგურ-ხანა, ეგვიპე ხანა შესულია სიტყვაში: ქარხანა.

დარ — აგრეთვე სპარსულია; უდრის მე-ე აფიქსებს; დახლიდარ-ი (მე-დახლ-ე), ხაზინა-დარ-ი.

იზმ — ბერძნულია. მაგალ., მარქს-იზმ-ი, მატერიალ-იზმ-ი.

ისტ — ბერძნულია; გამოხატავს ამა თუ იმ მოძღვრების მიმდევარს: მარქს-ისტ-ი, მატერიალ-ისტ-ი.

ანტი — ბერძნულია; გამოხატავს საწინააღმდეგოს: ანტი-მარქსიზმი, ანტი-სახელმწიფოებრივი.

სავარჯიშო 38. წაიკითხეთ ქრესტომათიის 25 გვერდი და ამოიწერეთ წარმოქმნილი სახელები, დაალაგეთ და დაშალეთ შემადგენელ ნაწილებად.

რ თ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი

§ 132. რთული სახელები ანუ კომპოზიტები (თხზული სახელები) მიღებულია მარტივი ფუძის გაორკეცვებით ანდა სხვადასხვა მარტივი ფუძეების შეერთებით.

წარმოქმნა შესაძლებელია კომპოზიტისაგანაც. მაგალ., რთული სიტყვებისაგან დედაკაცი, წისქვილი მიღებულია წარმოქმნილი სახელები: სა-დედაკაც-ო; სა-წისქვილ-ე და სხვ.

შინაარსის მიხედვით კომპოზიტი ორგვარია: ერთცნებიანი და მრავალცნებიანი. ერთცნებიანია კომპოზიტი, რომელიც ერთ ცნებაზე მიუთითებს. მაგალ., წამწამი, დიასახლისი, ბერიკაცი, ხელსახოცი. მრავალცნებიანია კომპოზიტი, რომელიც ერთზე მეტ ცნებას გამოხატავს. მაგალ., და-ძმა, ცოლ-კმარი, მთა-ბარი.

შენიშვნა: ერთცნებიანი და მრავალცნებიანი კომპოზიტების გარჩევის ტექნიკური ხერხი ასეთია: თუ კომპოზიტი შეიგუებს და კავშირს, მრავალცნებიანია; თუ არა და — ერთცნებიანი. მართლაც: და-ძმა სხვანაირად ანუ ითქმის: და და

ძმა, ცოლ-ქმარი: ცოლი და ქმარი. მაგრამ თუ ავიღებთ კომპოზიტს: შავ თვალა, არ შეიძლება ითქვას: შავ და თვალა, მამასადამე, იგი ერთ-ცნებიანია.

§ 133. ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები. რთული სახელის მისაღებად ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა ფუძის გაორკეცება. მაგალ., მარტივი სახელისაგან წამი მიღებულია წამწამი. ასევეა მიღებული: ლულული, კაშკაში, ლაწალუწი, სხაპასხუპი და სხვ.

ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები ერთმანეთისაგან განსხვავდება: ა) ზოგი მათგანი ისეა მიღებული, რომ ფუძის გაორკეცებისას ფუძის ხმოვანი უცვლელია: კაშ-კაშ-ი, ძუნ-ძულ-ი, ხარ-ხარ-ი, ქიკ-ქიკ-ი; ბ) ფუძის ხმოვანი შეცვლილია: ბალახ-ბულახ-ი, კანტი-კუნტი-ი, ჩამი-ჩუმ-ი; გ) დასაწყისი თანხმოვანიც იცვლება: კუჭ-მაჭ-ი, გიფ-მაფ-ი, ქობ-მახ-ი; დ) გამეორებული ფუძე რომელიმე თანხმოვანს დაირთავს: აყალ-მაყალ-ი, წარა-მარა, არე-მარე.

რთული სახელი შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა ფუძის შეერთებით. ასეთებია: მიწა-წყალ-ი, დედ-მამა, ბერი-კაც-ი, დედინაცვალ-ი, ქარი-ყლაპია, ხელ-ფეხ-მოტეხილ-ი, წვერ-ულვაშ-გათეთრებულ-ი.

ზოგიერთი კომპოზიტი წარმოდგენილია და კავშირით (გულ-და-გულ, სხვა-და-სხვა, წამ-და-უწუმ), ზოგიერთიც უამკავშიროდ (ფარ-ხმალ-ი, მთა-ბარი, და სხვ.).

ახალ ქართულში გავრცელებულია ახალი ტიპის შემოკლებული სახელები — ხელოვნური კომპოზიტები. ასეთი სიტყვები მიღებულია რამდენიმე სახელის შემოკლებით.

არის შემდეგი ტიპები: 1. შეერთებულია სიტყვათა დასაწყისი ბგერები: ზაქეს-ი: ზ(ემო) ა(ვქალის) ქ(იდრო) ე(ლექტრო) ს(ადგური); 2. შეერთებულია სიტყვათა დასაწყისი მარცვლები: სახელგამ-ი: სახელ(მწიფო) გამ(ომცემლობა), რაიკომი: რაი(ონული) კომ(იტეტი); 3. შეერთებულია პირველი სახელის შემოკლებით და მეორე სახელის სრულად წარმოდგენით: სახბანკ-ი: სახ(ელმწიფო) ბანკ-ი.

სიტყვების ყოველგვარი შემოკლება არ უნდა მივიჩნიოთ კომპოზიტებად. იგულისხმება ასეთი შემოკლებანი: იხ.=იხილე, ნ.=ნახე. ნახ.=ნახატი, სურ.=სურათი, ე.ი.=ესე იგი, ა.შ.=ასე შემდეგ, ე.წ.=ეგრეთწოდებული, სხ.=სხვა, სხვ.=სხვა, მისთ.=მისთანანი, ა.წ.=ამა წელს.

რთული სახელების მართლწერა

1. ერთცნებიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად (ბაყბაყი, ქინძისთავი, ტვინდაბნეული, პირსისხლიანი).

2. მრავალცნებიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს დეფისით (და-ძმა, მიწა-წყალი, ცოლ-ქმარი).

3. კომპოზიტი, რომელშიც მონაწილეობს და კავშირი, უნდა დაიწეროს ერთად (გულდაგულ, სხვადასხვა, ცხენდაცხენ).

4. თუ მრავალცნებიან კომპოზიტს დაერთვის საწარმოებელი აფიქსები, უნდა დაიწეროს ერთად: დედ-მამა, მაგრამ: უღედმამო, დედა-შვილი, მაგრამ: დედაშვილური; და-ძმა, მაგრამ: დამძური.

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 39. დაწერეთ ქვემოთ მოყვანილი კომპოზიტები, რომლებიც აქ ცალ-ცალკეა დაწერილი, ცნობილი წესების მიხედვით.

სამ თითი. ოთხ ფეხი, გონება დაკარგული, კბილებ ჩაცვენილი. ყურ მახვილი, დედა ბოძი, დედა ახრი. ხელ ფეხ მოტეხილი, სიტყვა პასუხი, მიწა წყალი. მიწურ მოწერა, ხელ ფეხი, ხუთ ხუთი. კერ კედელი, წამ და უწუმ. ამღელ ჩამომღელი, მთა და ბარი, ოქრო ვერცხლი, უგზო უკვლო წერა კითხვა. თან და თან, წინ და წინ, კარ და კარ, ალებ მიცემა, წუთი სოფელი, ქარი ყლაპია, წყალ სადენი. კვლევა ძიება; თვალ წარბი, ხელ საქმე, მაინც და მაინც. თავ პირ ჩამომტერეული. ქეუა დაკარგული, თმა ხშირი, ბარ საკვითი. კვირა დღე, შინა ყმა.

ზ მ ნ მ ბ ი

§ 134. ზმნის რაობა. ზმნა ეწოდება ფორმაცვალებად სიტყვას, რომელიც მოქმედებისა ან მდგომარეობის აღმნიშვნელია. გვაქვს პირიანი და უპირო ზმნები. პირიანია ზმნა, რომელიც გამოხატავს რომელიმე ამათგანის მოქმედებას: მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი (მე ვღგავარ, შენ ხტი და ა. შ.). უპიროა ზმნა, რომელსაც არც ერთი ამნაცვალსახელთგანი არ შეეწყობა, მაგრამ მოქმედებას კი გამოხატავს: წერა, ხატვა, წოლა.

თუ სახელს აქვს ორი კატეგორია — ბრუნვა და რიცხვი, ზმნა გაცილებით უფრო რთულია; მას აქვს შემდეგი კატეგორიები: პირი, რიცხვი, დრო, კილო, მწკრივი, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი.

პირი და რიცხვი

§ 135. პირი. გრამატიკული პირი ზმნის ფორმაა და აღნიშნავს ან მოლაპარაკეს ან ვისაც მიმართავენ ანდა სხვა ვინმეს ან რამეს. ამის მიხედვით გვაქვს სამი პირი: პირველი, მეორე და მესამე.

პირველი პირია ზმნის ფორმა, რომელსაც შეეწყობა მე ან ჩვენ: ვხატავ (მე), ვხატავთ (ჩვენ).

მეორე პირია ზმნის ფორმა, რომელსაც შეეწყობა შენ ან თქვენ: ხატავ (შენ), ხატავთ (თქვენ).

მესამე პირია ზმნის ფორმა, რომელსაც შეეწყობა ის (იგი), მან, მას, ისინი (იგინი), მათ: ხატავს (ის) დახატა (მან). უხარია (მას), ხატავენ (ისინი), დახატეს (მათ).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 40. ამოიწერეთ ტექსტიდან ხმნები და მიუწერეთ ფრჩხილებში: რომელი პირის ფორმაა თითოეული მათგანი.

1. ხანდახან რომ ჯანლი დამსხურობა, თვალთ დამიბნელდება, ველარაფერსა ვებდავ, ველარც ზემ თვალწინ მყვირალ მდინარეს, მხოლოდ იმის ხვივილი მესმის

ბუნდად, გაურკვევლად... გულში ჩაიხვევა, ჩაიკეცება. შავი, მწარე ფიქრები... სჩანს, თქვენ ველარც-კი მიცნობთ. თუ მე დედა ვარ თქვენი და თქვენ ჩემი გულ-მკერდის ანავლეჯ-ანასხელო, ჩემი უმადური შვილები... აი რისთვის ვსტირი დღე-ყოველ, რისთვის შედგება გული. შემოიტება სისხლი და გონება, როცა დაეცქერი ჩემ შვილებს... რამდენიც მუტი მომწყდება და ჩაილეწება ჯურღმულში, იმდენად მე სიკვდილს ვუბლოდები (ეკა). 2. გიყიდი, შვილო, გიყიდი!—ალეგსიანად უთხრა ანდრიამ; — მართო შენ ხომ არა ხარ, შვილო, ეგრე! აი, დედაშენს ნებდევ: გვეთის გლახასა ჰგავს. მე ხომ, ავტო სრული წელიწადი გადის, ამ ერთი ჩონის მეტი არა მომყარებია—რა! სუველას გვეყოფა, შვილო, სუველას, იმოდენა მოსავალი მოდის წელსა! (ლომთური).

§ 136. რიცხვი. პირიან ზმნას აქვს როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითი რიცხვი. მხოლობითია. მაგალითად, ზმნები: ხატავს, აკეთებს, ანგრევს, მრავლობითია: ხატავენ, აკეთებენ, ანგრევენ.

§ 137. პირთა რაოდენობა ერთ ფორმაში. ზმნა შეიძლება იყოს ერთ-პირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი — იმისდამიხედვით, თუ რამდენი პირია გაერთიანებული ერთ ფორმაში, რამდენი ნაცვალსახელი შეეწყობა მას. მაგალ., დგას ერთპირიანია, რადგან ითქმის. დგას ის; ეხატავ — ორპირიანია, რადგან ითქმის: ეხატავ მე მას; სთხოვა სამპირიანია, რადგან ითქმის: სთხოვა მას მან იგი.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 41. გამთარკეთ, რა ნაცვალსახელები შეეწყობა ქვემოთყვანილ წინადადებებში მოცემულ ზმნებს.

იქვე ჰქვს ჰქვე კალმახები გამოიკვირებოდნენ და დასციროდნენ მოსაუბრე ჰანარს; ოა ვაჟაკები ხართ, რა ვაჟაკები, მოიცათ, ქაჯან, რა გაჩაგრებთ; ზოგი ბეობა შემოდგომაზე დაიკვეთ, როცა საბასოდ გაემგზავრებით; ამობდნენ კალმახები ლიშილით; იმათ ტყუილს ვერ შესწამებდა, რადგან თავისი პირადი გამოცდილებაც იმას უკარნახებდა. რომ წინათ, ძველ დროში აუარებელი უნდა ყოფილიყო ორაგული.

§ 138. პირის რაოდენობა. პირი შეიძლება იყოს ორნაირი: მოქმედი ან უმოქმედო. მაგალ., ზმნაში ვკლავ არის ორი პირი: მე მას (ვთქვათ, წინადადებაში: მე ვკლავ ნადირს). აქ მე მოქმედია, რადგან მოქმედება მას მიეწერება, იგი მოქმედების ჩამდენია; მას კი (ამ წინადადებაში: ნადირს) უმოქმედოა, მოქმედების საგანია. სხვანაირად რომ ვთქვათ, მე სუბიექტია, მას კი ობიექტი. ამის მიხედვით, ზმნაში ვკლავ მე სუბიექტური პირი იქნება, მას კი — ობიექტური.

ერთპირიან ზმნაში, ე. ი. ისეთ ზმნაში, რომელშიც მხოლოდ ერთი პირია წარმოდგენილი (ერთი ნაცვალსახელი შეეწყობა), მხოლოდ სუბიექტური პირი იქნება. ობიექტი ერთპირიან ზმნას არა აქვს, მოქმედება არაფერზე არ გადადის, მასში მხოლოდ მოქმედების ჩამდენია წარმოდგენილი. მართლაც, დგას ზმნაში არის მხოლოდ სუბიექტი: დგას ის.

ორპირიან ზმნაში, ე. ი. ისეთ ზმნაში, რომელშიც ორი პირია წარმოდგენილი (ორი ნაცვალსახელი შეეწყობა), ერთი სუბიექტი იქნება და მეორე ობიექტი, მოქმედების ობიექტი. მართლაც, ვკლავ ზმნაში (ვკლავ მე ნადირს, ერთი სუბიექტია (მე) და ერთი ობიექტი (მას).

სამპირიან ზმნაში, ე. ი. ისეთ ზმნაში, რომელშიც სამი პირია წარმოდგენილი (სამი ნაცვალსახელი შეეწყობა); ერთი სუბიექტია და ორი ობიექტი. მართლაც, სთხოვეს ზმნაში (სთხოვა ლაშამ კახას ფანქარი) სუბიექტია ლაშამ, ობიექტია — კახას, ფანქარი (მოქმედება მათ ეხება, მათზე გადადის).

ამრიგად, სუბიექტი წარმოდგენილია ყოველნაირ ზმნაში: ერთპირიანი იქნება ის, ორპირიანი თუ სამპირიანი; ობიექტი აქვს მხოლოდ ორპირიან და სამპირიან ზმნებს.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 42. ამოიწერეთ ქვემოთყვანილი წინადადებებიდან ზმნები, მიუწერეთ პირები და გამთარკვიეთ, რომელია სუბიექტური და რომელი ობიექტური: ორაგული თხრას იწყებს შემოდგომაზე; ორაგულეი თავისუფლად ცხოვრობდნენ მდინარე არაგვისი; რამდენჯერაქ გაუხაბუნა ზურგზე ბუწინას სამონადირო სახარემ, მაგრამ წინათ ნაწვენები გაომბდნენ საშიშროების სიახლოვეს; ორჯერ თუ სამჯერ ისე აიშურა არაგვი, რომ მიწისაგან კინალამ დაიხრჩუნენ და თვალებიც კინალამ დაუთხარათ ორაგულეს; თავს იმით უშველეს, რომ მიატანდნენ ამ დროს წმინდა პატარა ხეებს, რომელნიც არაგვიში ერთვოდნენ და სულს იმათ შესართავში იბრუნებდნენ; ერთი გამძლარი სვავი კლდის თავზე იჯდა, სიმაძლიით ძლივს-ლა კმინავდა. მაგრამ თვალებს უფრო მამაცად ატრიალებდა და სულხარბად დასჩერებოდა უფსკრულში ლენის გროვას; ჰაერში რომ შეინაწარდებ, გაუშლი განზე მხრებს. ათასი ვერსიდანაც კი დაინახავს ადამიანის თვალი; მწყემსებს გაერეათ მთაში სახაფუღლოდ ცეცარი და ძროხა.

§ 139. ორნაირი ობიექტური პირი. ობიექტი ორნაირია: არის ობიექტი, რომელზედაც უშუალოდ, პირდაპირ გადადის სუბიექტის მიერ გამოწვეული მოქმედება, და არის ისეთიც, რომელიც არ წარმოადგენს უშუალო მოქმედების საგანს. ზმნაში ვკლავ უშუალოდ, პირდაპირ გადადის მოქმედება ობიექტზე მას (ვკლავ ნადირს). ზმნაში მოუკლა ობიექტზე (მას) პირდაპირ უშუალოდ გადადის მოქმედება, ხოლო მეორე (იგი) არ არის უშუალო მოქმედების საგანი: მოუკლა დათვისბელი, -- აქ მოქმედება პირდაპირ გადადის ობიექტზე — ბელი) მოქმედება უშუალოდ მას ეხება, ხოლო ობიექტზე — დათვი უშუალოდ არ გადადის მოქმედება, მის ირიბად ეხება მოქმედება.

ამის მიხედვით, არსებობს ორნაირი ობიექტი: „პირდაპირი ობიექტი“ და „ირიბი ობიექტი“.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 43. ამოიწერეთ ქვემოთყვანილი წინადადებებიდან ზმნები და აღნიშნეთ პირდაპირი და ირიბი ობიექტები:

ვასიმ კაკაქს ბუღე გაუყეთა; ხომ გახსოვს, კალენში რომ ჩამომიხტი და ზედაბუნები დამიხანო; დედამ შეილს საბანი გადაათარა; ერთმა წუწყმა მეტეხარმა კბილი გამკრა გვერდზედაო; სესემ მოუსპო სიცოცხლე პატარა ნიბლიას; მან მგავრს ხელადა ჩურბენინა.

§ 140. სუბიექტური და ობიექტური ნიშნები. სუბიექტური და ობიექტური პირები ზმნაში საგანგებო ნიშნებით, აფიქსებით, არის გამოხატული. ამის მიხედვით გვაქვს აფიქსების ორი ჯგუფი: სუბიექტური ნიშნები და ობიექტური ნიშნები.

§ 141. სუბიექტური ნიშნები. სუბიექტური ნიშნები თავშიც მოუღის ზმნას და ბოლოშიც, ე. ი. პრეფიქსულიცაა და სუფიქსურიც. სუბიექტური პრეფიქსები გვხვდება პირველ და მეორე პირში, სუბიექტური სუფიქსები კი მესამე პირში.

პირველი პირის სუბიექტური ნიშანია გ. მაგალითები: ვ-ხატავ, ვ-აკეთებ, ვ-უწერ. მრავლობით რიცხვში თ ემატება ბოლოში: ვ-ხატავთ, ვ-აკეთებთ, ვ-უწერთ.

მეორე პირის სუბიექტური ნიშნებია ჰ, ხ და მ (ნული). ეს სხვადასხვაობა გამოწვეულია იმით, თუ რა თანხმოვნით იწყება ზმნა:

ჰ იხმარება ზოგიერთი თანხმოვნის წინ. მაგალითები: ჰ-ყვირი, ჰ-კივი, ჰ-ქსოვ, ჰ-პარავ, მო-ჰ-გერი, და სხვ.

ხ იხმარება ცხრა თანხმოვნის წინ. ესენია: ღ ტ თ, ძ წ ც, ჯ ჰ ჩ. მაგალითები: ხ-დებ, ხ ტყორცი, ხ-თლი, ხ-ჰამ, ხ-ჩივი, და სხვ.

ნიშანი დაკარგულია (ე. ი. გვაქვს ნული) ხმოვნების წინ (აკეთებ, ომბო, ებრძვი, იცი, უყეთებ) და ზოგიერთ (ხ, ღ, ს, ზ, შ. ე) თანხმოვანთან (ხარობი, ღრღნი, სისინებ და სხვ.).

გვაქვს ორად-ორი ზმნა, სადაც მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად გამოყენებულია ზ: ზ-არ, ზ-ვალ (მო-ზ-ვალ, მო-ზ-ვიდე). ეს გამო-ნაკლისია.

მრავლობით რიცხვში მეორე სუბიექტურ პირში გამოყენებულია იგივე თ ნიშანი: ჰ-ყვირი-თ, ს-ჰამ-თ, ხარობ-თ, ხ-არ-თ.

მესამე პირის სუბიექტური ნიშნებია ხ და ა, იშვიათად ო. მაგალითები: ხატავ-ს, დახატ-ა, აქ-ო.

მრავლობითი რიცხვის ნიშნებიც სუფიქსებია, ე. ი. ზმნას ბოლოში მოუღის. ესენია: ენ, ნენ, ან, ნ, ეს. მათი როლები ასეა განაწილებული: ი-ზე დაბოლოებულ ზმნებს ან ერთეის (იყინი-ან, მირბი-ან), ო და ა-ს შემდეგ ნ გვხვდება (მორთო-ნ, მოსპო-ნ, დახნა-ნ, მოკლა-ნ). ღ-ს შემდეგ ნენ (ამუშავებდ-ნენ. ადგენდ-ნენ).

ვლუბულობთ სუბიექტური ნიშნების შემდეგ ცხრილს:

ზმნის პირი	მზოლ. რ.			მრავლ. რ.		
	პრეფ.	ზმნის თემა	სუფ.	პრეფ.	ზმნის თემა	სუფ.
1	გ	—	—	გ	—	თ.
2	ჰ, ხ, მ	—	—	ჰ, ხ, მ	—	თ.
3	—	—	ხ, ა, ო	—	—	ენ, ნენ ან, ნ, ეს

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 44. ამოიწერეთ ყაზბეგის „მომღვარის“ 1 თავიდან სუბიექტური ზმნები, დააჯგუფეთ პირების მიხედვით, გამოყავით პირის ნიშნები მზოლობით და მრავლობით რიცხვში.

§ 142. ობიექტური ნიშნები. როცა პირველი პირია ობიექტი, ზმნაში იგი აღინიშნება მ პრეფიქსით მხოლობითში და გვ პრეფიქსით მრავლობითში: მ-ხატავს, მ-აქებს, გვ-ხატავს, გვ-აქებს.

მეორე პირის ობიექტური ნიშანია გ როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში: გ-ხატავს, გ-აქებს.

შესაძე პირის ობიექტური ნიშნებია ჰ, ს და 0 (ნული).

თუ შესაძე ობიექტური პირი პირდაპირი ობიექტისაა, მაშინ ნიშანი არ ერთვის, თუ ირიბისა — მაშინ პრეფიქსების დათვია აუცილებელია.

ძირითადია ჰ, მისი ბგერინაცვალა ხ. მათი გამოყენება ისეთნაირია, როგორიც ახასიათებთ მეორე პირის სუბიექტურ ნიშნებს (§ 141). მაგალითები: ჰ-კითხა (მას)—ჰ-კითხა (მათ); ს-თხოვს (მას)—ს-თხოვს (მათ); ხ-ძულს (მას)—ხ-ცულთ (მათ); უყვარს (მას)—უყვართ (მათ); ეძინება (მას)—ეძინებთ (მათ), და სხვ.

ვლელობთ ობიექტური ნიშნების შემდეგ ცხრილს:

ზმნის პირი	მხოლ. რ.		მრავლ. რ.	
	ნიშნები	ზმნის თემა	ნიშნები	ზმნის თემა
1	მ	—	გვ	—
2	ჰ, ს, 0	—	ჰ, ს, 0	—(თ)
3	—	—	—	—(თ)

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 45. ა) აშიწერეთ ქრესტომათიიდან ობიექტური ზმნები (20) დააჯგუფეთ პირების მიხედვით, გამოყავით პირის ნიშნები მხოლობით და მრავლობით ოიკუში. ბ) აშიწერეთ ქვეშომოყვანილი ტექსტიდან ზმნები და გამოარკეით, რა ნიშნით არის გამოხატული სუბიექტური და ობიექტური ზმნები.

(არწივი) დაფიქრებელი იყო, იჯდა ადლის მთის წვეწვალზე. მალეიდან ცა დაწყურებდა, თითონ კი როდი უცქეროდა ცას: არაა იგი ჩვეული მალა ცქერას-რადა?—ააა, რომ სანადირო ცხოველი თუ ფრინველი დაბლა მოიპოვება, მალა ფრენა მხოლოდ წეროება უყვარს, მაგრამ იმათაც არწივი ძირს მოიქცევს, თავად მალეიდან დაჩრუნავს თავზე; გამარჯვები ათვის ამისთანა ზნე-ჩვეულება სჯობია: ზეიდან დაღუპა მის მსხვერპლს თავბარსა სცემს და წინააღმდეგობის საშუალებას უსპობს; არწივის მზრებით გაცეთილი, გაპობილი ჰაერი ჭუბილია ცისა, საშინელია... თქვენ, იქნება, არ გაგვევონოთ და არც გქნახოთ მარგილზე ჩამოგდებული არწივი, საბერკლისთვის დატუებულა, მაგრამ მოტუებელი! სამსხვერპლომ გაასწრო, ააუა უშველა, არწივა კლანკი ველ არ მოჭრა და გამწვეტებულს ხეზე მოიკლა თავი... სულის დაღვეის დროს იგი მაინც არ ჰკარგავს სიამაყეს, მამაცად აბრიალებს თვალებს, თითქო ეუბნება თავის ნიშნის მომგებლებს: „მიცქირეთ და ისწავლეთ, როგორ უნდა მკევეს ნამდვილი ი ვაქაციო! (ვუა).

მართლწერა

1. უ და თ ხმოვნებზე დაწებულ ზმნებში პირველი პირის სუბიექტური ნიშანი ვ შეაფიოდ არ წარმოითქმის, მაგრამ იწერება. უნდა

იყოს: მე ვუთხარი, მე ვუძღვნი და არა: მე უთხარი, მე უძღვნი; ასევე: მე ვოცნებობ და არა: მე ოცნებობ.

2. თუ ვ-ზე იწყება ზმნა, პირველი პირის სუბიექტური ნიშნის ვ-ს დართვით ვლბულობთ ორ ვ-ს. უნდა იყოს: მე ვვარჯიშობ, მე დავარჯიხნე და არა: მე ვარჯიშობ, მე დავარჯიხნე. მაგრამ „სვლა“ ზმნაში 1 პირში ვ იკარგება: უნდა იყოს: მე მოვალ და არა: მე მო-ვეალ.

3. ზოგჯერ მრავლობითი რიცხვის თ (ხმოვნების შემდეგ) გადაკეთებულია დ-დ. ეს შეცდომაა. უნდა იყოს: გავაკეთოთ, გააკეთოთ, დავარტყათ, დაარტყათ, და არა: გავაკეთოდ, გააკეთოდ, დავარტყად, დაარტყად.

4. მესამე პირის სუბიექტური სუფიქსი ხ არ უნდა იქნეს შენარჩუნებული მრავლობითის თ-ს წინ. უნდა იყოს: ის თქვენ გწერთ, ის თქვენ გხატავთ და არა: ის-თქვენ გწერსთ, ის თქვენ გხატავსთ.

5. თუ ზმნა იწყება გ-თი, მეორე პირის ობიექტური ნიშნის გ-ს დართვისას ვლბულობთ ორ გ-ს: შენ გგონია, შენ მოგგვარა.

6. თუ ზმნა იწყება მ-თი, პირველი პირის ობიექტური ნიშნის მ-ს დართვისას ერთად თავს იყრის ორი მ: შენ მე მშალავ, მან მე მომ-მართა.

7. თუ ზმნა იწყება გვ-თი, მრავლ. რიცხვში პირველი პირის ობიექტური ნიშნის დართვისას თავს იყრის ორი გვ: მან ჩვენ მოგგვარა, ის ჩვენ გვგვემს.

8. თუ ზმნა ერთპირიანია, მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი არ დაერთვის: ჩანს, დგას და არა: სჩანს, სდგას.

ისტორიული ცნობა

იყო ღრო, როდესაც მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად და მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსად იხმარებოდა ხ ან ჰ როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების წინ. მაგალ., ხიხილე, ხიცი, ხქამე, ხლეგ, ხუბრძანა, ხთხოვა, — ჰიხილე, ჰიცი, ჰქამე, ჰლეგ, ჰუბრძანა, ჰთხოვა, და სხვ. ასეთი ფორმები წარმოდგენილია ე. წ. ხანმეტ და ჰამეტ ძეგლებში. ისინი აღმოჩენილია ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძისა და რ. ბლევკის მიერ. მე-9 საუკუნიდან ჰ უცვლელად არის შემონახული 19 თანხმოვნის წინ (პ,ყ,ღ,ბ,კ,გ,ქ,პ,ზ,ფ,ვ,შ,ლ,რ,ნ,შ,ჟ,ხ,ჯ), ზოგან კი შეცვლილია: ხმოვნების წინ დაკარგულია, 9 თანხმოვნის წინ ხ-დ არის ქცეული.

§ 143. ზმნის წყობა. წყობა ორგვარია: სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტურია წყობა, თუ ზმნას სუბიექტური ნიშნების მიხედვით დავაწყობთ, ობიექტურია წყობა, თუ ზმნას ობიექტური ნიშნების მიხედვით დავაწყობთ. მაგალ.: „წერა“ ზმნის სუბიექტური წყობაა: ვწერ, სწერ, წერს, ეწერთ, სწერთ, წერენ; ამავე ზმნის ობიექტური წყობაა: მწერს, გწერს, სწერს, გეწერს, გწერთ, სწერს.

სუბიექტური და ობიექტური წყობა აქვთ ორ და სამპირიან ზმნებს. ერთპირიან ზმნებს შეიძლება ჰქონდეთ ან მხოლოდ სუბიექტური წყობა ან მხოლოდ ობიექტური წყობა. პირველის ნიმუშებია: ვიცი, იცი, იცის, და სხვ. (არ შეიძლება გიცი, და სხვ.). მეორის ნიმუშებია: მძინავს, გძინავს, სძინავს, — მესმის, მაცეცხვს, მაქვს, და სხვ. ასეთი ზმნები ერთწყობიანი ზმნებია.

§ 144. ინვერსია. როცა ზმნაში სუბიექტური ნიშნებია წარმოდგენილი, ისინი გამოხატავენ მოქმედ პირს (მე ვ-წერ: აქ მე მოქმედი, ვ ნიშნით გამოხატული); როცა ობიექტური ნიშნებია წარმოდგენილი, ისინი გამოხატავენ სამოქმედო პირს (მე მ-ხატავს, აქ მე სამოქმედოა, მ ნიშნით გამოხატული). მაგრამ არის ინვერსიის, ე: ი. შებრუნების შემთხვევები, როდესაც სუბიექტური ნიშანი ობიექტს გამოხატავს, ხოლო ობიექტური ნიშანი სუბიექტს. მაგალ., და-მ-იწერია: აქ მ პირველ, მოქმედ პირს გამოხატავს, თუმცა ის ობიექტური ნიშანია; და-ვ-უწერივარ: აქ ვ ობიექტურ პირს გამოხატავს, თუმცა ის სუბიექტური ნიშანია. ასეთი ფორმები ინვერსიული ფორმებია.

დრო

§ 145. გრამატიკული დრო ზმნის გარკვეული ფორმაა და გამოხატავს მოქმედების მომენტის შეფარდებას ლაპარაკის მომენტთან. ზმნის მიერ გამოხატული მოქმედება ხდება ან ლაპარაკის დროს ან მომხდარა ლაპარაკის მომენტამდე ანდა მოხდება ლაპარაკის მომენტის შემდეგ. ამის მიხედვით ქართულში არის სამი დრო: ახლანდელი (ლაპარაკის მომენტის დროინდელი): ანგრევეს, ქსოვს, თამაშობს; წარსული (ლაპარაკის მომენტის უწინარესი): ანგრევდა, ქსოვდა, თამაშობდა; დაანგრია, მოქსოვა, ითამაშა; დაუნგრევია, მოუქსოვია, უთამაშია; მომავალი (ლაპარაკის მომენტის შემდეგ): დაანგრევეს, მოქსოვს, ითამაშებს.

სავარჯიშო. 46. ამოიწერეთ და დააჯგუფეთ ქრესტომათიის 10 გვერდის მასალიდან ახლანდელი, წარსული და მომავალი დროის ფორმები.

კილო

§ 146. კილოს ფორმები გვიჩვენებენ, როგორ მიიჩნევენ მოლაპარაკე მოქმედებას სინამდვილის თვალსაზრისით: ნამდვილ ფაქტად წარმოიდგენს, შესაძლებლად თუ ისეთად, რომელიც მომავალში უნდა შესრულდეს. ამის მიხედვით, არის სამი კილო: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი.

თხრობითი კილო გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკეს მოქმედება ფაქტად მიაჩნია, იქნება ეს ფაქტი — დროის თვალსაზრისით — ახლანდელი, წარსული თუ მომავალი: ქსოვს, მოქსოვს, ქსოვდა, მოქსოვა, მოუქსოვია.

კავშირებითი კილო გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკეს ზმნით გამოხატული მოქმედება შესაძლებლად მიაჩნია: ის შესაძლებელია ხდებოდეს (ახლანდელის ფორმა), შესაძლებელია მომხდარიყოს (წარსულის ფორმა) ან შესაძლებელია მოხდეს (მომავლის ფორმა): ქსოვდეს, მოქსოვოს, მოექსოვოს.

ბრძანებითი კილო გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკის სურვილი უნდა შესრულდეს. უბრძანებენ მეორე პირს (ააშენე! ააშენეთ!), მესამე პირს (ააშენოს! ააშენონ!) და პირველ პირსაც, ოღონდ მრავლობით რიცხვში: ავაშენოთ!

ბრძანებითი კილო გამოხატავს არა მხოლოდ „ბრძანებას“, არამედ თხოვნასა და ხეყნა-მუდარას.

ბრძანებითი ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი. წართქმითია ბრძანებითი, რომლითაც ნაყარაუდევია ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების შესრულება: ააშენე! დახატე! უკუთქმითია ბრძანებითი, რომლითაც ნაყარაუდევია ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების აკრძალვა; ამგვარ ფორმებს ერთვის ნაწილაკები: ნუ და არ: ნუ ააშენებთ! არ ააშენოთ!

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 47. ამოიჭრეთ და დააჯგუფეთ ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებანის“ VII თავიდან კილოს ფორმები.

ისტორიული ცნობა

ძველ ქართულში ზმნის ფორმები მეორე პირში არჩევდნენ თბრობითსა და ბრძანებით კილოს: თუ ზმნა გვიჩვენებდა თბრობითი კილოს ფორმას, მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსი მას დაერთოდა: დასწერე, მოჰკალ. მაგრამ თუ ზმნა ბრძანებითი კილოს (წართქმითის) ფორმას გვიჩვენებდა, მეორე პირის ნიშანი არ დაერთოდა: დაწერე! მოკალ! ნიშანი ჰქონდა მხოლოდ უკუთქმით ბრძანებითს: არ(ა) მოჰკალა, ნუ მოჰკალავ.

ახალ ქართულში ამის ნაშთია მხოლოდ ერთი ზმნა: მოდი! — ბრძანებითია (პირის ნიშანი არა აქვს), მოხვედი — თბრობითია (პირის ნიშანი — ხ — აქვს).

კილოს ფორმები დიალექტებში

მთის კილოებში გვხვდება ბრძანებითის ფორმა, რომელსაც თხოვნის შინაარსი აქვს და თავისებურად იწარმოება. ასეთ ფორმებს თხოვნით-ბრძანებითს ეძახიან. მაგალ., „მალლისა მთისა წვერზედა საფლაღი გამითხროდი, ჩემის სამშობლოს ქვიშანი ხშირ-ხშირად მონაყაროდი“ (ვაჟა); „კაცის ენას რაი არ შეუძლიან, და არიგოდე ე ბალლი, ცხოთა ენას ნუ მიჰყვები“ (ყაზბეგი); „ბატარაი არაყი დალიოდე, კიდეც გაგათობს და ოფლსაც მოგვერის“ (ყაზბეგი).

ზმნისწინი

§ 147. ზმნისწინი ანუ პრევერბი ეწოდება სიტყვის მორფოლოგიურ ნაწილს, რომელიც თავში დაერთვის ზმნას პირის ნიშნების წინ და გარკვეული დანიშნულება აქვს.

ზმნისწინი არ დაერთვის ყველა ზმნას. მაგალ., ღებ ფუძისაგან ზმნისწინების დართით მივიღებთ ფორმებს: გა-ალო, გამო-ალო, შე-ალო, და-ალო, და სხვ., მაგრამ, ვთქვათ, სძინავეს ზმნას ასეთი ფორმები არა აქვს. ამრიგად, გეჰონია ზმნისწინიანი და უზმნისწინო ზმნები. უზმნისწინო ზმნებია: სცალია, სწყურია, სწამს, სძულს, ცოცხლობს, დგას, აგდია, და სხვ.

§ 148. ზმნისწინების დანიშნულება. ზმნისწინებს ძირითადად სამი დანიშნულება აქვთ: 1. გვიჩვენებენ ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების მიმართულებას, 2. გამოხატავენ მოქმედების დასრულებას, 3. აწარმოებენ ახალ ზმნას.

ა. მოქმედების მიმართულება

გარჩევთ ზმნისწინების ორ რიგს: იქითა მიმართულებისა და აქეთა მიმართულების ზმნისწინებს.

იქითა მიმართულებას გამოხატავენ ზმნისწინები: მი, ა, და, ჩა, შე, გა, ვადა, წა.

აქეთა მიმართულებას გამოხატავენ ზმნისწინები: მო, ამო, ჩამო, შემო, გამო, ვაღმო, წამო.

ამ ორი მიმართულებისათვის გამოსავალია პირველი პირის თვალსაზრისი: იქითა მიმართულების ზმნისწინი გვიჩვენებს, რომ მოქმედება-მოდრაობა მიმართულია იქითკენ, სადაც პირველი პირი არ იმყოფება; აქეთა მიმართულების ზმნისწინი კი გვიჩვენებს, რომ მოქმედება-მოდრაობა მიმართულია პირველი პირისაკენ. პირველი პირია საორიენტაციო იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამოხატულია მოძრაობა ქვევიდან ზევით, ზევიდან ქვევით, გარედან შიგნით, შიგნიდან გარეთ.

მაგალითისათვის ავიღოთ ვიღა ზმნა და დაეურთოთ ზემოთ ჩამოთვლილი ზმნისწინები.

იქითა მიმართ.

მი-ვიღა, ა-ვიღა, და-ვიღა, ჩა-ვიღა,
შე-ვიღა, ვა-ვიღა, ვადა-ვიღა, წა-ვიღა.

აქეთა მიმართ.

მო-ვიღა, ამო-ვიღა, ჩამო-ვიღა, შემო-ვიღა,
გამო-ვიღა, ვაღმო-ვიღა, წამო-ვიღა.

შენ იშენა: და ზმნისწინი ყოველთვის არ გამოხატავს გარკვეულ მიმართულებას. მაგალ., ზმნებში და-რბის, და-ბრის და აღნიშნავს საზოგადოდ მო-

მედებას; და არა გარკვეულ მოქმედებას; ზნებში და-ალო (ქარები), და-აძლო (ბავშვები) და აღნიშნავს ცალ-ცალკე გამოვლენულ მოქმედებას ზეადარე; გა-ალო ქარი, მაგრამ: და-ალო ქარები; გა-აძლო ბავშვი, მაგრამ: და-აძლო ბავშვები.

ბ. მოქმედების დასრულება

ზმნის მიერ გამოხატული მოქმედება შეიძლება იყოს დასრულებული ან დაუსრულებელი. მაგალ., ავილოთ ვალე და გა-ვალე; პირველი გვიჩვენებს, რომ მოქმედება არაა დასრულებული მეორე კი მოითხოვს, რომ მოქმედება დასრულდა. ეს დასრულება მოქმედებისა გამოხატულია ამ შემთხვევაში გა ზმნისწინით.

გ. ახალი ზმნის წარმოება

ზოგ შემთხვევაში ზმნისწინი არსებითად ცვლის ზმნის მნიშვნელობას. მაგალ., გონ ძირისაგან ზმნისწინების დართვით შეიძლება რვილოთ ახალი სიტყვები: გა-გონება, შე-გონება, მო-გონება. რომ შევადართოთ ერთმანეთს ზმნები „მო-კვლა“ და „და-კვლა“, მათ შორის შინაარსობლივი განსხვავებაა. შევადართოთ ერთმანეთს: „ქათამი მოკვალი“ — „ქათამი დაკვალი“. პირველ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კვლა განხორციელებულია, ვთქვათ, თოფით, ქვით, მეორე მაგალითიდან კი ჩანს, რომ მოკვლის აქტი შესრულებულია დანით (არ შეიძლება ითქვას: „ქათამი დანით მოკვალი“ ანდა: „ქათამი თოფით დაკვალი“). ეს განსხვავებული შინაარსი გადმოცემულია ზმნისწინების სხვადასხვაობით.

§ 149. ზმნისწინთა შედგენილობა. ზოგი ზმნისწინი ერთმარცხოვანია (ში, ა, და, ჩა, შე, გა, წა, მო), ზოგიც ორმარცხოვანი (გადა, ამო, ჩამო, შემო, გაშო, გადმო, წაშო). სხვანაირად რომ ვთქვათ, პირველი რიგის ზმნისწინები მარტივი ზმნისწინებია, მეორისა — რთული ზმნისწინები. რთული ზმნისწინები შედგენილია ამგვარად: გა-და, ა-მო, ჩა-მო, შე-მო, გა-მო, გად-მო, წა-მო, ე. ი. ისინი დაიშლება მარტივ ზმნისწინებად, წარმომდგარია მარტივი (ერთმარცხოვანი) ზმნისწინების შეერთებით.

იქითა ზმნისწინები, ერთის გამოკლებით (გადა), მარტივი ზმნისწინებია, აქეთა ზმნისწინები კი, ერთის გამოკლებით (მო), რთული.

§ 150. არქაული ზმნისწინები. ზმნისწინები გა, ა, ჩა, გადა, ჩა დღევანდელ სალიტერატურო ენაში შეიძლება შეგვეხედეს თავიანთი ძველი, არქაული სახითაც (გარკვეულ შემთხვევებში): გან, აღ, შთა, გარდა, წარ. ძველ ქართულში ჩვეულებრივი იყო ამგვარი ზმნისწინიანი ფორმები: გან: გან-ალო, გან-მართლდა, აღ: აღ-ვიდა, აღ-აშენა, შთა: შთა-ვიდა, შთა-აგდო, გარდა: გარდა-ვიდა, გარდა ჰკიდა, წარ: წარ-ვიდა. ახალ ქართულში გან-ს ჩამოსცილდა (გა-ალო), აღ-ს ღ (ა-ვიდა), გარდა-ს რ (გადა-ვიდა), წარ-ს რ (წა-ვიდა); შთა ჩა-დ იქცა (ჩა-ვიდა).

მიუხედავად ამ ცვლილებისა, ახალ ქართულში იხმარება მთელი რიგი ზმნები, სადაც შემონახულია ზმნისწინების ძველი სახე: გან: გან-დევნა, გან-ხილვა, გან-ხორციელება, გან-კურნება, გან-სხვაეება, და სხვ.; აღ: აღ-დგენა, აღ-ზრდა, აღ-შფოთება, აღ-წერა, და სხვ.; შთა: შთა-ბეჭდილება, შთა-გონება, შთა-მოშავლობა, და სხვ.; გარდა: გარდა-ქმნა. გარდა-უქალი, გარდა-ცვალება, და სხვ., წარ: წარ-მავალი, წარ-მოშობა, წარ-მოთქმა, და სხვ.

ზმნისწინების მართლწერა

1. დაუშვებელია შე, ჩა, ა, წა, გა, მო ზმნისწინების ხმოვნის შეცვლა. უნდა იყოს: შე-სვა, ჩა-იყვანა, ა-იყვანა, წა-იყვანა, გა-ეყვანა, მო-იყვანა, გა-უკეთებია და არა: შა-სვა, ჩე-იყვანა, ე-იყვანა, წე-იყვანა. გე-ეყვანა, მე-იყვანა, გო-უკეთებია.

2. ა-თი დაწყებულ სახელთაგან ნაწარმოებ ზმნებთან ა-ზე დაბოლოებული ზმნისწინის დართვისას ორი ა იყრის თავს ერთად: ახალი: გაახლდა, ამაყი: გაამაყდა, აფთარი: გააფთარდა.

3. პრევერბები, მათ შორის გან—წარ, განუყოფელია, მათი გათიშვა არ შეიძლება. ამიტომ არ შეიძლება, რომ ზმნისწინისეული თანხმოვნები ნ და რ ფუძეში გადავიდეს: უნდა იყოს: გან-ავითარა (ანდა: გა-ავითარა), გან-ახორციელა (ანდა: გა-ახორციელა), გან-ვეითარებია (ანდა: გა-ვეითარებია), გან-ეხორციელებინა (ანდა: გა-ეხორციელებინა), გან-უვითარდა (ანდა: გა-უვითარდა) და არა: გა-ა-ნ-ვითარა, გა-ა-ნ-ხორციელა, გა-ე-ნ-ვითარებინა, გა-ე-ნ-ხორციელებინა. ამის მიხედვით, უნდა იყოს: ა-ვითარებს, ა-ხორციელებს და არა: ა-ნ-ვითარებს, ა-ნ-ხორციელებს.

ასევე: უნდა იყოს: წარ-ადგენს (ანდა: წა-ადგენს), ა-დგენს, გიდგენ, ვუდგენ და არა: წა-ა-რ-დგენს. ა-რ-დგენს, გი-რ-დგენ, ვუ-რ-დგენ.

4. ე-თი დაწყებულ სახელებზე შე ზმნისწინის დართვისას ვლგებულობთ ორ ე-ს: შე-ერთდა, შე-ეკვდა.

5. ზმნისწინიანი ფორმების დანარცვლის დროს ზმნისწინი ცალკე გამოიყოფა: შე-სვა, შე-ხტა, გა-თხოვდა (და არა: შეს ვა, შეხ-ტა, გა-თხოვდა).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 48. ა) აზოიწერეთ და დააჯგუფეთ ზმნისწინები ქრესტომათიის 15 გვერდიდან. ბ) გადაიწერეთ აქ დასახელებული ზმნები და თითოეულ მათგანს მიუწერეთ სუვა ზმნისწინიანი ფორმები: ჩავეუარე, დაკვარი, გავიდევნი, ავასხი, დამარჩა, მომისიეს, გარწიეს, ჩამომკიდეს, გაიპრა, შეინავარდა, აირია. გ) გადაიწერეთ და დამარცვლეთ ზმნისწინიანი ფორმები: მიუჯდა, მიეჩანჩალებდი, გადაიღო, შეერთა, დაფრთხა, მოიხმარა, წარმომადგინა, დამიყოლია, შეატყო მისწავლა, გამგზავნეს, გამაცნეს.

ასპექტი

§ 151. ასპექტი ანუ სახე ეწოდება ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, დაუსრულებელია თუ დასრულებული ზმნის მიერ გამოხატული

მოქმედება. ამის შესაბამისად, გვაქვს ორგვარი ასპექტი: უსრული და სრული. მაგალ., წინადადებაში „ვაცხვე, ვაცხვე, ვერ დაეცხვე“ ზმნის ფორმა „ვაცხვე“ გვამცნობს, რომ მოქმედება არ დაბოლოებულია, იგი მიმდინარეობის პროცესშია, ხოლო ფორმა „დაეცხვე“ გადმოგვცემს იმ რომ ცხოვრების პროცესი დასრულებულია.

§ 152. ასპექტის წარმოება. ასპექტის წარმოება დამყარებულია ზმნისწინის დართვაზე: თუ ზმნის ზმნისწინი ერთვის, სრული ასპექტისაა, თუ არა-და უსრულისა.

ახლანდელი

უსრული
ეხატავ

სრული
—

მომავალი

(ხვალაც) ეხატავ
ეხატო
ხატე

დაეხატავ
დაეხატო
დახატე

წარსული

ეხატავდი
ეხატე
მიხატავს
მეხატოს

დაეხატე
დაჰიხატავს
დამეხატოს

გვხვდება ისეთი ზმნებიც, რომლებიც სრულ ასპექტს წარმოგვიდგენენ ზმნისწინის დაურთველადაც. ასეთებია, მაგალ., თქვა, უთხრა, ჰკითხა, ბრძანა, სთხოვა, ნახა, და სხვ.

§ 153. უასპექტო ზმნეები. არის ზმნები, რომლებსაც ზმნისწინის დართვა არ უხერხდებათ და, მაშასადამე, ისინი უასპექტონია. ასეთებია, მაგალ., ცდილობს, არის, უყვარს, ზის, ახატია, აფენია, და სხვ. არის ისეთი ზმნისწინიანი ფორმებიც, რომლებიც, მიუხედავად ამისა, მაინც უასპექტონია. მაგალ., „რბის“ უზმნისწინოა, ასპექტის მიხედვით უსრული (მოქმედება არაა დასრულებული), მაგრამ თუ მას ზმნისწინს დავურთავთ — „მი-რბის“, მაინც უსრული ასპექტისა იქნება. ასეთივეა აპობს-მიაპობს, ჩანს-მოჩანს, ქრის-დაქრის, ელის-მოელის, გორავს-მოგორავს, და სხვ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ი 49. გადააქციეთ ქვემოთ დასახელებული ზმნები სრული ასპექტის ფორმებად ახლანდელი, წარსული და მომავალი დროების მიხედვით: ვაშრობ, აყეთებს, აშენებ, გვეცავ, ბარავს, ლეწავს, ვკამ, ვლუბავ, აქცევს, ძღება, იწყებს, თხრის, ჩხრავს, უძღება, აბრუებს.

მწკრივები

§ 154. ქართული ზმნების პირიანი ფორმები რამდენიმე ჯგუფად ლაგდება. მაგალ., ცალ-ცალკე ჯგუფებია, ერთი მხრით, ვაკეობ, აკეთებ, აკეთებს..., მეორე მხრით, ვაკეთებდი, აკეთებდი, აკეთებდა..., მესამე მხრით, ვაკეთე, აკეთე, აკეთა..., და ა. შ. თითოეული მათგანი გაერთიანებულია საერთო ნიშნით. ასეთი ჯგუფი დღევანდელ სალიტერატურო ენაში სულ თერთმეტია; ეს ჯგუფები თავის მხრით შედგება ექვს-ექვსი (ერთპირიანი ზმნებისათვის) ან თვრამეტ-თვრამეტი (ორ და სამპირიანი ზმნებისათვის) ერთეულისაგან. ერთი ჯგუფის ფორმებს ურთიერთშორის განასხვავებს პირი და ოიციხვი. სხვადასხვა ჯგუფის ფორმების გამაერთიანებელია დრო და კილო და სხვა კატეგორიებიც. ამ ჯგუფების საერთო სახელია მწკრივი.

§ 155. სერიაები. ფორმათა 11 მწკრივი იყოფა სამ დიდ ჯგუფად ანუ სერიაებად. არის სამი სერია: პირველი, მეორე და მესამე.

პირველი სერია აერთიანებს 6 მწკრივს, მეორე — 2-ს, მესამე — 3-ს.

I სერიის მწკრივები

§ 156. I სერიის მწკრივები ორ წრედ იყოფა: აწმყოს წრედ და მყოფადის წრედ.

აწმყოს წრეს ქმნის მწკრივები: აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი.

მყოფადის წრეს ქმნის მწკრივები: მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი.

წარმოების თვალსაზრისით, მყოფადი მიღებულია აწმყოსაგან, ხოლმეობითი — უწყვეტლისაგან, მყოფადის კავშირებითი — აწმყოს კავშირებითისაგან.

§ 157. აწმყო. მისი წარმოება განსაკუთრებული ნიშნით არ ხასიათდება. უპასუხებს კითხვაზე: რას ვშერები? — ვანგრევ, ვაკეთებ, ვთბები.

დრო ახლანდელია, ზოგჯერ მომავალი. წინადადებაში „შეხედეთ, როგორ ვანგრევ“ — „ვანგრევ“ ახლანდელია;

წინადადებაში „შენ ფიცრები გაზიდე, მე კი კედელს ვანგრევ“ — „ვანგრევ“ მომავალია.

მთელ რიგ შემთხვევებში აწმყოს მწკრივს დაკარგული აქვს დროის გაგება: „სახეღარი ყოყინობს“, „გველი სისინებს“, „დათვი ბაჯბაჯებს“. „თევზი ცურავს“, „მზე აღმოსავლეთიდან ამოდის და დასავლეთით ჩადის“ — ამ წინადადებებში მითითებულია, რომ თევზი საერთოდ ცურავს, მზე საერთოდ აღმოსავლეთიდან ამოდის, და სხვ. აქ არ იგულისხმება კონკრეტულად ახლანდელი დრო. მაგრამ იმავე წინადადებებში ზმნები შეიძლება გავიგოთ როგორც ახლანდელი დროის ფორმები, თუ იგულისხმება ზმნის მიერ გამოხატული მოქ-

მედების კერძო შემთხვევა: „უკვე ღამღამა, მზე ჩაღის“, „ჩუმაღ, გველი სისინებს“ და მისთ.

აწმყო, კილოს მიხედვით, თხრობითა; ნუ-ს დართვით აკრძალვითაღ გადაიქცევა: ნუ ანგრევ! ნუ ანგრევს!

§ 158. უწვევებელი. მისი წარმოება ხასიათდება 1 და 2 პირში ღე ან ოღე სუფიქსების დართვით; ერთვიან აწმყოს ფორმებს.

უპასუხებს კითხვაზე: რას ვშერებოღი?—ვანგრევღი, ვაკეთებღი, ვთბებოღი.

ღრო წარსულია, კილო — თხრობითი.

§ 159. აწმყოს კავშირებითი. მისი წარმოება ხასიათდება ღე ან ოღე სუფიქსების დართვით (ერთვიან აწმყოს ფორმას).

უპასუხებს კითხვაზე: რას ვშერებოღე? — ვანგრევღე, ვაკეთებღე, ვთბებოღე.

ღრო ახლანდელია ან მომავალი, კილო — კავშირებითი.

§ 160. მყოფადი. ნაწარმოებია აწმყოს ფორმებზე ზმნისწინების დართვით; ვანგრევ — ღა-ვანგრევ, ვთბები — ღა-ვთბები, ვწერ — ღა-ვწერ.

უპასუხებს კითხვაზე: რას ვიზამ?

ღრო მომავალია, კილო — თხრობითი; ნუ-ს დართვით კი აკრძალვითაღ გადაიქცევა: ნუ დანგრევ! ნუ დანგრევს! ნუ დავანგრევთ!

§ 161. ზოღმეობითი. მისი წარმოება ისეთივეა, როგორიღ ახასიათებს უწვევებელს: მყოფადის ფორმას ერთვიან 1 და 2 პ. ღე ან ოღე.

ღრო წარსულია, კილო — თხრობითი.

ამ მწკრივის ნიშანღობღივი თვისება ისაა, რომ აღნიშნავს ღანმეორებულ მოქმედებას, მრავალღისობას. უპასუხებს კითხვაზე: რას ვიზამღი? — დავანგრევღი, გავაკეთებღი, გავთბებოღი. მაგალ., „რაკი ტრედისტრად ცა ინათებღა და შორს ცისკარი კამკამს იწყებღა, მეღროზე ვინმე დავვიძახებღა და დღლის ტკბილსა ძიღს დავვიფრთხობღა; ავიშლებოღით, და ჩვენის ხმითა მკედარი მთა-ბარი გაცოცხლებოღა, და თავის ძროხას ყვეღა ზღაზენითა ასაშვებღაღა მიეღეოღა“ (ი. ქავქავაძე).

ეს მწკრივი ზოღმე-ს გავებას შეიცავს, იგი ზმნას ხშირად ერთვის კიღევაღ: „... კნენინა დარეჯანი ერთ ბაღანგაცეღენულ ხაღინას ჩრდიღში გააშღეღენებღა და დამბღინღებღა ხოღმე... გამოპრანღული“ (ი. ქავქავაძე).

ამიტომ ეწოღება ამ მწკრივს „ზოღმეობითი“.

§ 162. მყოფადის კავშირებითი. აწარმოებს ღე ან ოღე, რომღებიღ ერთვიან მყოფადის ფორმას.

უპასუხებს კითხვაზე: რას ვიზამღე?—ღავანგრევღე, გავაკეთებღე, გავთბებოღე.

საღარჯიშო 50. ამოიწურთ და დაჯღუღეთ ყაზბეღის „ნაწყუნსარის მოღონებანის“ VI თავიღან I სერიის მწკრივები.

II სერიის მწკრივები

§ 163. წვეტილი. აწარმოებს ე ან • 1 და 2 პირში, ზოგჯერ მაწარმოებელი არა აქვს.

უპასუხებს კითხვაზე: რა ექენი? — დავანგრიე, გავაკეთე, გავთბი, დაეკარ (ან: დაეკარი).

დ რ ო წარსულია, კ ი ლ ო — თხრობითი.

§ 164. II კავშირებითი. აწარმოებს ო და ე, ზოგჯერ -ა. უპასუხებს კითხვაზე: რა ექნა? — დავანგრიო, გავაკეთო, გავთბე, დაეკრა.

დ რ ო მომავალია, კ ი ლ ო — კავშირებითი. იხმარება ბრძანებითის მნიშვნელობითაც: გავაკეთოთ! გაათბოს! გაათბონ! არ დაჰკრა! არ გააკეთოს!

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო '51. ამოიწერეთ და დააჯგუფეთ „ნამწვემსარის მოგონებანის“ VI თავიდან II სერიის მწკრივები.

III სერიის მწკრივები

§ 165. III სერიაში გაერთიანებულია პირველი თურმეობითი, მეორე თურმეობითი და მესამე კავშირებითი.

ამ მწკრივებისათვის დამახასიათებელია ინვერსია და მეშველზმნიანი ფორმები: ვარ, ხარ, ა(რის)... (I თურმ.), ვიყავ, იყავ, იყო... (II თურმ.), ვიყო, იყო, იყოს... (III კავშ.).

§ 166. I თურმეობითი. დ რ ო წარსულია, კ ი ლ ო — თხრობითი.

უპასუხებს კითხვაზე: რა მიქნია? — დამინგრევია, გამიკეთებია, გამითბია, დამიხატავს.

ამ მწკრივით გადმოცემულია ისეთი მოქმედება, რომელშიც „თურმე“ იგულისხმება, და ამიტომ ეწოდება მას „თურმეობითი“.

ფორმა გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკე მოქმედებას არ დასწრებია ან ამბავი მის ცნობიერებამდე არ მისულა (სძინებია, უგონოდ ყოფილა...), ესაა უ ნ ა ხ ა ვ ი ა ქ ტ ი ს გადმოცემა.

უნახავი აქტი ორგვარად ვლინდება: ა) მოლაპარაკემ ამბავი სხვისგან გაიგონა, ბ) მოქმედების შედეგი თვითონ ნახა და ამის კვალობაზე დაასკვნა, რა უნდა მომხდარიყო. ვთქვათ, მიაბბეს, რომ სოფელში საშინელი ქარი ამოტყდა და ჩემი სახლის სახურავი გადაადრო. მე შემიძლია ეს ამბავი ასე გადმოვეცე: „სოფელში საშინელი ქარი ამოტყდა და ჩემი სახლისთვის სახურავი გადაუძვრია“ (ამ აქტს არ დავსწრებვიარ, მაგრამ ვლაპარაკობ ნაამბობის მიხედვით). შეიძლება ასეც იყოს: დლით გავიღვიძე და ვხედავ, რომ ჩემი სახლის სახურავი გადამძვრალია. მე შემიძლია ვთქვა: „ქარს სახლის სახურავი გადაუძვრია“ (ამ აქტს ვადასტურებ არა ნაამბობის მიხედვით, არამედ ვასკენი იმ შედეგის მიხედვით, რომელიც მე ვნახე).

თუ „გადააძრო“ ნახულის აქტია, „გადაუძვრია“ უნახავის აქტი იქნება.

§ 167. II თურმეობითი. უპასუხებს კითხვაზე: რა მექნა?—დამენგრია, გამეკეთებინა, გამეთბო.

ესეც უნახავი აქტია, ოღონდ გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც სხვა მოქმედებას უსწრებდა. „ვანო დილით მარდად წამოხტა. მივიდა ფანჯარასთან და დაინახა, რომ თოვლს ღამით მთელი არემარე დაეფარა და გადაეთეთრებინა“—აქ ზმნის ფორმებით—დაეფარა, გადაეთეთრებინა გადმოცემული მოქმედება წინ უსწრებს ვანოს მისვლას ფანჯარასთან.

დრო წარსულია, კილო—თბრობითი, ოღონდ ენაში გამოყენებულია კავშირებითის მაგივრად. ამ შემთხვევაში მას ერთვის რომ კავშირი და გამოხატულია პირობა, ხოლო შედეგი გადმოცემულია ხოლმეობითით: „ავად რომ არ გავმხდარიყავი, თვატრში წავიდოდი“: აქ „არ გავმხდარიყავი“ II თურმეობითია, „წავიდოდი“—ხოლმეობითი.

§ 168. III კავშირებითი. დრო წარსულია, კილო—კავშირებითი. უპასუხებს კითხვაზე: რა მექნას?—დამენგრიოს, გამეკეთებინოს. გავმთბარიყო.

ეს მწკრივი ახალ ქართულში იშვიათად იხმარება, მის ადგილას უმთავრესად II თურმეობითი იხმარება. მაგალითი:

„მაცალე, შვილო მეცხვარე, მოგსვლოდეს ტკბილი ძილიო. შინ გაგპარვოდნენ ძაღლები, ღია დამიხედეს კარიო, შევსულიყავ შენს ფარებში, მეწყვიტოს თბა და ცხვარიო, გამოსულიყო დილაზედ, გეგლიჯოს თმა და წვერიო“ (ხალხური).

ავარჯიშო 52. ამოიწერეთ და დააჯგუფეთ ქრესტომათიის 10 გვერდიდან III სერიის მწკრივები.

ისტორიული ცნობა

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ხოლმეობითის მწკრივებს თავისებური წარმოება ახასიათებდა. გვხვდებოდა აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტლის ხოლმეობითი და წყვეტლის ხოლმეობითი.

აწმყოს ხოლმეობითს მესამე პირში მოუდიოდა ნ (მხოლ. რ.) და ედ (მრავლ. რ.): წერ-ნ, წერ-ედ. ეს ფორმები ხოლმეს გაგებას შეიცავდა და ნიშნავდა: წერდა ხოლმე (წერ-ნ), წერდნენ ხოლმე (წერ-ედ). ასევე: „ისმენ-ნ“ ნიშნავდა: ისმენდა ხოლმე; „ისმენ-დ“: ისმენდნენ ხოლმე.

უწყვეტლის ხოლმეობითი X საუკუნიდან ვითარდება და იგი თანდათანობით აწმყოს ხოლმეობითის ადგილას იხმარება. მას მესამე პირში მოუდის დის (მხოლ. რ.) და ღიან (მრავლ. რ.): წერდის (ნიშნავს: წერდა ხოლმე), წერდიან (ნიშნავს: წერდნენ ხოლმე).

წყვეტილის ხოლმეობითს აწარმოებს ო ყველა პირში: (მე) დაწერ-ო. (შენ) დაწერ-ო, (მან) დაწერ-ი-ს; (ჩვენ) დაწერ-ი-თ, (თქვენ) დაწერ-ი-თ, (მათ) დაწერ-ი-ან. ნიშნავს: დაწერდი ხოლმე.

თავისებური იყო მყოფადის ფორმებიც. როგორც ვიცი, ახალ ქართულში მყოფადი ნაწარმოებია აწმყოს ფორმებზე ზმნისწინის დართვით (ვწერ—დაწვერ). ძველ ქართულში კი მყოფადისათვის გამოყენებული იყო კავშირებითის ფორმა: ძველი ქართულის იხილო, მოგბანო, გითხრა ახალ ქართულზე ნიშნავს: ნახავთ, მოგბან, გეტყვი. ზმნისწინიანი ფორმები ძველ ქართულში აწმყოს ფორმებია: „მალითა ვერ განვძლიერდები“. უღრის: კალით ვერ ვძლიერდები (ე. ი. ძალა არ მემატება).

მწკრივები დიალექტებში

მთის კილოებში შემონახულია ხოლმეობითის ფორმები. ფშაურში II სერიის ხოლმეობითის პირველ და მეორე პირს აწარმოებს ოდ სუფიქსი. მაგალითი ვაჟა-ფშაველას ნაწერებიდან: „სთვლობით გულგაცოფებულმა ირემმა დაიღრიღრის, ან მოსქდის ზოვი მთიდანა, დაიძრის, დაიხრიალის... შორით ისმოდა ძახილი, საყვირებს აყვირებდინან... ჩვენც დავიწყოდით ღრეობა, მწკრივად დავსხდოდით ყველანი“.

იმავე მთის კილოებში კავშირებით პირველსა და კავშირებით მეორეს აწარმოებს -ა: ვწერდა (ვწერდე), ვწერა (ვწერო). მაგალ., „უფალმა გილხინას“ (ყაზბეგი).

იქვე თურმეობით პირველში ზმნას -ა დაბოლოების ნაცვლად მოუღდის -ავ, -ავის: გაუკეთებავ (გაუკეთებია), აუღავის (აუღია). მაგალ., „მითამა დაღლილისათვის გისმევავ ჩემთვის წყალიო“ (ვაჟა).

რაქულ კილოში მესამე კავშირებითია გამოყენებული მეორე თურმეობითის ადგილას რთულ წინადადებაში. ეს მონაცვლეობა დადასტურებულია პირობით და მიზნით დამოკიდებულ წინადადებებში და უნდა დამხმარე ზმნასთან. მაგალ., „კოტე წავიდა ტყეში, რომ დაკარგული საათი ეპოვოს“, „კოტე რომ წასულიყოს ტყეში, დაკარგულ საათს იპოვიდა“, „კოტე ტყეში უნდა წახულიყოს“.

გარდამავლობა

§ 169. ყოველი ზმნა ან გარდამავალია ან გარდაუვალი. გარდამავალია ზმნა, რომელსაც შეეწყობა ბრუნვაცვალეზადი (ე. ი. პირდაპირი) ობიექტი; გარდაუვალია ზმნა, რომელსაც შეეწყობა ბრუნვაუცვლელი (ე. ი. ირიბი) ობიექტი.

მაგალ.,

ღურგალი აშენებს სახლს ;
ღურგალმა ააშენა სახლი
ღურგალს აუშენებია სახლი

აქ „აშენებს“ ვცვალეთ სერიების მიხედვით: I სერიაში (აშენებს) ზმნას ობიექტი შეეწყო მიცემითში, II სერიაში (ააშენა)—სახელობითში, III სერიაში (აუშენებია)—სახელობითში (იგი პირდაპირი ობიექტია). მაშასადამე, „აშენებს“ გარდამავალია.

ახლა ავიღოთ სხვა ზმნის მაგალითი:

პიონერი ესალმება პოეტს

პიონერი მიესალმა პოეტს

პიონერი მისალმებია პოეტს

აქედან ჩანს, რომ „ესალმება“ ზმნასთან ობიექტი ყველა სერიაში მიცემითშია (იგი ირიბი ობიექტია). მაშასადამე, „ესალმება“ გარდაუვალია.

სუბიექტი გარდამავალ ზმნასთან I სერიაში სახელობითშია („ღღუღალო აშენებს“), II სერიაში—მოთხრობითში („ღღუღალო ააშენა“), III სერიაში—მიცემითში („ღღუღალო აუშენებია“); სუბიექტი გარდაუვალ ზმნასთან ყველა სერიაში სახელობითშია.

ყოველი ერთპირიანი ზმნა გარდაუვალა (რადგან მას ობიექტი საერთოდ არა აქვს). ორპირიანი ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალი და შეიძლება გარდაუვალი.

სამპირიანი ზმნა გარდამავალია; მას აქვს ორი ობიექტი, რომელთაგან ერთი პირდაპირია, მეორე—ირიბი.

მაგალ.,

კოტე სთხოვს ამხანაგს წიგნს

კოტემ სთხოვა ამხანაგს წიგნი

კოტეს უთხოვია ამხანაგისთვის წიგნი

აქედან ჩანს, რომ პირდაპირი ობიექტია „წიგნი“, ირიბი—„ამხანაგს“.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ თ 53. ა) შეუწყვეთ ზმნებს—„აქცეს“, „წერს“, „ხატავს“. „ეთამაშება“, „ეომება“ სუბიექტი და ობიექტი აწმყოს, წყვეტილისა და I თურმობითის მწკრივებთან და გამოარკვეთ მათი გარდამავლობა; ბ) გამოარკვეთ, გარდამავალია თუ გარდაუვალი ზმნები: ევგებები, გადაეცა, მოისხა, შევნიშნე, ემატება, გადაეკრა, გამოეპარა, ედო, ზის, დგას, ბრწყინავს, გაიშალა, ყვირის, უწერს, გადმოიღო, გაიგდო მიუახლოედა, მოჰფინოდა, გაიხარდა.

გ ა რ დ ა მ ა მ ვ ლ ო ბ ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ი მ ბ უ ლ ი კ რ ა პ ტ ი კ უ ლ ი

ს ა კ ი თ ხ ე მ ბ ი

1. თუ ზმნა გარდაუვალია, II სერიაში სუბიექტი სახელობითში უნდა შეეწყოს და არა მოთხრობითში. უნდა იყოს: კაცი მოვიდა, კაცი ეთამაშა და არა: კაცმა მოვიდა, კაცმა ეთამაშა.

2. მრავლობით რიცხვში გარდამავალ ზმნას წყვეტილში მესამე პირში მოუღის დაბოლოება -ეს და არა -ენ. უნდა იყოს: გააკეთ-ეს, ააშენ-ეს და არა: გააკეთ-ენ, ააშენ-ენ.

3. მრავლობით რიცხვში გარდაუვალ ზმნას წყვეტილის მესამე პირში დაბოლოებად მოუღის -ნენ და არა -ენ. უნდა იყოს: მიესალმ-ნენ, დაეხმარ-ნენ და არა: მიესალმ-ენ, დაეხმარ-ენ.

4. ერთპირიან ზმნებს, რომელთაც სუბიექტი II სერიაში მოთხრობითში ეწყობა, წყვეტილში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობითში მოუღის -ეს და არა -ენ. უნდა იყოს: იცელქ-ეს, იცხოვრ-ეს და არა: იცელქ-ენ, იცხოვრ-ენ.

ბმარი

§ 170. გვარი ზმნის ისეთი ფორმაა, რომელიც გვიჩვენებს ზმნის მიერ გამოხატული მოქმედების დამოკიდებულებას სუბიექტთან (მოქმედ პირთან).

გვარი სამია: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

მოქმედებითი გვარი გვიჩვენებს, რომ მოქმედ პირს (სუბიექტს) მოეპოვება სამოქმედო პირი, რომელსაც ეხება მისი მოქმედება. ეს სამოქმედო პირია პირდაპირი ობიექტის პირი: „ახურებს“ (ის მას).

ვნებითი გვარი გვიჩვენებს, რომ მოქმედი პირი (სუბიექტი) სამოქმედო პირად (ობიექტად) არის ქცეული, ოღონდ ზმნა არ მიუთითებს, ვისგან არის მოქმედება გამოწვეული: „ხურდება“ (ის).

საშუალო გვარი გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი „მოქმედებს“, ოღონდ არა ჩანს სამოქმედო ობიექტი: „ხურს“ (ის).

ერთსა და იმავე ზმნას იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება ჰქონდეს სამივე გვარი: ამწიფებს—მწიფდება—მწიფს, აგორებს—გორდება—გორავს. უფრო ხშირია ორგვარიანობა: მოქმედებითი და ვნებითი გვარი. მაგალ., ფარავს—ეფარება, ამტრევეს—იმტრევეა, ვგრებ—ვიგრებივდ.

მოქმედებითი გვარის ზმნა ორპირიანია ან სამპირიანი, ვნებითი გვარისა და საშუალო—ერთპირიანი ან ორპირიანი. მაშასადამე, არ შეიძლება მოქმედებითი გვარის ზმნა იყოს ერთპირიანი, ვნებითი და საშუალო გვარისა კი—სამპირიანი.

მოქმედებითი გვარის ზმნა ყველა გარდამავალია, ვნებითი და საშუალო გვარისა კი—გარდაუვალი.

§ 171. მოქმედებითი გვარის გადაკეცვა ვნებითად. მოქმედებითი გვარის ზმნას თუ გადავაკეცვთ ვნებითად, მას ერთი პირი დააქვდება: სამპირიანი ორპირიანად იქცევა და ორპირიანი ერთპირიანად. ამავე დროს, სუბიექტური პირი სულ გამოვა ფორმიდან და მის ადგილს დაიკავებს პირდაპირ-ობიექტური პირი, ირიბ-ობიექტური პირი თავის

ადგილას დარჩება, მაგალ., მხატავს (ის მე)--ვიხატები (მე): გიშენებს (ის შენ მას)—გიშენდება (ის შენ).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 54. ა) აწარმოეთ ქვემოთოყვანილი ხმებისაგან ვნებისთის ფორმები: ვა-თეთრებ, ვაღნობ, ახშობ, აშრობს, უგზავ ის, გამოკეთა, უწერს, გიზრდის.

ბ) გადააკეთეთ ქვემოთოყვანილი ხანება მოკმედებითად: ვიმღლები, ვმდიდრდება, ეზრდება, აუშენდა, ეფინება.

§ 172. ვნებისთის სახეებო. ერთმანეთისაგან გარჩეულია ორგვარი ვნებითი: დინამიკური და სტატიკური.

დინამიკური ვნებითი გამოხატავს მოქმედების პროცესს, სტატიკური — მოქმედების შედეგს. მაგალ., შევადაროთ ერთმანეთს: „ეფინება“ და „აფინია“.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 55. გადაიწერეთ ქვემოთოყვანილი ხმები და გამოარკვეეთ, რომელია დინამიკური და რომელი სტატიკური: ვადრიკები, მიეუარა, ეხურა, ედგა, ეწეო, ახლოვდება, ეპარებოდა, ეყრდა, ვერცხა, ჰკიდა, ასხია, გდია.

§ 173. ვნებისთის წარმოება. დინამიკური ვნებისთის ფორმებს აწარმოებს: 1. **ი ა ნ ე**, რომლებიც პრეფიქსად მოუდის ზმნას (ვ-ი-ხატები, ვ-ი-მალ-ები; ვ-ე-ხატები, ვ-ე-მალ-ები), ამგვარ ვნებითს ეწოდება პრეფიქსიანი ანუ **ინ-ენიანი** ვნებითი; 2. **დ.** რომელიც სუფიქსად მოუდის ზმნას (ვ-თეთრ-დ-ები, ვ-ლამაზ-დ-ები). ამგვარ ვნებისთის უწოდებენ სუფიქსიანი ანუ **დონიანი** ვნებისთის. მესამე ჯგუფს შეადგენს ისეთი ფორმები. რომელთაც განსაკუთრებული ნიშანი არა აქვთ, მაგრამ ახასიათებთ შემდეგი: აწმყოში ამგვარი ფორმებიც დაირთავენ პირველ და მეორე სუბიექტური პირის ფორმებში **ეზო** დაბოლოებას (ვ-დნ-ებო, ვ-ქრ-ებო), ამგვარ ვნებისთის უწოდებენ უნიშნო ვნებისთის.

ჩვეულებრივ ენიანი ვნებითი ეოთპირიანი ზმნაა, ენიანი—ოპირიანი: ვითვლები (მე)—ვეთვლები (მე მას); ვიზრდები (მე)—ვეზრდები (მე მას). იშვიათია, ენიანი ვნებითი ერთპირიანი იყოს: ვემხადები, ვავემართები. და სხვ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 56. გადაიწერეთ ქვემოთოყვანილი ხმები და დეფისით გამოუკეთეთ ვნებისთის ნიშნები: ევარიხებოდა, გეგებებო, გაყვითლდა, ესაღებოდა, ვეფინები. ეწაფები, ვეშტკრები, დაემშვიდდი, შემოეგინა, გავეპარე, ედგაოდა, გამოეთხოვა იტანჯები, ევლებოდა.

მართლწერის საკითხები გვარის ფორმებთან

დაკ. ვშირებით

1. ენიანი ვნებისთის ფორმაზე ში ზმნისწინის დართვისას თავს იყრის ორი **ი**: მი-იმალა, მი-იკლაკება.

2. ენიანი ვნებისთის ფორმაზე შე ზმნისწინის დართვისას თავს იყრის ორი **ე**: შე-ეფინება, შე-ეზარდა.

მ. შოთა ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ენა

3. ღ-ზე გათავებული სახელისაგან ნაწარმოები ღონიანი ვნებითის ფორმებში თავს იყრის ორი ღ: ბინღ-ი: დაბინღ-და; დიღ-ი: გადიღ-და.

4. ე-თი დაწყებული სახელის ენიანი ვნებითის ფორმებს თუ დაერთო ჰე ზმნისწინი, თავს მოიყრის სამი ე: შე ეერთებიანა.

5. ღონიანი ვნებითის ისეთ სიტყვებში, რომლებიც იწყება ა-ზე. ვა. ჯა ზმნისწინების დართვისას თავს იყრის ორი ა: ვა-ანჩხლდა, და-ავად-წყოფდა.

ქცევა

§ 174. ქცევა არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა კუთვნილებითი ურთიერთობაა სუბიექტსა და ობიექტს ან ობიექტსა და ობიექტს შორის. მაგალ., „ვანო მეზობელს სახლს უშენებს“. აქ სუბიექტია „ვანო“, ობიექტები—„მეზობელს“ და „სახლს“, ზმნის ფორმით („უშენებს“) გამოხატულია, რომ ერთი ობიექტი (სახლი) ეკუთვნის მეორე ობიექტს (მეზობელს).

§ 175. ქცევის სახეები. ქცევა სამია: საარვისო, სათავისო და სასხვისო.

საარვისო ქცევა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არავის არ ეკუთვნის: „მე სახლს ვაშენებ“.

სათავისო ქცევა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის სუბიექტს ან მისთვისაა განკუთვნილი: „მე სახლს ვიშენებ“. სხვანაირად ამ ფორმას სასუბიექტოს ეძახიან.

სასხვისო ქცევა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს ან ირიბი ობიექტისთვისაა განკუთვნილი: „მე სახლს ვუშენებ მას“. სხვანაირად ამ ფორმას საობიექტოს ეძახიან.

§ 176. ქცევის ფორმების წარმოება. საარვისო ქცევას ან არა აქვს ნიშანი ანდა აქვს ა. უნიშნოა, მაგალ., ხატავს, კლავს, თესავს, და სხვ. ნიშნიანია, მაგალ., ა-ეფებს, ა-ტყავებს, ა-ლამაზებს, და სხვ.

სათავისო ქცევას აწარმოებს ი: ი-ჭრის, ი-წერს, ი-შენებს, და სხვ. ეს ქცევა იხმარება ჩვეულებრივ იმ შემთხვევებში, როდესაც წინადადებაში სამოქმედო საგნად თავისი სხეულის ნაწილებია: „წვერს ი-პარსავს“, „თავს ი-ბანს“, „ცხვირს ი-ხოცავს“, და სხვ.

სასხვისო ქცევას აწარმოებს ი და უ. ი კვხდება პირველი და მეორე ობიექტური პირის ფორმებში, უ კი მესამე ობიექტურ პირში: 1 პ.: მ-ი-ნგრევს, 2 პ.: გ-ი-ნგრევს, 3 პ.: უ-ნგრევს.

§ 177. ქცევა გარდაუვალ ზმნებში. გარდაუვალ ზმნებს ქცევა საბოლოოდ არა აქვთ, მაგრამ თუ აქვთ, მხოლოდ ორი: საარვისო და სასხვისო. სათავისო არ მოეპოვებათ, და ეს გასაგებია: როგორც ვიცით (§ 175), სათავისო ქცევა აღნიშნავს კუთვნილებითს ურთიერთობას პირდაპირ ობიექტსა და სუბიექტს შორის. რაკი პირდაპირ ობიექტი გარდაუვალ ზმნას არა აქვს, ამიტომ მას სათავისო ქცევაც არ ექნება.

როდესაც გარდაუვალ ზმნას (ენებითს ან საშუალო ზმნებს) საარვისო ქცევა აქვს, ის ერთპირიანი იქნება: ტუღება, თბება, დულს; სასხვისო ქცევა კი ორი პირის გაგებას იძლევა: მ ი- უღება, მ ი-თბება, მ ი-დულს.

§ 178. უქცეო ზმნები. როდესაც ვამბობთ. ამა და ამ ზმნას ეს გარკვეული ქცევა აქვსო, ეს იმას ნიშნავს, რომ მას საპირისპირო ფორმაც, ე. ი. სხვა ქცევის ფორმაც, აქვს. მაგალ.. „ტუღება“ საარვისოაო, ვამბობთ იმიტომ, რომ ამავე ზმნას მოეპოვება საპირისპირო ფორმა: „მიტუღება“, რომელიც სასხვისოა; „თლის“ საარვისოაო, ვამბობთ იმიტომ, რომ მასვე მოეპოვება „ითლის“ (სათავისო) და „უთლის“ (სასხვისო). მაგრამ არის ისეთი ზმნები, რომლებსაც ასეთი საპირისპირო ფორმები არა აქვთ. მაგალ., „იცის“ სათავისო ქცევის ფორმას ამჟღავნებს, მაგრამ რაკი მას არა აქვს სხვა ქცევის ფორმები (ეთქვათ, სასხვისო: „უცის“, ანდა საარვისო: „აიცის“), ამიტომ ეს ზმნა უქცეოა. უქცეო ზმნებია, აგრეთვე, „უყვარს“, „ჰკონია“. „ჰქვია“, „უჭირავს“, „უყვარს“, „აქვს“, და სხვ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 57. ა) გადაიწერეთ ქვემოთყვანილი ზმნები, დააჯუფეთ ქცეების მიხედვით და გამოყვეთ ქცევის ნიშნები დეჟისით: იხუჭუჭებს, ირჩია, გააახლა, გააადრა. გაიტებ, შემოგვიტანა, გაუშალა, უხრდიდა, იწმენდდა, აშენებენ, გაშალა, დარეხეს, აკეთებენ, შეიბა, ჩ. მოგვირიგეს. გაისწორა, გიგზავნის, უცლავს გამიმართა. ბ) გადაიწერეთ ქვემოთყვანილი მაგალითები და თითოეულ მათგანს მიუწერეთ სხვა ქცევის ფორმები (საშუალო გვარის ხანები): დგას, ზის, წევს, ღირს, კანკ ლება, თრთის, ქრის (ენებითი გვარის ზმნები): წყდება, ქვეადება. დნება, კეთდება, შეადება, ჯდება, თენდება, ბერდება, წუხდება.

მართლწერის საკითხები ძველსთან დაკავშირებით

1. ა-ზე დაწყებული სახელისაგან ნაწარმოებ საარვისო ქცევის ფორმაში თავს იყრის ორი ა: ახალი: ა-ახლებს, ანალიზი: ა-ანალიზებს.

2. როცა საარვისო ქცევის ნიშნიან ფორმას დაერთვის ა ან ა-ზე დაბოლოებული ზმნისწინი, თავს მოიყრის ორი ა: აშენებს ა-აშენებს, აკეთებს გა-აკეთებს.

3. როცა ა-თი დაწყებული სახელისაგან ნაწარმოებ საარვისო ქცევის ფორმას დაერთვის ა-ზე დაბოლოებული ზმნისწინი, თავს მოიყრის სამი ა: გა-ა-ამაყა, და-ა-არსა.

4. თუ უ-თი დაწყებული სახელისაგან მიღებული ზმნის ფორმა სასხვისო ქცევისაა, თავს იყრის ორი უ: უმჯობესი-გა-უ-უმჯობესა.

კონტაქტი

§ 179. კონტაქტი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედება ობიექტზე თვითონ, უშუალოდ ან სხვა პირის შუალობით.

კონტაქტი ორგვარია: უშუალო და შუალობითი.

უშუალო კონტაქტი აღნიშნავს, რომ სუბიექტი მოქმედებს ობიექტზე უშუალოდ, სხვა პირის დაუხმარებლად: ვწერ. ვაშენებ, ვხატავ. უშუალოებით კონტაქტი აღნიშნავს, რომ სუბიექტი მოქმედებს ობიექტზე სხვა პირის შუალობით: ვაწვრინებ, ვაშენებინებ, ვახატვინებ.

§ 150. კონტაქტის წარმოება. შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელია **ინ** და **ევინ**. მაგალითები: 1. ვაწერ-ინ-ებ, ვა-ხატვ-ინ-ებ, ვაშენ-ებ-ინ-ებ; 2. ვაწვ-ევინ-ებ, ვაშლ-ევინ-ებ, ვათრ-ევინ-ებ.

სავარჯიშო 58. გადაიწერეთ ქვემოთმოყვანილი ზმნები, დაალაგეთ კონტაქტის სახეების მიხედვით და გამოყავით მაწარმოებელი ნიშნები დეფისით: დააფრთხობინა, დააწყებინა, გაეაშლევინე, ჩააქრო, შეალებინა, გაეაშვებინე, შელებავს, მოიტანს. გააწვევებინა, გაარბენინა, აშალებინა, დავაცხოზინე, მოაძებნინა, ახრევენებდა, დაბატა, დაათქინა, ამომარეცხინებ, აპრევენებს, დააგო.

მართლწერა

შუალობითი კონტაქტის ფორმაში **ნ** აუცილებელია. უნდა იყოს: გააკეთებინა, დააქერინა და არა: გააკეთებია, დააქერია.

ფუძე

§ 181. ფუძე ზმნის ის მყარი ნაწილია, რომელსაც უკავშირდება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა.

ფუძე შეიძლება იყოს ერთბგერიანი (ა-ღ-ებ), ორბგერიანი (ი-წყ-ებ). სამბგერიანი (ს-წერ). ოთხბგერიანი (მი-ყვარ-ს); შეიძლება ფუძე შეიკუმშოს: „ვ-კრ-ავ“ ზმნაში ფუძეა **კრ**, რომელიც მომდინარეობს **კარ** ფუძიდან. სრული სახით გვხვდება **ვ-კარ** ზმნაში.

ფუძის მისაღებად საჭიროა ზმნას ჩამოვაცილოთ პირის, რიცხვისა და მწკრივის ნიშნები. რაც დარჩება, ფუძე იქნება.

თემა

§ 182. თემა ზმნის ის საყრდენი საფუძველია, რომელზედაც აგებულია I ან II სერიის მწკრივთა ფორმები, ე. ი. I და II სერიის მწკრივებს სხვადასხვა თემა აქვთ; III სერიას კი საკუთარი თემა არა აქვს, იგი იყენებს ჩვეულებრივ I სერიის თემას, იშვიათად—II სერიისას.

თემა სამგვარია: მარტივი, რთული და გავრცობილი. მარტივი თემა აქვთ II სერიის ფორმებს, რთული I სერიის ფორმებს. რთული თემა მიიღება მარტივი თემისაგან ეგრეთწოდებული „თემის ნიშნების“ დართვით. გავრცობილი თემა მიიღება მარტივ ფუძეზე სავრცობის დან ოდ-ის დართვით; ასეთი თემა ახასიათებს აწმყოს წრის ორ მწკრივს და მყოფადის წრის ორ მწკრივს.

§ 183. თემის ნიშნები. აწმყოსა და მყოფადის ზმნას შეიძლება დაერთოს სუფიქსები: **ე**, **ავ**, **ამ**, **ებ**, **ობ**. იმისდამიხედვით, თუ რომელ

ზმნას რომელი ამათგანი დაერთვება, გვაქვს ზმნები-ი-ნიანი, ავ-იანი, ებ-იანი და ა. შ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 59. გადაიწერეთ ქვემოთყვანილი ზმნები და გამოყავით დეფისით თემის ნიშნები: დაუწყებს, ავაშენებ, ხნავს, აქანებს, იწყებს, ჩაიცივამ, გაათბობს, ვატყობ, დანთებდა, ათავებს, შრიალუბს. აკაქუნებს. ბორგავს, სჩინავს, მუსაიფობდა, ართობდა, ვიცხოვრებ, უსვამდა, გაწოვებ.

§ 184. ხმოვანმონაცვლე ზმნები. არის ზმნები, რომლებსაც I და II სერიის მწკრივებში მარტივი თემა აქვთ, მაგრამ შინაგანი ხმოვანი ეცვლება: I სერიაში თუ ე აქვთ, II სერიაში იგი ი-ღ იცვლება. ასეთი ზმნები ხმოვანმონაცვლე ზმნებია. მაგალ.,

I სერიაშია:	II სერიაშია:
ვგრებ	ვგრიებ
ვგლუჯ	ვგლიჯე
ვწყვეტ	ვწყვიტე
ვდრეკ	ვდრიკე
ვზნექ	ვზნიკე
ვზელ	ვზილე

უღლების ტიპები

§ 185. სერიებად დაყოფა. მწკრივების სერიებად დაყოფა დაფუძნებულია ფუძის წარმოებაზე: I, II და III სერიის მწკრივთა ფორმები ამ მხრივ ერთმანეთისაგან განირჩევიან. თემის ნიშნები I სერიას აქვს, II-ს არ ახასიათებს; ხმოვანმონაცვლე ზმნებს I სერიაში ე აქვთ, II-ში ი. III სერიის მწკრივთა ფორმები განსხვავებულია.

I ტიპის უღლება

§ 186. I ტიპის უღლებას განეკუთვნება მოქმედებითი გვარის ზმნები: ა) თემის ნიშნიანები, ბ) ხმოვანმონაცვლენი, გ) ისეთები, რომლებსაც არც თემის ნიშნები აქვთ და არც ხმოვანმონაცვლენია.

III სერიაში სამპირიანი ზმნა ორპირიანად იქცევა.

თუ I სერიაში თემის ნიშანი ფუძეს კუმშავს, II სერიაში თემა გაშლილია.

სანიმუშოდ აღებულია სამი ზმნა: ვკლავ, ვგრებ, ვიკეთებ.

I სერიის

1. აწმყო

მხოლ.	1 ვკლავ	ვგრებ	ვიკეთებ
	2 ჰკლავ	გრებ	იკეთებ
	3 კლავს	გრებს	იკეთებს
მრავლ.	1 ვკლავ	ვგრებთ	ვიკეთებთ
	2 ჰკლავთ	გრებთ	იკეთებთ
	3 კლავენ	გრებენ	იკეთებენ

2. უწყვეტელი

მხოლ.	1	ვკლავდი	ვგრებდი	ვიკეთებდი
	2	ჰკლავდი	გრებდი	იკეთებდი
	3	კლავდა	გრებდა	იკეთებდა
მრავლ.	1	ვკლავდით	ვგრებდით	ვიკეთებდით
	2	ჰკლავდით	გრებდით	იკეთებდით
	3	კლავდნენ	გრებდნენ	იკეთებდნენ

3. აწმყოს კავშირებითი

მხოლ.	1	ვკლავდე	ვგრებდე	ვიკეთებდე
	2	ჰკლავდე	გრებდე	იკეთებდე
	3	კლავდეს	გრებდეს	იკეთებდეს
მრავლ.	1	ვკლავდეთ	ვგრებდეთ	ვიკეთებდეთ
	2	ჰკლავდეთ	გრებდეთ	იკეთებდეთ
	3	კლავდნენ	გრებდნენ	იკეთებდნენ

4. მყოფადი

მხოლ.	1	მოვკლავ	დავგრებ	გავიკეთებ
	2	მოჰკლავ	დაგრებ	გაიკეთებ
	3	მოკლავს	დაგრებს	გაიკეთებს
მრავლ.	1	მოვკლავთ	დავგრებთ	გავიკეთებთ
	2	მოჰკლავთ	დაგრებთ	გაიკეთებთ
	3	მოკლავენ	დაგრებენ	გაიკეთებენ

5. ხოლმეობითი

მხოლ.	1	მოვკლავდი	დავგრებდი	გავიკეთებდი
	2	მოჰკლავდი	დაგრებდი	გაიკეთებდი
	3	მოკლავდა	დაგრებდა	გაიკეთებდა
მრავლ.	1	მოვკლავდით	დავგრებდით	გავიკეთებდით
	2	მოჰკლავდით	დაგრებდით	გაიკეთებდით
	3	მოკლავდნენ	დაგრებდნენ	გაიკეთებდნენ

6. მყოფადის კავშირებითი

მხოლ.	1	მოვკლავდე	დავგრებდე	გავიკეთებდე
	2	მოჰკლავდე	დაგრებდე	გაიკეთებდე
	3	მოკლავდეს	დაგრებდეს	გაიკეთებდა
მრავლ.	1	მოვკლავდეთ	დავგრებდეთ	გავიკეთებდეთ
	2	მოჰკლავდეთ	დაგრებდეთ	გაიკეთებდეთ
	3	მოკლავდნენ	დაგრებდნენ	გაიკეთებდნენ

II ს მ რ ი ა

7. წყვეტილი

მ ხ ო ლ.	1 მოკალ(ი)	დავეგრიხე	გავიკეთე
	2 მოკალ(ი)	დაგრიხე	გაიკეთე
	3 მოკლა	დაგრიხა	გაიკეთა
მ რ ა ე ლ.	1 მოკალით	დავეგრიხეთ	გავიკეთეთ
	2 მოკალით	დაგრიხეთ	გაიკეთეთ
	3 მოკლეს	დაგრიხეს	გაიკეთეს

8. II კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი

მ ხ ო ლ.	1 მოველა	დავეგრიხო	გავიკეთო
	2 მოკლა	დაგრიხო	გაიკეთო
	3 მოკლას	დაგრიხოს	გაიკეთოს
მ რ ა ე ლ.	1 მოველათ	დავეგრიხოთ	გავიკეთოთ
	2 მოკლათ	დაგრიხოთ	გაიკეთოთ
	3 მოკლან	დაგრიხონ	გაიკეთონ

III ს მ რ ი ა

9. I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი

მ ხ ო ლ.	1 მომიკლავს	დამვიგრეხია	—
	2 მოგიკლავს	დაგიგრეხია	—
	3 მოუკლავს	დაუგრეხია	—
მ რ ა ე ლ.	1 მოგიკლავს	დაგივიგრეხია	—
	2 მოგიკლავთ	დაგივიგრეხიათ	—
	3 მოუკლავთ	დაუვიგრეხიათ	—

10. II თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი

მ ხ ო ლ.	1 მომველა	დამვეგრიხა	—
	2 მოგველა	დაგვეგრიხა	—
	3 მოეკლა	დაეგრიხა	—
მ რ ა ე ლ.	1 მოგვეკლა	დაგვევიგრიხა	—
	2 მოგვეკლათ	დაგვევიგრიხათ	—
	3 მოეკლათ	დაევიგრიხათ	—

11. III კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი

მ ხ ო ლ.	1 მომვეკლას	დამვეგრიხოს	—
	2 მოგვეკლას	დაგვეგრიხოს	—
	3 მოეკლას	დაეგრიხოს	—

მ რ ა ვ ლ.	1 მოგვეკლას	დაგვეგრიხოს	---
	2 მოგვეკლათ	დაგვეგრიხოთ	—
	3 მოვეკლათ	დავეგრიხოთ	---

ს ა ვ ს რ ა ჯ ი შ ი 60. აულღეთ მწკრივებში ზნები: ვანთებ, ვბარავ, ვაპობ.

II ტ ი პ ი ს უ ლ ლ ე ბ ა

§ 187. II ტიპის ულლებას განეკუთვნება დინამიკური ვნებითი გვარის ზნები (როგორც ერთპირიანნი, ისე ორპირიანნი).

აწმყოსა და მყოფადში ზმნას აქვს დაბოლოება ებ-ე.

მეორე სერიის მწკრივებში პრეფიქსიან ვნებითებს აქვთ დაბოლოება ე, ი, ა, ზ (ჰგავს მოქმედებითს) სუფიქსიან და უნიშნო ვნებითს აქვთ წყვეტილში ი, II კავშირებითში ე.

1 ს მ რ ი ა

1. აწმყო

მ ხ ო ლ.	1 ვიმალები	ვეთლები	ვდნები
	2 იმალები	ეთლები	დნები
	3 იმალება	ეთლება	დნება

მ რ ა ვ ლ.	1 ვიმალებით	ვეთლებით	ვდნებით
	2 იმალებით	ეთლებით	დნებით
	3 იმალებიან	ეთლებიან	დნებიან

2. უწყვეტელი

მ ხ ო ლ.	1 ვიმალებოდი	ვეთლებოდი	ვდნებოდი
	2 იმალებოდი	ეთლებოდი	დნებოდი
	3 იმალებოდა	ეთლებოდა	დნებოდა

მ რ ა ვ ლ.	1 ვიმალებოდით	ვეთლებოდით	ვდნებოდით
	1 იმალებოდით	ეთლებოდით	დნებოდით
	3 იმალებოდნენ	ეთლებოდნენ	დნებოდნენ

3. აწმყოს კავშირებითი

მ ხ ო ლ.	1 ვიმალებოდე	ვეთლებოდე	ვდნებოდე
	2 იმალებოდე	ეთლებოდე	დნებოდე
	3 იმალებოდეს	ეთლებოდეს	დნებოდეს

მ რ ა ვ ლ.	1 ვიმალებოდეთ	ვეთლებოდეთ	ვდნებოდეთ
	2 იმალებოდეთ	ეთლებოდეთ	დნებოდეთ
	3 იმალებოდნენ	ეთლებოდნენ	დნებოდნენ

4. მყოფადი

მხოლ.	1 დაემალები	გაკეთდები.	დადნები
	2 დაიმალები	გაკეთდები	დადნები
	3 დაიმალება	გაკეთდება	დადნება
მრავლ.	1 დავიმალებით	გაკეთდებით	დადნებით
	2 დაიმალებით	გაკეთდებით	დადნებით
	3 დაიმალებიან	გაკეთდებიან	დადნებიან

5. ხოლმეობითი

მხოლ.	1 დაემალებოდი	გაკეთდებოდი	დადნებოდი
	2 დაიმალებოდი	გაკეთდებოდი	დადნებოდი
	3 დაიმალებოდა	გაკეთდებოდა	დადნებოდა
მრავლ.	1 დავიმალებოდი	გაკეთდებოდი	დადნებოდი
	2 დაიმალებოდი	გაკეთდებოდი	დადნებოდი
	3 დაიმალებოდნენ	გაკეთდებოდნენ	დადნებოდნენ

6. მყოფადის კავშირებითი

მხოლ.	1 დაემალებოდე	გაკეთდებოდე	დადნებოდე
	2 დაიმალებოდე	გაკეთდებოდე	დადნებოდე
	3 დაიმალებოდეს	გაკეთდებოდეს	დადნებოდეს
მრავლ.	1 დავიმალებოდეთ	გაკეთდებოდეთ	დადნებოდეთ
	2 დაიმალებოდეთ	გაკეთდებოდეთ	დადნებოდეთ
	3 დაიმალებოდნენ	გაკეთდებოდნენ	დადნებოდნენ

II ს ე რ ი ა

7. წყვეტილი

მხოლ.	1 დაემალე	გაკეთდი	დადნი
	2 დაიმალე	გაკეთდი	დადნი
	3 დაიმალა	გაკეთდა	დადნა
მრავლ.	1 დავიმალეთ	გაკეთდი	დადნით
	2 დაიმალეთ	გაკეთდი	დადნით
	3 დაიმალნენ	გაკეთდნენ	დადნენ

8. II კავშირებითი

მხოლ.	1 დაემალო	გაკეთდე	დადნე
	2 დაიმალო	გაკეთდე	დადნე
	3 დაიმალოს	გაკეთდეს	დადნეს

მ რ ა ვ ლ.	1 დავიმალოთ	გავკეთდეთ	დავდნეთ
	2 დაიმალოთ	გაკეთდეთ	დადნეთ
	3 დაიმალონ	გაკეთდნენ	დადნენ

III ს მ რ ი ა

ა) ე რ თ პ ი რ ი ა ნ ი ფ ო რ მ ე ბ ი

9. I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი

მ ხ ო ლ.	1 დავმალულვარ	გავკეთებულვარ	დავმდნარვარ
	2 დამალულხარ.	გაკეთებულხარ	დამდნარხარ
	3 დამალულა	გაკეთებულა	დამდნარა

მ რ ა ვ ლ.	1 დავმალულვართ	გავკეთებულვართ	დავმდნარვართ
	2 დამალულხართ	გაკეთებულხართ	დამდნარხართ
	3 დამალულან .	გაკეთებულან	დამდნარან

10. II თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი

მ ხ ო ლ.	1 დავმალულიყავ	გავკეთებულიყავ	დავმდნარიყავ
	2 დამალულიყავ	გაკეთებულიყავ	დამდნარიყავ
	3 დამალულიყო	გაკეთებულიყო	დამდნარიყო

მ რ ა ვ ლ.	1 დავმალულიყავით	გავკეთებულიყავით	დავმდნარიყავით
	2 დამალულიყავით	გაკეთებულიყავით	დამდნარიყავით
	3 დამალულიყვნენ	გაკეთებულიყვნენ	დამდნარიყვნენ

11. III კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

მ ხ ო ლ.	1 დავმალულიყო	გავკეთებულიყო	დავმდნარიყო
	2 დამალულიყო	გაკეთებულიყო	დამდნარიყო
	3 დამალულიყოს	გაკეთებულიყოს	დამდნარიყოს

მ რ ა ვ ლ.	1 დავმალულიყოთ	გავკეთებულიყოთ	დავმდნარიყოთ
	2 დამალულიყოთ	გაკეთებულიყოთ	დამდნარიყოთ
	3 დამალულიყონ	გაკეთებულიყონ	დამდნარიყონ

ბ) ო რ პ ი რ ი ა ნ ი ფ ო რ მ ე ბ ი

12. I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი

მ ხ ო ლ.	1 გავზრდივარ	დავჰკარგვივარ	დავსწევივარ
	2 გავზრდიხარ	დაჰკარგვიხარ	დასწევიხარ
	3 გავზრდია	დაჰკარგვია	დასწევია

13. II თურმეობითი

მხოლ.	1	გავზრდიდი	დავპარგოდი	დავსწოდი
	2	გავზრდიდი	დაპარგოდი	დასწოდი
	3	გავზრდიდა	დაპარგოდა	დასწოდა
მრავლ.	1	გავზრდოდი	დავპარგოდი	დავსწოდი
	2	გავზრდოდი	დაპარგოდი	დასწოდი
	3	გავზრდონენ	დაპარგონენ	დასწონენ

14. III კავშირებითი

მხოლ.	1	გავზრდოდე	დავპარგოდე	დავსწოდე
	2	გავზრდოდე	დაპარგოდე	დასწოდე
	3	გავზრდოდეს	დაპარგოდეს	დასწოდეს
მრავლ.	1	გავზრდოდე	დავპარგოდე	დავსწოდე
	2	გავზრდოდე	დაპარგოდე	დასწოდე
	3	გავზრდონენ	დაპარგონენ	დასწონენ

სავარჯიშო 61. აულღეთ მწკრივებში: ვშენდები, ვიხრდები.

III ტიპის უღლება

§ 188. III ტიპის უღლებას განეკუთვნება ძირითადად საშუალო გვარის ზმნები. მყოფადის წრის მწკრივებში ა) ერთპირიან ზმნებს თავში აქვთ **ე** და ორპირიანებს — **უ**. მართალია, **ე** — უ ქცევების (სათავისოს, სასხვისოს) ნიშნებია, მაგრამ სათანადო ფორმები უქცეოა; ბ) ზმნებს ეცვლება თემის ნიშნები; გ) II სერიის მწკრივებში ზმნებს **ე** — უ შერჩებათ, თემის ნიშნები კი ეკარგებათ. III სერიის მწკრივები ინვერსიულია.

I სერია

1. აწმყო

მხოლ.	1	ვტირი	ვცხოვრობ
	2	სტირი	სცხოვრობ
	3	ტირის	ცხოვრობს
მრავლ.	1	ვტირით	ვცხოვრობთ
	2	სტირით	სცხოვრობთ
	3	ტირიან	ცხოვრობენ

2. უწყვეტელი

ბოლ.	1 ვტიროლი	ვცხოვრობდი
	2 სტიროლი	სცხოვრობდი
	3 ტიროლა	ცხოვრობდა
მრავლ.	1 ვტიროლით	ვცხოვრობდით
	2 სტიროლით	სცხოვრობდით
	3 ტიროდნენ	სცხოვრობდნენ

3. აწმყოს კავშირებითი

მხოლ.	1 ვტიროდღე	ვცხოვრობდღე
	2 სტიროდღე	სცხოვრობდღე
	3 ტიროდეს	ცხოვრობდეს
მრავლ.	1 ვტიროდეთ	ვცხოვრობდეთ
	2 სტიროდეთ	სცხოვრობდეთ
	3 ტიროდნენ	ცხოვრობდნენ

4. მყოფადი

მხოლ.	1 ვიტირებ	ვიცხოვრებ
	2 იტირებ	იცხოვრებ
	3 იტირებს	იცხოვრებს
მრავლ.	1 ვიტირებთ	ვიცხოვრებთ
	2 იტირებთ	იცხოვრებთ
	3 იტირებენ	იცხოვრებენ

5. ხოლმეობითი

მხოლ.	1 ვიტირებდი	ვიცხოვრებდით
	2 იტირებდი	იცხოვრებდით
	3 იტირებდა	იცხოვრებდნენ
მრავლ.	1 ვიტირებდით	ვიცხოვრებდით
	2 იტირებდით	იცხოვრებდით
	3 იტირებდნენ	იცხოვრებდნენ

6. მყოფადის კავშირებითი

მხოლ.	1 ვიტირებდღე	ვიცხოვრებდღე
	2 იტირებდღე	იცხოვრებდღე
	3 იტირებდეს	იცხოვრებდეს

მ რ ა ვ ლ .	1	ვიტირებდეთ	ვიცხოვრებდეთ
	2	იტირებდეთ	იცხოვრებდეთ
	3	იტირებდნენ	იცხოვრებდნენ

II ს ე რ ი ა

7. წყვეტილი

მ ხ ო ლ .	1	ვიტირე	ვიცხოვრე
	2	იტირე	იცხოვრე
	3	იტირა	იცხოვრა

მ რ ა ვ ლ .	1	ვიტირეთ	ვიცხოვრეთ
	2	იტირეთ	იცხოვრეთ
	3	იტირეს	იცხოვრეს

8. II კავშირებითი

მ ხ ო ლ .	1	ვიტირო	ვიცხოვრო
	2	იტირო	იცხოვრო
	3	იტიროს	იცხოვროს

მ რ ა ვ ლ .	1	ვიტიროთ	ვიცხოვროთ
	2	იტიროთ	იცხოვროთ
	3	იტირონ	იცხოვრონ

III ს ე რ ი ა

9. I თურმეობითი

მ ხ ო ლ .	1	მიტირია	მიცხოვრია
	2	გიტირია	გიცხოვრია
	3	უტირია	უცხოვრია

მ რ ა ვ ლ .	1	გვიტირია	გვიცხოვრია
	2	გიტირიათ	გიცხოვრიათ
	3	უტირიათ	უცხოვრიათ

10. II თურმეობითი

მ ხ ო ლ .	1	მეტირა	მეცხოვრა
	2	გეტირა	გეცხოვრა
	3	ეტირა	ეცხოვრა

მ რ ა ვ ლ.	1 გვეტირა	გვეცხოვრა
	2 გეტირათ	გეცხოვრათ
	3 ეტირათ	ეცხოვრათ

• 11. III კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

მ ხ ო ლ.	1 მეტიროს	მეცხოვროს
	2 გეტიროს	გეცხოვროს
	3 ეტიროს	ეცხოვროს

მ რ ა ვ ლ.	1 გვეტიროს	გვეცხოვროს
	2 გეტიროთ	გეცხოვროთ
	3 ეტიროთ	ეცხოვროთ

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 62. აულღეთ მწკრივებში ზმნები: ეჩივი, ესდარაჯობ.

IV ტ ი პ ი ს უ ლ ლ ე ბ ა

§ 189. IV ტიპის ულლებას განეკუთვნება ა) სტატიკური ზმნები, ბ) საშუალო ზმნები, რომლებიც მნიშვნელობით სტატიკურების მსგავსია (დგას, წევს, სძინავს, ახსოვს და სხვ.), გ) გრძნობისა და ყოლა-ქონების ზმნები (უყვარს, მოსწონს, ჰყავს, აქვს, და სხვ.).

ყველა ესენი თავისებურია: ა) თითქმის ყველას აკლია რომელიმე მწკრივი, ბ) მყოფადის წრისა და II სერიის მწკრივებს აწარმოებენ პრეფიქსიანი ენებითის მსგავსად, ე-ს საშუალებით, ოლონდ e აქვს ზმნებს: დგას—იდგა, წევს—იწვა, და ფუძე მონაცვლეებს: ზის—იჯდა. ძეგს—იდვა.

1 და 2 პირებში გამოყენებულია მეშვიედი ზმნა.

I ს მ რ ი ა

1. ა წ მ ყ ო

მ ხ ო ლ.	1 ვსწერივარ	ვეწერივარ	ვსძულვარ
	2 სწერიხარ	უწერიხარ	სძულხარ
	3 სწერია	უწერია	სძულს

მ რ ა ვ ლ.	1 ვსწერივართ	ვეწერივართ	ვსძულვართ
	2 სწერიხართ	უწერიხართ	სძულხართ
	3 სწერია	უწერია	სძულს (სძულან)

2. უწყვეტი

მხოლ.	1	—	—	ვსძულდი
	2	—	—	სძულდი
	3	—	—	სძულდა
მრავლ.	1	—	—	ვსძულდით
	2	—	—	სძულდით
	3	—	—	სძულდნენ

3. აწმყოს კავშირებითი

მხოლ.	1	—	—	ვსძულდე
	2	—	—	სძულდე
	3	—	—	სძულდეს
მრავლ.	1	—	—	ვსძულდეთ
	2	—	—	სძულდეთ
	3	—	—	სძულდნენ

4. მყოფალი

მხოლ.	1	ვეწერები	ვეწერები	ვეძულები
	2	ეწერები	და შეზღოში	ეძულები
	3	ეწერება	(ობიექტურ პირებში მი- მოქცევით)	ეძულება
მრავლ.	1	ვეწერებით		ვეძულებით
	2	ეწერებით		ეძულებით
	3	ეწერებიან		ეძულებიან

5. ხოლმეობითი

მხოლ.	1	ვეწერებოდი	ვეწერებოდი	ვეძულებოდი
	2	ეწერებოდი	და შეზღ.	ეძულებოდი
	3	ეწერებოდა		ეძულებოდა
მრავლ.	1	ვეწერებოდით		ვეძულებოდით
	2	ეწერებოდით		ეძულებოდით
	3	ეწერებოდნენ		ეძულებოდნენ

6. მყოფადის კავშირებითი

მხოლ.	1 ვეწერებოდე	ვეწერებოდე	ვეძულებოდე
	2 ეწერებოდე	და შემდგ.	ეძულებოდე
	3 ეწერებოდეს		ეძულებოდეს
მრავლ.	1 ვეწერებოდეთ		ვეძულებოდეთ
	2 ეწერებოდეთ		ეძულებოდეთ
	3 ეწერებოდნენ		ეძულებოდნენ

II სერია

7. წყვეტილი

მხოლ.	1 ვეწერე	ვეწერე	—
	2 ეწერე	და შემდგ.	—
	3 ეწერა		—
მრავლ.	1 ვეწერეთ		—
	2 ეწერეთ		—
	3 ეწერნენ		—

8. II კავშირებითი

მხოლ.	1 ვეწერო	ვეწერო	—
	2 ეწერო	და შემდგ.	—
	3 ეწეროს		—
მრავლ.	1 ვეწეროთ		—
	2 ეწეროთ		—
	3 ეწერონ		—

III სერია

9. I თურმეობითი

(ერთპირ.)

(ორპირ.)

მხოლ.	1 ვწერებულვარ	ვსწერებივარ	ვსძულებივარ
	2 სწერებულხარ	სწერებიხარ	სძულებიხარ
	3 წერებულა	სწერები	სძულები

მ რ ა ვ ლ.	1	ვწერებულევართ	ვსწერებვივართ	ვსძულებვივართ
	2	სწერებულხართ	სწერებხართ	სძულებხართ
	3	წერებულან	სწერებია(ნ)	სძულებია(ნ)

10. II თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი

მ ხ ო ლ.	1	ვწერებულიყავ	ვსწერებოდი	ვსძულებოდი
	2	სწერებულიყავ	სწერებოდი	სძულებოდი
	3	წერებულიყო	სწერებოდა	სძულებოდა

მ რ ა ვ ლ.	1	ვწერებულიყავით	ვსწერებოდით	ვსძულებოდით
	2	სწერებულიყავით	სწერებოდით	სძულებოდით
	3	წერებულიყვნენ	სწერებოდნენ	სძულებოდნენ

11. III კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი

ძ ხ ო ლ.	1	ვწერებულიყო	ვსწერებოდე	ვსძულებოდე
	2	სწერებულიყო	სწერებოდე	სძულებოდე
	3	წერებულიყოს	სწერებოდეს	სძულებოდეს

მ რ ა ვ ლ.	1	ვწერებულიყოთ	ვსწერებოდეთ	ვსძულებოდეთ
	2	სწერებულიყოთ	სწერებოდეთ	სძულებოდეთ
	3	წერებულიყვნენ	სწერებოდნენ	სძულებოდნენ

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 63. ა) აუღლეთ მწკრივებში ზმნები: ვგონივარ, ვუყვარვარ.
 ბ) ამოიწერეთ ქრესტომათიიდან 20 ზმნა, დააჯგუფეთ ისინი უღლების ტიპების მიხედვით და თითოეული ჯგუფიდან აუღლეთ თითო ზმნა ყველა მწკრივში.

გ ა რ თ ლ წ ე რ ი ს ს ა ქ რ თ ხ ე ბ ი ზ მ ნ ი ს უ ლ ლ ე ბ ა ს ტ ა ნ
 ღ ა კ ა ვ შ ი რ ი ბ ი თ

1. ვა-ზე დაბოლოებული ზმნის თემის ნიშანია ავ. უნდა იყოს: კერ-ვა—კვერ-ავ; ხედ-ვა—ვხედ-ავ; მალ-ვა—ვმალ-ავ და არა: ვკერ-ამ, ვხედ-ამ, ვმალ-ამ. შა-ზე დაბოლოებული ზმნის თემის ნიშანია აშ. უნდა იყოს: ს-მა—ვსვ-ამ; ც-მა—ვიცვ-ამ; ბ-მა—ვაბ-ამ და არა: ვსვ-ავ, ვიცვ-ავ, ვაბ-ავ.

2. ავ-იან და აშ-იან ზმნებს I თურმეობითში გადაჰყვებათ თემის ნიშნები: დამიხატავს, დამიბამს და არა: დამიხატია, დამიბია.

3. ხმოვანმონაცვლე ზმნებს თემის ნიშნები არ დაერთვის. უნდა იყოს: ვგლეჯ, ვსრეს, ვღრეკ, ვგრებ და არა: ვგლეჯავ, ვსრესავ, ვღრეკავ, ვგრებავ.

4. ევ-იანი ზმნები II სერიის მწკრივებში ვ-ს არ ინარჩუნებენ: ვანგ-რევ—დავანგრიე, ვბევ—დავბიე, ვლევ—დავლიე და არა: დავანგრიე, დავბიე, დავლიე.

5. უნდა ვთქვათ არა: აპირობს, კიკიკობს, აძლობს, ასწრობს, იწყობს (საქმეს), არამედ: აპირებს, კიკიკებს, აძლებს, ასწრებს, იწყებს (საქმეს).

6. ითქმის ეუბნება და არა ეუბნევა.

7. არ ითქმის: დამიწერია—დამეწერა, დამიგრები—დამეგრიბა, არამედ: დამიწერა—დამეწერა, დამიგრები—დამეგრიბა.

8. უნდა ვთქვათ არა: ამეშენებია ან ამეშენა, არამედ: ამეშენებინა, ამეშენებინოს.

9. უწყვეტელში, ხოლმეობითში, აწმყოსა და მყოფადის კავშირებითში, წვეტილსა და II კავშირებითში უნდა იყოს ღნენ და არა ღენ: აკეთებდნენ (გაკეთებდნენ) აშენებდნენ (ააშენებდნენ), აშენდნენ, და სხვ (და არა: აკეთებდენ, აშენებდენ და ა. შ.).

10. II თურმეობითში გვხვდება დაბოლოება ოდი: გავზრდოდი და არა: გავზრდიყავ.

11. ინიან-ენიან ვნებითს წვეტილის 3 პირის მრავლობითი რიცხვში დაერთვის ნენ და არა ენ. უნდა იყოს: გაიყენენ, დაემალნენ და არა: გაიყვენ, დაემალენ.

12. გ-ზე გათავებული ზმნების აწმყოს 3 პირის დაბოლოებაა ის და არა ა. კივის, ჩხავის, ბლავის და არა: კივა, ჩხავა, ბლავა.

ზმნის ფორმის ანალიზი

§ 190. ზმნის შემადგენელი ნაწილები. როდესაც პირიან ზმნას ვშლით შემადგენელ ნაწილებად, მისი ანალიზი უნდა მოვახდინოთ გარკვეული თანმიმდევრობით და გარკვეული ნაწილების გამოყოფით. ეს ნაწილებია:

1. ზმნისწინი,
2. პირის ნიშანი,
3. ქცევის ნიშანი,
4. ვნებითი გვარის ნიშანი: *ე* და *ე*,
5. ფუძე,
6. ვნებითი გვარის ნიშანი: *დ*,
7. შუალობითი კონტაქტის ნიშანი,
8. თემის ნიშანი,
9. სავრცობი (დ. ან ოდ),
10. მწკრივის ნიშანი,
11. რიცხვის ნიშანი,

12. პირისნიშანი (სუბიექტური მესამე პირისა),

13. მეშველი ზმნა.

ნიმუშები:

ლა-მ-ი წერ-ეს: ღა-ზმნისწინი, მ-პირველი პირის ობიექტური ნიშანი, ი სასხვისო კცევის ნიშანი, წერ-ფუძე, ეს-მესამე პირის სუბიექტური ნიშანი (მრავლ. რიცხვი).

შე-ვ-ა-კ-ებ-: შე-ზმნისწინი, ვ-პირველი პირის სუბიექტური ნიშანი, ა-საარვისო კცევის ნიშანი, კ-ძირი, ებ-თემის ნიშანი.

ე-ხატ-ებ-ა: ე-ვნებითი გვარის ნიშანი, ხატ-ფუძე, ებ-თემის ნიშანი, ა-მესამე პირის სუბიექტური ნიშანი.

მო-გ-ე-სალმ-ებ-ი-თ: მო-ზმნისწინი. გ-მეორე პირის ობიექტური ნიშანი, ე-ვნებითის ნიშანი, ხალმ-ფუძე (შეკუმშულია, უნდა ყოფილიყო: ხალამ). ებ-თემის ნიშანი, ი-მწკრივის ნიშანი თ-პირველი პირის სუბიექტური ნიშანი მრავლ. რიცხვისა.

გ-წუხ-დ-ებ-ი: გ-პირველი პირის სუბიექტური ნიშანი, წუხ-ფუძე, დ-ვნებითი გვარის ნიშანი, ებ-თემის ნიშანი, ი-მწკრივის ნიშანი.

შე-გ-ე-გებ-ებ-ი-თ: შე-ზმნისწინი, გ-მეორე პირის ობიექტური ნიშანი, ე-ვნებითი გვარის ნიშანი, გებ-ფუძე, ებ-თემის ნიშანი, ი-მწკრივის ნიშანი, თ-პირველი პირის სუბიექტური ნიშანი მრავლ. რიცხვისა.

თავისებურებანი

§ 191. ზოგიერთი ზმნა არ ემორჩილება საერთო გრამატიკულ წესებს და თავისებურებას იჩენს. ასეთ ზმნებს გარკვეული წესი აქვთ, მაგრამ სხვა ზმნათა წესებს არ მისდევენ, განცალკევებით დგანან. მათი წარმომშობი მიზეზი სხვადასხვაა: ზოგი არქაულია, ძველია და ახალ ნორმებს არ დაქვემდებარებია, ზოგი დიალექტური წარმომშობისაა და დამკვიდრებულა სალიტერატურო ენაში, ზოგიც ანალოგიის შედეგი შეიძლება იყოს.

ამგვარ ზმნათა თავისებურება თავს იჩენს სხვადასხვა სახით: შეიძლება აკლდეს რიცხვი, მწკრივი, სერია, სხვა ზმნური ნიშანი. ამ დანაკლისს შეესება ესაჭიროება. შესავსებად გამოყენებულია სხვა ფუძის ზმნა. შეესებას შენაცვლება ეწოდება, ზმნას კი-მონაცვლება.

§ 192. შენაცვლება რიცხვში. ზოგ ზმნას ერთი ფუძე აქვს გამოყენებული. როცა ის მხოლოდით რიცხვშია, და სხვა ფუძე, როცა მრავლობით რიცხვშია.

ასეთებია:

1. ჯდომა || სხდომა. ჯდ (სრული სახით ჯედ) მხოლოდითის ფუძეა, სხედ კი მრავლობითისა; ამასთანავე ეს ზმნა მწკრივიც მონაცვლება: აქმყოში გამოყენებულია¹ ჯი.

აწმყო	წვეტილი	1 თურმ.
მხ. 1 ვზივარ	ვიჯელი (ვიჯეჟი)	ვმჯღარვარ
2 ჰზიხარ	იჯელი (იჯეჟი)	მჯღარხარ
3 ზის სხელს	იჯლა ისხლა	მჯღარა მსხღარა
მრ. 1 ვსხედვართ	ვისხელით	ვმსხღარვართ
2 სხელხართ	ისხელით	მსხღარხართ
3 სხელან	ისხლენ	მსხღარან

ასევეა სხვა მწკრივებშიც.

2. ვარდნა || ცვიენა. ვარდ მხოლოდითისაა, ცვიენ ფუძე—მრავლობითისა.

მყოფალი	წვეტილი
მხ. 1. გადავარდები	გადავარდი
2 გადაჰვარდები	გადაჰვარდი
3 გადავარდება გადაცვიედება (გადაცვიევა)	გადავარდა (გადაცვიედა)
მრ. 1 გადავცვიედებით (გადავცვიევით)	გადავცვიედით
2 გადასცვიედებით (გადასცვიევით)	გადაცვიედით
3 გადასცვიედებიან (გადასცვიევიან)	გადაცვიედნენ

3. გდება || ყრა. ქვა „გადავადღე“, მავრამ ქვები „გადავყარე“. მაგალითად ავიღოთ წყვეტილის ფორმები.

წვეტილი:

ქვა	ქვები
მხ. 1 გადავადღე	გადავყარე
2 გადაადღე	გადაჰყარე
3 გადაადღო	გადაყარა
მრ. 1 გადავადღეთ	გადავყარეთ
2 გადაადღეთ	გადაჰყარეთ
3 გადაადღეს	გადაყარეს

ხალხური ლექსიდან:

„ორმოში ფეტვი ჩავყარე შესანახადო,
ორმოში წყალი ჩასულა დასალპობადო,
ორმოდანა ამოვყარე გასაშრობადო“.

4. სმა || სხმა. ერთი „დაესვი“ („ჩაესვი“), მაგრამ „მრავალი დაესვი“ („ჩაესხვი“).

5. ბმა || სხმა. „ვაშლის ხემ ერთი ვაშლი მოიბა“, მაგრამ „ვაშლის ხენ ვაშლები მოისხა“. ლექსში: „ტყემ მოისხა ფოთოლი“ „ფოთოლი“ კრებითადაა გაგებული და ამიტომ ეხამება „მოისხა“.

6. კვლა || ხოცა. „მწყერი მოვკალი“, მაგრამ „მწყრები დაეხოცე“.

§ 193. შენაცვლება მწკრივებში. მწკრივებში ზოგჯერ სამ-სამი ფუძე ენაცვლება ერთმანეთს. მეორე მხრით, ერთ მწკრივშიც შეიძლება სხვადასხვა ფუძე იყოს.

1. ყოფნა: ვარ || ვიქნები || ვიყავ. არ ფუძე გამოყენებულია აწმყოში, მყოფადის წრეში — ვიქნები, II—III სერიის მწკრივებში — ვიყავ, ვიყო, ვყოფილვარ.

2. ქონება: მაქვს || მექნება. აწმყოს წრეში იხმარება მაქვს. მქონდა, მქონდეს, მყოფადის წრეში — მექნება, მექნებოდა, მექნებოდეს.

3. ჯდომა: ვზივარ || ვიჯედი. აწმყოში იხმარება ზი ფუძე (ეზივარ, ჰზიხარ, ზის), II—III სერიაში და მყოფადის წრეში — ჯედ (ჯდ) ფუძე (ვიჯედ, იჯდა; ვიჯდე, იჯდეს; ვმჯდარვარ... ვიჯდები, ვიჯდებოდი, ვიჯდებოდე).

4. სვლა: დი || ვალ || ვედ || ვიდ. „სვლა“ ზმნასაც ეცვლება მწკრივებში.

დი იხმარება აწმყოს წრეში:

	აწმყო	უწყვეტ.	აწმყოს კავშ.
მხ.	1 მოვდივარ	მოვდიოდი	მოვდიოდე
	2 მოდიხარ	მოდიოდი	მოდიოდე
	3 მოდის	მოდოდა	მოდოდეს
მრ.	1 მოვდივართ	მოვდიოდით	მოვდიოდეთ
	2 მოდიხართ	მოდიოდით	მოდიოდეთ
	3 მოდიან	მოდოდნენ	მოდოდნენ

ვალ იხმარება მყოფადში:

მხ. 1 მოვალ
2 მოხვალ
3 მოვა (მოვალს)

მრ. 1 მოვალთ
2 მოხვალთ
3 მოვლენ

ვიდ იხმარება I ხოლმეობითში, მყოფადის კავშირებითში, II კავშირებითში და წყვეტილის მესამე პირში:

	I ხოლმ.	მყოფადის კავშ.	II კავშ.
მხ.	1 მოვიდოდი	მოვიდოდე	მოვიდე
	2 მოხვიდოდი	მოხვიდოდე	მოხვიდე
	3 მოვიდოდა	მოვიდოდეს	მოვიდეს
მრ.	1 მოვიდოდით	მოვიდოდეთ	მოვიდეთ
	2 მოხვიდოდით	მოხვიდოდეთ	მოხვიდეთ
	3 მოვიდოდნენ	მოვიდოდნენ	მოვიდნენ

წვეთ.

მხ. 1 —
2 —
3 მოვიდა

მრ. 1 —
2 —
3 მოვიდნენ

ვიდ იხმარება წყვეტილის პირველ და მეორე პირში:

მხ. 1 მოვედი
2 მოხვედი
3 —

მრ. 1 მოვედით
2 მოხვედით
3 —

ვიდ ფუძეზეა დაყრდნობილი, აგრეთვე, ბრძანებითი, ოლონდ განსხვავებულია და ძალიან დაშორებული პირვანდელ სახეს: „მოდი“. ძველად იყო: მოვედ—მოედ(ი).

შენიშვნა: ვალ-ვიდ ფუძეების წინ პირველ პირში უნდა ყოფილიყო თრი ვ, ერთი ფუძისეული და მეორე ფორმანტისეული, მაგრამ ერთი მათგანი იკარგება. ვ. ი. უნდა ყოფილიყო: მოვეალ, მოვეედი, მოვევიდე და სხვ. მაგრამ გვ. ქეს: მოვეალ. მოვედი...

5. შრომა, ქმნა || ზმა. „შრომა“ სიტყვა ასეა მიღებული: შურომა—შვრომა. აწმყოს წრეში იხმარება: ვშვრები... ვშვრებოდე... ვშვრებოდე. მყოფადის წრეში სრული ასპექტის ინიშვნელობით ჩვეულებრივია „ზმა“ (სათავისო ქცევის ფორმით): ვიზამ.. ვი-

ზამდი... ვიზამდე. II—III სერიაში ქმნა ზმნა იხმარება: ვქე-
ნი..., ვქნა..., ქეხი..., მიქნია..., მექნა..., მექნას.

6. მბობა || თქმა: ვამბობ || ვიტყვი || ვთქვი.

აწმყოს წრეში იხმარება ვამბობ... ვამბობდი... ვამბობდე.
მყოფადის წრეში კი ვიტყვი... ვიტყოდი... ვიტყოდე. II—III
სერიაში გამოყენებულია „თქმა“: ვთქვი... ვთქვა... თქვი; მი-
თქვამს... ძეთქვა... მეთქვას.

სავარჯიშო 64. გამოარკვიეთ, რომელ მწკრივებში ენაცვლებიან: 1. დაედივარ.
ვიარები, ვივლი; 2. მიმაქვს, წაივლებ, მივითან; 3. ძვეს, იღვა (იღო).

სახელზმნა

§ 194. სახელზმნის რაობა. სახელზმნა ეწოდება ისეთ სიტყვას, რო-
მელსაც აქვს ნიშნები როგორც სახელის, ისე ზმნისა. სახელია იმდენ-
ნად, რამდენადაც იბრუნვის და წინადადებაში სახელის ფუნქციას ას-
რულებს; ზმნაა, უფრო ზუსტად, უპირო ზმნა, რომელსაც ზმნის ნიშან-
თაგან შეიძლება ჰქონდეს ასპექტი, დრო, გვარი, კონტაქტი (გზა). რაკ
ზმნისაგან ნაწარმოებია, ამიტომ სახელზმნა უფრო ზმნისაკენ იხრება,
ზმნის სისტემაში შედის.

წინადადებაში სახელზმნა შეიძლება იყოს გამოყენებული სუბიექტად.
ობიექტად, განსაზღვრებად, და სხვა.

სახელზმნა იყოფა ორად: საწყისად და მიმღეობად.

საწყისი

§ 195. საწყისის რაობა. საწყისი ისეთი სახელზმნაა, რომელიც წი-
ნადადებაში გამოყენებულია არსებით სახელად. იგი გვევლინება ქვემ-
დებარედ, დამატებად ან სხვა წევრად (მაგალ., „ხატვამ გამიტაცა“,
„ხატვა დაიწყო“). საწყისს აქვს ზმნური ნიშნები—ასპექტი და კონტაქტი
(გზა). მაგალ., ხატვა უსრული ასპექტია, დახატვა, გადახატვა
და სხვა—სრული ასპექტი. გადახატვა უშუალო კონტაქტის ფორ-
მაა, გადახატვინება კი შუალობითისა.

საწყისი იბრუნვის და ამდენად იგი სახელსაც ეყვლება: ხატვა, ხატ-
ვამ, ხატვას, ხატვის, ხატვით, ხატად.

საწყისს მრავლობითი რიცხვი არა აქვს.

§ 196. საწყისის წარმოება. საწყისს აწარმოებს ა.

ა (დაერთვის აწმყოს ან მყოფადის ფუძეს): ვწერ—წერა, ველერ—
ელერა, ვაკეთებ—კეთება.

ი-ნიან, ავ-ნიან, ამ-ნიან ზმნებს ა-ს დართვით გარკვეული ცვლილება
მოსდის: იკარგება ი და ავ-ამ-ში ხმოვანი: ვკრი—კრა; ვბარავ—ბარვა,
ვიცვამ—ცვა.

ესაა საწყისის ჩვეულებრივი და გავრცელებული წარმოება. გარდა ამისა, გვაქვს ნარ-იანი, ომ-იანი, ოლ-იანი, და ოლ-იანი საწყისი.

ა) ნ (მოცემულია ინფიქსის სახით ა-სა და ფუძეს შორის. უფრო ახასიათებს ვიანით დაბოლოებულ (ოვ, ევ) ფუძეებს: შოვნა, თხოვნა, პოვნა, ხსოვნა, და სხვ.

ბ) ომ (ზმნები გარდაუვალაია, საშუალო ან ვნებითი): დგომა, სხდომა, ტყდომა, ძლომა, ჯდომა, და სხვ.

გ) ოლ (ზმნები გარდაუვალაია): ქროლა, ბრძოლა, ყოლა, წოლა, ძლოლა, და სხვ.

ავ-იანი ზმნების ფუძეში, რომელიც თავდება ნარნარა (ნ, რ, ლ) პერებით, ვ გადაინაცვლებს და ფუძეს ჩაერთვის, ინფიქსი ხდება: შევნიშნავ — შენიშვნა (უნდა ყოფილიყო: შენიშვნა), ვკლავ — კვლა (უნდა ყოფილიყო: კლვა), ვხნავ — ხვნა (უნდა ყოფილიყო: ხნვა), ვკრავ — კვრა (უნდა ყოფილიყო: კრვა) და სხვ.

დ) ოლ. ზმნები უმთავრესად გარდაუვალაია: ტირილი, წუხილი, ქუხილი, დუმილი, ტკივილი, კივილი, დუილი, სიკვდილი, სიყვარული, სიბრალული, და სხვ.

§ 197. ნასახელარი ზმნებს „საწყისი“. ზოგიერთ ნასახელარ ზმნას საწყისის ფორმა არა აქვს, მაგრამ საწყისად გამოყენებულია სახელი, რომლისგანაც ის ნაწარმოებია. ანეთებია: ვლაპარაკობ — ლაპარაკი, ვჩხუბობ — ჩხუბი, ვსაუბრობ — საუბარი, ვაშკაშებს — აშკაში, ვლიღინებ — ლიღინი, ვტრიალებ — ტრიალი და სხვ.

სავარჯიშო 65. ა) აწარმოეთ შემდეგი ზმნების საწყისი: ვლასლავებ. ვებები ქსოვს, ათობს, ვრეცხავ, ვღებავ, ღრღნის, ვწყობი, ვბუი, ვთრთი, ძებნის; ბ) ამოიწერეთ ქრესტომათიის 8 გვერდის მასალიდან საწყისები; გ) აწარმოეთ ამ საწყისების შუალობითი კონტაქტის ფორმები: ვათბობა, მოქსოვა, ვაცთება, ვარეცხვა, დაგრება, შეცრვა, შეღებვა.

მიმლეობა

§ 198. მიმლეობის რაობა. მიმლეობა არის ისეთი სახელზმნა, რომელიც ზედსართავადაა გამოყენებული.

მიმლეობის ზმნური ნიშნებია: დრო, ასპექტი, კონტაქტი (გზა) და გვარი.

წარსული დროის მიმლეობაა: აშენებული, დანგრეული, მოკლული, მომავლისა: ასაშენებელი, დასანგრევი, მოსაკლავი.

უსრული ასპექტის მიმლეობაა: მკეთებელი, სრულისა — გამკეთებელი.

უშუალო კონტაქტის მიმლეობაა: გამკეთებელი, შუალობითისა — ვამკეთებინებელი.

მოკმედებითი გვარის მიმლეობაა: მკეთებელი, ვნებითისა — ვაკეთებული, საშუალოსი — მტრიალი.

§ 199. მოქმედებითი გვარის მიმღეობა. დრო არა აქვს. ახასიათებს სამგვარი წარმოება:

ა) მ-პრეფიქსიანი მიმღეობა: მ-ელეტ-ი, და-მ-წერ-ი, მო-მ-დრეკ-ი.

ბ) მ-პრეფიქსითა და -ელ სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობა (მ-ელ): და-მ-ხატე-ელ-ი, შე-მ-კვრ-ელ-ი, და-მ-პყრობ-ელ-ი.

გ) მა-პრეფიქსითა და -ელ სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობა (მა-ელ): აღ-მა-შენებ-ელ-ი, ა-მ-სრულებ-ელ-ი, შე-მ-წუხებ-ელ-ი.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 66. გადაიწერეთ და გამოყავით მოქმედებითი გვარის მიმღეობის ნიშნები ზმნებში: მგორავი, გაზბერეტელი, ნახარობელი, მკამელი, მთიბველი, მომკვლელი, მომცემი, მჯდომი, მსმელი, შემხებელი, მსმენელი.

§ 200. ვნებითი გვარის მიმღეობა. დროის ვაგება აქვს (წარსული, მომავალი). ახასიათებს სხვადასხვანაირი წარმოება:

ა) ილ. აწარმოებს ისეთ ზმნებს, რომელთაც თემის ნიშანი არა აქვთ: და-წერ-ილ-ი, და-ბან-ილ-ი, და-გლეჯ-ილ-ი. აწარმოებს აგრეთვე • და ობ თემის ნიშნიანებსაც: ვა-თლ-ილ-ი, — და-მხოზ-ილ-ი.

ბ) ულ. აწარმოებს ავ. აშ, ევ, ებ თემიან ზმნებს: მო-ხატ-ულ-ი, — და-დგმ-ულ-ი, — და-ბნე-ულ-ი, — ა-შენებ-ულ-ი.

გ) მ-არ (დისიმილაციით: მ-ალ). აწარმოებს უნიშნო ვნებითს: გა-მ-თბ-არ-ი, — გა-მ-წყრ-ალ-ი.

დ) ნა. აწარმოებს ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობას: ნა-ბეკდ-ი, ნა-კეთებ-ი, ნა-შენებ-ი.

ე) ხა, ხა-ელ. აწარმოებს მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობას: გა-ხა-ხმოზ-ი, — გა-ხა-კეთებ-ელ-ი.

ვ) უ, უ-ელ. აწარმოებს წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობას, რომელსაც უარყოფითი მნიშვნელობა აქვს: და-უ-ხატავ-ი, — და-უ-წერ-ელ-ი.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 67. გადაიწერეთ და გამოყავით ვნებითი გვარის მიმღეობის ნიშნები: აცვეტილი, მოტანილი, გაშლილი, დათოვლილი, შემოწებული, გადმოფრენილი, გაღვივებული, შემოაარული, გაქვავებული, დახურული, ჩაქმული, გაბმული, გამბტარი, გამხმარი, მთვრალი, დასაკლავი, საქმელი, სალწი, გასაბარებელი.

§ 201. ხაშუალო გვარის მიმღეობა. დროის ვაგება საერთოდ არა აქვს. აწარმოებს რამდენიმე ნიშანი:

ა) მ, მ-არ (დისიმილაციით: მ-ალ), მ-არე (დისიმილაციით: მ-ალე): მ-ცურავ-ი, — მ-ტირ-ალ-ი, — მ-ჯდომ-არე.

ბ) მო-ე: მო-ბიბინ-ე, მო-თამაშ-ე.

ერთადერთი საშუალო გვარის ზმნა, რომელსაც სამივე დროის მიმღეობა აქვს, „სვლა“ ზმნაა: ა) წომავალი, ბ) მოსავალი (ან: მოსასვლელი), გ) მოსული.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 68. ა) გადაიწერეთ და გამოყავით საშუალო გვარის ნიშნები ზმნებში: მდგომარე, მოდარაჯე, მოძალე, მდინარე, მდელარე, მკებნარი, მსტვენარი, მხტომარე, ბ) ამოიწერეთ ქრესტომათიის 15 გვერდის მასალიდან მიმღეობის მაგალითები.

უცვლელი სიტყვები და ნაწილაკები

ზმნიზედა

§ 202. ზმნიზედის რაობა. ზმნიზედა ისეთი ფორმაშეცვლელი დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვაა, რომელიც უმთავრესად დაერთვის ზმნას და განსაზღვრავს ზმნას დროის, ადგილის, ვითარების, ოდენობის, ზომის, მიზეზისა და მიზნის მიხედვით. იგი ჰკავს ზედსართავს: რა დანიშნულებასაც ზედსართავი ასრულებს არსებითი სახელისათვის, იმასვე ასრულებს ზმნიზედა ზმნისათვის.

ზმნიზედები ჯგუფდება ფორმისა და დანიშნულების მიხედვით.

§ 203. ზმნიზედის ფორმა. ზოგი ზმნიზედა აგებულებით პირველადია (იშვიათად), ზოგიც ნაწარმოებია (უმეტესად).

პირველადია აქ, აქაც, იქ, იქაც, სად, სადაც, და სხვ.

ნაწარმოებ ზმნიზედებში გაქვევებული სახით გვაქვს სხვადასხვა ბრუნვის ფორმები: დღეს, ძირს, ახლოს, შორს, წარმოშობით მიცემითი ბრუნვაა: გვერდით, ღამით, გარეთ, შიგნით, წინათ, ზემოთ. ქვევით, ქვემოთ... წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვაა (ქვემოთ—ზემოთ—წინათ ზმნიზედების ძველი სახეა: ქვემოთ, ზემოთ, წინათ); ძველად, უცბად, უეცრად, სრულიად, ამჟამად... წარმოშობით ვითარებითი ბრუნვაა. ზოგიერთ ზმნიზედად სახელის ფუძეა გამოყენებული: დღე („ყოველ დღე მეცადინობს“), ღამე („ღამე დახეტილობს“); ასევეა გაორკეცებული ფუძეები: მთა-მთა, სოფელ-სოფელ, ქურა-ქურა, ლუკმა-ლუკმა, და სხვ.

ზმნიზედების საკუთარი მაწარმოებლებია: გან, იგ, რე, გზის, ჯერ, და, მო, ღამ, ხან, მართ.

მაგალითები: ყველგან, ერთგან.—მარჯვნივ, მარცხნივ,—მეტადრე, ვგრე.—ორგზის,—ათჯერ,—შიდა. ქვედა,—გარეშემო, ზეგარდმო,—წინაშე, გარეშე, ერთხელ, ამაღამ, ეროხან(ს), დიდხან(ს)—აღმა, გაღმა.

§ 204. ზმნიზედის ფუნქცია. ზმნიზედები შინაარსის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფს გვაძლევს. ზმნიზედებია:

1. ადგილსა. აღნიშნავს ადგილმდებარეობას ან მიმართულებას. პირველის კითხვაა: სად?—წინ, უკან,—შუაში. მალლა, ძირს, ირგვლივ, გვერდით, გაღმა, ახლოს, შორს, სხვაგან, არსად, და სხვა.

მეორის კითხვაა: საიდან? საითკენ? თავიდან, წინიდან, ზევიდან. ქვევიდან. ძირიდან, შიგნიდან, შორიდან, და სხვა; აქეთ, აქეთკენ, მანდეთ, იქეთ, იქეთკენ, შინისკენ.

2. დ რ ო ი ს ა. აღნიშნავს დროის გარკვეულ მონაკვეთს. მისი კითხვაა: როდის?—ახლა, წელან, გუშინ, შარშან, გაისად, შემდეგ, ერთხელ. მაშინ, აღრე, დღისით, პირველად, მისვლისას. და სხვა.

3. ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა. აღნიშნავს, რა ვითარებაში ხდება მოქმედება. მისი კითხვაა: როგორ?—კარგად, ცხადად, უცრაოდ, ბლომად, ჩქარა. ნელა, მართლა (უნდა ყოფილიყო: ჩქარად, ნელად...), უკეთ (შემოკლებულია: უკეთესად), ცალმხრივ თანდათან, და სხვა.

4. მ ი ზ ე ზ ი ს ა. აღნიშნავს მიზეზს, რომელსაც გამოუწვევია მოქმედება. მისი კითხვაა: რატომ?—ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ.

5. მ ი ზ ნ ი ს ა. აღნიშნავს მიზანს, რომელსაც ემსახურება მოქმედება. მისი კითხვაა: რად? რისთვის?—ამისთვის, მაგისტვის, იმისთვის.

6. ზ ო მ ა - ო დ ე ნ ო ბ ი ს ა. კითხვებია: რა ზომით? რა ოდენობით? რამდენად? რამდენჯერ?—ამდენად. მაგდენად, იმდენად, მეტად, ნაკლებ, სამჯერ, ასჯერ, სრულიად, სავსებით, მთლად, მთლიანად, და სხვა.

7. კ ი თ ხ ე თ ი. აღნიშნავს კითხვას: ხალ? როდის? საიდან? ხაით-კენ? რატომ? რად? რისთვის?

8. მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი. ც-ნაწილაკდართული კითხვითი ზმნიხედებია: სადაც, როდესაც, საიდანაც, საითკენაც, რადაც, რისთვისაც.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 69. ქრესტომათიის 15 გვერდის მასალიდან ამოიწერეთ და დააჯგუფეთ ზმნიხედები.

თანდებული

§ 205. თანდებული ეწოდება ბგერათა კომპლექსს, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, დაერთვის სახელს და გამოხატავს მდებარეობას, მიმართულებას, დანიშნულებას. მდებარეობას აღნიშნავს ზე, ში, შუა, შორის თან, მიმართულებას: იდან (ით-გან), კენ, მიმართ, მდის, დანიშნულებას: თვის, თანყოფას: ურთ. მოქმედების ჩამდენობის გამოხატავს მიერ, გან, და სხე.

თანდებული შედგენილობის მიხედვით ორგვარია: მარტივი და რთული. მარტივია: გან, თვის, ში, და სხე. რთულია: მი-მართ, მ-დე, და სხე.

ზოგი თანდებული ცალკე იწერება (გამო, მიერ, მიმართ, შორის, შუა, გარდა), ზოგიც სიტყვასთან ერთად (კენ, გან, თვის, გან, ზე, ში, თან, ვით, ურთ, მდის-მდე).

კავშირი

§ 206. კავშირის რაობა და ჯგუფები. კავშირი დამხმარე სიტყვაა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წინადადების წევრებს ან წინადადებებს.

არის მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები.

§ 207. შერთებული კავშირები. შერთებული კავშირები სხვადასხვა ჯგუფს გვაძლევს. ესენია:

1. მაჯგუფებელი კავშირები: და, თუ.
2. მაკალკავებელი კავშირები: თუ, ან, ანდა, გინდ, ხან-ხან.
3. მაპირისპირებელი კავშირები: შაგრამ, ხოლო, კი, თორემ, აჩამედ.
4. მაიგივებელი კავშირები: ანუ, ესე იგი (ე. ი.).

საეარჯიშო 70. ა) შეადგინეთ შერთებული კავშირების გამოყენებით წინადადებები (თითო-თითო); ბ) ამოიწერეთ ქრესტომათიის 5 გვერდიდან წინადადებები, სადაც გვხვდება შერთებული კავშირი.

§ 208. მაქვემდებარებელი კავშირები. მაქვემდებარებელი კავშირები სხვადასხვა ჯგუფს გვაძლევს. ესენია:

1. დროის კავშირები: როდესაც, ვიდრე, ხანამ, და სხვა.
2. მიზეზის კავშირები: რადგანაც, იმიტომ რომ, რაკი, და სხვა.
3. მიზნის კავშირები: რომ, რათა, და სხვა.
4. დათმობის კავშირები: თუნდაც, გინდაც, თუმცა, და სხვა.

საეარჯიშო 71. ამოიწერეთ ქრესტომათიიდან (5 გვერდი) წინადადებები, სადაც გვხვდება მაქვემდებარებელი კავშირები.

ნაწილაკი

§ 209. ნაწილაკის რაობა. ნაწილაკი დამხმარე სიტყვაა, რომელიც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის.

ნაწილაკი არ მოითხოვს სახელისაგან ბრუნვის რომელიმე ფორმას. ამით განსხვავდება იგი თანდებულისაგან.

ზოგი ნაწილაკი წინ უძღვის სიტყვას, ზოგიც მოსდევს მას. წინმდგომი ნაწილაკებია: არ, ვერ, ნუ, და სხვა, უკანმდგომი ნაწილაკებია: მე, შე, და, და სხვა.

§ 210. ნაწილაკთა დანიშნულება. ნაწილაკებს სხვადასხვა დანიშნულება აქვს. ნაწილაკების ფუნქციებია: კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელობითი, უკუთქმითი, სიტყვა-სიტყვითი, მოგებითი, გაძლიერებითი, ნატვრითი. ისეთი ნაწილაკებიცაა, რომლებიც აღნიშნავენ გამხმარებას, მრავალგზისობას, და სხვა.

1. კითხვითი ნაწილაკებია: განა, ნუთუ, ზომ;
2. მიმართებითი ნაწილაკია: ც იგი კითხვით ნაცვალსახელს და ზმნიზედას მიმართებითად აქცევს: რომელსა-ც, სადა-ც, რომელთა-ნა-ც, და სხვა;
3. განუსაზღვრელობითი ნაწილაკია: მე. დაერთვის კითხვით სიტყვას და განუსაზღვრელად აქცევს: ვინ-მე, რა-მე, (რაი-მე), რომელი-მე, რამდენი-მე, სად-მე, და სხვა;

4. უკუთქმითი ნაწილაკებია: არ, ვერ, ნუ;

5. სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკებია: შეთქო, თქო, ო. აღნიშნავენ თავისი ან სხვისი ნათქვამის უცვლელად განმეორებას;

6. მიგებითი ნაწილაკებია: ჰო, კი, დიალ (დიახ), ამათვან: და-დასტურებითაა ჰო, კი, დიალ (დიახ), უკუთქმითია: არა, ვერა;

7. გაძლიერებითი ნაწილაკებია: ც, შაინც, კი. იგი ამახვილებს ყურადღებას სიტყვაზე, რომელსაც ერთვის: „ქართულშიც ხუთი მყავს“.

ე. ი. სხვა საგნებშიც ასეთივე ნიშანი მყავს;

8. ნატვრითი ნაწილაკებია: ნეტავი, -მც, -მც, კი („ნეტავი დახატოს!“ „მეხიმც კი დაგცემია“).

გარდა ამისა: მიხლოებას აღნიშნავენ თითქმის, ლამის, კინაღამ; გამხნეებას, წაქეზებას—გინძლო; უნახაობას—თურამე; მრავალგზისობას—ხოლმე; შიშს—ვათუ, და სხვა.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 72 ა) შეადგინეთ თითო-თითო წინადადება ზემოგანხილული ნაწილაკების მიხედვით; ბ) ამოიწერეთ ქრესტომათიიდან (10 გვერდი) ნაწილაკ-დართული სიტყვები და წინადადებები.

შორისდებული

§ 211. შორისდებულის რაობა. შორისდებული არის ბგერა ან ბგერათა ჯგუფი, რომელიც გამოხატავს ადამიანის სულიერ განწყობილებას ან გრძნობას: სიამოვნებას, სიხარულს, ალტაცებას, მოწონებას, ზიზღს, გაკვირვებას, ტყვილს და სხვა.

შორისდებულისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინტონაციას. მაგალითად, ოჰ შეიძლება ალტაცების შორისდებულიც იყოს („ოჰ, რა ლამაზია!“) ანდა იხერის, მწუხარების შორისდებული: („ოჰ, უბედურო ჩემო თავო!“).

§ 212. შორისდებულის ჯგუფები. მნიშვნელობის მიხედვით შორისდებულები სხვადასხვა ჯგუფად იყოფა. ესენია:

სიხარულისა (ალტაცებისა): ოჰ, ვიშ, უჰ.

მწუხარებისა (ტყვილისა): ვაი, უი, უიშე....

მოწონებისა: ვაშა, ყოჩაღ.

სინანულისა: ეჰ.

ზიზღისა: ფუ, ფუი.

გაკვირვებისა: ბიჟოხ, ერიჰა.

მოწოდებისა: ახ, აჰ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 73. შეადგინეთ თითო-თითო წინადადება ზემოხსენებული შორისდებულების მიხედვით.

ამტორისაგან

წინამდებარე წიგნი განკუთვნილია პედაგოგიური სასწავლებლებისათვის. იგი შედგენილია ქართული ენის პროგრამის მიხედვით, რომელიც მიღებულია საქ. სსრ განათლების სამინისტროს მიერ სპეციალურად პედსასწავლებელთათვის.

წიგნის ძირითადი წყაროებია ა. შანიძის ქართული ენის სასკოლო გრამატიკა და გრამატიკის საფუძვლები და გ. ახვლედიანის ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. ამასთანავე ავტორმა გამოიყენა რუსული პედსასწავლებლებისათვის განკუთვნილი საელმძღვანელო.

სარჩევი

შსსაშალი	3
ლექსიკა	
თანამედროვე ქართული ლექსიკის შედგენილობა	11
ქართული ენის ფრაზეოლოგია	16
ქართული ენის ლექსიკონები	18
ფონეტიკა და გრაფიკა	
ასოები	22
ხმოვნები	23
თანხმოვნები	25
მარცალი	31
მახვილი	32
ფონეტიკური მოვლენები	34
ფონეტიკური მოვლენები დიალექტებში	36
მორფოლოგია	
სიტყვა და მისი შედგენილობა	37
მეტყველების ნაწილები	39
სახელმწიფი	
I. არსებითი სახელი	41
გრამატიკული რიცხვი	43
არსებითი სახელის ბრუნება	45
თანხმოვანფუძიან არსებით სახელთა ბრუნება	47
ხმოვანფუძიან არსებით სახელთა ბრუნება	54
ისტორიული ცნობა	62
თავისებურად ბრუნებადი სახელები	62
ისტორიული ცნობა	63
ბრუნება დიალექტებში	64
არსებითი სახელების მართლწერა	65
თანაზებულოანი და ნაწილაკიანი ბრუნებები	66
თანდებულოანი ბრუნებების მართლწერა	68
II. ზედსართავი სახელი	68
ისტორიული ცნობა	71
ხმოვანფუძიანი ზედსართავი არსებითთან	71
შსაზღვრელი და საზღვრული	72
მართლწერა	74
III. რიცხვითი სახელი	75
რიცხვითი სახელის მართლწერა	77
IV. ნაცვალსახელი	78
ნაცვალსახელები დიალექტებში	88
წარმოქმნა	88
რთული სახელები	92
რთული სახელების მართლწერა	93
ზმნები	
პირი და რიცხვი	94
მართლწერა	98
ისტორიული ცნობა	99
დრო	100
კილო	100
	143

ისტორიული ცნობა	101
კილოს ფორმები დიალექტებში	101
ზმნისწინი	102
ზმნისწინების პართლწერა	104
ასპექტი	104
ქსერივები	106
ისტორიული ცნობა	109
მწერივები დიალექტებში	110
გარდამავლობა	110
გარდამავლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები	111
გვარი	112
მართლწერის საკითხები გვარის ფორმებთან დაკავშირებით	113
ქცევა	114
მართლწერის საკითხები ქცევასთან დაკავშირებით	115
კონტაქტი	115
მართლწერა	116
ფუძე	116
თემა	116
უღლების ტიპები	117
მართლწერის საკითხები ზმნის უღლებასთან დაკავშირებით	129
ზმნის ფორმის ანალიზი	130
თავისებურებანი	131
ახელზმნა	135
საწყისი	135
მიმლეობა	136
უცვლელი სიტყვები და ნაწილაკები	
ზმნიზედა	138
თანდებულო	139
კავშირი	139
ნაწილაკი	140
შორისდებულო	141
ავტორისაზანი	142

გამომცემლობის რედაქტორი ზ. ბაჩიძე

გადაეცა წარმოებას 24/X-1955 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/I-1956 წ. ანაწეობის ზომა 6,5X10,5. ქაღალდის ზომა 60X92. ტირაჟი 2.000. გამომც. შტე. № 2. სტამბის შტე. № 720 უფ. 00369. საგამ.-სააღრ. ფორმათა რაოდ. 8,2. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 9.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 5.

Комбинит печати Главполиграфиздата Министерства культуры Груз. ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ზამჩნეულ ზიტლომეტა ბასწორება

გუჯი და სტრიქონი	ა რ ი ს	უნდა იყოს
11, 17 ქემ.	მეურნეობის, სოციალური წყობილების, კულტურის, მეურნეობის	მეურნეობის, სოციალური წყობილების, კულტურის
15, 11 ქემ. 49, 4-5 სტრ. შორის	ანდამატა, ბუხარი, საამო	ბუხარი, საათი ნათ. ქუთაის-ის(ა), რუსეთ-ის(ა), რიონი-ს(ა), ნადიკო-ის(ა)
50, 5 ქემ. 120, 9 ქემ. 137, 7 ზემ.	ყაზბეგს-ს(ა) 1 იმალებოდით ა-მ-ს-რ-ე-ლ-ე-ი, შე-წუებ-ე-ლ-ი	ყაზბეგს-ს(ა) 2 იმალებოდით ალ-მა-ს-რ-ე-ლ-ე-ი, შე-მა-წუებ-ე-ლ-ი
139, 7 ქემ.	(ყნ, ზან, თვის...)	(ყნ, თვის...)